

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის
საქართველოს საისტორიო საზოგადოება
ა ფ ს ა ზ ე თ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ა

კახაბერ ყალიჩავა

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი
ქართულ და ინგლისურენოვან
ლიტერატურაში

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2016

UDC (უაკ) 94(479.22)„2008.08“
ყ-234

მონოგრაფია ეხება საქართველოსა და ზოგადად მსოფლიო პოლიტიკისათვის ისეთ მნიშვნელოვან და მგრძობიარე თემას, როგორც არის რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი. კვლევის საგანსა და მიზანს წარმოადგენს აღნიშნული მოვლენის შესახებ ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ლიტერატურის შესწავლა, სხვადასხვა ავტორთა ნააზრევის საფუძველზე გარკვეული დასკვნების შეჯერება და დადგენა იმისა თუ რა კუთხით და რა ხარისხით არის რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი შესწავლილი ქართულენოვან და ინგლისურენოვან ლიტერატურაში. აღნიშნული, საკმაოდ ვრცელი მასალის დამუშავება, თავის მხრივ, საკუთარი ანალიტიკური სურათის შექმნის საშუალებას გვაძლევს რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ.

წიგნი განკუთვნილია როგორც სპეციალისტებისთვის, ასევე საკითხით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი: პროფ. თეიმურაზ პაპასქირი

რეცენზენტი: პროფ. დაზმირ ჯოჯუა

© კახაბერ ყალიჩავა

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2016

ISBN 978-9941-25-013-2

**EKVTIME TAKAISHVILI GEORGIAN HISTORICAL SOCIETY
ABKHAZIAN ORGANIZATION**

Kakhaber Kalichava

**The Russo-Georgian War of 2008
in Georgian and English-Language literature**

“MERIDIANI” Publishers

Tbilisi 2016

UDC (უკუ) 94(479.22),,2008.08“
y-234

The book deals with one of the most important and sensitive issues for Georgian and world policy: Russo-Georgian war of 2008. The main goal of this research is to study and review all the available literature about the Russo-Georgian War in Georgian and English and with the help of different authors' various opinions, to make our own conclusion about the quality, level and the angle of study of the above-mentioned topic. This huge material allows us to make our own analytical picture about the 2008 Russo-Georgia war.

The book is intended for the specialists and general readers.

EDITOR: Prof. **Teimuraz Papaskiri**

REVIEWER: Prof. **Dazmir Jojua**

© Kakhaber Kalichava

© “MERIDIANI” Publishers, 2016

ISBN 978-9941-25-013-2

შინაარსი

რედაქტორის წინათქმა	7
შესავალი	11
თავი პირველი. ქართულენოვანი ლიტერატურა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ	16
თავი მეორე. ინგლისურენოვანი ლიტერატურა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ	74
თავი მესამე. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი მსოფლიო გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ ქრილში	182
თავი მეოთხე. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი	198
<i>§1. რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებული „საპასპორტო პოლიტიკის“ ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი</i>	<i>198</i>
<i>§2. დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების დამდგენი მისიის დასკვნა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შესახებ</i>	<i>218</i>
თავი მეხუთე. საერთაშორისო გამოხმაურება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომზე	234
<i>§1. ოფიციალურ სახელმწიფოთა გამოხმაურება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომზე</i>	<i>234</i>
<i>§2. საერთაშორისო ორგანიზაციათა გამოხმაურება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომზე</i>	<i>252</i>
დასკვნა	261

The Russo-Georgian War of 2008 in Georgian and English-Language literature. <i>Summary</i>	280
Русско-грузинская война 2008-го года в грузинской и англоязычной литературе. <i>Резюме</i>	284
გამოყენებული ლიტერატურის სია	288

რედაქტორის წინათქმა

წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ახალგაზრდა მეცნიერის, კახაბერ ყალიჩავას მიერ 2015 წლის ზაფხულში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაცული სამაგისტრო ნაშრომის – „რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურაში: კონფლიქტის ისტორიული, ეთნიკური, პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტების მიმოხილვა“ – გადამუშავებულ ვერსიას.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებული საკითხებით დაინტერესება კახაბერ ყალიჩავამ ჯერ კიდევ ბაკალავრიატში სწავლის პერიოდში გამოამჟღავნა. მისმა საბაკალავრო ნაშრომმა – „გზა ომისაკენ“ – 2008 წელი: იანვრიდან აგვისტომდე. გაზეთ „კვირის პალიტრის“ მასალების მიხედვით“ – სპეციალისტების დიდი მონონება დაიმსახურა და უმაღლესი ქულით შეფასდა. გარდა ამისა, კახაბერ ყალიჩავამ, ამ ნაშრომზე დაფუძნებული მოხსენებით 2014 წელს გაიმარჯვა ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ სამეცნიერო ფორუმში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტებს შორის.

მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა (ის ჯერ მხოლოდ 24 წლისაა), კახაბერ ყალიჩავას უკვე რამდენიმე სამეცნიერო პუბლიკაცია გააჩნია ქართულ რეცენზირებად ჟურნალებში. გარდა ამისა, მსოფლიოს თუ საქართველოს ისტორიის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილი მისი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომები სისტემატურად იბეჭდება სამეცნიერო-შემეცნებით ჟურნალში „ისტორიანი“. ამჟამად ის სწავლობს თსუ დოქტორანტურაში და მუშაობს საკვალიფიკაციო ნაშრომზე. ასე რომ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ კახაბერ ყალიჩავას სახით გამოჩნდა უაღრესად ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელიც აუცილებლად დატოვებს თავის კვალს ისტორიულ

მეცნიერებაში. ამისთვის ყველა წინაპირობა არსებობს.

და ბოლოს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება: კახაბერ ყალიჩავა სოხუმიდან დევნილია და მის უმთავრეს ნატვრას საკუთარ სახლში დაბრუნება წარმოადგენს. იმედია, მისი ეს ნატვრა უახლოეს მომავალში ასრულდება და კახაბერ ყალიჩავას სამეცნიერო მოღვაწეობა უკვე გამთლიანებულ საქართველოში გაგრძელდება.

თეიმურაზ პაპასქირი
პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ახალი და უახლესი ისტორიის
კათედრის ხელმძღვანელი

ედღვნება ბიძაჩემის, აფხაზეთის ომის ვეტერანის
გიორგი ყალიჩავას ხსოვნას

შესავალი

2015 წლის აგვისტოში შვიდი წელი გავიდა რუსეთ-საქართველოს ბოლო ომიდან, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2008 წელს. აღნიშნული ომის შესახებ ბევრი ითქვა და დაინერა. მიუხედავად სხვადასხვა ავტორთა განსხვავებული ნააზრევითა და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის გამომწვევი და განმაპირობებელი მიზეზებისა და ფაქტორების შესახებ, ცხადია, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ომი მეტად მტკივნეული იყო ჩვენი ქვეყნისთვის და იმ ოჯახებისთვის, რომელთა ახლობელი თუ ნათესავიც ემსხვერპლა აღნიშნულ ომს – ამ ადამიანებისთვის დიდი მნიშვნელობა ნამდვილად არ აქვს, თუ რა მასშტაბის იყო რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი, ვინ ისროლა პირველად, ან ვინ დაგეგმა ეს ომი დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე. ამავე დროს, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ამგვარი ემოციური დამოკიდებულებისა, აუცილებელია აღნიშნული საკითხის მეცნიერულ დონეზე შესწავლა, ემოციური პოლიტიკური ფონისა და სხვა სუბიექტური მომენტებისაგან მეტ-ნაკლებად განთავისუფლება და საკითხის შესახებ არსებული ინფორმაციის შეძლებისდაგვარად ობიექტურად გადამუშავება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება იმისათვის, რომ მომავალში აღნიშნული საკითხის კვლევის სტიმულირება მოვახდინოთ.

აღნიშნული ფაქტორი უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს იმ მომენტის გათვალისწინებით, რომ ბოლო დროს ქართულ სამეცნიერო თუ მედიასივრცეში ფართო გავრცელება ჰპოვა ზოგიერთი ქართველი ავტორის მიერ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის გაჩაღებაში ქართული მხარის დადანაშაულების მცდელობებმა, რაც დიდწილად პოლიტიკურად მოტივირებულ ქმედებას წარმოადგენს და განპირობებულია კონკრეტულ ავტორთა (რომელთაც ნაშრომში ფართოდ მიმოვიხილავთ) დამოკიდებულებით მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ავტორების ამ-

გვარი დამოკიდებულება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მიმართ წარმოადგენს უდიდეს ტრაგედიას ჩვენი ქვეყნისთვის იმ ფონზე, როდესაც დღეისათვის უკრაინაში მთელმა ცივილიზებულმა მსოფლიომ იხილა თანამედროვე რუსული იმპერიალიზმის სახე და ფაქტობრივად მთელი მსოფლიო, მათ შორის ის ქვეყნებიც, რომლებსაც რუსული იმპერიალისტური მიზნებისა „არ სჯეროდათ“ 2008 წელს, დარწმუნდა, რომ რუსეთისთვის ყველაფერი სულერთია, გარდა საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესებისა. ეს ინტერესები კი თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემად იქცა.

წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ მიზანს ემსახურება და წარმოადგენს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შესახებ არსებული და ხელმისაწვდომი ქართული და ინგლისურენოვანი ლიტერატურის მეცნიერული შესწავლის მოკრძალებულ მცდელობას. ასეთი მასალების მრავალრიცხოვნობის გათვალისწინებით, ნაშრომში მიმოვიხილავთ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ მხოლოდ წიგნად გამოცემულ ქართულ და ინგლისურენოვან ნაშრომებს. გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვნად მივიჩნევთ, წინამდებარე ნაშრომში რუსეთ-საქართველოს აღნიშნული ომის გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული კუთხით გაშუქების მცდელობას, რისთვისაც გამოყენებულ იქნა ისეთ ავტორთა შრომები, როგორც არიან თავად გეოპოლიტიკისა და გეოსტრატეგიის მიმართულების დამფუძნებელი (XX საუკუნის 20-იანი წლები) ჰალფორდ მაკინდერი, ზბიგნევ ბჟეზინსკი და სამუელ ჰანტინგტონი, ასევე საერთაშორისო ურთიერთობებითა და ეკონომიკით დაინტერესებული ბრიტანელი ჟურნალისტი ედვარდ ლუკასი, რომლის ნაშრომში თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებს პირდაპირ ეწოდება „ახალი ცივი ომი“. ლუკასის მსგავსად, ჩვენც სწორედ ამ კუთხით განვიხილავთ რუსეთისა და საქართველოს კონფლიქტის მასშტაბებს და საკითხის ისტორიული, ეთნიკური და პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტების მიმოხილვის შემდეგ, მივ-

დივართ დასკვნამდე, რომ 2008 წლის „ხუთდღიანი ომი“ წარმოადგენდა მსოფლიოში არსებული ორი დიდი დაპირისპირებული პოლიტიკური ბანაკის – რუსეთისა და დასავლეთის დაპირისპირების ასპარეზს. სწორედ ამიტომ, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის განაპირობებელ მიზეზებად, თავად რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული დაძაბული პოლიტიკურ-სამართლებრივი ვითარების გარდა, „ახალი ცივი ომის“ პერიოდში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენები და ინტერესები უნდა მივიჩნიოთ. ასევე კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ისტორიულ მოვლენას განაპირობებს ინდივიდუალური ფაქტების ჯაჭვი, რომელსაც კონკრეტულ ომსა თუ სხვა ისტორიულ მოვლენამდე მივყავართ.

ამასთან ერთად, უნდა ითქვას, რომ ნაშრომში ჯეროვანი ყურადღება ეთმობა იმ სამართლებრივი ასპექტების მიმოხილვასაც, რომელმაც რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომამდე მიგვიყვანა. ასეთ, ერთგვარ საკვანძო სამართლებრივ ასპექტად გვევლინება რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. ცხინვალის რეგიონში განხორციელებული „საპასპორტო პოლიტიკა“, რასაც ჩვენს ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა. რუსეთის მიერ გატარებული აღნიშნული პოლიტიკა საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მიმართ, ძალიან გვაგონებს 30-იან წლებში ნაცისტური გერმანიის პოლიტიკას ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთი ოლქში – სუდეტში, რის მიხედვითაც სუდეტის ოლქზე თავდასხმა ჰიტლერმა მოახდინა ამ ოლქში მცხოვრები გერმანელების უფლებების დასაცავად. ასევე მოიქცა ვლადიმერ პუტინი, რომელმაც 2002 წელს განახლებული კანონით რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ, აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას რუსეთის მოქალაქეობა მიანიჭა. კრემლის ეს ნაბიჯი წინააღმდეგობაში მოდიოდა როგორც ქართულ, ასევე თავად 90-იან წლებში მიღებულ რუსულ კანონმდებლობასთან, რაც, თავის მხრივ, ჩვენს ქვეყანას უუფლებოდ ტოვებდა საკუთარი იურისდიქციის ქვეშ მაცხოვრებელი მოსახლეობის მიმართ. ამგვარად, აფხაზეთისა და ოსების „გარუსებამ“ საბოლოოდ

კრემლს საშუალება მისცა, ღიად მოეხდინა ინტერვენცია საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის აგვისტოში. უამრავი პროვოკაციისა და მსხვერპლის, ცხინვალის ქართული რეგიონის სოფლების ინტენსიური დაბომბვის შემდეგ, რაც ხორციელდებოდა მსხვილკალიბრიანი არტილერიით, საქართველოს ტერიტორიაზე რუსი სამხედროების ფაქტობრივად დაუფარავი დისლოცირების შემდეგ, ქართულმა მხარემ 7 აგვისტოს 23:35 წუთზე მიიღო არმიის მოქმედებაზე გადაყვანისა და ცხინვალის რეგიონში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის გადაწყვეტილება.

საინტერესოა, რომ საქართველოს ამგვარი მოქმედება, მოგვიანებით ევროპულმა ფაქტების დამდგენმა კომისიამ ომის დაწყების მომენტად შერაცხა, რაც, თავის მხრივ, უცნაურია და მიუთითებს ან 2008 წლის 7 აგვისტომდე მომხდარი ფაქტების არცოდნაზე, ან, ფაქტების ცოდნის მიუხედავად, რუსეთის ღიად აგრესორად შერაცხვისგან თავის შეკავებაზე, რაც უფრო სარწმუნოდ გვეჩვენება ევროპის ქვეყნებს შორის რუსეთისადმი არსებული არაერთგვაროვანი პოზიციის ფონზე, რასაც მნიშვნელოვანწილად ინვესტს რუსეთის, როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორის ფაქტორი. სწორედ ამ და სხვა ფაქტორებმა განაპირობა ევროპისა და ზოგადად დასავლეთის ქვეყნების არცთუ ადეკვატური დამოკიდებულება საქართველოში მიმდინარე კონფლიქტის მიმართ, რამაც საბოლოო ჯამში კრემლს უფრო ფართო მოქმედების ასპარეზი მისცა. შედეგად, დღეისათვის, რუსეთს ორად აქვს გაყოფილი უკრაინა, ჩამოცილებული აქვს ამ ქვეყნისთვის, ყირიმის ნახევარკუნძული, დონეცკისა და ლუგანსკის ოლქები, მიმდინარეობს სამოქალაქო ომი, 2013 წლიდან მოყოლებული დღემდე არის საკმაოდ დიდი მსხვერპლი და რაც მთავარია – რუსეთი გაჩერებას არ აპირებს და დასავლეთის მიერ შემოღებული სანქციები, რუსეთისათვის შემაკავებელ როლს ვერაფრით ასრულებს.

უკრაინის კრიზისის დასაწყისი სამართლიანად შეგვიძლია დავინახოთ 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოში

განხორციელებულ აგრესიაში. ხოლო, რაც შეეხება ამ კრიზისის დასასრულს, ძნელია რაიმე პროგნოზის გაკეთება, რადგან დასავლეთი, ისევე როგორც საქართველოს კონფლიქტის დროს ქმედითი ნაბიჯებისაგან თავს იკავებს, შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური სანქციებით, რომელიც რუსეთს დღესდღეობით საკუთარ განზრახვაზე ხელს ვერ აღებინებს, კვლავ იხოცება ხალხი, კვლავ ჩნდებიან ახალი იძულებით გადაადგილებული პირები, კვლავ გრძელდება ომი. თუ როგორ და როდის დასრულდება ეს ყველაფერი ამას დრო გვიჩვენებს.

თავი პირველი

ქართულენოვანი ლიტერატურა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომიდან შვიდი წლის შემდეგ, ჩვენი ქვეყნის მასშტაბით აღნიშნული ომის შესახებ მრავალი ითქვა და დაიწერა. უნდა ითქვას, რომ მოვლენის სიახლის ფონზე, აღნიშნული საკითხის შესახებ ქართულ ენაზე არსებობს საკმაოდ მრავალფეროვანი ლიტერატურა, რაც საკითხით დაინტერესებულ მკითხველს საშუალებას მისცემს გაეცნოს საკითხის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ, გეოპოლიტიკურ თუ გეოსტრატეგიულ ასპექტებს.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ ქართულ ენაზე შესრულებული შრომების მიმოხილვა უპრიანი იქნება დავიწყოთ იმ წიგნებით, რომელიც 2009 წელს გამოიცა და წარმოადგენს ერთგვარ პირველ მცდელობას აღნიშნული მოვლენის წიგნის დონეზე გაშუქებისა.

ერთ-ერთ პირველ ამგვარ გამოცემას წარმოადგენს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის – მერი გაბედავას წიგნი: „რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. 2008 წელი“. წიგნში წარმოდგენილია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გამომწვევი მიზეზები. განხილულია კონფლიქტის სამართლებრივ-პოლიტიკური ასპექტები, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ინსტიტუტების დამოკიდებულება აღნიშნული ომისა და რუსეთის ღია აგრესიისადმი საქართველოში. ავტორი საკმაოდ საინტერესოდ მიმოხილავს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, რაც ერთგვარად გვიხატავს რუსეთ-საქართველოს დაპირისპირების სურათს ნაბიჯ-ნაბიჯ 2008 წლის აგვისტოს დრამატულ მოვლენებამდე.

საინტერესოა, რომ ავტორი, საკუთარი ნაშრომის ერთ-ერთ თავს იწყებს უინსტონ ჩერჩილის ცნობილი სიტყვებით:

„რწმენა იმისა, რომ უსაფრთხოება შეიძლება მოიპოვო მგლების ხროვისათვის მცირე სახელმწიფოს გადაგდებით, საბედისწერო შეცდომაა“.¹ სწორედ აქ იკვეთება ავტორის პოზიცია ზოგადად დასავლური პოლიტიკის მიმართ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან მიმართებაში. აღსანიშნავია ისიც, რომ წიგნის დასასრულს ავტორი გამოთქვამს იმედს, რომ ევროკავშირის საგამომდიებლო კომისია, რომელსაც აღნიშნული ომის ფაქტობრივი მხარე უნდა შეესწავლა და გაეკეთებინა დასკვნა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შესახებ, არ იქნება ნეიტრალური და ომში ბრალს თანაბრად არ დასდებს როგორც რუსეთს, ასევე საქართველოს, რადგან ამით „ევროპა ახალ სიცოცხლეს შთაბერავს რუსეთის რევანშისტულ პოლიტიკას და კრემლის „სილავიკებს“ ახალი შეიარაღებული კონფრონტაციისკენ უბიძგებს“.² როგორც ჩანს, მერი გაბედავას წიგნი ევროკავშირის მიერ შექმნილი საგამომდიებო კომისიის მუშაობის დასასრულამდე გამოიცა და სწორედ ამიტომ იტოვებს ავტორი იმედს აღნიშნული კომისიის საქმიანობის მართლაც რომ კეთილსასურველი დასასრულისა, რაც, როგორც ვიცით, არ მოხდა, თუმცა აღნიშნული კომისიის მუშაობას ჩვენ დანვრილებით ქვემოთ შევხებით.

დასასრულს, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მერი გაბედავას წიგნი წარმოადგენს საკმაოდ საინტერესო ნაშრომს, ისტორიულ წიაღსვლას რუსეთ-საქართველოს პოლიტიკის ისტორიაში, საქართველოს კონფლიქტურ-სეპარატისტულ რეგიონებში – აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში – XX საუკუნის 90-იან წლებში გაჩაღებული კონფლიქტების სამართლებრივ-პოლიტიკურ მიმოხილვას, რაც მკითხველს ეხმარება მთელი რიგი მიზეზ-შედეგობრივი კავშირებისა და დასკვნების გაკეთებაში და იმის გააზრებაში, თუ როგორ მი-

¹ "The belief that security can be obtained by throwing a small state to the wolves is a fatal delusion." – იხ.: მერი გაბედავა. რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ: 2008 წელი. თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“, 2009, გვ. 34.

² მერი გაბედავა. რუსეთის აგრესია..., გვ. 168.

ვიდა საქართველო 2008 წლის აგვისტოს ომამდე.

2009 წელს გამოცემული ლიტერატურის მიმოხილვას გავაგრძელებთ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების ნარგიზა გამისონიასა და დოდო პერტაიას წიგნით: „რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები“. წიგნის პირველივე თავში საუბარია ენერგეტიკის როლზე თანამედროვე მსოფლიოში. ავტორებს საკითხით დაინტერესებულ მკითხველამდე ნათლად მიაქვთ სამხრეთ კავკასიის ენერგოდერეფნის მნიშვნელობა სხვადასხვა ენერგოპროექტების მაგალითზე: „1998 წელს ბაქოში ხელი მოეწერა საერთაშორისო ხელშეკრულებას ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შექმნის თაობაზე, რომელიც დასავლეთ ევროპასა აღმოსავლეთ აზიას დააკავშირებს კავკასიისა და შუა აზიის გავლით. ამ დერეფანს შემოკლებით „ტრასეკას“ უწოდებენ. მას ასევე მოიხსენიებენ, როგორც „ახალ აბრეშუმის გზას“. ავტორები საუბრობენ ასევე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენსა და „შაჰდენიზის“ გაზსადენზე: „ანუ ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენი, ბუნებრივი აირის სატრანსპორტო მილსადენი, შაჰდენიზის გაზის ბაქნის აზერბაიჯანული სექტორიდან, საქართველოს გავლით მიდის თურქეთში. 2006 წლის 21 მაისს პირველი საცდელი ბუნებრივი აირი ჩაიტვირთა გაზსადენში სანგაჩალის ტერმინალიდან“. ცალკე ეხება ავტორი ასევე „ნაბუქოს“ პროექტს: „2009 წლის 13 ივლისს ანკარაში თურქეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთისა და ავსტრიის პრემიერ-მინისტრების მიერ ხელმოწერილ იქნა „ნაბუქოს“ ხელშეკრულება. გაზსადენი 3300 კმ-ზე იქნება გადაჭიმული. ის ახლო აღმოსავლეთიდან და კასპიის რეგიონიდან თურქეთის გავლით, ევროპას ყოველწლიურად ჯერ 15, მერე კი 31 მლრდ-მდე კუბურ-მეტრ გაზს მიაწვდის და სერიოზული ალტერნატივა იქნება რუსეთის ენერგორესურსისთვის“.¹

¹ ნარგიზა გამისონია, დოდო პერტაია. „რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები“. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009, გვ. 14-16.

ომის მსვლელობისა და მთელი რიგი სამხედრო-პოლიტიკური პერიპეტეიების მიმოხილვასთან ერთად, ავტორები ხაზს უსვამენ ევროპული სახელმწიფოების და ზოგადად „დასავლეთის“ წვლილს კონფლიქტის მოგვარების საქმეში.¹ ამ მხრივ, ჩვენი აზრით, ცალკე აღნიშვნის ღირსია პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის პოზიცია 2008 წლის აგვისტოში საქართველოში შექმნილ ვითარებასთან მიმართებით. 2002 წლის 16 დეკემბერს, ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ევროკავშირს შორის დაიდო შეთანხმება, რომელსაც „ბერლინ პლიუსის შეთანხმებები“ ეწოდება და რომლითაც ევროკავშირს ეძლევა მთელი რიგი სამხედრო ბერკეტები NATO-საგან იმ კონფლიქტების მოსაგვარებლად, რომელშიც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი უშუალოდ ვერ ახერხებს მონაწილეობის მიღებასა და ქმედითი ნაბიჯების გადადგმას.² როგორც ცნობილია, კაჩინსკის ამ გეგმას განხორციელება არ ეწერა სწორედ რომ ზემოაღნიშნული რუსულ-ევროპული ენერგო-ეკონომიკური თანამშრომლობის მნიშვნელობის გამო.

აღნიშნული საკითხის მიმოხილვას ვხვდებით 2011 წელს ამჯერად უკვე მხოლოდ დოდო პერტაიას ავტორობით გამოცემულ წიგნში: „ავგისტოს ომის შემდეგ: კრიზისული დიპლომატია და „საქართველოს საკითხი“ გლობალურ პოლიტიკაში“. აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს 2009 წელს ნარგიზა გამისონიასა და დოდო პერტაიას ერთობლივი ნამუშევრის ერთგვარ გაგრძელებას. ამ წიგნში, გერმანია-რუსეთის ეკონომიკურ პარტნიორობაზე ვხვდებით საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას, რის მიხედვითაც „2007 წლის მონაცემებით, გერმანია რუსეთის 1 (იგულისხმება №1. სტილი დაცულია – კ.ყ.)

¹ ნარგიზა გამისონია, დოდო პერტაია. „რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი...“, გვ. 248.

² The Nato-EU Strategic Partnership. იხ.: <http://www.nato.int/docu/comm/2004/06-istanbul/press-kit/006.pdf>; ბერლინ-პლიუსის შეთანხმება. იხ.: http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2004_2009/documents/dv/berlinplus_/berlinplus_en.pdf.

ეკონომიკური პარტნიორი იყო. გერმანული ექსპორტი 33,2%-მდეა გაზრდილი და 12,8 მილიარდ ევროს აღწევს¹. მეტად საინტერესოდ საუბრობს ავტორი ასევე ნატოზე და აფიქსირებს საკუთარი ორმხრივ შეხედულებას ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან დაკავშირებით: „ისტორია ცხადყოფს, რომ სამხედრო ალიანსები მონინალმდეგის დამარცხების შემდეგ იშლება. ნატო ამ გადასახედიდან ერთგვარ ანომალიად შეიძლება ჩაითვალოს. ბერლინის კედლის ნგრევის შემდეგ ის, დაშლის ნაცვლად, გაფართოვდა. დამარცხებული ვარშავის პაქტის ქვეყნები დღეს ნატოს წევრები არიან. ამ ხნის მანძილზე ალიანსმა ბევრჯერ დაამტკიცა თავისი ქმედითუნარიანობა. ყველაზე ნათელი მაგალითი ბალკანეთის კონფლიქტი იყო. მაშინ ნატო ერთადერთი ორგანიზაცია აღმოჩნდა, რომელმაც ბოსნიასა და კოსოვოში სისხლისღვრის შეჩერება შეძლო“². ამის საპირწონედ ავტორს აქვე მოჰყავს, ნატო-ს იმდროინდელი (2008 წლის) გენერალური მდივნის იაპ დე ჰოოპ სხეფერის განცხადება: „ნატო-რუსეთის საბჭოს ფორმატში შეხვედრები არ განახლდება, სანამ რუსეთი არ შეასრულებს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პირობებს და ნატო-სთან ურთიერთობის მომავალი დამოკიდებული იქნება რუსეთის კონკრეტულ ნაბიჯებზე, რომელთაც გადადგამს 12 აგვისტოს სამშვიდობო გეგმის შესასრულებლად, კერძოდ 6 აგვისტომდე პოზიციებზე დაბრუნებას.“

მიუხედავად ამისა, სწორედ ნატო აღმოჩნდა ის ორგანიზაცია, რომელმაც უკან დაიხია და რუსეთთან შეწყვეტილი ურთიერთობები ისევ აღადგინა იმ მოტივით, რომ „რუსეთი მნიშვნელოვანი მოთამაშეა, გლობალური მოთამაშეა – ეს კი ნიშნავს, რომ მასთან საუბარს ალტერნატივა არა აქვს“³. ავტორის ამ პოზიციას დავუმატებდით საკუთარ მოსაზრებას

¹ დოდო პერტაია. აგვისტოს ომის შემდეგ: კრიზისული დიპლომატია და „საქართველოს საკითხი“ გლობალურ პოლიტიკაში. თბილისი, გამომცემლობა უნივერსალი, 2011, გვ. 137.

² დოდო პერტაია. აგვისტოს ომის შემდეგ, გვ. 141.

³ დოდო პერტაია. აგვისტოს ომის შემდეგ, გვ. 145-146.

ნატოს, როგორც ორგანიზაციის ზემოაღნიშნულ „ანომალიურობასთან“ მიმართებაში. ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი და აუცილებლად აღნიშვნის ღირსია ის მომენტი, რომ ნატო-ს არდაშლას და დღემდე ფუნქციონირებას, ჩვენი აზრით, მეტწილად განაპირობებს საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის არსებობა და ამ ქვეყანაში იმ იმპერიული მისწრაფებების კვლავ არსებობა, რომელიც მას საბჭოთა ეპოქაში გააჩნდა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ დღეისათვის რუსეთი ცდილობს, საკუთარი მისწრაფებები შენიღბოს საერთაშორისო სამართლის პრინციპების დამცველის ნიღბით. ამიტომ, ჩვენი აზრით, ნატოს „ანომალიურობას“ სხვა არაერთ მიზეზთან ერთად დიდწილად, სწორედ რუსეთის თანამედროვე სახით არსებობა სძენს.

ამგვარია ნარგიზა გამისონიასა და დოდო პერტაიას თანავტორობით 2009 წელს, ხოლო დოდო პერტაიას ავტორობით 2011 წელს რუსეთ-საქართველოს უკანასკნელი ომის შესახებ გამოცემული წიგნების მოკლე მიმოხილვა.

2008 წლის ომზე საუბრისას რთულია გვერდი ავუაროთ გენერალ გიორგი ყარყარაშვილის წიგნს: „ეს ჩვენი სამშობლო იწვის“, რომელშიც ავტორი გვთავაზობს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის სამხედრო სურათის ფართო მიმოხილვას. ავტორი, რუსულ პროვოკაციაზე წამოგებისათვის, ღიად სდებს ბრალს საქართველოს იმდროინდელ ხელისუფლებას, რაც თავის მხრივ მეტად საინტერესო და დასაფიქრებელი შეხედულებაა. ყარყარაშვილის წიგნიდან ვიგებთ, რომ 6 აგვისტოს თავდაცვის სამინისტროში ჩატარებულ თათბირს, სამხედრო პირებთან ერთად, ესწრებოდნენ პოლიტიკური პირებიც (შინაგან საქმეთა მინისტრი, ქალაქის მერი და ა.შ.),¹ რომ სწორედ მათ უარყვეს ვიცე-პოლკოვნიკ ბალახაძის წარმოდგენილი გეგმა, რის მიხედვითაც, ქართულ ნაწილებს ცხინვალისათვის საერთოდ არ უნდა შეეტიათ, არამედ შეტევა უნდა მომხდარიყო ცხინვალის მარცხნივ – ავნევი-ხეთაგუროვო-და-

¹ გიორგი ყარყარაშვილი. ეს ჩვენი სამშობლო იწვის. თბილისი, 2009, გვ. 9.

რის, ხოლო მარჯვნივ – ჩრდილო-დასავლეთ ერედვი-თლიაყანის მიმართულებით. ყარყარაშვილის თქმით: „ცხინვალზე შეტევის დავალება შსს-მ იკისრა. აქედანაც ჩანს, რომ ცხინვალთან დაკავშირებული გადაწყვეტილება არ იყო სამხედროების აზრი“.¹ ნათელია, რომ ხელისუფლების ეს ნაბიჯი არასწორი იყო, რადგან აქსიომაა, რომ სამხედრო საქმე უნდა დაგეგმოს სამხედრო და არა პოლიტიკურმა პირმა. ამასთან დაკავშირებით გიორგი ყარყარაშვილი ამბობს: „სამწუხაროდ, არაორგანიზებულობა სათავეს იღებს 8 აგვისტოს 04:00-05:00 საათიდან, როდესაც ცხინვალის დაჯგუფება ზემო ნიქოზის ქართული სამშვიდობოების ბლოკ-პოსტთან იკავებს საწყის პოზიციებს. დაუშვებელი იყო მთელი ძალების კონცენტრაცია ზემო ნიქოზიდან შეტევის ერთ ვინრო მიმართულებაზე. ვერაფრით დავიჯერებ, რომ ასეთი შეცდომა საბრძოლო ოპერაციის დაგეგმარებისას იმ სამხედრო ხელმძღვანელებმა დაუშვეს, რომელთაც სამხედრო განათლება აშშ-ის საუკეთესო სამხედრო სასწავლებლებში აქვთ მიღებული. ვინ შეარჩია მთავარი დარტყმის ერთადერთ მიმართულებად მარშრუტი, რომლის მიხედვითაც ქართულ დაჯგუფებას ორ რუსულ სამხედრო ბაზას შორის უნდა გაევილო? ვის მოუვიდა ასეთი აზრი თავში, როდესაც ამოცანა აგრესიის შეკავება იყო?“² მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის სამხედრო მოქმედებებზე კონცენტრირება და მათი კვლევა, რადგან აღნიშნული საკითხის შესასწავლად მრავალი ისეთი მასალაა საჭირო, რომელიც დღეისათვის უბრალოდ არ არის ხელმისაწვდომი, ერთი რამ დანამდვილებით უნდა ითქვას – აუცილებელია დავინახოთ განსხვავება საკუთრივ გადადგმულ ნაბიჯსა და ამ ნაბიჯის განხორციელების მეთოდებს შორის.

ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, იკვეთება შემდეგი სურათი: იმ დაძაბული ვითარების ფონზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2008 წლის აგვისტომდე, საქართველოს ხელისუფლე-

¹ გიორგი ყარყარაშვილი. ეს ჩვენი სამშობლო იწვის, გვ. 11.

² გიორგი ყარყარაშვილი. ეს ჩვენი სამშობლო იწვის, გვ. 48.

ბა ფაქტობრივად გამოუვალ ვითარებაში მოექცა და იძულებული გახდა სამხედრო მოქმედებით დაეცვა საკუთარი ტერიტორია და მოსახლეობა მეზობელი ქვეყნის აგრესიისგან. ლეგიტიმური თვალსაზრისით, ეს ნაბიჯი აბსოლუტურად გამართლებული იყო და საქართველოს ყველანაირი უფლება ჰქონდა ეს ნაბიჯი გადაედგა, რადგან ჩვენი ქვეყანა ფაქტობრივად იდგა შემდეგი არჩევანის წინაშე – რუსეთი საკუთარ შედეგს მიაღწევდა საქართველოს ომში ჩართვით ან ჩაურთველად. ალბათ მხოლოდ და მხოლოდ რომანტიზმია იმის მტკიცება, რომ ქართული მხარის მოქმედებაზე არგადასვლის შემთხვევაში რუსეთი „ვერ გაბედავდა“ სამხედრო მოქმედებაზე გადასვლას. ამ ვერსიის მცდარობის არგუმენტად თუნდაც ის ფაქტი გამოდგება, რომ 2008 წლის 7 აგვისტომდე რუსეთი, სეპარატისტულ მხარეებთან ერთად, უკვე აწარმოებდა ომს საქართველოს წინააღმდეგ და ამ მოქმედებებზე კრემლს ხელს ვერ ააღებინებდა ვერაფერი (ვერც ქართული მხარის სამხედრო მოქმედებებზე გადასვლა) გარდა ძლიერი საერთაშორისო ზეწოლისა. ამ უკანასკნელს კი, 2008 წელს ადგილი არ ჰქონია და სწორედ ამიტომ საქართველოს ხელისუფლებას, ფაქტობრივად არ დარჩა სხვა გამოსავალი გარდა იმისა, რომ ლეგიტიმური სამხედრო წინააღმდეგობა გაენია აგრესორისთვის. ამ ქმედებას, როგორც ნაბიჯს, მცდარს ვერ ვუნოდებთ.

მეორე მხარეა თავად ამ ნაბიჯის გადადგმის ხერხი, მეტოდი, ის გეგმა, რომლითაც ქართული მხარემ იმოქმედა რუსეთის პირდაპირი სამხედრო აგრესიის წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში უნდა ითქვას, რომ ქართულმა მხარემ ნამდვილად დაუშვა შეცდომა, როდესაც არ გაითვალისწინა სამხედროთა რჩევა და, როგორც გიორგი ყარყარაშვილი ამბობს, პოლიტიკური ელიტის გეგმით შეუტია ცხინვალს. ეს შეცდომა ნამდვილად გამოუსწორებელი გამოდგა.

ყარყარაშვილის წიგნში ილუსტრირებულია სამხედრო მოქმედებათა ქრონიკა: „*მონინააღმდეგე 20 ივლისიდან ქართველ მშვიდობისმყოფელთა პოსტების 82 მმ-იანი და 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნებით სისტემატურ დაბომბვაზე გადავი-*

და. საპასუხო ცეცხლს ქართული მხარეც ხსნიდა. 1-ლი ივლისიდან 7 აგვისტოს ჩათვლით ორმხრივმა ცეცხლმა ყველაზე მეტი ინტენსივობა მიიღო.

3 აგვისტოს, ცხინვალიდან მოსახლეობის ევაკუაცია მოხდა. ქართულ სოფლებში უსაფრთხოდ თავს არც ქართველი მოსახლეობა გრძნობდა...¹ აღნიშნული ამონარიდის ბოლო ნაწილში ავტორი ბრალს სდებს საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას იმაში, რომ არ მოხდა ცხინვალის რეგიონის ქართული სოფლებიდან მოსახლეობის დროულად ევაკუაცია, მაშინ, როდესაც მონინალმდეგემ ეს პროცესი, საკუთარი მოსახლეობის მიმართ ჯერ კიდევ 3 აგვისტოს დაიწყო. მართლაც ისმის კითხვა, თუ რატომ არ მოხდა მოსახლეობის ევაკუაცია კონფლიქტური რეგიონიდან? ომის მოახლოება ხომ დღითიდღე იგრძნობოდა?! ამ თემას უფრო ვრცლად ქვემოთ შევხვებით.

ავტორი ბრალს სდებს მიხელ სააკაშვილს იმაში, რომ მან არ მოიწვია უშიშროების საბჭო და, თუკი მართლა იყო დაგეგმილი ქართული სამხედრო ნაწილების მოქმედებაზე გადასვლა, საამისოდ არც შესაბამისი სამხედრო-სტრატეგიული გათვლები შემუშავებულა.² ყარყარაშვილი ქრონოლოგიურად მიჰყვება მოვლენებს და ეხება ასევე 7 აგვისტოს 19 საათისთვის ქართული მხარის მიერ გაცემულ ბრძანებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რასაც მონინალმდეგეთა მხრიდან საპასუხო შედეგი არ მოჰყოლია, მათი მხრიდან კვლავ გრძელდებოდა ცეცხლი ქართული პოზიციების მიმართულებით. რაც შეეხება მიხეილ სააკაშვილის იმავე 7 აგვისტოს 23:40 საათის ბრძანებას, ქართული ნაწილების მიერ მოქმედებაზე გადასვლის შესახებ, რასაც მოჰყვა 50-მდე რეაქტიული ჭურვის გაშვება ცხინვალის მიმართულებით. ყარყარაშვილი ამბობს, რომ: „პრეზიდენტის ბრძანება საბედისწერო აღმოჩნდა იმიტომაც, რომ სწორედ პირველად ქართული მხარის მიერ მასობრივი საარტილერიო ცეცხლის გახსნა დაგმო და გაამტყუ-

¹ გიორგი ყარყარაშვილი. ეს ჩვენი სამშობლო იწვის, გვ. 18.

² გიორგი ყარყარაშვილი. ეს ჩვენი სამშობლო იწვის, გვ. 23.

ნა საერთაშორისო საზოგადოებრიობამ“.¹ აქ კი უკვე საქმე გვაქვს მეტად რთულ და პროვოკაციულ მომენტთან, როდესაც მონინალმდეგე თითქმის თვეზე მეტ ხანს, პერმანენტულად ბომბავდა ცხინვალის შემოგარენს, რეგიონის ქართულ სოფლებს, იყო მსხვერპლი, საერთაშორისო საზოგადოებრიობამ კი „დახვენილი“ იურიდიული მიდგომით თანაბრად დაგმო როგორც მონინალმდეგის საარტილერიო შეტევა, რომელიც თითქმის მთელი თვის მანძილზე მიმდინარეობდა და ქართული შეტევა, რომელიც ოფიციალურად სწორედ 7 აგვისტოს ღამით დაიწყო. არგუმენტად კი „ანბანური იურიდიული ჭეშმარიტება“ მოიყვანა, რის მიხედვითაც ომი იწყება მაშინ, როდესაც ორივე მხარე ისვრის.

ქართული მხარის სამხედრო მოქმედებებზე საუბრისას ყარყარაშვილი ძალიან კრიტიკულია და წერს: „ჩვენ ვწერთ, რომ ქართულმა შენაერთებმა შეტევა განავითარეს ცხინვალზე, მაგრამ სინამდვილეში ეს არა შეტევა, არამედ ქალაქში ქაოსური შესვლა იყო. ტელეკომპანია „ალანია“ აჩვენა კადრები, სადაც ასახულია, თუ როგორ შედის უზარმაზარი დაჯგუფება გმირთა ქუჩაზე. ნინალმდეგობა უმნიშვნელო გახლდათ, სახლების ფანჯრებიდან კანტიკუნტად ისროდნენ სნაიპერები, ქართველ სამხედროებს შიში საერთოდ არ ემჩნეოდათ...“.² წიგნის ამ მონაკვეთის კითხვისას, ჩემდაუნებურად გამახსენდა ერთ ჩემი უფროსი მეგობრის მონათხრობი, რომელიც სწორედ იმ ქართული ნაწილების შემადგენლობაში იყო, რომელიც თავდაპირველად შევიდა ცხინვალში. იგი ამბობდა ზუსტად იგივეს, რომ ჩვენი ნაწილები ფაქტობრივად ცარიელ ქალაქში შევიდნენ. ამგვარად, ცხადი ხდება, რომ მონინალმდეგემ ერთგვარად შეგვიტყუა ცარიელ ცხინვალში და შემდეგ ძლიერი შეტევით კვლავ გამოგვისტუმრა ამ ქალაქიდან, ხოლო საკუთარ შეტევას კი მოგვიანებით უფრო მასშტაბური ხასიათი მისცა, როცა 10 აგვისტოსათვის შეტევა განახორციელა ზემო აფხაზეთისა და სამეგრელოს მიმართულებითაც

¹ გიორგი ყარყარაშვილი. ეს ჩვენი სამშობლო იწვის, გვ. 41.

² გიორგი ყარყარაშვილი. ეს ჩვენი სამშობლო იწვის, გვ. 61.

და „საქმეში ჩართო“ შავი ზღვის რუსული ფლოტიც. საბოლოო მიზნად კი თბილისის აღება და საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების დამხობა დაისახა...

გიორგი ყარყარაშვილის წიგნი ბოლომდე ქრონოლოგიურად მიყვება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის სახმედრო მოქმედებებს და ორიენტირებულია იმდროინდელი ხელისუფლებს სამხედრო-სტრატეგიული შეცდომების გამოკვეთასა და ხაზგასმაზე, რასაც თავის მხრივ წინ უძღოდა კარგად დაგეგმილი რუსული სამხედრო პროვოკაცია, რომელსაც პოპულარულ გამოსვლაში, რუსეთის იმდროინდელი პრემიერ მინისტრი ვლადიმერ პუტინი „გეგმას“ უწოდებს და ამბობს, რომ ეს გეგმა დამტკიცდა დაახლოებით 2006 წლის ბოლოსა და 2007 წლის დასაწყისში.¹

საკუთარ წიგნს საქართველოსთვის ამ მეტად ტრაგიკულ და მიძიმე თემაზე, ავტორი ასრულებს მეტად დამთრგუნველი თემით, აღწერს იმ დამამცირებელ ჟესტს, რომელიც რუსებს ჩაუდენიათ გორიდან გასვლისას, ქალაქის საარტილერიო ბაზის კედლებზე დატოვებული წარწერის სახით: „ამხანაგო ქართველებო, ისწავლეთ სამხედრო საქმე, მოვალთ და შეგამონმებთ...“²

ამრიგად, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ გენერალ გიორგი ყარყარაშვილის წიგნი საკმაოდ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის სამხედრო ასპექტებით დაინტერესებული მკითხველისა თუ მკვლევრისათვის. წიგნში, როგორც ზემოთ აღინიშნა, საკმაოდ კრიტიკულად არის გააზრებული საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები სამხედრო-სტრატეგიული კუთხით, ეს კი დასკვნების გამოტანისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ჯაჭვის აგების საქმეში საკმაოდ მნიშვნელოვანია.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ 2010

¹ *Путин об августе 2008 года: план был, и это не секрет.* იხ.: <https://www.youtube.com/watch?v=u3ureBVwmIY>.

² გიორგი ყარყარაშვილი. ეს ჩვენი სამშობლო იწვის, გვ. 137.

ნელს გამოცემული ნაშრომების მიმოხილვისას, უთუოდ უნდა შევხვით სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორ დაზმირ ჯოჯუას წიგნს: „რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები“. წიგნში ფართოდ არის მიმოხილული არა მხოლოდ 2008 წლის აგვისტოს ომის გამომწვევი მიზეზები, არამედ ზოგადად რუსულ-ქართული კონფლიქტის ბუნება, აღნიშნული კონფლიქტის ის საფუძვლები, რომელსაც ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისის, რევოლუციურ ქარცეცხლში გახვეულ რუსეთამდე მივყავართ. ავტორი მეტად საინტერესოდ გადმოგვცემს რუსეთის მიერ საქართველოს „ირიბი“ დაპყრობის გეგმას, რომლის საილუსტრაციოდაც მოჰყავს „სიტინის გეგმა“, რომელიც „რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს გ. ჩიჩერინს 1921 წლის 26 აპრილს შიდაუნებრივი მემორანდუმის სახით გაუგზავნა საქართველოში რუსეთის საელჩოს სამხედრო ატაშემ, გენერალმა პ. სიტინმა“¹ და რომელშიც დეტალურად არის აღწერილი ის ნაბიჯები, რომელთა შესრულებასაც რუსეთის ხელისუფლება აუცილებლად მიიჩნევდა საქართველოს წინააღმდეგ, სამხრეთ კავკასიის რეგიონში საკუთარი პოზიციების განსამტკიცებლად. ეს პუნქტები იყო შემდეგი:

- „წითელი არმიის საკმაოდ ძლიერი ნაწილების დატოვება საქართველოს ტერიტორიაზე.

- მეორე ღონისძიება, რომელიც ძალიან დაასუსტებს ქართულ შოვინიზმს, ტერიტორიულადაც და მატერიალურადაც, უნდა იყოს აფხაზეთის გამოყოფა...

- აფხაზეთის შემდეგ, ყურადღება უნდა მიექცეს, სამეგრელოს, ქვეყანას, რომელიც ასევე განსხვავდება ენით და ეროვნებით საქართველოსაგან... აი, ეს არის რსფსრ-ს უშუალოდ დაქვემდებარებულ ავტონომიებად ქართული რესპუბლიკის დანაწევრების გზა...“²

¹ დაზმირ ჯოჯუა. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები. თბილისი, 2010, გვ. 55.

² დაზმირ ჯოჯუა. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია..., გვ. 56.

ამ ამონარიდით ავტორს მკითხველამდე მეტად მკაფიოდ მიაქვს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის გეგმა. კიდევ ერთხელ, დოკუმენტურად დასაბუთებულად, ცხადი ხდება, რომ რუსეთი ახორციელებდა და დღემდე ახორციელებს საქართველოსადმი ცნობილ და მრავალგზის აპრობირებულ პრინციპს – გათიშე და იბატონე – რომელიც რუს სახელმწიფო მოღვაწეებს მუდამ მეცნიერულად გათვლილი ჰქონდათ. ამისათვის რუსეთის სახელმწიფოში, მოყოლებული ჯერ კიდევ ცარისტული იმპერიის ხანიდან, როგორც ცნობილია, მოქმედებდნენ მთელი რიგი სამეცნიერო ინსტიტუტები. და ეს იმის ფონზე, რომ საქართველოში მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც ჩვენი ქვეყანა რუსეთმა „მფარველობის ქვეშ“ მიიღო, ფაქტობრივად გახდა რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული ნაწილი. თუკი რუსეთის იმპერიაში მთელი რიგი სამეცნიერო ინსტიტუტები მოქმედებდნენ ზემოაღნიშნული „სიტინებისა“ და „სუსლოვების“ გეგმების განსახორციელებლად, საქართველოში, როგორც ქვეყანაში, მეცნიერებს ეკრძალებოდათ მეცნიერული ჭეშმარიტების შესახებ წერა. ეს ფაქტორი კი, ბუნებრივია, მეტად ზღუდავდა და წნეხის ქვეშ აქცევდა ქართველ მეცნიერებს.

დაზმირ ჯოჯუა მეტად საფუძვლიანად და სიღრმისეულად მიმოიხილავს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მნიშვნელობას რუსეთისათვის: „უბრალოდ დავხედოთ კავკასიის რუკას და ნათლად ვნახავთ, თუ რა მნიშვნელობა გააჩნია საქართველოს ტერიტორიული სუვერენიტეტის ფარგლებს გარეთ მყოფ აფხაზეთს რუსეთისათვის: აფხაზეთი არის „ციხე-სიმაგრე“, რომელიც ერთიან სისტემურ მთლიანობაში კრავს კავკასიას და შავიზღვისპირეთს. სოჭი-ადღერ-ტუაფსეს ხაზს ამ ფუნქციის შესრულება არ შეუძლია, რასაც გეოგრაფიულ სივინროვესთან ერთად, განაპირობებს ის გარემოებაც, რომ ამ ზონაში კავკასიის ავტოქტონური მოსახლეობის ხვედრითი წილი ძალიან დაბალია. რუსეთმა აფხაზეთი რომ დათმოს, მაშინ სოჭი-ადღერი-ტუაფსეს „რუსული“ ზოლი გახდება ადიღეურ-ყაბარდოული ხალხების გამყოფი ხაზი მათი

„ძმები“ აფხაზებისაგან, რის გამოც ისინი აუცილებლად შეუტევენ ამ ხაზს. რუსეთი მიიღებს ფართომასშტაბიან ომს და დესტაბილიზაციას სოჭი-მაიკოპ-ჩერკესკის „სამკუთხედში“.

ცხინვალის რეგიონის გეოსტრატეგიული მნიშვნელობაც რუსეთისათვის ასევე არსებითია და საგრძნობლად აღემატება ამ რეგიონის ძალიან მცირე გეოგრაფიულ მოცულობას. აქ გადის ტრანსკავკასიური მაგისტრალი, რომელიც რუსეთს აკავშირებს თავის მთავარ მოკავშირესთან – სომხეთთან. რეგიონთან უშუალო სიახლოვეს არის ასევე საქართველოს სამხედრო გზაც.¹

საქართველოს კონფლიქტური ტერიტორიების გეოსტრატეგიული მიმოხილვის შემდეგ, ავტორი ასევე ეხება აღნიშნული ტერიტორიების და ზოგადად საქართველოს გეოეკონომიკურ ფაქტორს, სადაც ხაზს უსვამს რუსეთის გალიზიანებას, XX საუკუნის 90-იან წლებში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-სუფსის ნავთობსადენების გაყვანითა და ამოქმედებით, ასევე „ნაბუქოს“ პროექტით, რომლითაც ევროპა, შუა აზიიდან უნდა მომარაგებულიყო ბუნებრივი აირით, რასაც თავის მხრივ, რუსული „გაზპრომის“ ასპარეზის შეზღუდვა მოჰყვებოდა, ეს კი საბოლოო ჯამში მეტად აზარალებდა რუსულ ეკონომიკას. სწორედ ამიტომ, როგორც ავტორი აღნიშნავს: „ომის დროს (იგულისხმება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი – ვ.ყ.) საქართველოს ცენტრალური სატრანსპორტო არტერიის ხაშურ-იგოეთის მონაკვეთის ჩაკეტვა მარტოოდენ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ურთიერთგათიშვა არ იყო, არამედ ეს იყო ტრანსრეგიონალური საკომუნიკაციო ხაზების პარალიზების პრეცედენტი“.²

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გამომწვევ მიზეზებზე საუბარს დაზმირ ჯოჯუა, როგორც აღნიშნეთ საკმაოდ ღრმა ისტორიული წიაღსვლის ფონზე ახორციელებს. შესაბამისად იგი საკმაოდ მკაცრი ქრონოლოგიური მიმდევრობით მიუყვება პოლიტიკური სიტუაციის მიმოხილვას შევარ-

¹ დაზმირ ჯოჯუა. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია..., გვ. 80.

² დაზმირ ჯოჯუა. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია..., გვ. 82.

დნაძის „ერის“ დასასრულიდან (2003 წელი) 2008 წლის ომამდე. ჩვენც მივყვეთ ავტორისეულ ქრონოლოგიას და მოკლედ მიმოვიხილოთ ის ძირითადი და მნიშვნელოვანი პუნქტები, რომელიც წინ უძღოდა 2008 წლის აგვისტოს ომს.

ჯერ კიდევ 2004 წელს, მას შემდეგ, რაც იმ დროისათვის, საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით, აჭარაში დაასრულა ასლან აბაშიძის მმართველობა, დადგა ჯერი უკვე აფხაზეთსა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ მთელი რიგი ღონისძიებების წარმოებისა, რომელსაც საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების გულთაძი სურვილით, სასურველი შედეგი უნდა გამოეყო. ჯერ კიდევ „2004 წლის 22 სექტემბერს პრეზიდენტმა მ. სააკაშვილმა გაერო-ს გენერალური ასამბლეის სხდომაზე წარადგინა ახალი სამშვიდობო ინიციატივები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების დარეგულირების ეტაპობრივი გეგმის სახით, რომელიც ითვალისწინებდა ღონისძიებათა მთელ კომპლექსს (ნდობის აღდგენა, მშვიდობიანი მოსახლეობის უშიშროების გარანტიები, დემილიტარიზაცია, კრიმინალური ანკლავების ლიკვიდაცია).¹

სამშვიდობო ინიციატივით გამოვიდა საქართველოს ხელისუფლება ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებით 2005 წელსაც, როდესაც შეიქმნა „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი მეთოდებით აღდგენის სამწლიანი პროგრამა. ამ ხნის განმავლობაში, კონფლიქტის დარეგულირების ფორმატი ითვალისწინებდა შემდეგ კომპონენტებს: ფართო ავტონომია ცხინვალის რეგიონს და პირდაპირი არჩევის საკონსტიტუციო გარანტიებით ფუნქციონირებადი ადგილობრივი ხელისუფლების კომპეტენცია ისეთ სფეროებში, როგორცაა კულტურა, განათლება, გარემოს დაცვა, ადგილობრივი ეკონომიკა; ოსური ენის ოფიციალური სტატუსი და ოსური კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მხარდაჭერა; კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაცია და არაკომბა-

¹ დაზმირ ჯოჯუა. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია..., გვ. 87.

ტანტი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შერეული ქართულ-ოსური პოლიციის შექმნა; ომის შედეგად დაკარგული ან დაზიანებული საკუთრების რესტიტუციის უზრუნველყოფა; რეგიონის ეკონომიკური რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის აღდგენა.¹

გარდა ცხინვალის რეგიონისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, კონფლიქტის მშვიდობიანად დარეგულირების გეგმა შეიქმნა ასევე აფხაზეთის მიმართაც. „2006 წლის ივნისში საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ აფხაზეთის სეპარატისტულ დაჯგუფებას შესთავაზა ე.წ. „საგზაო რუკა“ კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარების მიზნით. „საგზაო რუკის“ ძირითადი პრინციპები იყო:

1. ფედერალური საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის ფართო ავტონომია;
2. აფხაზეთის წარმომადგენლობა საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში;
3. აფხაზური ენის, კულტურისა და ისტორიული მემკვიდრეობის განუხრელი დაცვა;
4. დევნილთა დაბრუნება საკუთარ სახლებში;
5. აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება დიალოგისა და ნდობის ატმოსფეროში;
6. აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებაში საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების ჩართვა;
7. აფხაზეთის ეკონომიკის განვითარებისათვის ორმხრივად კოორდინირებული ეკონომიკური პროექტების განხორციელება“.²

ძნელია, ზემოაღნიშნულ გეგმებს არ ვუნოდოთ მოვლენათა განვითარების ყველაზე სასურველი სცენარი საქართველოსთვის. თუმცა რამდენადაც სასურველი, დემოკრატიული და ცივილური იყო აღნიშნული გეგმები, იმდენად შეუძლებე-

¹ დაზმირ ჯოჯუა. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია..., გვ. 88.

² საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით. თბილისი, 2009, გვ. 37.

ლი იყო მათი განხორციელება მაშინ, როდესაც საქართველოს კონფლიქტური რეგიონების უკან რუსული „დათვი“ იდგა. თუკი თვალს გადავავლებთ და კარგად გავიაზრებთ ზემოთ მოყვანილ სიტინისა და სუსლოვის გეგმებს და ასევე იმასაც, თუ რა პრინციპით და როგორი მეცნიერული „შორსმჭვრეტელობით“ სრულდებოდა რუსეთის „იმპერიების“ მიერ საქართველოს დაპყრობა კავკასიის რეგიონში ფეხის მტკიცედ მოკიდების მიზნით, ცხადი გახდება, რომ აღნიშნულ გეგმებს მოქმედება შეეძლო მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში, როდესაც საქართველო მოახერხებდა გარკვეულ წინსვლას კონფლიქტური რეგიონების მოსახლეობის შემორიგების მიმართულებით. ამის საშუალებას კი, ჩვენი აზრით, რუსეთი საქართველოს არაფრით მისცემდა.

ზემოაღნიშნული გეგმების შემდეგ, დაზმირ ჯოჯუა ეხება საქართველოს ხელისუფლების მიერ 2007 წლის 10 მაისს მიღებულ ბრძანებულებას №296 ყოფილი **სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის შექმნის, საქმიანობის წესისა და ფარგლების შესახებ**,¹ რომელიც შეიცავდა შემდეგ პუნქტებს:

1. შეიქმნას ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია.
2. დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია (შემდეგში – ადმინისტრაცია) საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონების, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის სა-

¹ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №296. 2007 წლის 10 მაისი, ქ. თბილისი. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის შექმნის, საქმიანობის წესისა და ფარგლების შესახებ. იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/100630>.

თანადო პირობების შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ ბრძანებულების შესაბამისად.

3. ადმინისტრაციის ფუნქციები:

- ა) ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში ავტონომიური სტატუსის განსაზღვრისა და ფართო პოლიტიკური თვითმმართველობის მინიჭების მიზნით, ადგილობრივი პოლიტიკური ძალებისა და საზოგადოების სახელით მოლაპარაკების წარმოება საქართველოს ხელისუფლებასთან;
- ბ) დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ტერიტორიაზე დემოკრატიული არჩევნების ჩატარების მიზნით შესაბამისი პირობების მომზადება;
- გ) დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ტერიტორიაზე კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვის უზრუნველყოფა; ამ ტერიტორიაზე მცხოვრები პირებისა და ეთნიკური ჯგუფების უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე მათი ინტერესების დაცვა;
- დ) ადგილობრივი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ხელშეწყობა, დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- ე) დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ტერიტორიაზე განათლების, კულტურის, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების უზრუნველყოფა; ქართული და ოსური ენების, ტრადიციებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება, სპეციალური ქართულ და ოსურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება; ოსურ ენაზე ნორმატიული აქტების, სხვა ოფიციალური დოკუმენტებისა და ინფორმაციის თარგმნის, გამოცემისა და გავრცელების უზრუნველყოფა, აგრეთვე ოსურენოვანი საინფორმა-

ციო საშუალებების განვითარების ხელშეწყობა; კონსულტაციების წარმოება გარდამავალ პერიოდში დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის სახელწოდების განსაზღვრის მიზნით;

- ვ) სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილისა და საქართველოს შინაგან საქმეთა, იუსტიციის, ფინანსთა, ეკონომიკური განვითარების, განათლებისა და მეცნიერების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროებში მინისტრის მოადგილის კანდიდატურების კანონმდებლობით დადგენილი წესით დასანიშნად წარდგენა, რომელთა მონაწილეობითა და მათთან შეთანხმებით განხორციელდება დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ტერიტორიაზე ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება.
4. ადმინისტრაციის საქმიანობა ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.
5. ადმინისტრაციის სტრუქტურა და ადმინისტრაციის საქმიანობის ორგანიზებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება ადმინისტრაციის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი. ადმინისტრაციის სახელწოდებასა და ადმინისტრაციის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივ დასახელებებს განსაზღვრავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
6. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი არის ადგილობრივი პოლიტიკური ძალებისა და საზოგადოების წარმომადგენელი, რომელსაც ენიჭება დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ტერიტორიაზე სახელმწიფო მმართველობის განხორციელების უფლებამოსილება.
7. „ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის სათანადო პირობების შექმნის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ამ ბრძა-

ნებულებით განსაზღვრული სახელმწიფო მმართველობისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილებების განსახორციელებლად ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გამოსცემს სამართლებრივ აქტებს.¹

აღნიშნული ადმინისტრაციის სათავეში უნდა მოსულიყო სეპარატისტული დაჯგუფების ერთ-ერთი ყოფილი ლიდერი – დიმიტრი სანაკოევი. დაზმირ ჯოჯუას აზრით, „ცხინვალის რეგიონში დროებითი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის შექმნა იყო საქართველოს ხელისუფლების შეცდომა, ყოველ შემთხვევაში, ნაკლებად სასურველი აქტი. ის აყალიბებდა ფაქტობრივად ახალ კონფლიქტოლოგიურ წესრიგს, კონფლიქტის დარეგულირების ახალი, საქართველოსთვის არცთუ ხელსაყრელი მექანიზმებით და სუბიექტური შემადგენლით, არცთუ ისე ოპტიმალური ფორმატული რეჟიმით“.² და მართლაც, ძნელია არ დავეთანხმოთ ავტორს და არ დავამატოთ, რომ აღნიშნული გეგმა, ჩვენი მოკრძალებული აზრით, უფრო მეტად სასურველი იქნებოდა შემუშავებულიყო და განხორციელებულიყო არა იმ ეტაპზე, როდესაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს ცხინვალის რეგიონთან კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისათვის დროში უფრო მეტად ვრცელი გეგმა სჭირდებოდა, არამედ მაშინ, როდესაც სახალხო დიპლომატიის განმახორციელებელი ინსტიტუტები ძლიერ მოიკიდებდნენ ფეხს აღნიშნულ კონფლიქტურ რეგიონში, თავად ხალხში გაჩნდებოდა სურვილი დაახლოებისა და თუნდაც გარკვეული ღონისძიებების – ერთად – განხორციელებისა. ეს ფაქტორი, თავის მხრივ, დროსთან ერთად და მესამე მხარის – რუსეთის ჩარევის გარეშე, საქართველოს ხელისუფლებას მისცემდა საშუალებას, არა მხოლოდ შეექმნა „პროქართული“ ადმინისტრაციული ერთეული, არამედ თავად ცხინვალის რეგიონის ეთნიკურად ოს მოსახლეობაში გაელვძიებინა ქართველებთან თანაცხოვრების სურვილი. მაგრამ უნდა დავსვათ კითხვა: მანამ, სანამ რუსეთი დგას სეპა-

¹ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №296.

² დაზმირ ჯოჯუა. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია..., გვ. 90.

რატისტული რეგიონების ზურგს უკან, შესაძლებელია სახალხო დიპლომატიის პოლიტიკით სეპარატისტულ რეგიონებთან ურთიერთობის დალაგება? სამწუხაროდ, როგორც დრომ აჩვენა, არ არის შესაძლებელი, რადგან პუტინისეული „ახალი და ძლიერი რუსეთის“ საგარეო პოლიტიკა ამას არ დაუშვებს.

შემდგომ მნიშვნელოვან ღონისძიებად გვევლინება 2008 წლის 24 იანვარს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბრძანებულებით, კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ნაცვლად რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პოსტის დაწესება. ახალი უწყების ძირითადად ამოცანებად განისაზღვრა კონფლიქტის მოგვარების პოლიტიკური ხელშეწყობა, ახალი სამშვიდობო იდეების გენერირება, კონფლიქტური რეგიონებისა და იქ მცხოვრები მოსახლეობის რეინტეგრაცია ქართულ სახელმწიფოში.¹ საქართველოს ხელისუფლების აღნიშნული ღონისძიება კიდევ ერთხელ ადასტურებდა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მისწრაფებას კონფლიქტების ნამდვილად მშვიდობიანი გზით მოგვარებისაკენ, თუმცა მეორე საკითხია, ამგვარ სამშვიდობო ღონისძიებებს როგორ აღიქვამდა კონფლიქტის მეორე მხარე – რუსეთი, რომელმაც შესანიშნავად მოახერხა მსგავსი ღონისძიებების საქართველოს მიერ ომის დაწყების სამზადისად მონათვლა.

ავტორს ასევე მეტად ვრცლად და დეტალურად აქვს გაანალიზებული მოვლენათა ის სერია, რომელსაც რუსული პროვოკაციული ქმედებები ეწოდება და რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში ჯერ კიდევ 2008 წლამდე, ხოლო 2008 წელს კი ეს ღონისძიებები ლოგიკურად გამძაფრდა, რასაც ფრთები შეასხა 2008 წლის 17 თებერვალს აშშ-სა და ევროპის სახელმწიფოთა მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობამ. რუსეთის ფედერაცია სასტიკად აპროტესტებდა დასავლეთის ამ გადაწყვეტილებას, იმის შიშით, რომ მსგავსი სეპარატისტული განდგომის ნიშნები არ გაჩენილიყო კავკასიაში. საქართველოსთან მიმართებით ეს

¹ საქართველოს მთავრობის ანგარიში..., გვ. 34.

მოვლენა მეტად ნეგატიური და ავის მომასწავლებელი იყო, რადგან ჩვენს ქვეყანას სწორედ რომ ორი კონფლიქტური რეგიონი ჰქონდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახით და კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ფაქტობრივად ცხადი გახდა, რომ რუსეთი საქართველოზე ზეწოლას სწორედ ამ ორ რეგიონზე „დაჭერით“ მოახდენდა. ამერიკელი დიპლომატის რონალდ ასმუსის მიხედვით, პუტინი სააკაშვილს შემდეგნაირად დაემუქრა: „აუცილებელია რეაგირება იმაზე, რაც ევროპამ კოსოვოში მოიმოქმედა; ჩვენ მუდმივად ვფიქრობთ, როგორ მივუდგეთ ამ საკითხს და თქვენც გაითვალისწინეთ, რა წნეხს განვიცდით ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების მხრიდან – როგორღაც ხომ უნდა გამოვეპასუხოთ მათ მხარდაჭერას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის მიმართ... არ გვესმის, რატომ წამოიწყო ამერიკამ ავროპის ისლამიზაციის კამპანია – მას მერე, რაც ალბანელებმა თავისი გაიტანეს, მეტსაც მოინდომებენ და ახლა მაკედონიასაც მისდგებიან! ხომ გესმით, რომ კოსოვოს შემდეგ, დასავლეთს უპასუხოდ ვერ დავტოვებთ – მართალია, ვწუხვარ, მაგრამ თქვენც ამ პასუხის ნაწილად მოიაზრებით...“¹

¹ რონალდ დ. ასმუსი. მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა. საქართველო, რუსეთი და დასავლური სამყაროს მომავალი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 2010, გვ. 115 (ხაზგასმა ჩვენია – კ.ყ.). სამწუხაროდ, აღნიშნული ფრაზის რუსული ორიგინალის მოძიება შეუძლებელი აღმოჩნდა. თავად რ. ასმუსს ეს ფრაზა მოტანილი ჰყავს ქართული წყაროდან: «*Необходимо срочно отреагировать на то, что случилось в Европе с Косово. Мы сейчас продумываем, как отнестись к этой проблеме. Вы должны помнить, что мы находимся под огромным давлением со стороны республик Северного Кавказа и должны ответить на их солидарность с Абхазией и Южной Осетией. Непонятно, зачем американцам кампания исламизации Европы. После того как албанцы проглотили Косово, они будут пытаться расшириться за счет Македонии. Вы знаете, что придется дать ответ Западу на Косово. И, как мы ни сожалеем, но, видимо, Вы станете частью этого ответа.*» – Рональд Д. Асмус. Маленькая война, которая потрясла мир. Грузия, Россия и будущее запада. Изд. Парнас, Тбилиси, 2010, გვ. 125.

ამის შემდეგ, 2008 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული, ქართული და უცხოური მედია, საკმაოდ აქტიურად აშუქებდა იმ მოვლენებს რაც მიმდინარეობდა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში. იქნებოდა ეს გარკვეული ტერიტორიების დანაღმვა, ქართული უპილოტო საფრენი აპარატების ჩამოგდება, თუ რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ოსეთში საკუთარი პოლიტიკის გაძლიერება, რაც აპრილის თვეში გამოიხატა ადგილობრივი მოსახლეობის „პასპორტიზაციით“, რითაც ხელი შეეწყო აფხაზური და ოსური მოსახლეობის რუსეთის მოქალაქეებად გადაქცევის პროცესს, რამაც საბოლოოდ რუსეთს მისცა საშუალება ეთქვა, რომ „საკუთარ მოქალაქეებს“ იცავდა ქართული აგრესიისაგან 2008 წლის აგვისტოში. ყველაფერ ამას დაემატა ასევე 2008 წლის 2-4 აპრილის ნატოს ბუქარესტის სამიტი, რომელზეც უნდა განხილულიყო უკრაინისა და საქართველოსათვის MAP-ის გადაცემის საკითხი, რომელიც უარყოფითად გადაწყდა გერმანიის, საფრანგეთისა და იტალიის პოზიციათა გამო, ქვეყნებისა, რომელნიც მეტად გაუფრთხილდნენ ურთერთობას რუსეთთან, რაც ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, სავსებით მიზანშეწონილად მიიჩნიეს. დაზმირ ჯოჯუა ევროპის ქვეყნებს ამგვარ პოლიტიკას ადარებს 1938 წლის მიუნხენის „სამარცხვინო გარიგებას“.¹ მართლაც 2008 წელს, ევროპის ქვეყნების მიერ მიღებული გადაწყვეტილება მეტად მტკივნეულად აისახა საქართველოს პოლიტიკურ რეალობაზე. თუ ამას დავამატებთ აშშ-ს პოზიციას, რომელმაც რუსეთისაგან სატრანზიტო ხელშეკრულების² გაფორმების გარანტია მიიღო უკრაინისა და საქართვე-

¹ დაზმირ ჯოჯუა. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია..., გვ. 136.

² „ცნობილია, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და კრემლს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები, რუსეთის ტერიტორიის გავლით, არასამხედრო ტვირთის (საკვები პროდუქტები, ბენზინი და ა.შ.) გადაზიდვის შესახებ, რომელიც ავღანეთში დისლოცირებული ნატოს 43 ათასი სამხედროსთვის არის განკუთვნილი. საკითხი შეიძლება რუმინეთის დედაქალაქში გადაწყდეს, მაგრამ ის გადახლართულია ისეთ დელიკატურ მომენტთან, როგორიცაა ალიანსის კეთილგანწყობა უკრაინისა და საქართველოსადმი...“ – რუბრიკა „რას

ლოსათვის MAP-ზე უარის თქმის სანაცვლოდ,¹ მაშინ უფრო მეტად ცხადი გახდება ჩვენთვის 2008 ნატოს ბუქარესტის სამიტის სცენარი, რომელიც რა თქმა უნდა წინასწარ იყო მომზადებული დასავლელი „პოლიტიკური რეჟისორების“ მიერ.

დაზმირ ჯოჯუა შეძლებისდაგვარად დეტალურად მიმოიხილავს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის ქრონიკას სამხედრო მოქმედებების კუთხით და ასევე ეხება ომის დამასრულებელ დოკუმენტსაც, რომელიც ევროკავშირის შუამავლობის საფუძველზე მომზადდა (საფრანგეთის იმდროინდელი პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის ძალისხმევით) და რომელიც შედგებოდა 6 პუნქტისაგან:

1. ძალის გამოყენებაზე უარის თქმა;
2. საბრძოლო მოქმედებებზე საბოლოოდ უარის თქმა;
3. ჰუმანიტარული დახმარებისათვის თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფა;
4. საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ მათი ჩვეულებრივი დისლოკაციის ადგილებში;
5. რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ სამხედრო მონმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზზე. საერთაშორისო მექანიზმის შექმნამდე, რუსეთის სამშვიდობო ძალები განახორციელებენ უსაფრთხოების დამატებით ზომებს;

წერენ ჩვენზე“. თინათინ მარგველაშვილი. „პუტინი ავღანურ კარტს ათამაშებს“. – გაზ. „კვირის პალიტრა“, №11 (681), 2008წ. 17-23 მარტი, გვ. 16.

¹ „ჩვენ ყურადღებით ვადევნებდით თვალყურს გუშინდელ მოლაპარაკებას ალიანსის გაფართოების თაობაზე და საერთო ჯამში კმაყოფილნი ვართ თქვენი გადაწყვეტილებით... მოლაპარაკების სხვაგვარად განვითარების შემთხვევაში, შესაძლოა, დღევანდელი სავაჭრო შეთანხმების ხელმოწერა კითხვის ნიშნის ქვეშ დამდგარიყო“ (*"As for the policy of expanding the alliance, we have been attentively watching your discussion yesterday. On the whole, of course, we are satisfied with your decisions, which took place... if the discussion on your expansion issues developed differently yesterday, today's transit agreement would not likely be signed..." – Text of Putin's speech at NATO Summit (Bucharest, April 2, 2008). <http://www.unian.info/news/247251-text-of-putins-speech-at-nato-summit-bucharest-april-2-2008.html>*).

6. საერთაშორისო დისკუსიების დაწყება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების შესახებ.¹

აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ მეხუთე პუნქტი რუსეთს, როგორც აგრესორს 2008 წლის ომში, ნაცვლად „შეზოჭვისა“, პირიქით, მოქმედების ფართო ასპარეზს აძლევს კონფლიქტურ რეგიონებში „საერთაშორისო მექანიზმის შექმნამდე“, რაც, რა თქმა უნდა, საქართველოს ინტერესებისთვის მეტად საზიანო იყო. სწორედ ამან გამოიწვია მოგვიანებით რუსეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე პირდაპირი და კრემლის აზრით „ადეკვატური“ რეაგირება, რამაც მსოფლიო 2008 წლის 26 აგვისტომდე მიიყვანა, როდესაც რუსეთმა გამოაცხადა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა.

დაზმირ ჯოჯუას წიგნში ვხვდებით ასევე ერთ ძალიან საინტერესო მომენტს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ პერიოდში, რომელიც ცინიზმის მწვერვალს წარმოადგენს რუსული პოლიტიკური ელიტის მხრიდან და მდგომარეობს შემდეგში: „2008 წლის 31 აგვისტოს პრეზიდენტმა მედვედევმა სოჭში გამოაცხადა „რუსეთის საგარეო პოლიტიკის ხუთი პრინციპი“. ეს პრინციპები იყო: 1) საერთაშორისო სამართლის პრინციპების პრიორიტეტი; 2) მსოფლიო მონყობის ერთპოლუსიანობის მიუღებლობა და მრავალპოლარულობა; 3) არა კონფრონტაციას; 4) რუსეთი დაიცავს საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლეს და ღირსებას სადაც უნდა იყვნენ ისინი; 5) რუსეთს აქვს პრივილეგირებული ინტერესების რეგიონები“.² „სოჭის დოქტრინით“ პირდაპირ სააშკარაოზე გამოდის რუსული პოლიტიკის მთელი ვერაგობა, რომელიც რუსული სახელმწიფოებრიობის არსებობის მანძილზე ქვეყნის საგარეო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. 2008 წლის 31 აგვისტოს ქვეყანა, რომელმაც დაგეგმა და განახორციელა

¹ ექვსპუნქტიანი გეგმა. იხ.: <http://www.civil.ge/geo/article.php?id=19157>.

² დაზმირ ჯოჯუა. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია..., გვ. 253.

სამხედრო-პოლიტიკური პროვოკაცია მეზობელი ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონში და რომელმაც ეს პროვოკაცია შეასრულა ასი პროცენტით „წარმატებულად“ და ამით დაარღვია საერთაშორისო სამართლის პრინციპები, უცებ თავად იქცა ამავე უფლებების დამცველად. განა, შეიძლება რამე იყოს ამაზე ცინიკური!

მოვლენათა ამგვარი ფართო ქრონოლოგიური მიმოხილვის დასასრულ, დაზმირ ჯოჯუა გვაძლევს საკუთარ ხედვას და შეფასებას 2008 წლის რუსეთ-საქართველოს შორის მომხდარი ომის შედეგად შექმნილი რეალობიდან. ავტორის აზრით, შექმნილ მდგომარეობაში: „საქართველოს უშიშროების ერთადერთ ხაზს წარმოადგენს ინტეგრირება უსაფრთხოების ევროატლანტიკურ სისტემაში“.¹ ავტორი ამ შემთხვევაში ყველაზე სასურველ გამოსავალს ხედავს იმ რთული სიტუაციიდან, რომელშიც საქართველოა მოქცეული. თუმცა რამდენადაც სასურველია ეს გამოსავალი, იმდენად რთული განსახორციელებელია იგი ჩვენი ქვეყნისათვის. ყველასათვის ცხადია, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთმა „წარმატებას“ სწორედ 2008 წლის ომის შემდეგ მიაღწია. ამ პროცესს კი წინ უძღოდა რუსეთის ხელისუფლების სათავეში ვლადიმირ პუტინის მოსვლა 1999 წელს და მის მიერ დაწყებული რუსეთის ახალი პოლიტიკური კურსი, როგორც შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკის მიმართულებით, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა სსრკ-ს დაშლის შემდეგ ეკონომიკურად დასუსტებული ქვეყნის გაძლიერება და საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე რუსეთის, როგორც გავლენიანი ქვეყნის დაბრუნება. ამ მიზნის მისაღწევად კი, რუსეთისთვის საგარეოპოლიტიკური კუთხით აუცილებელი გახდა პოსტსაბჭოთა სივრცეში „ფეხის მოკიდება“, რისი განხორციელებაც, ძალისმიერი მეთოდებისა და მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტის შელახვის გარეშე, ვერაფრით გამოუვიდოდა...

ამავე დროს, მოდით, საკითხს მეორე მხრიდანაც შევხე-

¹ დაზმირ ჯოჯუა. რუსეთის სამხედრო ინტერვენცია..., გვ. 280.

დოთ და დავსვათ კითხვა: მართებული იყო თუ არა ის ნაბიჯები, რაც საქართველოს ხელისუფლებამ გადადგა საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მიმართ? როგორც ზემოთ აღინიშნა, ნაბიჯები მართლაც სასურველი იყო, ხოლო მათი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში ქართული სახელმწიფოებრიობა სანატრელ შედეგებამდეც კი მივიდოდა, მაგრამ მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის გეგმებს განხორციელება არ ეწერა, ერთის მხრივ, აღნიშნული გეგმების სწრაფი ტემპებით განხორციელების სურვილის, ხოლო, მეორეს მხრივ, ცბიერი და ვერაგი რუსული პოლიტიკის გამო, რაც საქართველოს ხელისუფლების მიერ უდაოდ გათვალისწინებული და რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო იმ დროისათვის, მეცნიერულ სიზუსტემდე გათვლილი უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება საქართველოსა და მისი კონფლიქტური რეგიონების პერსპექტივას, ჩვენი აზრით, აქ მდგომარეობა კიდევ უფრო გართულებულია ვიდრე 2008 წლამდე, ვინაიდან ამჯერად სახეზე გვაქვს სხვა რეალობა, ამჯერად კონფლიქტები „გაყინული“ არ არის, აფხაზეთიცა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთიც“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აცხადებენ თავს, ისინი დამოუკიდებლად აღიარა რუსეთმა. ასევე სახეზეა რუსეთის ღია განცხადებები საქართველოს მიმართ, რომ ისინი არასოდეს შეურიგდებიან საქართველოს ნატოში განწევრიანებას, რომ ამ ნაბიჯს მოჰყვება „ადეკვატური“ პასუხი რუსული ხელისუფლებისაგან. ამ ყველაფერთან ერთად, დღეისათვის ასევე შეუძლებელია გვეჩინდეს ცალსახა იმედი დასავლეთ-ევროპული სახელმწიფოებისა და ამერიკის შეერთებული შტატებისა, რადგან ერთია მათი თანადგომა სიტყვებით, ხოლო მეორე კი – საქმით. ამ უკანასკნელ პარამეტრში, დასავლეთის ბოლომდე გამტყუნება და პარალელების გავლება 1938 წლის მიუნხენის გარიგებასთან არც ისე სამართლიანი ჩანს, რადგან ქართულ კონფლიქტურ რეგიონებში XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული მეტად „ჩახლართული“ იურიდიულ-სამართლებრივი მდგომარეობა სუფევდა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე სა-

სურველი გამოსავალია ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაცია, რაც ამ ეტაპზე საქართველოსთვის გადაუღახავ და მოუგვარებელ პრობლემად რჩება, რადგან ეს ნაბიჯი დიდწილად დამოკიდებულია თავად ევროპულ სახელმწიფოთა ინტერესებზე, რომლებიც დღეისათვის კავკასიით იმ დონეზე არ არის დაინტერესებული, რომ გარკვეული მსხვერპლი გაიღონ ჩვენი ქვეყნის რუსეთისაგან დასაცავად, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ქვეყნები, ეკონომიკური ინტერესების გამო, მეტად უფრთხიან რუსეთთან ურთიერთობების გაფუჭებას და ამით, ერთის მხრივ, „შესანიშნავად“ ასრულებენ საკუთარი „ევროპული პოლიტიკის“ გეგმას, რომელიც ასე დამლუპველად მოქმედებს საქართველოზე...

დასასრულ, ჩვენი დასკვნების შემდეგ, დაზმირ ჯოჯუას ნიგნზე უნდა ითქვას, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომით დაინტერესებული მკითხველისათვის წარმოადგენს მეტად საინტერესო წყაროს ინფორმაციული თვალსაზრისით. ავტორი მეტად საინტერესოდ წარმართავს მსჯელობას რუსულ-ქართული პოლიტიკის ლაბირინთებში და ნათელს ჰფენს ბევრ იმ საკითხს, რომელიც დიდ ინტერესს იწვევს აღნიშნული პრობლემით დაინტერესებულ საზოგადოებაში. ამ თვალსაზრისით, ნიგნი უდავოდ წარმოადგენს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომისა და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ შესრულებულ ერთ-ერთ საუკეთესო ნაშრომს.

„ომი სამართალი მშვიდობა“, – ასე ეწოდება „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“ მიერ¹ 2010 წელს გამოცემულ ნაშრომს, რომელიც ეხება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მოვლენებს და განიხილავს მოვლენის იურიდიულ მხარეებს, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით. ნიგნი ძირითადად აგებულია რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს

¹ „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი“ არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც დაარსდა 2007 წლის 5 აპრილს. ორგანიზაცია იღვწის ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და კანონის უზენაესობისათვის ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. იხ.: <http://www.hrp.ge/ka-GE/activity/>.

ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის ანგარიშებსა და სხდომათა სტენოგრამებზე.

ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ზემოაღნიშნული კომისიის მიერ საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან კითხვა-პასუხის რეჟიმს, რომელიც შეეხება 2008 წლის აგვისტოს ომში მშვიდობიანი მოსახლეობის ევაკუაციის საკითხს. ამ საკითხთან დაკავშირებით, წიგნში მოცემულია ცხინვალის რეგიონში, სამშვიდობო ქართული ძალების სარდლის მამუკა ყურაშვილის, უშიშროების საბჭოს მდივნის ალექსანდრე ლომაიას და ასევე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის პასუხები კომისიის თავმჯდომარის ძირითადად ერთი და იმავე შინაარსის კითხვაზე, თუ რატომ ვერ მოხერხდა კონფლიქტური რეგიონიდან მშვიდობიანი მოსახლეობის გაყვანა თუნდაც 2008 წლის აგვისტოს დასაწყისში, როდესაც ორმხრივი სროლები უფრო და უფრო ინტენსიური ხდებოდა?! აღნიშნულ კითხვაზე (არსებობდა თუ არა ევაკუაციის გეგმა?), მამუკა ყურაშვილის პასუხი შემდეგნაირად ჟღერდა: „ა, როგორ არა, არსებობდა, კი. უბრალოდ თვითონ, უშუალოდ, როგორც ასეთი, რომ რაღაცა კატასტროფული დაცლა მოხდებოდა, ეგ ეხლა ძნელი ისე იყო, წარმოსადგენი, რომ ჩვენ ამხელა ძალა დაგვიპირისპირდებოდა და ისე, ხახადალებულ რუსეთს შევხედავდით ჩვენ პირდაპირ, იგივე, ავნივის და სარბუკის საგუშაგოდან არავის არ ეგონა“.¹ ყურაშვილი ასევე ხაზგასმით აცხადებს, რომ: „საომარი მოქმედება, როგორც ასეთი, არ იგეგმებოდა არასდროს...“.²

მაქსიმალური ობიექტურობის შემთხვევაშიც კი, როგორც ვხედავთ, ძნელია, მამუკა ყურაშვილს შეეუქმთ სიტყვათა ლოგიკური წყობა ზემოაღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემისას, თუმცა ამ წყობის მიღმა ჩვენ შესანიშნავად ვხე-

¹ ომი სამართალი მშვიდობა. ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი. რედ. ნინო ციხისთავი. HRP, 2010, გვ. 83.

² ომი სამართალი მშვიდობა, გვ. 84.

დავთ იმდროინდელი საქართველოს ხელიფულების პოზიციას, რომელიც, ყურაშვილის განცხადებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, ნამდვილად არ ელოდა, რომ რუსეთი იმ მასშტაბის ძალების მობილიზაციას მოახდენდა საქართველოს წინააღმდეგ, როგორც მოახდინა. საინტერესოა ალექსანდრე ლომაიას პასუხი იმავე კითხვაზე მოსახლეობის ევაკუაციის გეგმის შესახებ: „როგორც გითხარით, სრულმასშტაბიანი აგრესია და სრულმასშტაბიანი ოკუპაცია ნამდვილად არ განიხილებოდა არც ჩვენ და არც ერთი სხვა სახელმწიფოს მიერ, როგორც რეალისტური სცენარი“.¹

გაცილებით ვრცელი და უფრო მწყობრია საქართველოს პრეზიდენტის პასუხი იმავე კითხვაზე ევაკუაციის საკითხის შესახებ, რაზეც იგი ვრცლად პასუხობს და იხსენებს 1 აგვისტომდე, იტალიაში დასასვენებლად ყოფნისას მერაბიშვილთან განხორციელებულ სატელეფონო ზარებს, რომლებშიც, პრეზიდენტ სააკაშვილის თქმით, იგი მერაბიშვილს ეუბნებოდა, რომ არ მოსწონს ცხინვალის რეგიონში შექმნილი სიტუაცია, მერაბიშვილი კი პასუხობდა, რომ პრინციპში ადგილზე განსაკუთრებული არაფერი ხდება.² საქართველოს პრეზიდენტი ამბობდა, რომ მონინაალმდეგემ აგვისტოს დასაწყისიდან მოახდინა სოფლებიდან საკუთარი მოსახლეობის ევაკუაცია და „დაიწყო სამხედრო ტექნიკის შემოსვლა. როგორც კი წავიდა მოსახლეობა, იმ წუთშივე დაიწყო, სადღაც 5-ში, 6-ში დაიწყო სამხედრო ტექნიკის დიდი რაოდენობით შემოსვლა და დამატება“.³ დასასრულს, მიხეილ სააკაშვილმა დასმულ კითხვაზე საბოლოო პასუხი შემდეგნაირად გასცა: „რა თქმა უნდა, თქვენ დამისვით კითხვა, რომ რატომ უფრო ადრე არ გავაკეთეთ. ალბათ, ჩვენ ეს მომენტი გავუშვით ხელიდან. რატომ? იმიტომ, რომ ეს ესკალაცია, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, იმდენად ქრონიკულ ხასიათს ატარებდა მთელი ამ წლების და თვეების განმავლობაში, რომ ის მომენტი, ის დაჭერა, რომ აი, ეხ-

¹ ომი სამართალი მშვიდობა, გვ. 85.

² ომი სამართალი მშვიდობა, გვ. 86.

³ ომი სამართალი მშვიდობა, გვ. 87-88.

ლა უნდა გამოვიყვანოთ მოსახლეობა ეს ჩვენი, ჩვენი ხეობის მოსახლეობა, იქ იყო გმირული მოსახლეობა“.¹

როგორც ვხედავთ, საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტიც საბოლოოდ ადასტურებს იმ მოულოდნელობის ეფექტს, რომელიც რუსეთმა თავისთვის ასე წარმატებულად გამოიყენა 2008 წელს. ძნელია არ დავეთანხმოთ სააკაშვილს, რომ მართლაც რთული იყო იმ მომენტის დაჭერა, როდესაც საქართველოს ხელისუფლებას უნდა დაეწყო საკუთარი მოსახლეობის გაყვანა ევაკუაცია. აქ თავს იჩენს კიდევ ერთი რთული და სათუთი მომენტი, რომელსაც ისევ რუსულ ვერაგობამდე მივყავართ. მოსახლეობის ევაკუაციის დაწყების შემთხვევაში, რუსეთი როგორ შეფერილობას მისცემდა საქართველოს ხელისუფლების აღნიშნულ ღონისძიებას? განა ჩვენი ხელისუფლების ეს ქმედება იმავე წამს ომის დაწყებად არ მოინათლებოდა? თუმცა, რა თქმა უნდა, ეს ფაქტორი არ უნდა გამოვიყენოთ, ამ შემთხვევაში სააკაშვილის ხელისუფლების გასამართლებლად, რადგან მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლს, ზოგადად ვერასოდეს ვერაფერი ამართლებს. და თქმა იმისა, რომ „ჩვენ ეს მომენტი გავუშვით ხელიდან“ არავითარ არგუმენტს არ წარმოადგენს ამ შემთხვევაში, რადგან ნორმალურ ქვეყანაში ხელისუფლების მიმართ ხალხი ნდობას გამოხატავს იმიტომ, რომ ეს ხელისუფლება „ელოდოს“ ყველაფერს და გააკეთოს ყველაფერი იმისათვის, რომ ესა თუ ის მომენტი „ხელიდან არ გაუშვას“. თუმცა ნათელია საკითხის მეორე მხარეც – ევაკუაციის განხორციელების შემთხვევაში თავად ქვეყნის შიგნით, მოსახლეობასა თუ მთელ რიგ პოლიტიკურ პარტიებში, დაიწყებოდა პანიკა და ხელისუფლების კრიტიკა იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყნის ხელისუფლება ტერიტორიებს ნებაყოფლობით თმობს და ა.შ. მიუხედავად ამისა, ჩვენი აზრით, მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლის თავიდან არაცოცხება ძნელია გავამართლოთ ნებისმიერი არგუმენტით. ჩვენი აზრით, შესაძლოა, კონფლიქტური რეგიონის ქართული მოსახლეობის ევაკუაცია საქართველოს ხელი-

¹ ომი სამართალი მშვიდობა. გვ. 90.

სუფლების მიერ ცხინვალის რეგიონში 2008 წელს ომის დაწყებამდე შექმნილი მდგომარეობის კიდევ უფრო ნათელი საილუსტრაციო მაგალითი გამხდარიყო მთელი მსოფლიოსათვის. ამ შემთხვევაში, როდესაც საუბარი ადამიანთა სიცოცხლეს ეხება, ნაკლებად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის აზრი, რაც სააკაშვილის ხელისუფლებით უკმაყოფილო რომელიმე პარტიას ან მოქალაქეს შეიძლებოდა გასჩენოდა.

აღნიშნული ნაშრომის დასკვნაში ნათქვამია შემდეგი: „სამართლებრივი ანალიზი საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჟენევის კონვენციის დამატებითი ოქმითა და მთავრობის უფლებამოსილების შესახებ კანონით, საქართველოს სახელმწიფომ აიღო ვალდებულება, შეიმუშავოს თავდაცვის გეგმა საომარი მოქმედებების შემთხვევაში მშვიდობიან მოქალაქეთა დასაცავად. ამას გარდა, საქართველოს ხელისუფლებას ეროვნული კანონმდებლობა აკისრებს ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის ქონებრივი ზიანის კომპენსირების ვალდებულებას. სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არც ომის დროს და არც მის შემდეგ გაითვალისწინა კანონმდებლობით მასზე დაკისრებული ვალდებულებები, რის გამოც დღის წესრიგში დგება ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საკითხი“.¹ ამ დასკვნის განსამტკიცებლად წიგნში მოცემულია ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირად ქცეული რამდენიმე ადამიანის მაგალითი, რომელთა დაკმაყოფილებაც ხელისუფლებამ სათანადოდ ვერ შეძლო, თუმცა ამგვარი მაგალითების მიმოხილვა შორს წაგვიყვანს.

საბოლოოდ წიგნის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი, იურიდიული კუთხით, წარმოადგენს საკმაოდ მნიშვნელოვან და საინტერესო წყაროს საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ, იმავე იურიდიული კუთხით შესრულებულ ნაშრომთაგან აღსანიშნავია ასევე 2011 წელს გამოცემული წიგნი „2008 წლის რუსეთ-

¹ ომი სამართალი მშვიდობა, გვ. 102

საქართველოს ომის შედეგების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება“, რომლის ავტორია განათლებით იურისტი, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე გელა გელაშვილი. აღნიშნული წიგნი წარმოადგენს საკმაოდ მოკლე მიმოხილვას საკითხის იურიდიული მხარისა, თუმცა, მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში ხაზგასმულია გარკვეულწილად საყურადღებო მომენტები თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკისა. მაგალითისათვის ისეთი, როგორც არის რუსეთის მიღება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში. მართალია რუსეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში ოფიციალურად მიიღეს 2012 წლის 22 აგვისტოს,¹ მაგრამ ამ ფაქტს წინ უძღოდა 19-წლიანი მოლაპარაკებების პროცესი, რაც შეძლებისდაგვარად აქვს მიმოხილული გელა გელაშვილს. იგი ასევე ხაზს უსვამს რუსეთისათვის ამ ორგანიზაციაში განწევრიანების სარგებლიანობას: „მსო“-ში განწევრიანება იქნება ახალი საფეხური რუსეთის უფრო აქტიური მონაწილეობისა და საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებში, როგორცაა მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და დიდი რვიანი“.² წიგნში ასევე ხაზგასმულია ევროპის ქვეყნების პოზიცია, რომელთაც, ცხადია, თანხმობა განაცხადეს რუსეთის მსო-ში განწევრიანებაზე, ისევე როგორც საქართველომ (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი 2000 წლის 14 ივნისიდან), რადგან აღნიშნული ორგანიზაციაში განწევრიანება ხდება მხოლოდ და მხოლოდ ყველა ქვეყნის თანხმობის საფუძველზე.³ მართალია, დღეისათვის არსებული ვითარება მსოფლიოში უკვე

¹ Understanding the WTO: the Organization. Members and Observers. იხ.: https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/org6_e.htm.

² გელა გელაშვილი. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება. გორი, 2011, გვ. 38-39.

³ “Any state or customs territory having full autonomy in the conduct of its trade policies may become a member (“accede to”) the WTO, but all WTO members must agree on the terms. This is done through the establishment of a working party of WTO members and through a process of negotiations.” – WTO Accessions: https://www.wto.org/english/thewto_e/acc_e/acc_e.htm.

განსხვავებულია, მეტწილად უკრაინის კრიზისის გამო, მაგრამ უკრაინის კრიზისის საუბრის ცალკე თემაა და მასთან პარალელების გავლება ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. ზემოაღნიშნული ინფორმაციის მიხედვით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ რუსეთის „მსო“-ში მიღებით კიდევ ერთხელ გახდა ცხადი, რომ ევროპის ქვეყნებს გარკვეული, სოლიდური ეკონომიკური ინტერესები აკავშირებს რუსეთთან, რომელსაც საქართველოსა თუ სხვა რომელიმე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის არანევრი ქვეყნების „დახმარებაში“ ნამდვილად არ გაცვლის.

წიგნში ავტორს ასევე შეძლებისდაგვარად აქვს მიმოხილული გაეროს საერთაშორისო სასამართლოს მიერ საქართველო-რუსეთის საქმის განხილვის შედეგები, სადაც აღნიშნულია, რომ რუსეთი, საკუთარი პროვოკაციული ქმედებებით, საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მიმართ არღვევს საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმას.¹

2011 წელს გამოცემულ ნაშრომთაგან, რომელიც 2008 წლის ომს ეხება, მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანია – საქართველოს პარლამენტის წევრისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა, საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის ყოფილი თავმჯდომარის – შოთა მალაშხიას წიგნი: „კონფლიქტების ანატომია“.² ავტორი განიხილავს ევრაზიის თითქმის ყველა მნიშვნელოვან კონფლიქტს და მათ მიმართებას საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილ ვითარებასა და პოლიტიკურ-ისტორიულ თუ ეთნიკურ წანამძღვრებთან. საკუთრივ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ, ავტორი საუბრობს წიგნის დასაწყისშივე და რუსეთის მიერ 2008 წლის აგვისტოში ომის დაწყების

¹ International Court of Justice. Application of the International Convention on the Elimination of all forms of Racial Discrimination (Georgia v. Russian Federation). Preliminary Objections. Summary of the Judgement of 1 April 2011. იხ.: <http://www.icj-cij.org/docket/files/140/16426.pdf>.

² შოთა მალაშხია. კონფლიქტების ანატომია. თბილისი, გამომცემლობა „ფორმა“, 2011.

მიზეზებზე საუბრისას, ხაზს უსვამს ორ მეტად მნიშვნელოვან, სახასიათო მომენტს, რომელმაც, ავტორის აზრით, მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმაში, რომ რუსეთ-საქართველოს ომი სწორედ 2008 წლის ზაფხულში, აგვისტოს თვეში მოხდა. პირველი – 2007 წლის 15 ოქტომბერს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია 1781, „რომელშიც ცალსახად არის აღიარებული, რომ აფხაზეთიდან დევნილ ნებისმიერ მოქალაქეს აქვს შინ დაბრუნების უფლება და დევნილობის ფაქტი ვერ მოახდენს გავლენას დევნილის ინდივიდუალური საკუთრების უფლებაზე“.¹ იქვე მალაშხია ეხება გაეროს 2008 წლის 15 აპრილის რეზოლუციას, რის მიხედვითაც უმოკლეს ვადებში უნდა დასრულებულიყო მუშაობა კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების შესახებ და კონფლიქტურ რეგიონებში მომხდარიყო დევნილების დაბრუნება.² „როგორც ცნობილია, სექტემბრიდან იგეგმებოდა აქტიური მუშაობის დაწყება გაეროს ზემოხსენებულ რეზოლუციასთან შესრულების მიმართულებით ... ამიტომ რუსეთის არმიას სექტემბრამდე უნდა დაემთავრებინა ყველაფერი“.³

ავტორი ეხება ასევე იმ სახარბიელო ეკონომიკურ ვითარებას, რომელიც 2008 წლის ზაფხულში იყო მსოფლიოში, როდესაც „ივლისში ნავთობის ფასმა რეკორდულ ნიშნულს – 147 დოლარს მიაღწია“.⁴ ეს, რა თქმა უნდა, რუსეთის ეკონომიკაზე მხოლოდ და მხოლოდ დადებითად აისახა. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის აგვისტოში დაწყების მეორე მიზეზად ავტორი მიიჩნევს „ნაბუქოს“ გაზსადენის პროექტს, რომელსაც როგორც გვახსოვს, კასპიის აუზში არსებული ბუნებრივი აირის საქართველოს გავლით ევროპისაკენ ტრანსპორტირება უნდა უზრუნველყო: „დასავლური მედია აღნიშნავდა, რომ „ნაბუქოს“ (სტილი დაცულია – კ.ყ.) იმპლემენტაციის საკითხებთან დაკავშირებით შემოდგომაზე იგეგმებოდა

¹ შოთა მალაშხია. კონფლიქტების ანატომია, გვ. 11-12.

² შოთა მალაშხია. კონფლიქტების ანატომია, გვ. 12.

³ შოთა მალაშხია. კონფლიქტების ანატომია, გვ. 13.

⁴ შოთა მალაშხია. კონფლიქტების ანატომია, გვ. 13.

მნიშვნელოვანი შეხვედრები... კრემლი ამ პროექტს შიშით უყურებდა, რადგან „ნაბუკოს“ მეშვეობით ევროპას, რუსეთის გვერდის ავლით, აიროვანი ენერგორესურსის მიღების მნიშვნელოვანი, ალტერნატიული წყარო გაუჩნდება“.¹

როგორც ვხედავთ, შოთა მალაშხია ზემოაღნიშნული ორი ფაქტის მოყვანით, ხაზგასმით გამოკვეთს რუსეთის მიერ საქართველოში, კონკრეტულ ვადებში, ომის დაწყებისა და სასურველი შედეგის მიღწევის პოლიტიკას. ავტორის თქმით, ყოველი ნაბიჯი, რუსეთის მხრიდან იმდენად ზუსტად იყო დაგეგმილი, რომ „სააკაშვილს ისლა დარჩენოდა ან სამუდამოდ დაეკარგა სეპარატისტული რეგიონები, ან იქ მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისა და საკუთარი სამშვიდობო კონტიგენტის დასაცავად, იმთავითვე უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმულიყო...“.² ძნელია არ დავეთანხმოთ ავტორს, რადგან არაფერია იმაზე მძიმე, როდესაც საკუთარი ქვეყნის „მტკივნეულ“ კონფლიქტურ რეგიონში ადამიანები იხოცებიან გარე ძალის ზემოქმედებით, ხოლო ამ დროს საქართველოს ხელისუფლება და ჯარი სამხედრო მოქმედებებზე და საკუთარი მოსახლეობის დაცვაზე უარს ამბობს, ფართომასშტაბიანი ომის შიშით... ფაქტია, რომ ამგვარი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელი იყო იმ ფონზე, რომ რუსეთისა და ოსეთის სამხედრო ნაწილები გამუდმებითა და გამალეებით ბომბავდნენ ცხინვალის რეგიონის ქართულ სოფლებს...

შოთა მალაშხიას წიგნის შესახებ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული წიგნი მეტად ღირებულია იმ კუთხით, რომ მასში მოცემულია თანამედროვე მსოფლიოში არსებული თითქმის ყველა კონფლიქტის შინაარსი და ისტორია. მსგავსი ტიპის ნაშრომის ქართულ ენაზე არსებობა, მართლაც მნიშვნელოვანია საკითხით დაინტერესებული ქართულენოვანი სამკითხველო სივრცის წარმომადგენლებისათვის.

ქართულ ენაზე თარგმნილია ასევე 2011 წელს გამოცემული ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის ანგარიში: „არ შეუძ-

¹ შოთა მალაშხია. კონფლიქტების ანატომია, გვ. 14.

² შოთა მალაშხია. კონფლიქტების ანატომია, გვ. 26.

ლია? თუ არ უნდა? არასრულფასოვანი გამოძიება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს და მის შემდეგ ჩადენილ დანაშაულებებზე“. სათაურიდან გამომდინარე ცხადია, რომ აღნიშნული კომიტეტის ანგარიში ეხება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში ჩადენილ სამხედრო დანაშაულების გამოკვლევას, ანგარიშის დასაწყისშივე აღნიშნულია, რომ „ქართველი გამოძიებლები ვერ შედიან სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე, სადაც ყველა სერიოზული დანაშაული იყო ჩადენილი. ამის გამო საქართველოს არა აქვს საშუალება, იქ და რუსეთში, სადაც სავარაუდოდ მთავარი დამნაშავეები იმყოფებიან, თუნდაც სურვილის შემთხვევაში, ეფექტურად გამოიძიოს ზოგიერთი სერიოზული ბრალდება, რომლებიც 2008 წლის ომის დროს წარმოიშვა“.¹ გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი საქართველოს ხელისუფლებას უწოდებს „უუნაროს“ აღნიშნული დანაშაულის გამოძიების საქმეში და აუცილებლად მიიჩნევს მსგავსი ტიპის დანაშაულების განხილვას კონფლიქტის ყველა მხარის მიერ. ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ მართლაც აუცილებელია გამომჟღავნდეს ყოველგვარი სამხედრო დანაშაული, რომელიც 2008 წლის ომის დროს ჩადენილა, როგორც საქართველოს ასევე რუსეთის მხრიდან, აუცილებლად უნდა გამოვლინდნენ და შესაბამისად დაისაჯონ დამნაშავენი კონფლიქტის მონაწილე ორივე მხრიდან.

ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ 2012 წელს გამოცემული წიგნების განხილვას დავინყებთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის – დიმიტრი შველიძის წიგნით: „გზა დასავლეთისაკენ (პუბლიკაციების კრებული)“. ეს ნაშრომი ეძღვნება XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომი პერიოდიდან, საქართველოს დასავლური

¹ ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის ანგარიში. არ შეუძლია? თუ არ უნდა? არასრულფასოვანი გამოძიება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს და მის შემდეგ ჩადენილ დანაშაულებებზე. რედ. ოგე ბორჩგრეენიკი და გუნარ მ. ეკელოვე-სლიდალი. თბილისი, 2011.

საგარეოპოლიტიკური კურსის შესახებ ჩვენს პრესაში გამოქვეყნებული წერილების, სტატიების, სამეცნიერო და პოლიტიკური ხასიათის პუბლიკაციების მიმოხილვასა და ანალიზს.

მართალია, დიმიტრი შველიძის აღნიშნული ნაშრომი უშუალოდ 2008 წლის კონფლიქტს არ შეისწავლის, მაგრამ ამ კონფლიქტისათვის ავტორს ნიგნში ცალკე რამდენიმე თავი აქვს დათმობილი, სადაც იგი უაღრესად საინტერესო მიმოხილავს საკითხის შესახებ არსებულ ზემოაღნიშნულ მასალას და გვთავაზობს საკუთარ, მეტად საინტერესო შეფასებებსა და შეხედულებებს.

სანამ უშუალოდ 2008 წელს საქართველოში მომხდარ მოვლენებს შეეხებოდეს, ავტორი მიმოიხილავს, გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებულ ცვლილებებს, რომელიც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ორგანიზაციაში მოხდა. საუბარია 1994 წელს ამერიკის პრეზიდენტის – ბილ კლინტონის ინიციატივით შექმნილ პროგრამაზე „პარტნიორობა მშვიდობისათვის“, რომელშიც გაერთიანდა ათეულობით ქვეყანა: „პარტნიორ ქვეყნებს შესაძლებლობა ეძლეოდათ, მონაწილეობა მიეღოთ ნატო-ს სამშვიდობო ოპერაციებში და საქმიანობის სხვა სფეროებში: სამხედრო სწავლებები, სემინარები, სასწავლო კურსები და ა.შ.“¹ ორგანიზაციაში მიმდინარე ცვლილებებზე საუბრისას, აღნიშნულია ასევე 1990-იანი წლების მიწურულს ნატო-ს როგორც ორგანიზაციის საქმიანობის გაფართოება არასამხედრო სამშვიდობო მიმართულებით. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ: „პირველად ამოქმედდა ვაშინგტონის ხელშეკრულების მეხუთე მუხლი სამხედრო ურთიერთდახმარების შესახებ, როცა ნატო-ს სხვა წევრმა-სახელმწიფოებმა სრული მხარდაჭერა და თანადგომა გამოუცხადეს აშშ-ს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში“.²

NATO-ში ახალი წევრების მიღების საკითხზე საუბრისას, ავტორი საინტერესოდ ეხება 2002 წლის ნატოს პრადის სა-

¹ დიმიტრი შველიძე. გზა დასავლეთისაკენ (პუბლიკაციების კრებული). თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012, გვ. 447.

² დიმიტრი შველიძე. გზა დასავლეთისაკენ, გვ. 448-449.

მიტს, რომელზეც 7 ქვეყნის მიღება გადაწყდა ალიანსის შემადგენლობაში. ეს ქვეყნები იყო: რუმინეთი, ბულგარეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, სლოვენია და სლოვაკეთი. აღნიშნული სამიტის კომენტარებისას, დიმიტრი შველიძეს მოჰყავს შემდეგი პასაჟი: „მაშინ მჭერმეტყველურად აღნიშნავდნენ: როცა ნატოს გენერალურმა მდივანმა ჯორჯ რობერტსონმა სამიტის მონაწილეებს ნატო-ს ახალი მინვეული სახელმწიფოების სია გააცნო, მაგიდაზე ვაცლავ ჰაველის ნაჩუქარი პატარა ჩაქუჩი დაარტყა და ამით უკანასკნელი ლურსმანი ჩაარჭო იალტის კონფერენციის კუბოშიო. მართლაც. 1945 წლის თებერვალში, დიდმა სამეულმა, ერთის მხრივ რუზველტისა და ჩერჩილის, მეორეს მხრივ სტალინის მოლაპარაკებების შედეგად, მომავალი ევროპა ორად გაჰყო“.¹ ჩვენი მხრივ, უნდა დავამატოთ, რომ აშშ-სა და ევროპის ქვეყნებისათვის 2002 წელს მეტწილად სწორედ იმას ჰქონდა მნიშვნელობა, რომ მათ იალტის კონფერენციის შედეგად შექმნილ სამყაროს არსებობას მოუღეს ბოლო და არა იმას, თუ როგორ აკმაყოფილებდა ზემოაღნიშნული შვიდი ქვეყანა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მოთხოვნებს, რომელთაც შესრულებაც ჩვენი ქვეყნისათვის დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ ერთგვარ ოცნებად არის ქცეული. ამ შემთხვევაში, პრალის სამიტზე NATO-ში განევრიანებული ქვეყნების ბედი, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოტივებთან ერთად გეოგრაფიულმა ფაქტორმაც განსაზღვრა – ეს ქვეყნები ახლოს იყვნენ ცენტრალურ ევროპასთან და ამავე დროს რუსეთის ინტერესებისაგან მოწყვლად სახელმწიფო ერთეულებს წარმოადგენდნენ.

ნატო-საქართველოს ურთიერთობების მოკლე მიმოხილვას დიმიტრი შველიძე იწყებს 1994 წლიდან, როდესაც საქართველო მონაწილეობას იღებდა, აშშ-ს პრეზიდენტის მიერ ზემოაღნიშნულ პროექტში: „პარტნიორობა მშვიდობისათვის“.

„1998 წლიდან განსაკუთრებით ინტენსიური გახდა საქართველოს მონაწილეობა ალიანსის მიერ ორგანიზებულ ან მის

¹ დიმიტრი შველიძე. გზა დასავლეთისაკენ, გვ. 446.

მხარდაჭერილ აქციებში. 2001-2002 წლებში ქვეყანამ „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ ეგიდით 242 ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, მათ შორის, კოსოვოს საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციაში და სხვ.“¹

თუმცა ნატო-საქართველოს ამგვარ თანამშრომლობაზე საუბრისას, ავტორი აღნიშნავს იმ პრობლემებსაც, რომელიც წინ ელობება საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში გაწევრიანებას და რომელთაგან საქართველოსათვის ყველაზე რთულ პრობლემას წარმოადგენს საქართველოს ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის №17 პუნქტი: „აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში გაყინულ კონფლიქტებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „საქართველოს ხელისუფლებამ ვალდებულება აიღო, გადაჭრას ეს პრობლემები მშვიდობიანი გზებით, სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით და შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად“.²

საქართველო-ნატოს ურთიერთობების მიმოხილვის შემდეგ, დიმიტრი შველიძის წიგნში მიმოხილულია 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ქრონიკა, რომელსაც წინ უძღვის ისტორიკოსის მიერ აღნიშნული კონფლიქტის მოკლე ისტორიული მიმოხილვა, სადაც ავტორი სამართლიანად უსვამს ხაზს რუსეთის იმპერიულ პოლიტიკის მნიშვნელობას საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში. 2008 წლის ომის მიზეზებზე საუბრისას ავტორი აღნიშნავს, რომ „რუსეთმა სამართლებრივ ალყაში მოაქცია საქართველო, შევარდნაძეს ხელი მოაწერინა კაბალურ ხელშეკრულებაზე“, ³ რის შემდეგაც მთელი 15 წლის მანძილზე საქართველო დარჩა გაყინული კონფლიქტების ამარა. შევარდნაძის შემდგომ სააკაშვილის ხელისუფლებაზე საუბრისას, დიმიტრი შველიძე ამბობს: „როგორც ჩანს, საქართველოს და ალბათ მისმა ამერიკელმა მოკავშირეებმა საერთაშორისო-სამართლებრივი ალყის გარ-

¹ დიმიტრი შველიძე. გზა დასავლეთისაკენ, გვ. 450.

² დიმიტრი შველიძე. გზა დასავლეთისაკენ, გვ. 451.

³ დიმიტრი შველიძე. გზა დასავლეთისაკენ, გვ. 477.

ღვევა რუსეთთან ომით სცადეს.

ამჯერად, ომის ერთი უშუალო შედეგი გვანტერესებს – მან მოშალა საქართველოს გარშემო რუსეთის მიერ შექმნილი სამართლებრივი რუტინა. რუსეთი მხილებულ იქნა, როგორც კონფლიქტის დაინტერესებული მხარე, სეპარატისტული რეჟიმების მხარდამჭერი და აგრესორი, რამაც საფუძველი მოუშალა მის მშვიდობისმოყვარე შესაძლებლობას. საქართველოს გარშემო შეიქმნა ახალი საერთაშორისო კონიუნქტურის და ძალთა პოლიტიკური გადანაწილების პერსპექტივა¹.

როგორც ვხედავთ, ავტორი მეტად საინტერესო დასკვნას აკეთებს, რომელსაც მართლაც ძნელია არ დავეთანხმოთ, რადგან კონკრეტულად საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მაგალითზე, 2008 წელს რუსული იურიდიული არგუმენტაცია საკუთარი მოსახლეობის დაცვისა მართლაც რომ ყველასათვის ცხადი და აშკარა ბლეფი გახდა, თუმცა მეტად სამწუხაროა, რომ ამის მიუხედავად, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შესაბამისი რეაგირება არ მოუხდენიათ და რუსეთთან თანამშრომლობის პოლიტიკას კვლავ აქტიურად განიხილავენ და ახორციელებენ, რაც, მათივე პოზიციებიდან გამომდინარე, პრაგმატულია, და საკუთარი არგუმენტაციაც გააჩნია.

დიმიტრი შველიძის წიგნის მიმოხილვის დასასრულს, საინტერესოა, შევხვით ავტორის მიერ, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის სამომავლო განვითარების ხუთ სავარაუდო სცენარს, რომელიც მოკლედ ასე გამოიყურება:

„პირველი სცენარი – ორივე სეპარატისტულ რეგიონზე აღდგება საქართველოს იურისდიქცია და ქვეყანა ერთიანდება ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში“.² როგორც ვხედავთ, ეს მოვლენათა განვითარების ყველაზე სასურველი და ყველაზე ნაკლებსავარაუდო სცენარია, რადგან რუსეთს სანამ სახელმწიფო ჰქვია იმ სახითა და იმ რესურსით, როგორითაც ის დღეისათვის არსებობს, საქართველო ნატო-ში უბრალოდ ვერ შევა, ხოლო ნატოში შესვლას აფხაზეთისა და ცხინვალის რე-

¹ დიმიტრი შველიძე. გზა დასავლეთისაკენ, გვ. 477-478.

² დიმიტრი შველიძე. გზა დასავლეთისაკენ, გვ.

გიონის დაბრუნებასთან ერთად კი საერთოდ ვერ მოახერხებს, რადგან სწორედ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისკენ სწრაფი სვლისა და კონფლიქტურ რეგიონებში დაძაბულობის მშვიდობიანი გზით მოგვარების მცდელობის გამო, 2008 წელს რუსეთმა არათუ საქართველოს სამხედრო გზით „დასჯა“ არამედ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების შეცვლა მოინდომა.

*„მეორე სცენარი – საქართველო იბრუნებს აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილს და ცხინვალის რეგიონს და შედის ნატოში. მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დიპლომატიური, პოლიტიკური, ეკონომიკური, ფინანსური და სხვა სანქციების შედეგად, რუსეთმა შესაძლოა, დათმოს ცხინვალის რეგიონი და გარკვეული მისთვის მისაღები სტატუსის სახით სცნოს მასზე საქართველოს იურისდიქციის გავრცელება. ამავე დროს, მან შესაძლოა დათმოს აფხაზეთის ტერიტორიის ქართველებით დასახლებული რეგიონები და დაიტოვოს დანარჩენი აფხაზეთი მისი დამპყრობლური ამბიციის უმთავრესი მოტივის – ზღვაზე გასასვლელის სახით“.*¹ ამ სცენარსაც, ჩვენი აზრით, საკმაოდ უტოპიური ფესვები აქვს, რადგან კრემლის პოლიტიკა საკმაოდ „თანმიმდევრულია“ საიმისოდ, რომ ამხელა დათმობაზე წავიდეს საქართველოს წინაშე.

*„მესამე სცენარი – ქვეყანა ვერ ინარჩუნებს სეპარატისტულ რეგიონებს და ისე შედის ალიანსში“.*² ამ სცენარზე შეიძლება ითქვას, რომ იგი, ჩვენი აზრით, უფრო მეტად განხორციელებადია, ვიდრე პირველი სცენარი, რადგან რუსეთი საკუთარი გავლენის ქვეშ იტოვებს საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებს, მაგრამ მაინც ნაკლებსავარაუდოა დღევანდელმა რუსეთმა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შენარჩუნების ფასად, საქართველოს ნატოში შესვლის საშუალება მისცეს. სხვა საკითხია, თუკი ეს მოხდება მაშინ, როდესაც რუსეთი არ იარსებებს იმ სახით, როგორითაც დღეს არსებობს და გარკვეული სისუსტეები გამოუჩნდება.

„მეოთხე სცენარი – საქართველო არ ან ვერ შედის ნა-

¹ დიმიტრი შველიძე. გზა დასავლეთისაკენ, გვ.

² დიმიტრი შველიძე. გზა დასავლეთისაკენ, გვ.

ტომი. მისი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის გარანტი აშშ და მისი ანტირუსული მოკავშირეებია“.¹ აღნიშნული სცენარის მიხედვით საქართველო მეტად მძიმე და უმწეო ვითარებაში ჩავარდება, რადგან საკუთარი სახელმწიფოებრიობის გარანტიად მოუწევს დასავლეთის ქვეყნების ხილვა.

„მეხუთე სცენარი – საქართველო ინარჩუნებს სეპარატისტულ რეგიონებს და უარს ამბობს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსზე. იგი აცხადებს ნეიტრალიტეტს, რაც ფაქტობრივად დასავლეთისა და რუსეთის ორმაგი გავლენის დამყარების ტოლფასია“.² ამ შემთხვევაში, ავტორის თქმით, მოხდება 1555 წლის ამასიის ზავის შედეგად საქართველოში არსებული მდგომარეობის განმეორება, რაც ბუნებრივია, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობაზე უარყოფითად აისახება.³ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სცენარი მეტად ორიგინალური და განსხვავებულია, უნდა ითქვას, რომ მისი განხორციელება ცნაკლებად სავარაუდოა, რადგან რუსეთის მიზანს წარმოადგენს საქართველოს „არდათმობა“ დასავლეთის ქვეყნებისათვის. ამის განხორციელების გზა კი კრემლისათვის საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებზე გადის. გარდა ამისა, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობისათვის სასარგებლო ნამდვილად არ უნდა იყოს ქვეყნის გაყოფა გავლენის სფეროებად.

ამგვარია დიმიტრი შველიძის წიგნის – „გზა დასავლეთისაკენ (პუბლიკაციების კრებული)“ – იმ ნაწილის მიმოხილვა, რომელიც 2008 წელს საქართველოში განვითარებულ ავადსახსენებელ მოვლენებსა და ჩვენი ქვეყნის მომავალს ეხება. დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ აღნიშნული წიგნი მეტად საინტერესო წყაროა, ზოგადად საქართველოს უახლესი ისტორიის გასაანალიზებლად და მეტად ძვირფას წყაროს წარმოადგენს საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის.

2012 წელს არასამთავრობო ორგანიზაციამ „მეგობრობის ხიდი – ქართლოსი“ გამოსცა მეტად საინტერესო წიგნი

¹ დიმიტრი შველიძე. გზა დასავლეთისაკენ, გვ.

² დიმიტრი შველიძე. გზა დასავლეთისაკენ, გვ.

³ დიმიტრი შველიძე. გზა დასავლეთისაკენ, გვ. 477-484.

„ომის სხვა სახე“. „ნიგნში შესულია ორი ქართველი და ორი ოსი ჟურნალისტის მიერ ოთხი თვის მანძილზე შეგროვებული 100 რეალური ისტორიიდან 40 ისტორია“.¹ ამ ისტორიების მოქმედი პირები, არიან რეალური ადამიანები, რომელთაც საკუთარ თავზე გამოსცადეს ამ ომის ტრაგედია და უამრავ საშინელებასთან ერთად, მონინააღმდეგის მხრიდან დიდი ჰუმანურობაც დაინახეს. სწორედ ამ ჰუმანურ ასპექტებზე და, მიუხედავად ჩახლართული პოლიტიკური ვითარებისა, ერთმანეთის ბოლომდე არ თუ ვერ შეძლებლებაზე საუბრობენ აღნიშნულ ნიგნში თავმოყრილი ისტორიების მონაწილენი.

ნიგნის გვერდებზე შევხვდებით ქართველ დედას, რომელმაც დაჭრილი რუსი ჯარისკაცი შეიფარა და უმკურნალა ომის დღეებში, სამაგიეროდ კი რუსი ჯარისკაცისგან შემდეგი სიტყვები მიიღო: *«Спасибо, Матушка, мой Ангел Хранитель!»*². კონფლიქტის ზონიდან თბილისში გადმობარგებული ქალბატონი ნარგიზა დევძე ყვება, თუ როგორ გადაარჩინა სიკვდილს ოსმა ექიმმა ვოვა ჯიოევმა, გასამრჯელოს გარეშე.³ მეტად სენტიმენტალურია ოსი მადინასა და ქართველი თამაზის სიყვარულის ისტორია, რომელსაც ვერც 90-იანი წლების ქართულ-ოსურმა დაპირისპირებამ და ვერც 2008 წლის ომმა დააკლო ვერაფერი.⁴

ნიგნიდან ვიგებთ ასევე, რომ 2008 წლის ომის დროს, სოფელ კარალეთის მკვიდრი, ოსი ბიძინა ფარქაშვილი ქართველების გადარჩენას ცდილობდა, რის გამოც თურმე იგი ქართველების წინააღმდეგ მებრძოლ ოს მარადიორებს სიკვდილით დაუსჯიათ. 2008 წლის ომიდან სამი წლის შემდეგ კი, გორის საქალაქო სასამართლოს, ბიძინა ომში დაღუპულად გამოუცხადებია.⁵

აღნიშნულ ნიგნზე ვრცლად საუბარი შეუფერებლად

¹ ომის სხვა სახე. რედაქტორი მეგი ბიბილური. გორი, 2012, გვ. 5.

² ომის სხვა სახე, გვ. 12.

³ ომის სხვა სახე, გვ. 33.

⁴ ომის სხვა სახე, გვ. 34-37.

⁵ ომის სხვა სახე, გვ. 55.

მიგვაჩნია, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, წიგნში მოცემულია ემოციურად მეტად დატვირთული მასალა, ამ მასალის გასააზრებლად და საგრძნობად კი აუცილებელია ამ წიგნის ნაკითხვა, რადგან რთულია ჩვენს მიმოხილვაში ამ ემოციის შეუცვლელად მიტანა მკითხველამდე, სწორედ ამიტომ დასკვნის სახით ვიტყვით, რომ ფრიად მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ამ ფორმატის წიგნი გამოიცა და ითარგმნა რუსულად და ინგლისურად. წიგნის ელექტრონული ვარიანტის მოძიება, სამივე ენაზე, თავად არასამთავრობო ორგანიზაცია „მეგობრობის ხიდი – ქართლოსის“ ვებგვერდზეა შესაძლებელი.¹

2012 წელს გამოცემულ წიგნებზე საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით ისეთ ნაშრომს, როგორც არის პეტრე მამრადის წიგნი: „ავანტიურა 08.08.08“. ავტორი, როგორც ყოფილი პოლიტიკოსი, მეტად საინტერესო ინფორმაციას აწვდის მკითხველს იმ გზის შესახებ, რაც საქართველომ განვლო 2008 წლამდე. ნაშრომში მას გამოყენებული აქვს მრავალფეროვანი მასალა იმ მოვლენების შესახებ, რომელთა მომსწრეც თავად იყო. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მამრადის წიგნი მკვეთრად ოპოზიციურ ნაშრომს წარმოადგენს და ჩვენი ქვეყნის მაშინდელ ხელისუფლებას, მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით, ფაქტობრივად ყოველ ნაბიჯზე ეწინააღმდეგება. ამ წინააღმდეგობებს ჩვენ მოკლედ ქვემოთ შევხებით. მანამდე კი საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ერთი პასაჟი პეტრე მამრადის წიგნიდან, რომელიც პირდაპირ ეხმაურება და ეხება ჩვენთვის საინტერესო საკითხს.

1992 წლის დეკემბერში, პეტრე მამრადე, მაშინდელი საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებთან ერთად შეხვედრია, ცნობილი ამერიკელი სამხედრო მოღვაწის, ჯონ მალხაზ შალიკაშვილის ძმას – ოთარ შალიკაშვილს, რომელსაც მეტად საინტერესო და პრაგმატული ტექსტით მიუმართავს შეკრებილი საზოგადოებისათვის: „ქართველებს უნდა გვესმოდეს, რომ მსოფლიოში ყოველთვის არსებობს უხილავი

¹ მეგობრობის ხიდი – ქართლოსი. <http://qartlosi.org/cms/1364146520>.

საზღვრები, ასე ვთქვათ უხილავი წითელი ხაზები. მოვიყვან მაგალითს – გერმანიის გაერთიანების შედეგად რუსეთის ვებერთელა ჯარმა დატოვა გერმანია. რუსეთის ელიტა და ხალხის დიდი ნაწილი მწარედ განიცდის ამას, როგორც თავის დამარცხებასა და დამცირებას. წარმოვიდგინოთ, რომ კრემლის „არწივებმა“ მოინდომონ ჯარების ისევ უკან შეყვანა რაიმე საბაბით. რა მოხდება? მოხდება შემდეგი – მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის გაერთიანებიდან სულ სამი წელიწადია გასული, ჩვენ, მთელი დასავლეთი, ვიომებთ. მთელი დასავლეთის ცნობიერებაში დღესდღეობით ბერლინი და აღმოსავლეთი გერმანია დასავლეთის ისეთივე განუყოფელი ნაწილია, როგორც საფრანგეთი, ინგლისი და ა.შ. ამიტომ ჩვენ უკან დასახევი გზა არ გვექნება და ვიომებთ მთელი ძალით, ყველა იმ იარაღითა და რესურსით, რომლის გამოყენება აუცილებელი იქნება რუსეთის დასამარცხებლად. რუსეთის ელიტამ ეს შესანიშნავად იცის, ისიც იცის, რომ ასეთ ომს, მთელი დასავლეთის წინააღმდეგ ვერ მოიგებს და სწორედ ამიტომ, როგორი გამწარებულიც უნდა იყოს, გერმანიაში ჯარს არავითარ შემთხვევაში აღარ შეიყვანს. ახლა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებზე, საბჭოური ბლოკის, ანუ ვარშავის ხელშეკრულების ყოფილ მონაწილეებზე ვილაპარაკოთ. რა მოხდება, კრემლის „არწივებმა“ რომ აინყვიტონ და რაიმე საბაბით ამ ქვეყნებში კარები შეიყვანონ? დღესდღეობით აღმოსავლეთ გერმანიის საკითხისაგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში დასავლეთის განწყობა ნაკლებად მტკიცეა. რა თქმა უნდა, გავრცელებენ ძლიერ განცხადებებს, რუსეთის წინააღმდეგ მიიღებენ მტკიცე რეზოლუციებს და მას სანქციებს დაუწესებენ. რუსეთი უეჭველად მკაცრ იზოლაციაში აღმოჩნდება და ეს ყველაფერი ძვირი დაუჯდება. მაგრამ ძნელი სათქმელია, დასავლეთი ერთსულოვნად გადაწყვეტს თუ არა, რომ თერმობირთვული იარაღითა და საკონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტებით აღჭურვილი რუსეთის წინააღმდეგ იომოს იმ ტერიტორიების გამო, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნე ამ ქვეყნის უშუალო სფეროდ განიხილებოდა... რა შეიძლება

ითქვას ამ მხრივ ბალტიისპირეთის სახელმწიფოებზე, რომლებიც სსრკ-ის ყოფილი რესპუბლიკები არიან? მათ გამო დასავლეთი დღეს ნამდვილად არ იომებს და რუსეთის ელიტას ეს მშვენივრად ესმის. ამიტომ ისინი გაცილებით დიდი საფრთხის წინაშე დგანან, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. მათ სიფრთხილე მართებთ, რათა გაიარონ ეს გარდამავალი პერიოდი, გავიდნენ ფონს და გახდნენ დასავლეთის განუყოფელი ნაწილი. **რაც შეეხება საქართველოს, უნდა გესმოდეთ, რომ დასავლეთის მზადყოფნა, დაიცვას საქართველო რუსეთის იმპერიული რევანშიზმისგან, ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე ბალტიისპირეთის მიმართ. დასავლეთი არ დაგეხმარებათ არც სამხედრო ტექნიკით, არც ინსტრუქტორებით. ჰუმანიტარულ დახმარებასაც საქართველო ძირითადად შევარდნაძის ფაქტორის გამო იღებს. თქვენ გრჩებათ გზა – თავად უნდა მოაგვაროთ ურთიერთობა რუსეთთან, აფხაზებთან და სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ოსებთან. თუ ამას ვერ შეძლებთ, რუსეთთან პირისპირ დარჩებით, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დაიკარგება საქართველოსთვის და თვით საქართველოს დამოუკიდებლობაც დიდი საფრთხის ქვეშ დადგება“.**¹

ოთარ შალიკაშვილის რჩევა მართლაც რომ ჭკვიანური და პრაგმატულია, მაგრამ რამდენადაც მოსაწონია და გასათვალისწინებელია ეს რჩევა, მით უფრო რთულად განსახორციელებელია იგი საქართველოს ნებისმიერი ხელისუფლებისათვის პოსტსაბჭოთა სივრცეში და კონკრეტულად საქართველოსთან მიმართებაში რუსეთის მიზნებისა და ამ მიზნების განხორციელების ხერხების გამო. ამასთან ერთად, შეუძლებელია გავიხსენოთ თუნდაც ერთი პერიოდი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როდესაც სეპარატისტულ რეგიონებთან ქართული მხარის მიერ ურთიერთობის დალაგების მცდელობაში კრემლი პირდაპირ არ ჩაერია და ხელი არ შეუშალა აღნიშნული მოლაპარაკების პროცესს. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ ო. შალიკაშვილის ამ

¹ პეტრე მამრაძე. ავანტიურა 08.08.08. თბილისი, გამომცემლობა პალიტრა, 2012, გვ. 11-12 (ხაზგასმა ჩვენია – კ.ყ.).

სიტყვებიდან რამდენიმე წლის შემდეგ დასავლეთის პოზიცია ბალტიისპირეთის ქვეყნების მიმართ შეიცვალა და ისინი ნატოს წევრები გახდნენ. აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია, რომ საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა დასავლეთის სახელმწიფოების დამოკიდებულების შეცვლას, რათა, მსოფლიოში შექმნილი ვითარების ცვლილებასთან ერთად, ჩვენი ქვეყანაც, ბალტიისპირეთის ქვეყნების მსგავსად, გამხდარიყო ნატოს წევრი და ამით დაეღწია თავი რუსეთის გავლენისაგან.

პეტრე მამრაძის წიგნში დიდი ადგილი უჭირავს ჩვენი ქვეყნის მაშინდელი ხელისუფლების კრიტიკას. ავტორი ლამის ფსიქოლოგიურ მომენტებამდე აკრიტიკებს წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს და ზოგან პარალელებს აკეთებს შევარდნაძესა და მის ხელისუფლებასთან. მთელი ამ კრიტიკის აქ მოყვანა ნამდვილად შეუფერებელი იქნება, თუმცა, მაგალითად, ის მონაკვეთი, სადაც ავტორი ყოფილ თავდაცვის მინისტრს ირაკლი ოქრუაშვილს აკრიტიკებს, ნამდვილად უპრიანი იქნება: „პირველ მაისს თავდაცვის მაშინდელმა მინისტრმა ირაკლი უქრუაშვილმა საჯაროდ გამოაცხადა, რომ თუ საქართველო 2007 წლის პირველ იანვრამდე ვერ აღადგენდა კონტროლს თვითგამოცხადებულ სამხრეთ ოსეთზე, ის თანამდებობას დატოვებდა“.¹ ავტორი, რა თქმა უნდა, მართებულად აკრიტიკებს ოქრუაშვილის ამ განცხადებას, რადგან დიდი სიბრძნე არ არის საჭირო იმის განსაჭვრეტად, რომ ქვეყნის თავდაცვის მინისტრი ასეთ განცხადებებს, მით უმეტეს იმ სიტუაციაში, როდესაც იმ დროისათვის არათუ ნათქვამის პრაქტიკაში შესრულების, არამედ განცხადებულ ვადაში მოქმედების ალბათ რაციონალური გეგმაც კი არ არსებობდა საქართველოს ხელისუფლების მალალ ეშელონებში.

2008 წლამდე საქართველოს გზის მიმოხილვისას, პეტრე მამრაძე ასევე ეხება იმდროინდელი ხელისუფლების მიერ 2007 წელს წამოწყებულ კამპანიას ცხინვალის რეგიონში ად-

¹ პეტრე მამრაძე. ავანტიურა 08.08.08, გვ. 46.

მინისტრაციული ერთეულის შექმნასთან დაკავშირებით, რომელსაც სათავეში უნდა ჩადგომოდა დიმიტრი სანაკოევი. ამ თემაზე ჩვენ უკვე ზემოთ, მოკლედ ვისაუბრეთ, ამჯერად აღნიშნული წიგნის მიხედვით, გვსურს ყურადღება გავამახვილოთ, იმ კამპანიაზე, რომელიც მაშინ კოკოითის წინააღმდეგ აგორდა და სახელად „კოკოითი ფანდარასტ“ ერქვა. ავტორი აღნიშნავს, რომ: „ოსურ ენაში არ არის რუსული „Ф“-ს შესაბამისი ბგერა და კოკოითიმ რუსულად წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ თბილისში სხედან „პედერალები“, რომლებიც სთავაზობენ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას „პედერაციოში“ შესვლას... „ფანდარასტის“ „პედერასტთან“ ასონანსურ ასოციაციას თბილისში მაქსიმალურად უწევდნენ ექსპლუატაციას, სიტყვა „ფანდარასტს“ ძირითადად „პედერასტის“ მნიშვნელობით იყენებდნენ...

ელჟარდ კოკოითის ეს ყველაფერი აშკარად არ ანაღვლებდა. 8 აგვისტოს „კოკოითი ფანდარასტ“ კამპანიაზე საუბრისას, მან განუცხადა ჟურნალისტებს: „მინდა დაგარწმუნოთ, რომ მე გადავიტან როგორმე ამ კამპანიას“. ¹ ავტორის მკვეთრი, ოპოზიციური გადმოსახედიდან გამომდინარე, რთულია იმის მტკიცება, რამდენად იყო დაგეგმილი ოსური სიტყვა „ფანდარასტ“-ის, რაც ნიშნავს „ნადი“, „პედერასტ“-თან ასოცირება და ამ კონტექსტით კოკოითის აბუჩად აგდება, მაგრამ ფაქტია, რომ მაშინ საქართველოს მოსახლეობაში ყოველდღიურ იუმორისტულ დონეზე მსგავსი ასოციაცია ნამდვილად არსებობდა. ჩვენი აზრით, აღნიშნულ კამპანიას არ შეიძლება დაერქვას სწორი, რადგან იგი შეიცავდა „სამხრეთ ოსეთის“ დე ფაქტო პირველი პირის დამცირების ელემენტებს, ეს მომენტი კი ისედაც დაძაბულ ვითარებას უკეთესობისაკენ ნამდვილად ვერ შეცვლიდა.

ავტორი იხსენებს კიდევ ერთ საინტერესო ეპიზოდს, რომელიც მიხეილ სააკაშვილის სიტყვით გამოსვლას უკავშირდება: „4 დეკემბერს (2007 წლის – კ.ყ.) თბილისის სახელმწიფო

¹ პეტრე მამრაძე. ავანტიურა 08.08.08, გვ. 100-101.

უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრაზე სააკაშვილმა განაცხადა: „ცხინვალის რეჟიმი არის მოყანყალეული, როგორც ამოსაღები კბილი და მე დარწმუნებული ვარ, რომ 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების კარგად ჩატარების შემთხვევაში, ეს არის მართლა კვირეების ან თვეების საკითხი. ამაში აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული. ამაზე ზუსტი ინფორმაცია მაქვს“.¹ ძნელი სათქმელია, რამდენად ზუსტი იყო ინფორმაცია, რომელსაც ფლობდა საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტი, შესაბამისად, მისი განცხადების სისწორეზე მსჯელობა ჭირს. იმედი ვიქონიოთ, რომ ამ საკითხსაც, ისევე, როგორც მრავალ სხვა საკითხს ჩვენი ქვეყნისა თუ მსოფლიო ისტორიაში, ნათელს მოჰფენს დრო.

დასასრულს, მოკლედ შევხვთ პეტრე მამრაძის წიგნის ბოლოს თავად ავტორის მიერ მოცემულ ოთხ პუნქტს, რომელიც, ავტორის აზრით, საქართველოს ხელისუფლებას უნდა განეხორციელებინა 2008 წელს:

„1. უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ხელისუფლებას საჯაროდ და საზიგოდ უნდა განეცხადებინა, რომ არასოდეს და არავითარ შემთხვევაში არ გამოიყენებდა ძალას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დასაბრუნებლად...

2. საჭირო იყო გამოცხადება, რომ ქართველი ხალხისა და ხელისუფლებისათვის მთავარია აფხაზეთისა და ოსების ნდობის, მეგობრობისა და სიყვარულის მოპოვება; რომ ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრების საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ხალხის საქმეა; რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა ნდობა, მეგობრობა და სიყვარული იმ დონეზეა აღდგენილი, რომ ყოველი მხრიდან ადამიანები თვითონ ითხოვენ ამას და სახელმწიფო, როგორც თავისუფალი თანაცხოვრების, კეთილდღეობისა და განვითარების საუკეთესო საშუალება ადამიანების გულში უკვე გამთლიანებულია; რომ მანამდე სიტყვა „სტატუსის“ ხსენებაც კი კონტრპროდუქტიულია, ისევე, როგორც რაიმე

¹ პეტრე მამრაძე. ავანტიურა 08.08.08, გვ. 118.

ვადების დასახელება; რომ საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს აფხაზებისა ოსების ნდობის, მეგობრობის, სიყვარულის მოსაპოვებლად, მაგრამ არასოდეს მოახდენს არათუ ძალისმიერ, არამედ არც არავითარ პოლიტიკურ ზეწოლას ამ პროცესის დასაჩქარებლად....

3. უპირველეს ყოვლისა, რუსეთთან და სეპარატისტული რეჟიმების ხელმძღვანელებთან ერთად, შემდეგ კი რუსეთთან შეთანხმებით, ევროკავშირისა და აშშ-ის ჩართვით უნდა დაგვეწყოს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული პროექტების განხორციელება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ასეთ ინიციატივას ძალზე დადებითად მიიღებდა რუსეთიც და დასავლეთიც...

4. NATO-ში განევრებასთან დაკავშირებით დასავლეთთან და რუსეთის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით უნდა გამოგვეცხადებინა, რომ ჩვენი მიზანია, საქართველოსა და შესაბამისად, ჩვენი ყველა რეგიონის მცხოვრების უსაფრთხოება. ალიანსში შესვლას იმდენად აქვს აზრი, რამდენადაც ეს ასეთ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს... ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ ამავდროულად რუსეთი ინტენსიურად თანამშრომლობს ალიანსთან და მიგვაჩნია, რომ ალიანსში განევრებას მაშინ ექნება აზრი, როდესაც NATO და რუსეთი სრულ თანხმობას მიაღწევენ იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ყველა-სათვის მისაღებია და როდესაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა ამის წინააღმდეგი არ იქნება“.¹

ავტორის მიერ შემოთავაზებული გეგმის პირველ პუნქტზე, შეიძლება ითქვას, რომ, მართალია, საქართველოს ხელისუფლება უარს ამბობდა მსგავსი განცხადების ოფიციალურად გახმოვანებაზე, მაგრამ, ამავე დროს, ჩვენი აზრით, სავსებით სწორად უკავშირებდა ამ საკითხს რუსეთის პოზიციას და ითხოვდა, რომ ჯერ ამ უკანასკნელს განეცხადებინა საჯაროდ საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის პირობა. ვინაიდან რუსეთის ხელისუფლება უარს ამბობდა

¹ პეტრე მამრაძე. ავანტიურა 08.08.08, გვ. 269-271.

ასეთი გარანტიის მიცემაზე, ბუნებრივია, საქართველოს ხელმძღვანელობაც ცალმხრივად არ დგამდა ამ ნაბიჯს. ასე რომ, პ. მამრადის მოსაზრების გატარება საქართველოს ხელისუფლების მიერ, დიპლომატიური თვალსაზრისით, მცდარი გადაწყვეტილება იქნებოდა. გარდა ამისა, აქვე ჩნდება შეკითხვა: განა სააკაშვილის ხელისუფლება არ იყო მშვიდობიან მოლაპარაკებების ინიციატორი, რომელთა განხორციელებაც რუსეთის პოზიციის გამო გახდა შეუძლებელი? გასაგებია, რომ ავტორი მეტად კრიტიკულია საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ზემოთაც არაერთხელ აღინიშნა, რომ მაშინ ხელისუფლებას ჰქონდა რეალური გეგმები კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებისა, ხოლო მეტნაკლებად აგრესიული რიტორიკა ჩვენი ხელისუფლების მხრიდან კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში დაიწყო მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ რეგიონებში ვითარება დაიძაბა და გაჩნდა მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში.

მე-2 და მე-3 პუნქტებში ავტორს დასახელებული აქვს ის ღონისძიებები, რომლებიც აპრობირებულია სამშვიდობო ურთიერთობების განვითარების საშუალებებად, თუმცა ვერცერთ შემთხვევაში ვერ დავაღწევთ თავს კითხვას: მისცემდა კი კრემლი საქართველოს ხელისუფლებას რაიმე გრძელვადიანი სამშვიდობო გეგმის განხორციელების საშუალებას? ჩვენი აზრით, ეს ნაკლებად იყო სავარაუდო.

რაც შეეხება გეგმის მე-4 ნაწილს, ეს ნაწილი, დიმიტრი შველიძის ზემოაღნიშნულ წიგნში მიმოხილულ ერთ-ერთ სცენარს გვაგონებს, რომელშიც რუსეთსა და დასავლურ ინტერესებს შორის საქართველოს გაყოფაზეა საუბარი, რადგან, ჩვენი აზრით, საქართველოს ნატოში განწევრიანება ისე უმტკივნეულოდაც ვერ მოხდებოდა, როგორც ეს ავტორს აქვს აღნიშნული. ნატო-ს გაფართოება რუსეთს პანიკურ შიშს უღვიძებს: *„ვლადიმირ პუტინი ადრეც ამბობდა, – უკრაინას რაკეტებს დაუშვინებ, თუ აღიანსს მიუერთდება ან თავის ტერიტორი-*

აზე აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო ბაზებს განლაგებსო“.¹ დიდი სიბრძნე არ არის საჭირო იმის განსაჭვრეტად, რომ საქართველოს შემთხვევაშიც, რუსეთი კეთილგანწყობილი არ იქნებოდა ამ ნაბიჯის მიმართ. ჩვენი აზრით, საქართველოს ნატოში გაწევრიანებით შექმნილ „საფრთხეს“ რუსეთი დასავლეთის მიმართ ვერანაირ შეთანხმებაში ვერ გაცვლის.

ყველაფერ ზემოაღნიშნულთან ერთად, გვსურს ყურადღება გავამახვილოთ კიდევ ერთ ფაქტორზე, რომელსაც პეტრე მამრადიე ხაზს არ უსვამს და რომელსაც რუსეთის მიერ საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი ყველანაირი სამშვიდობო პოლიტიკური თუ ეკონომიკური გეგმის ბრმად უარყოფა ჰქვია. ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ საქართველოს ხელისუფლება სამშვიდობო ინიციატივით 2004 წლიდან მოყოლებული 2008 წლამდე ლამის ყოველ წელს გამოდიოდა, თუმცა ამ პერიოდის მანძილზე არც აფხაზეთისა და არც ცხინვალის რეგიონის სეპარატისტული, დე ფაქტო ხელისუფლებების წარმომადგენლებს გეგმათა არცერთ ნაწილსა და კომპონენტზე არ განუცხადებიათ თანხმობა. ამ შემთხვევაში აუცილებელია იმის თქმა, რომ ბატონი პეტრეს მიერ მოცემული გეგმები, შეიძლება ითქვას, იდეალურია, თუმცა ისინი იდეალურია მხოლოდ ჰიპოთეტურად, განსახორციელებლად კი ეს გეგმები ფაქტობრივად წარმოუდგენლად რთულია.

ზოგადად პეტრე მამრადის წიგნზე უნდა ითქვას, რომ იგი წარმოადგენს მეტად პოლიტიზებულ ნაშრომს, სადაც ჩვენ თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის კრიტიკას. ამას ავტორი ზოგან მართებულად აკეთებს, ზოგან კი მისი კრიტიკა აშკარად პოლიტიკურ ელფერს იძენს, რჩება შთაბეჭდილება თითქოს საკმარისია საუბარი ეხებოდეს სააკაშვილს და ავტორი მზად არის ყველანაირი რისხვა დაატეხოს მას ამა თუ იმ რეალური ან გამოგონილი არგუმენტით. ავტორი ასევე ხშირად მიმართავს სააკაშ-

¹ რუბრიკა „რას წერენ ჩვენზე“. თინათინ მარგველაშვილი. „იმედის გასამყარებლად“. – გაზ. „კვირის პალიტრა“, №11 (681), 2008წ. 17-23 მარტი, გვ. 16.

ვილისა და შევარდნაძის პერიოდების შედარებას და ამ ფონზე არ ერიდება შევარდნაძის პიროვნების ხშირად ზედმეტ განდიდებასაც, რასაც აშკარად ვერ დავეთანხმებით.

საბოლოო ჯამში, დასკვნის სახით, პეტრე მამრადის ნიგნზე უნდა ითქვას, რომ ამ ნიგნში მოყვანილია რიგი საინტერესო ფაქტებისა, რაც, ძირითადად, თავად ავტორის პოლიტიკური კარიერის პერიოდს ეხება, სხვა მხრივ კი, ნიგნი უთუოდ ძალიან სუბიექტურ პოლიტიკურ მუხტს ატარებს და სამეცნიერო ღირებულება ნაკლებად გააჩნია, ზოგიერთი დებულება კი (თუნდაც, ნიგნის სათაური) საერთოდ ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და უფრო რუსული პროპაგანდის ნიმუშად გვევლინება.

2012 წელს გამოსული ნიგნების შემდეგ, მიმოვიხილოთ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომზე 2013 წელს გამოსული ნიგნები, რითაც დავასრულებთ ჩვენი ნაშრომის პირველ თავს. 2013 წლის გამოცემათაგან ყურადღებას გავამახვილებთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ელგუჯა მამუკელაშვილის ორ ტომზე, რომელთაგან პირველ ტომში: „ცივი აგვისტო. ნიგნი პირველი – აფხაზეთი (1992-1993)“ – საუბარია აფხაზეთის კონფლიქტური რეგიონის პრობლემებზე, ხოლო მეორე ტომში: „ცივი აგვისტო. (ასი უპასუხო კითხვა). ნიგნი II – ცხინვალი (2008წ.)“ – ცხინვალის რეგიონის პრობლემებზე და ამ პრობლემების პოლიტიკურ-ისტორიულ ასპექტებზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ავტორი პირველ ტომში საუბრობს აფხაზეთში 1992-1993 წლებში განვითარებულ მოვლენებზე, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ავტორი ამ მოვლენების მეტ-ნაკლებად ამომწურავ სურათს და ანალიზს გვთავაზობს. ავტორისეული მსჯელობა, ეხება აღნიშნულ საკითხზე არსებულ ისტორიოგრაფიის მომიხილვას, ამასთან ერთად კი შიგადაშიგ გვთავაზობს საკუთარ აზრებსა და შეხედულებებს საქართველოს ამჟამინდელი მთავრობის სასურველი სამოქმედო გეგმის შესახებ: „მიგვაჩნია, ახალი ხელისუფლება საქართველოში დგას ახალი, სრულიად განსხვავებული ამოცანა-არჩევანის წინაშე. მან უნდა შეინარჩუნოს კეთილმეზობლური ურ-

თიერთობა ახლო და შორეულ ქვეყნებთან. გამოიმუშაოს საგარეო პოლიტიკის – დიპლომატიის მეცნიერულად გათვლილი კონცეფცია, განსაზღვროს საკუთარი ქვეყნის საერთაშორისო დანიშნულება, დაიმკვიდროს თავისი ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში...“¹ აღსანიშნავია, რომ ნაშრომი არ გამოიჩინებდა არც გამოყენებული მასალის მრავალფეროვნებით. ავტორი გვთავაზობს პრობლემის საკუთარ ხედვას, რომელიც ჩვენს მიერ ზემოაღნიშნული ნაშრომების მიმოხილვის შემდეგ, არანაირად არ წარმოადგენს სიახლეს რომელიმე საკითხთან მიმართებაში.

რაც შეეხება ელგუჯა მამუკელაშვილის წიგნის მეორე ნაწილს: „ცივი აგვისტო (ასი უპასუხო კითხვა) წიგნი II – ცხინვალი (2008წ.)“ – აქ ავტორი 2008 წლის მოვლენების მიმოხილვისას ეყრდნობა საგაზეთო პუბლიკაციებს. აღსანიშნავია, რომ საკუთარი ნაშრომის პირველ გვერდებზე მას მოჰყავს დასავლური გამოცემების ქართულ ენაზე თარგმნილი ტექსტები. მაგალითად, ნაშრომის 14-17 გვერდები ეძღვნება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის მიერ საკუთარ მემუარებში მოყვანილ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შეფასებებს, გამოქვეყნებულს გაზ. „ქართულ ოცნებაში“ 2012 წლის აგვისტოში. რა თქმა უნდა, მსგავსი ტიპის მასალის გამოყენებას, მაშინ როდესაც კონდოლიზა რაისის მემუარები საყოველთაოდ ხელმისაწვდომია ინტერნეტ სივრცეში, თანაც ორიგინალში, ინგლისურ ენაზე, მეტად უადგილოდ მივიჩნევთ. ამგვარად, ელგუჯა მამუკელაშვილის ნაშრომის მეორე ტომზეც შეიძლება პირველი ტომის მსგავსი შეფასება გაკეთდეს. ნაშრომი წარმოადგენს ამა თუ იმ ხელმისაწვდომი წყაროების მიმოხილვასა და ანალიზს, რის შემდეგაც ავტორი აკეთებს საკუთარ დასკვნებს და ერთ-ერთ ეპიზოდში სვამს ასეთ კითხვას: „დღეს ხელისუფლება აცხადებს, რომ ქართული სახელმწიფო რუსეთის მიერ დაგებულ მახეში გაება. მთავარი საკითხია –

¹ ელგუჯა მამუკელაშვილი. ცივი აგვისტო (წიგნი პირველი – აფხაზეთი (1992-1993 წწ.). თბილისი, 2013, გვ. 39.

გააკეთა თუ არა ჩვენმა ხელისუფლებამ ყველაფერი, რათა ქვეყანა მახეში არ გაბმულიყო“.¹ ავტორის მიერ დასმული ეს კითხვა ფაქტობრივად ჩვენი ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს, რომელსაც ჩვენ აღნიშნული ნაშრომის დასკვნით ნაწილში შევეხებით.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შესახებ 2013 წელს გამოცემულ წიგნებს შორის აღსანიშნავია ასევე ალექსანდრე დაუშვილის წიგნი: „ფიცი მწამს – ბოლო მაკვირვებს!... რონალდ დ. ასმუსის წიგნის: „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“ (თბ., 2010, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა) გამოცემის გამო“, – რომელშიც ავტორს მოცემული აქვს რონალდ ასმუსის ცნობილი წიგნის კრიტიკა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ წიგნის მიმოხილვამდე უპირიანი იქნება თავად რონალდ ასმუსის წიგნის მიმოხილვა, რასაც ჩვენ ადგილს ნაშრომის მეორე თავში დავუთმობთ. სხვაგვარად მეტად რთული იქნება გარკვეული შეხედულებებისა და დასკვნების ჩამოყალიბება ალექსანდრე დაუშვილის წიგნის შესახებ.

ასეთია, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ, ქართულ ენაზე დღეისათვის არსებული და ხელმისაწვდომი ლიტერატურის, შეძლებისდაგვარად ვრცელი მიმოხილვა, რის საფუძველზეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თანამედროვე ქართულ სამეცნიერო სივრცეში, ჩვენთვის საინტერესო საკითხი საკმაოდ ფართოდ არის შესწავლილი იმის ფონზე, რომ მოვლენიდან ჯერ მხოლოდ 7 წელი გავიდა, მასზე, ქართულ სივრცეში უკვე არსებობს 12 სამეცნიერო და 2 პოპულარული ხასიათის გამოცემა, წიგნი, საიდანაც საკითხით დაინტერესებული მკითხველი მეტად ფართოდ და საინტერესოდ ინფორმაციას მიიღებს. აღსანიშნავია ასევე ზემოაღნიშნულ ნაშრომებში არსებული პოლიტიკური ტენდენციურობა, რაც არ არის გასაკვირი, განსაკუთრებით იმის ფონზე, როდესაც ჩვენთვის საინტერესო მოვლენიდან ასე ცოტა დრო არის გასული. ბუ-

¹ ელგუჯა მამუკელაშვილი. ცივი აგვისტო (ასი უპასუხო კითხვა). წიგნი II. ცხინვალი (2008). თბილისი, 2013, გვ. 124.

ნებრივია, რომ სხვადასხვა ნაშრომსა და ავტორს, ახასიათებს ტენდენციურობა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. ჩვენს მიზანს აღნიშნულ თავში წარმოადგენს ზემოაღნიშნულ ავტორთა პოზიციების შეფასება და საკუთარი ანალიზისა და დასკვნების გაკეთება, რაც შევეცადეთ, ამ თავში შეძლებისდაგვარად მკაფიოდ და მკვეთრად განგვეხორციელებინა.

დასკვნის სახით, მოვიყვანდით ერთ მცირე მოსაზრებას, რომელსაც საფუძვლად საკუთარი დაკვირვება დაედო. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს უკანასკნელი ომიდან მხოლოდ 7 წელი გავიდა და ის ემოციები ჩვენთვის და ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილისათვის ჯერ კიდევ ცოცხალია, ასევე მიუხედავად იმისა, რომ ვცხოვრობთ XXI საუკუნეში და ჩვენთვის დღეს ინტერნეტსივრცეში ინფორმაციის მოძიება არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს, უნდა ითქვას ერთი რამ – ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, აქვს და ექნება მეცნიერის მიერ, კარგი ხარისხით შესრულებული ნაშრომის – წიგნის წაკითხვას თუნდაც ამგვარი „ახალი“ საკითხის შესახებ, რადგან განსხვავებით ინტერნეტსივრცეში მოძიებული მასალისაგან, ავტორის მიერ გადამუშავებული მასალა, ფიქრის, ყოველთვის, უფრო მეტად ფართო ასპარეზს გვიხსნის და საკუთარი დასკვნების გაკეთებაშიც უფრო მეტ დახმარებას გვინევს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, შესაძლოა უკვე ამ ეტაპზე ითქვას, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს, მოვლენიდან უკვე 7 წლის შემდეგ, ქართულ ენაზე მეტად ვრცელი და საინტერესო ისტორიოგრაფია გააჩნია.

თავი მეორე

ინგლისურენოვანი ლიტერატურა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ

საკითხით დაინტერესებული ნებისმიერი ადამიანისთვის ცხადია, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წელს მომხდარი ომი, ამ ორ ქვეყანას შორის არსებულ დაპირისპირებაზე შორს მიდიოდა და არა მხოლოდ ლოკალური, არამედ გლობალური მასშტაბი ჰქონდა როგორც რუსეთის, ისევე საქართველოსა და ზოგადად „ახალი ცივი ომის“ მონაწილე ქვეყანათა ორი დაპირისპირებული ბანაკისათვის. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ ომს საკმაოდ ფართო გამოხმაურება მოჰყვა დასავლურ მედიასა თუ სამეცნიერო სივრცეში.

ამ შემთხვევაში, ჩვენს კონკრეტულ მიზანს წარმოადგენს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შესახებ დღეისათვის არსებული ინგლისურენოვანი ლიტერატურის მიმოხილვა და ყურადღების გამახვილება იმ ფაქტებსა და ასპექტებზე, რომელზეც ინგლისურენოვანი ავტორები აკეთებენ აქცენტს.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ, დღეისათვის ყველაზე პოპულარულ, ინგლისურენოვან ნაშრომად ითვლება რონალდ ასმუსის ცნობილი წიგნი „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს წიგნი გამოცემულია 2010 წელს, მაშინ როდესაც ხელმისაწვდომია 2009 წელს ნიუ იორკში გამოცემული სტატიათა კრებული: „2008 წლის აგვისტოს ქვემეხები. რუსეთის ომი საქართველოში“ – სვანტე ე. კორნელისა და ს. ფრედერიკ სტარის რედაქციით.¹

წიგნი შედგება სხვადასხვა ავტორის 10 სტატიისაგან, რომელნიც სხვადასხვა კუთხით მიმოხილავენ 2008 წლის

¹ The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S. Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute. Armonk, NY–London, 2009.

რუსეთ-საქართველოს ომს, თუმცა სანამ აღნიშნული სტატიების მიმოხილვას შევუდგებოდეთ, მეტად საყურადღებოა, წიგნის შესავალ ნაწილამდე გამოქვეყნებული, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი დოკუმენტი – პროკლამაცია, რომელიც დაურიგდათ რუს ჯარისკაცებს 2008 წლის ივლისის შუა ხანებში დაწყებული სამხედრო წვრთნების „კავკასია 2008“-ს პერიოდში. წიგნში მოცემულია დოკუმენტის ორიგინალი და მისი თარგმანი ინგლისურ ენაზე. რუსული პროკლამაციის ქართული თარგმანი ასეთია:

„მომარო, იცნობდე შენს სავარაუდო მტერს!

2001 წლიდან მოყოლებული, საქართველოს ხელისუფლებამ მკვეთრად შეცვალა პოლიტიკური გეზი, რუსეთთან კეთილმეზობლური და მეგობრული დამოკიდებულებიდან. აიღო რა გეზი, ჩვენს სახელმწიფოსთან ურთიერთობის ესკალაციაზე, საქართველოს ხელისუფლება ყველანაირი გზით იღვწის ნატო-ში შესასვლელად, აქტიურად ატარებს ქვეყნის მილიტარიზაციის პოლიტიკას.

საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობა: სახმელეთო ნაწილები, სამხედრო-საჰაერო ძალები და ანტი-საჰაერო თავდაცვა, სამხედრო-საზღვაო ძალები, ეროვნული გვარდია.

საქართველოს შეიარაღებული ძალების რაოდენობა – 32 700 ადამიანი.

თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 2008 წლისათვის – 970 მლნ \$.

სახმელეთო სამხედრო ნაწილები

რაოდენობა 22 000 ადამიანი.

საქართველოს სახმელეთო სამხედრო ნაწილები შედგება 5 ბრიგადისა და 8 ცალკეული ბატალიონებისაგან

-1-ლი ქვეითი ბრიგადა (ქ. გორი). 2002-2004 წლებში გაიარა სამხედრო სწავლება ამერიკული პროგრამის GTEP-ის მიხედვით. 2005-2006 წლებში, ნაწილობრივ ამერიკული პროგრამის GSSOP-ის მიხედვით.

-2- ქვეითი ბრიგადა (სენაკის სამხედრო ბაზა და ქ.ბათუმი). 2005 წელს გაიარა სამხედრო სწავლება ამერიკული პროგრამის GSSOP II-ის ფარგლებში, პრაქტიკა მიიღო ერაყში.

-3- ქვეითი ბრიგადა (ქ. ქუთაისი და მუხროვანის ახალციხის სამხედრო ბაზა). 2006 წელს გაიარა სწავლება ამერიკული პროგრამის GSSOP II-ის მიხედვით, 2006-2008 წლებში პრაქტიკა მიიღო ერაყში. 32-ე ბატალიონი 2007 წელს იყო კოსოვოში.

-4- ქვეითი ბრიგადა (ქ. თბილისი და მუხროვანის სამხედრო ბაზა) ფორმირებულია ყოფილი შინაგანი ჯარების სამხედრო მოსამსახურეებისგან.

-5- ქვეითი ბრიგადა (ქ. ბათუმი და ქ. ფოთი)

ქართული არმიის შეიარაღება შედგება:

ტანკები – T-72B1, T-72M T-72AB (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გეგმების მიხედვით, ყველა 165 ერთეული T-72 გადის მოდერნიზაციას T-72 SIM-1-ის დონეზე).

ჯავშანმანქანები: БМП-1, БМП-2, БТР-80, МТЛБ, БРДМ-2, ჯავშნოსანი ავტომობილები – კობრა.

ლულიანი არტილერია: 203 მმ-იანი 2С7 САУ «ПИОН», 152 მმ-იანი 2С19 САУ Мста-С, 152 მმ-იანი ბუქსირებადი ჰაუბიცა 2А65 Мста-Б, 152 მმ-იანი 2А36 ბუქსირებადი ქვემეხი Гуацунт-Б, 152 მმ-იანი САУ DANA, 122 მმ-იანი 2С3 САУ Акация, 22 მმ-იანი ბუქსირებადი ჰაუბიცა 2А18 Д-30, 100 მმ-იანი ბუქსირებადი ქვემეხი МТ-12, 40 85 მმ-იანი ბუქსირებადი ქვემეხი Д-44.

ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები: 262 მმ-იანი М-87 «Оркан», 122/160 მმ-იანი Лар-160 GRADLAR, 122 მმ-იანი RM-70, 122 მმ-იანი БМ-21 Град, 128 მმ-იანი М63 «Памен».

2008 წლის 26 იანვარს, საქართველომ უარი თქვა კალაშნიკოვის სისტემის ავტომატებზე, ამერიკული წარმოების М-4 ტიპის ავტომატების სასარგებლოდ.

ძლიერი მხარეები

- საქართველოს სახმელეთო ჯარების ქვედანაყოფების, ნატო-ს ინსტრუქტორების მიერ მომზადება;

- საქართველოს სამხედრო ძალების შეიარაღება ამერიკული, ფრანგული და თურქული შეიარაღებითა და ტექნიკით. არსებული საბჭოთა შეიარაღება და ტექნიკა განიცდის განახლების პროცესს ან მთლიანად იცვლება უახლესი ტექნიკით;

- აშშ-სა და ნატო-ს მიერ სამხედრო ძალების მომზადების დაფინანსება;

- სამხედრო გამოცდილების დაგროვება მე-2 და მე-3 ქვეითი ბრიგადების მიერ ერაყსა და კოსოვოში, ნატო-ს ჯარების შემადგენლობაში;

სუსტი მხარეები

- სამხედრო დისციპლინის დაბალი დონე და სამხედრო მოსამსახურეთა მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა. შეინიშნება დეზერტირობის შემთხვევები, ლოთობა ქვეით ნაწილებში;

- ახლახან გამოქვეყნებული, ქართველი სამხედრო პერსონალის გამოკითხვის მიხედვით, ქართველი ჯარისკაცის ყველაზე დიდი და ნათელ ოცნებად სახელდება არა „სააკაშისტების“ აგრესიულ-მილიტარისტული გეგმების ცხოვრებაში განხორციელება, არამედ სამსახური ერაყში. ამგვარი სამსახურით ქართველ მეომარს სახლში მოაქვს დაახლოებით 10 ათასი ამერიკული დოლარი, რითაც საკუთარი ოჯახის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორების საშუალება ეძლევა;

- ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის, იმ ქვედანაყოფების განსწავლულობის დაბალი დონე, რომელშიც ამერიკელი ინსტრუქტორები არ იმყოფებიან.

დაბეჭდილია გაზეთ „დობლესტის“ ტიპოგრაფიაში¹.

აღნიშნულ ამონარიდს ვრცლად კომენტირება ნამდვილად არ სჭირდება. ეს დოკუმენტი ნათელს ჰფენს რუსული სამხედრო ნაწილების მომზადების დონეს საქართველოსთან საბრძოლველად. როგორც ვხედავთ, რუსულ მხარეს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული არცერ-

¹ The Guns of August 2008, გვ. XI.

თი რეფორმა და სიახლე არ დარჩენია ყურადღების მიღმა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს რუსეთის გეგმებს საქართველოში და ასევე ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის სურვილს, გვიხილოს სამხედრო თვალსაზრისით მუდმივად დასუსტებული, რათა ჩვენზე საკუთარი გავლენის გავრცელების საშუალება მუდმივად ჰქონდეს. ხოლო შეკითხვაზე – გეგმავდა თუ არა რუსეთი სამხედრო ინტერვენციას საქართველოში? – დადებით პასუხს ზემოაღნიშნული ამონარიდი გასცემს.

ნიგნის რედაქტორთა შესავლის შემდეგ, კრებულის პირველი სტატიის ავტორია ამერიკელი ჟურნალისტი და პოსტსაბჭოთა სივრცის მკვლევარი – თომას გოლცი, სტატიის სათაურია: „სამოთხეში ცხოვრების პარადოქსი: საქართველოს ქაოსში გადაშვება“.¹ ავტორი სტატიას იწყებს ყველა ქართველისათვის კარგად ცნობილი მითისა თუ ქართული სადღეგრძელოს გახსენებით, რის მიხედვითაც კაცობრიობისთვის მიწების დარიგების დროს უფალთან ქართველები დაგვიანებით გამოცხადდნენ, მიზეზად კი დაასახელეს ის, რომ ღმერთის დიდებასა და მის სახელზე სადღეგრძელოებისა და სიმღერების წარმოთქმაში ამ მნიშვნელოვან პროცესზე დაგვიანდათ, ამასობაში უფალს ყველა ეროვნების ადამიანებისთვის მიწები უკვე დაენანილებინა. დარჩენილი იყო მიწის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც უფალმა თავისთვის დაიტოვა, ანუ სამოთხე დედამიწაზე. საბოლოოდ, ღმერთმა დაგვიანებულ ქართველებს მიწიერი სამოთხის ნაწილი უბოძა.²

ქართველებისათვის ამგვარი სახალისო თუ სატირალი შესავლის შემდეგ, ავტორი საინტერესოდ მიმოიხილავს იმ პროცესებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. ნაშრომში მეტად ფართოდ

¹ Thomas Goltz. The Paradox of Living in Paradise: Georgia's descent into Chaos. – In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S. Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute. NY–London: Armonk, 2009, გვ. 10.

² Thomas Goltz. The Paradox of Living in Paradise, გვ. 10.

არის მიმოხილული ის პრობლემები, რამაც საქართველო მიიყვანა ომამდე ჯერ ე.წ. სამხრეთ ოსეთში, ხოლო შემდეგ – აფხაზეთში. გოლცი არაერთგზის აღნიშნავს, რომ ქართველების წინააღმდეგ იმ დროს იბრძოდნენ არა მხოლოდ ოსი და აფხაზი სეპარატისტები, არამედ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი – რუსეთი და ასევე სხვა კავკასიელი ხალხი.¹

განსაკუთრებით საინტერესოდ ეხება თომას გოლცი აფხაზეთის საკითხს და იმ წინაპირობებს, რამაც 1992-1993 წლების აფხაზეთის ომამდე მიიყვანა საქართველო. აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის იმპერიის მიერ გერმანელების, ბერძნების, სომხებისა და სხვა ხალხის ხელოვნურ მიგრაციასა და საუბრის შემდეგ, ავტორი ეხება ბოლშევიკების პოლიტიკას და აღნიშნავს, რომ ლავრენტი ბერიას მიერ აფხაზეთში მეგრულთა ჩასახლების მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ დამცრობილიყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და ოფიციალური ენაც ამ მხარეში, აფხაზურის ნაცვლად ყოფილიყო ქართული. სწორედ ამიტომ, 1953 წელს სტალინისა და ბერიას სიკვდილი აფხაზეთში მცხოვრები, აფხაზეთის ფართო ავტონომიისა თუ დამოუკიდებლობის მომხრე აფხაზებისათვის სასიხარულო მოვლენად ქცეულა.²

აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაში ავტორი ამჟღავნებს არცთუ ღრმა ცოდნას აფხაზეთში გასული საუკუნის შუა ხანებში მიმდინარე მოვლენების შესახებ. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ როდესაც საუბარი არის დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის (და არა მეგრული მოსახლეობის, როგორც ამას რატომღაც ხაზს უსვამს თ. გოლცი) ორგანიზებულ ჩასახლებაზე აფხაზეთში, ეს ფაქტი განაპირობა მინისძვრის შედეგად ამ ხალხის უსახლკაროდ დარჩენამ.³ ამასთან, რაიმე განსაკუთრებული დემოგრაფიული ცვლილება ორგანიზებული

¹ Thomas Goltz. The Paradox of Living in Paradise, გვ. 18.

² Thomas Goltz. The Paradox of Living in Paradise, გვ. 21.

³ ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვეთი II. 1917-1993. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა, 2007, გვ. 148.

ჩასახლების შედეგად არ მომხდარა. რაც შეეხება ქართული ენის სტატუსს იმდროინდელ აფხაზეთში, უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1926 წლის კონსტიტუციის მიხედვით, აფხაზეთის სსრ-ს „სახელმწიფო ენად“ ცხადდებოდა აფხაზური, ქართული და რუსული.¹ „სახელმწიფო ენის“ საკითხი უცვლელი რჩებოდა აფხაზეთის სსრ-ს 1935 წლის კონსტიტუციის მიხედვითაც, როდესაც ავტონომიური რესპუბლიკის „სახელმწიფო ენად“ დარჩა აფხაზური, ქართული და რუსული.² ამგვარად, როგორც თავად აფხაზეთის სსრ-ს კონსტიტუციით ირკვევა, ქართულ ენას აფხაზურსა და რუსულთან ერთად, იმთავითვე ოფიციალური სტატუსი ჰქონდა აფხაზეთში.

მოგვიანებით 1945 წელს აფხაზეთში გატარდა სასკოლო რეფორმა, რის მიხედვითაც ე.წ. „აფხაზურ“ სკოლებში სწავლება ქართულ ენაზე გადავიდა. მანამდე, XX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს აკაკი შანიძის, სიმონ ჯანაშიას და დიმიტრი გულიას მიერ შეიქმნა აფხაზურ ანბანი ქართული გრაფიკის საფუძველზე.³ ამ რეფორმასთან დაკავშირებით, მეტად საინტერესოა 1952 წლის 4 დეკემბრით დათარიღებული საქართველოს სსრ კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივნის აკაკი მგელაძის მოხსენება სტალინის მიმართ. როგორც ცნობილია, მგელაძეს 1943-1951 წლებში ეკავა საქართველოს სსრ კომუნისტური პარტიის სოხუმის ქალაქკომის და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობა, შესაბამისად, იგი საკმაოდ კარგად იცნობდა 40-იანი წლების შუა ხანებში აფხაზეთში შექმნილ ვითარებას. მგელაძის მოხსენების

¹ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შენადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ სამართლებრივი აქტების კრებული. რედაქტორი თამაზ დიასამიძე. რეგიონალიზმის კვლევის ცენტრი. თბილისი, 2004, გვ. 138.

² აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შენადგენლობაში (1917-1988), გვ. 172-173.

³ ამ რეფორმაზე და მისი გატარების მიზეზებზე დანვრილებით იხ.: ზურაბ შაპასჯიანი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვ. II, გვ. 132-148.

მიხედვით, 1945-46 სასწავლო წლამდე აფხაზეთის სსრ-ს ტერიტორიაზე მდებარე 417 სკოლიდან მხოლოდ 81 სკოლა იყო აფხაზურენოვანი. ამ სკოლებში პირველი ოთხი კლასის განმავლობაში სასწავლო პროცესი აფხაზურ ენაზე მიმდინარეობდა, ხოლო მეხუთე კლასიდან კი სწავლა გრძელდებოდა ქართულ ან რუსულ ენებზე. საბოლოო ჯამში, მგელაძის თქმით, აღნიშნული სასწავლო გეგმა ინვევდა პრობლემას, რადგან მაღალ კლასებში მოსწავლეები ვერ ახერხებდნენ რუსული და ქართულენოვანი სასწავლო პროგრამების დაძლევისას. ამის გამო, აფხაზურენოვანი მოსწავლეები ფაქტობრივად ვერ აბარებდნენ უმაღლეს სასწავლებლებში. ვითარებიდან ერთადერთ გამოსავალს, მგელაძის თქმით, წარმოადგენდა აფხაზურენოვანი სასკოლო პროგრამების ჩანაცვლება ქართული და რუსულენოვანი პროგრამებით, რადგან აფხაზური ენა სტრუქტურულად გამართული არ იყო და ამ ენაზე ფიზიკურად შეუძლებელი იყო მთელი რიგი საგნობრივი ტერმინოლოგიის შედგენა. ამასთან ერთად, აფხაზეთის სსრ-ს მასშტაბით, სასკოლო პროგრამებისათვის ქართულ და რუსულ ენებს შორის, მგელაძის აზრით, უპირატესობა უნდა მინიჭებოდა ქართულ ენას, რადგან თავად აფხაზურ ენაში მრავლად იყო ქართული ენიდან შეთვისებული ელემენტები და, გარდა ამისა, აფხაზეთის სსრ-ს მაშინდელი 375 ათასიანი მოსახლეობიდან, მხოლოდ 58 ათასი იყო აფხაზი, 208 ათასი კი ქართველი, 65 ათასი რუსი, 41 ათასი სომეხი და 3 ათასი სხვა ეთნოსის (უკრაინელები, ბელორუსები, ესტონელები, ბერძნები და ა.შ.) წარმომადგენელი. ამასთან ერთად, მგელაძის მიხედვით, აფხაზეთის ექვსი რაიონიდან ოთხში – გაგრაში, გალში, სოხუმსა და გულრიფშში აფხაზები თითქმის არ ცხოვრობდნენ. ისინი ამ პერიოდისათვის, ძირითადად ოჩამჩირისა და გუდაუთის რაიონებში მოსახლეობდნენ.¹

¹ Докладная записка секретаря ЦК Компартии Грузии А. Мгеладзе И. В. Сталину о проблеме Абхазии. იხ.: <https://matiane.wordpress.com/2013/04/22/report-to-stalin-on-abkhazia/>.

აფხაზეთის ომზე საუბრისას, ავტორი მეტნაკლებად ვრცლად ეხება საომარ მოქმედებებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა 1992-1993 წლებში, რასაც ასრულებს ხაზგასმით: „საბოლოოდ ცხადი გახდა, რომ საქართველო ასევე იბრძოდა რუსული ჩრდილოვანი სამხედრო ელემენტების წინააღმდეგ, რომელნიც აფხაზებს ამარაგებდნენ იარაღით, ლოჯისტიკითა და ავიაციითაც კი“.¹

მსგავსი პოზიცია უჭირავს ავტორს სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში, სადაც ხაზს უსვამს პირველ რიგში ოსების წარმომავლობასა და მათ ირანულენოვნებას,² ხოლო შემდეგ „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიური ადმინისტრაციული ერთეულის შექმნის აბსურდს იმის ფონზე, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებ 150 000 ოსთაგან ნახევარზე მეტი ცხოვრობდა „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიის გარეთ, რომელიც თავის მხრივ დასახლებული იყო როგორც ოსებით, ასევე ქართველებით.³

ამგვარად, ავტორი მეტად დრამატულად მიმოიხილავს საქართველოს უახლეს ისტორიას დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ და დასძენს, რომ: „გამსახურდიას მოთხოვნამ, რომ საქართველო ქართველებს დარჩენოდათ, ედუარდ შევარდნაძეს უანდერდა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი საბელმნიფო“.⁴

ამ შემთხვევაში, ავტორი ავლენს არცთუ ღრმა ცოდნას იმ შიდა მოვლენებისა, რომელთაც საქართველოში ჰქონდა

¹ "Finally, and most ominously, it became clear that Georgia was also fighting against shadowy elements of the Russian military who supplied the motley Abkhaz forces with weapons, logistics, and even aviation." – The Guns of August 2008, გვ. 25.

² Thomas Goltz. The Paradox of Living in Paradise, გვ. 17.

³ "The irony of the creation of this territorial entity is that of the some 150,000 Ossetians living in Georgia, over half lived outside the Ossetian Autonomous area, which was itself populated by a roughly equal proportion of ethnic Ossets and ethnic Georgians..." – Thomas Goltz. The Paradox of Living in Paradise, გვ. 18.

⁴ Thomas Goltz. The Paradox of Living in Paradise, გვ. 27.

ადგილი საბჭოთა იმპერიის დაშლისა და საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ცხადია, რომ საქართველოს, როგორც ქვეყნის, ჩამოყალიბების პროცესში ყოფნა არ იყო განპირობებული მხოლოდ და მხოლოდ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკით. ეს იყო ბუნებრივი პროცესი იმის ფონზე, რომ ჩვენს ქვეყანას უკანასკნელი 70 წლის მანძილზე საკუთარი სახელმწიფო არ ჰქონია.

კრებულის ჩვენთვის საინტერესო შემდგომი სტატიის ავტორია ვლადიმერ პუტინის ყოფილი მრჩეველი ეკონომიკის საკითხებში ანდრეი ილარიონოვი. მისი სტატიის სათაურია: „რუსული მმართველი წრეების საომარი სამზადისი, 1999-2008“.¹ ავტორი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის ჩანასახებს ხედავს ჯერ კიდევ შორეულ 1999 წელს, როდესაც პუტინმა „ჩაიბარა“ რუსეთი. ილარიონოვი მიიჩნევს, რომ რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლამდე გადადგა მთელი რიგი ისეთი ნაბიჯები, რომელმაც მოგვიანებით, სააკაშვილის გაპრეზიდენტების პერიოდში, ომი ამ ორ ქვეყანას შორის გარდაუვალი გახადა.²

სტატიაში მასალების უაღრესად საინტერესო ანალიზია მოცემული. ავტორი გვთავაზობს მოქმედებათა ქრონოლოგიურ ჯაჭვს, რომელსაც 1999 წლიდან მოყოლებული 2008 წლის „აგვისტოს ომამდე“ მოვყავართ. აღნიშნული ქრონოლოგიური ჯაჭვი ჩვენ პირობითად 25 რგოლად დავყავით. ილარიონოვის მიხედვით:

1) 2000 წლის 9 ნოემბერს, რუსეთის ფედერაციის მესვეურებმა გააუქმეს დსთ-ს მასშტაბით მოქმედი კანონი უვიზო მიმოსვლის შესახებ, რის მიხედვითაც, რუსეთში გასამგზავრებლად საქართველოს მოქალაქეები ვალდებულნი გახ-

¹ Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, 1999-2008. In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S. Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute. Armonk, NY-London, 2009, გვ. 49.

² Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 50.

დნენ დაეკმაყოფილებინათ სავიზო რეჟიმისათვის აუცილებელი მოთხოვნები. აღსანიშნავია, რომ სავიზო რეჟიმი ძალიან მსუბუქად ეხებოდა აფხაზეთის, „სამხრეთ ოსეთისა“ და აჭარის მოსახლეობას.¹

2) ავტორი აღნიშნავს, რომ 2001 წლის თებერვალში რუსეთის საიდუმლო სამსახურების ორგანიზებით, ამავე სამსახურების ერთ-ერთმა ოფიცერმა მოაწყო შეხვედრა „სამხრეთ ოსეთის“ სამ წარმომადგენელთან: „სამხრეთ ოსეთის“ ეროვნული მოძრაობის ინტელექტუალურ წინამძღოლ ალან ჩოჩიევთან, ყოფილ კომუნისტ, ხოლო შემდგომში „სამხრეთ ოსეთის“ ორგზის პრემიერ-მინისტრ გერასიმ (რეზო) ხუგაევთან და რუსეთში „სამხრეთ ოსეთის“ ყოფილ სავაჭრო წარმომადგენელთან – ედუარდ კოკოითთან, რომელიც ცნობილი იყო, როგორც ბიზნესმენი და ყოფილი მოჭიდავე. ეს ადამიანები ამ შემადგენლობით შეიკრიბნენ იმისათვის, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც იმავე წლის სექტემბერში იყო დაგეგმილი, თავიდან მოეშორებინათ „სამხრეთ ოსეთის“ პრეზიდენტი 1996 წლიდან, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ლუდვიგ ჩიბიროვი, რომელიც 90-იანი წლების მეორე ნახევარში ედუარდ შევარდნაძესთან ერთად ცდილობდა ქართულ-ოსური კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას. აქცენტი უნდა გაკეთებულიყო ხალხთა შორის ნდობის აღდგენაზე იმ ქაოსის შემდეგ, რაც ქართველებსა და ოსებს თავს გადახდათ 1990-იან წლებში. სცენარის განვითარება, ჩიბიროვის გეგმის მიხედვით, რა თქმა უნდა, არანაირად არ შედიოდა რუსეთისა და სეპარატისტი ოსების ინტერესებში. საბოლოოდ არჩევნების მეორე რაუნდში, რომელიც გაიმართა 2001 წლის 6 დეკემბერს, 53%-ით, გამარჯვება მოიპოვა ედუარდ კოკოითიმ, რომელმაც 2002 წლის 9 იანვარს პრემიერ-მინისტრად დანიშნა გერასიმ ხუგაევი. რამდენიმე დღეში, კოკოითიმ მოაწყო სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენელთა დახურული შეხვედრა, რომელზეც მთავარ სა-

¹ Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 51.

კითხად დაისვა „სამხრეთ ოსეთისათვის“ დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით საქართველოსთან ომის მომზადება. შეხვედრის მონაწილეთა დიდმა ნაწილმა აღნიშნული გეგმა მიუღებლად მიიჩნია და არ დაუჭირა მას მხარი. მომდევნო წლებში კი ის ადამიანები, რომლებმაც კოკოითის გეგმა მიუღებლად მიიჩნიეს, გაქრნენ „სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკური ასპარეზიდან – ზოგიერთმა დატოვა „რესპუბლიკა“, ზოგი ცხინვალის ციხეებში აღმოჩნდა, ხოლო ზოგიერთი კი საექვო ვითარებაში გარდაიცვალა.¹

3) 2002 წლის ივნისში, რუსეთის პარლამენტმა მიიღო დამატებანი რუსეთის კანონზე მოქალაქეობის შესახებ, რის მიხედვითაც რუსული მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭება შესაძლებელი ხდებოდა იმ პირებისათვის, რომელნიც ფლობდნენ სსრკ-ს მოქალაქეობას, მოსახლეობდნენ და მოსახლეობენ სსრკ-ს შემადგენლობაში შემავალი ქვეყნის ტერიტორიაზე, არ მიუღიათ აღნიშნულ სახელმწიფოთა მოქალაქეობა და შედეგად დარჩნენ მოქალაქეობის გარეშე.² 2002 წლის 23 ივნისს, ცხინვალში რუსეთის მოქალაქეობის მსურველი მოსახლეობის რეგისტრაცია დაიწყო.³

4) მოსკოვმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო მოქმედებათა კოორდინაციას „სამხრეთ ოსეთსა“ და აფხაზეთს შორის. 2002 წლის 7-8 სექტემბერს კოკოითი ესტუმრა სოხუმს და აფხაზეთთან გააფორმა, „სამხრეთ ოსეთსა“ და აფხაზეთს შორის, რუსეთის წინამძღოლობით, საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო თანამშრომლობის დოკუმენტი. რამდენიმე დღეში, 11 სექტემბრის ტერაქტის პირველ წლისთავზე, რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საქართველო გამოაცხადა ქვეყნად, რომლისგანაც ტერორისტული საფრთხე მომდინარეობდა და გამოაცხადა რუსეთის მზადყოფნა გაერ-

¹ Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 51-52.

² Федеральный закон «О Гражданстве РФ.» От 31.05.2002. № 62- Ф3. იხ.: http://www.consultant.ru/popular/civic/34_2.html#p193. ამ საკითხს დაწვრილებით შევხებით ჩვენი ნაშრომის მე-5 თავში.

³ Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 53.

ოს წესდების 51-ე მუხლის ასამოქმედებლად საქართველოს წინააღმდეგ, რაც ითვალისწინებდა გაერთიანებული ორგანიზაციის ქვეყნების, ერთობლივ სამხედრო მოქმედებას ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. ექვსი კვირის შემდეგ, 22 ნოემბერს, ედუარდ შევარდნაძემ, ნატოს პრალის სამიტზე გამოსვლისას განაცხადა საქართველოს სურვილის შესახებ, გამხდარიყო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი.¹

5) 2002 წლის ბოლოს კოკოითიმ წამოიწყო „სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკური სივრცის დაკომპლექტება რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების კადრებით. 25 დეკემბერს, რუსეთმა აღადგინა რუსეთიდან აფხაზეთში მიმავალი სარკინიგზო მონაკვეთი, რომელიც დსთ-ს ქვეყნების გადაწყვეტილებით ჯერ კიდევ 1996 წელს იქნა დახურული. ამგვარად, 2002 წლის განმავლობაში რუსეთმა გააძლიერა საქართველოზე, როგორც „ტერორიზმის კერაზე“.²

6) ვარდების რევოლუციის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ გააძლიერა მოლაპარაკებათა პროცესი რუსეთთან. 2003 წლის 29 ნოემბერს მოსკოვში იგორ ივანოვმა, ედუარდ კოკოითის, ასლან აბაშიძისა და აფხაზეთის პრემიერ-მინისტრ რაულ ხაჯიმბასთან ერთად, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების განხილვისას, მიიღო შემდეგი საბოლოო გადაწყვეტილება – დაჩქარდეს რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების პროცესი აღნიშნულ, სამ ქართულ რეგიონში (იგულისხმება – ცხინვალის რეგიონი, აჭარა და აფხაზეთი).³

7) 2004 წლის 11 თებერვალს შედგა პირველი შეხვედრა ვლადიმერ პუტინსა და მიხეილ სააკაშვილს შორის, რომელზეც რუსეთის პრეზიდენტმა ორი მოთხოვნა წაუყენა მიხეილ სააკაშვილს: პირველი, ქართულ მხარეს შეენწყობა მოთხოვნა საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანისა და მეორე – მიხეილ სააკაშვილს „მოეწოდებოდა“ საქართველოს იმდროინდელი უშიშროების მინისტრის ვალერი ხაბურ-

¹ Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 53.

² Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 53.

³ Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 55.

ძანიასათვის. ხუთი დღის შემდეგ, თბილისში დაბრუნებულმა მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა განცხადება რადიკალური ცვლილებების შესახებ ქვეყნის უშიშროების სამინისტროში, რის შედეგადაც ვალერი ხაბურძანია დანიშნა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილედ.¹ აღნიშნული მონაკვეთი, ერთის მხრივ, ცხადყოფს იმ მძიმე ვითარებას რაც იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში იყო გამეფებული, ხოლო, მეორე მხრივ, ბადებს ლოგიკურ კითხვას: საქართველოში 2003 წლის ნოემბრის გადატრიალების შემდეგ, მოვიდა ლეგიტიმურად არჩეული ხელისუფლება, რომელსაც რუსეთი უყენებს მოთხოვნას და აძლევს მითითებებს იმის შესახებ, თუ რა ცვლილებები უნდა განხორციელდეს (ან არ განხორციელდეს) ქვეყნის სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ რუსეთი კვლავ არ არის გამოსული საბჭოთა მენტალობიდან და კვლავ სარგებლობს საკუთარი „ძლიერებით“ საქართველოს მსგავსი პატარა სახელმწიფოს მიმართ. არადა, ამ დროს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების, ავადსახსენებელი კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის ფედერაცია, როგორც სახელმწიფო, იქცა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად. „სხვა სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობა“ კი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ათ პრინციპთაგან ერთ-ერთს, რომლის მიხედვითაც: „არც ერთ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს არა აქვს უფლება ჩაერიოს პირდაპირ თუ არაპირდაპირ, რა მიზეზითაც უნდა იყოს, სხვა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმეებში. ამის შედეგად, შეარაღებული ჩარევა და ჩარევის ყველა ფორმა, ის ყოველგვარი მუქარა, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს სამართალ-სუბიექტების ან მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული საფუძვლების წინააღმდეგ, საერთაშორისო სამართლის დარღვევაა“.² სხვა რომ არაფერი ვთქვათ, პუტინისა და სააკაშვილის პირველივე

¹ Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 55.

² ლევან ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი, 2010, გვ. 45.

ოფიციალური შეხვედრა, როგორც ვხედავთ, რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართ საერთაშორისო სამართლის ათ ძირითად პრინციპთაგან ერთ-ერთს, ხოლო მოგვიანებით უკვე არაერთს არღვევდა.

8) 2004 წლის 6 მაისს იგორ ივანოვმა ასლან აბაშიძე ბათუმიდან მოსკოვში ჩააფრინა. შემდგომ სატელეფონო საუბარში მიხეილ სააკაშვილმა პუტინს მადლობა გადაუხადა აჭარის მშვიდობიანი განთავისუფლების ოპერაციაში ხელის შეწყობისათვის, რაზეც ვლადიმერ პუტინმა უპასუხა შემდეგი: „დაიმახსოვრეთ, ჩვენ არ ჩავერიეთ აჭარის მოვლენებში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ მსგავს „საჩუქარს“ მიიღებთ ჩვენგან „სამხრეთ ოსეთსა“ და აფხაზეთში“.¹ ალბათ, ამ პრეცედენტს ზედმეტი კომენტარი არ სჭირდება...

9) აჭარის კრიზისიდან რამდენიმე დღეში რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ერთგვარ საიდუმლო გეგმას, რომელიც რუსეთის ფედერაციას ჰქონდა „სამხრეთ ოსეთში“. მასში შედიოდა სამხედრო ბაზების აშენება ცხინვალსა და ჯავაში, ვლადიკავკაზის სამხედრო აკადემიაში სპეციალური დეპარტამენტის გახსნა, რომელშიც შევიდოდნენ კადეტები „სამხრეთ ოსეთიდან“ და ასევე გარკვეული რაოდენობის სამხედრო ინსტრუქტორების გაგზავნა „სამხრეთ ოსეთში“... მთავარ მიზანს წარმოადგენდა, სუსტად ორგანიზებული და ცუდად შეიარაღებული, „სამხრეთ ოსური“ პოლიციის გადაკეთება 7000-იან რეგულარულ არმიად.

10) 2004 წლის 25 მაისს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, ცხინვალის რეგიონში დაიწყო რუსული პასპორტების დარიგების პროცესი. 7 ივნისს „სამხრეთ ოსეთის“ პარლამენტმა სთხოვა რუსეთის დუმას გამოეცხადებინათ „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა და „დაეცვათ რეგიონში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეები“.

გარდა ამისა, 2-6 ივნისს რუსეთმა „სამხრეთ ოსეთში“ გაგზავნა სამოცდათხუთმეტი ერთეული – T-72 საბრძოლო

¹ Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 55.

ტანკი, ოცი ერთეული „გრადის“ ტიპის ზალპური ცეცხლის სისტემა, ოცდაათამდე საარტილერიო სისტემა და ორასზე მეტი საჰაერო-თავდაცვითი სისტემა „იგლა“. ავღანური და ჩეჩნური სამხედრო გამცდილების მქონე რუსი პოლკოვნიკი ანატოლი ბარანკევიჩი დაინიშნა „სამხრეთ ოსეთის“ თავდაცვის მინისტრად.

15 ივნისს „სამხრეთ ოსურმა“ ნაწილებმა სცადეს თავდასხმა ცხინვალის ჩრდილოეთით, ქართულ სოფელ ერედვისა და ქართული ანკლავების, ქურთისა და თამარაშენის დამაკავშირებელ, მშენებარე გზაზე. მომდევნო დღეს, რუსეთმა საქართველოს ელექტრომომარაგება შეუწყვიტა. 8 ივლისს ქართულმა მხარემ შეიპყრო სამხედრო ამუნიციითა და ტექნიკით დატვირთული რუსეთიდან „სამხრეთ ოსეთში“ მომავალი ცხრა სატვირთო მანქანა. მომდევნო დღეს 50 ქართველი მშვიდობისმყოფელი განაიარაღეს და დააჩოქეს ცხინვალის ცენტრში... იმავე ღამით, დაიბომბა ქართველების მიერ კონტროლირებადი სოფლები – თამარაშენი და ქურთა. რუსეთის ერთ-ერთი ტელეარხის OPT-ს წარმომადგენელმა მიხაილ ლეონტიევმა კი განაცხადა: „ჩვენ მოვუწყვეთ ხაფანგი ქართველებს. ამჯერად, როგორც ჩანს, ისინი გაებნენ მასში“. მომდევნო დღეს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ქართული მხარე დაადანაშაულა „პროვოკაციების ორგანიზებაში“ და დადო პირობა „სამხრეთ ოსეთში“ მცხოვრები რუსეთი მოქალაქეების დაცვისა. აღნიშნული ინციდენტის შემდეგ ორმხრივი ცეცხლი „სამხრეთ ოსეთში“ გაგრძელდა 2004 წლის 20 აგვისტომდე, როდესაც ქართულმა ნაწილებმა დატოვეს ცხინვალის რეგიონი. იმ დროისათვის ცხრამეტი ქართველი და ხუთი ოსი ჯარისკაცი იყო მოკლული.¹ ანდრეი ილარიონოვის ინფორმაციის მიხედვით, როგორც ვხედავთ, უკვე 2004 წლისათვის, რუსეთი თავხედურ და ყოველგვარ ზღვარსგადასულ პროვოკაციულ ქმედებებს ეწეოდა ცხინვალის რეგიონში, ხოლო საბოლოოდ პროვოკაციების მოწყობაში ადანაშაულებ-

¹ Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 56-57.

და საქართველოს. განსაკუთრებით შემამფოთებელია ილარიონოვის მიერ ზემოთ მოყვანილი მიხაილ ლეონტიევის ფრაზა, რომელშიც პირდაპირ არის გამჟღავნებული რუსეთის პოლიტიკის მიზანი. კომენტარი არც ამ შემთხვევაში არის საჭირო.

11) 2005 წლის 30 მაისს საქართველოსა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა, სალომე ზურაბიშვილმა და სერგეი ლავროვმა, ხელი მოაწერეს კომუნიკეს 2008 წლის ბოლომდე რუსეთის ბაზების საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ.¹

12) 2006 წლისათვის, აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთისათვის“ მიწოდებული რუსული სამხედრო ამუნიციის, იარაღისა და აღჭურვილობის რაოდენობა, ორივე რეგიონში ერთად მცხოვრები 250.000-იანი მოსახლეობით, აჭარბებდა 4.5 მლნ-იანი საქართველოს სამხედრო ტექნიკისა და აღჭურვილობის რაოდენობას. 2008 წლის დასაწყისისათვის კი ამ რეგიონების სამხედრო აღჭურვილობა, საქართველოსთან შედარებით ორჯერ გაიზარდა.²

13) 2006 წლის 31 იანვარს, ჟურნალისტებთან საუბრისას ვლადიმერ პუტინმა განაცხადა: „თუკი ვინმე ფიქრობს, რომ კოსოვომ შესაძლოა მოიპოვოს სრული დამოუკიდებლობა, მაშინ რატომ უნდა ვუთხრათ ამაზე უარი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს?“ ...მოვლენიდან მცირე ხანში „სამხრეთ ოსეთის“ პრემიერ მინისტრის მოადგილემ, ბორის ჩოჩიევმა განაცხადა, რომ მოსახლეობის 98% უკვე ფლობს რუსეთის მოქალაქეობას. იმავე 2006 წლის ზაფხულში თბილისმა კონტროლი დაამყარა კოდორის ხეობაზე.³

14) კონფლიქტის ესკალაციის ახალი ფაზა დაიწყო 2006 წლის 27 სექტემბერს, როდესაც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა გამოაცხადა ქვეყანაში ჯაშუშური ქსელის აღმოჩენის შესახებ, რომელიც გრუ-ს ოფიცრების მიერ იყო კოორდინირებული. კონტრდაზვერვითი ოპე-

¹ Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 59.

² Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 60.

³ Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 61.

რაციის შედეგად, ოთხი რუსი ოფიცერი და თერთმეტი ქართველი მოქალაქე იქნა დაპატიმრებული. რუსეთის საგარეო სამინისტროს მოთხოვნაზე, ახსნილიყო აღნიშნული ფაქტი, ქართულმა მხარემ წარმოადგინა აუდიო და ვიდეო ჩანაწერები ხუთი ქართველი მოქალაქისა, რომელნიც აღიარებდნენ კავშირს რუსულ სამხედრო დაზვერვასთან.¹

15) მოსკოვის დსთ-ს სამიტზე 26 ნოემბერს (2006 წელს) მიხეილ სააკაშვილი სამჯერ შეხვდა პუტინს. სამიტის შემდგომ, მათი კომენტარების მიხედვით, არანაირ პროგრესს არ ჰქონდა ადგილი.²

16) 6 აგვისტოს (2007 წელი), როდესაც დასავლელი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი შევებულებაში იყო, რუსულმა სუ-25-მა დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე და დაბომბა სარადარო სადგური, „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტური ზონის საზღვარზე, წითელუბანთან ახლოს. იმის გამო, რომ ჭურვი არ აფეთქდა, დასავლელი ექსპერტების მიერ მარტივად დადგინდა, რომ ჭურვი რუსული წარმომავლობისა იყო. საქართველომ ბრალი დასდო რუსეთს აღნიშნულ ინციდენტში, ხოლო რუსეთმა კი პასუხად, საქართველო დაადანაშაულა ინციდენტის ინსცენირებაში.³

17) 2008 წლის 21 თებერვალს, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, ვლადიმერ პუტინი და მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტების რანგში უკანასკნელად შეხვდნენ ერთმანეთს. საქართველოს პრეზიდენტის განცხადების მიხედვით, პუტინმა მას შემდეგი რამ განუცხადა: „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე საუბრისას, ამ შემთხვევაში, ჩვენ პასუხს გცემთ არა თქვენ, არამედ დასავლეთს – ნატოს, ამერიკას, კოსოვოსთან დაკავშირებით. თქვენ არ უნდა ინერვიულოთ, ეს თქვენ არ უნდა განუხებდეთ. ის, რასაც ჩვენ გავაკეთებთ, არ იქნება მიმართული თქვენს წინააღმდეგ, ეს იქნება ჩვენი პასუხი მიმართული და-

¹ Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 62.

² Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 64.

³ Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 66.

სავლეთისკენ“.¹ ვლადიმერ პუტინის ამ სიტყვებს, რომელიც მან წარმოთქვა სუვერენული ქვეყნის პრეზიდენტის მისამართით, ჩვენ მხოლოდ ირონიისა და ცინიზმის აპოთეოზი შეგვიძლია ვუწოდოთ.

18) 2008 წლის 16 აპრილს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გამოაცხადა სპეციფიკური ხასიათის ურთიერთობის შესახებ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთთან. ურთიერთობის ეს ფორმატი, ფაქტობრივად იდენტური იყო ურთიერთობისა მოსკოვსა და ქვეყნის სხვა ფედერალურ ერთეულებს შორის.²

19) 2008 წლის ივნისში ოსეთის დე ფაქტო წარმომადგენლობამ შექმნა ვებგვერდი „ოსების გენოციდი“.³ აღნიშნული ფაქტი ნათელი ილუსტრაციაა იმისა, თუ როგორი წარმატებით მოქმედებდნენ რუსები და ოსი სეპარატისტები ბრძოლის ინფორმაციულ ფრონტზე.

20) 2008 წლის 4 ივლისს კოკოითიმ გამოაცხადა ტოტალური მობილიზაცია „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე, თუმცა რამდენიმე საათში აღნიშნული ბრძანება გააუქმა.⁴ ჩვენი აზრით, ეს შემთხვევითი არ იყო. კოკოითის ალბათ ჩრდილოეთიდან უკარნახეს, რომ მობილიზაციის გამოცხადება ჯერ ადრე იყო, რადგან ამ პერიოდისათვის, როგორც ვიცით, აფხაზეთში რუსეთიდან მიმავალი რკინიგზა, ჯერ კიდევ მშენებლობის პროცესში იყო და, ამასთან ერთად, არ იყო დასრულებული რუსული 58-ე არმიის წვრთნები «Кавказский Рубеж 2008».

21) საბოლოოდ, 30 ივლისს, ომის დაწყებამდე შვიდი დღით ადრე, რუსეთის სარკინიგზო ნაწილებმა დაასრულეს აფხაზეთში მიმავალი რკინიგზის აღდგენა. საომარი სცენა უკვე მზად იყო. საჭირო იყო ნაპერწკალი მის დასაწყებად.¹

¹ Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 67.

² Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 68.

³ Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 70.

⁴ Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 70.

¹ Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 72.

22) 28 ივლისს „სამხრეთ ოსურმა“ ძალებმა პირველად გახსნეს ცეცხლი ქართველი მშვიდობისმყოფელების მიმართულებით. მომდევნო დღეს ოსურმა ნაწილებმა ასევე პირველად გახსნეს საარტილერიო ცეცხლი ქართველთა კონტროლქვეშ მყოფი, ეთნიკურად შერეული სოფლების მიმართულებით.

პირველ აგვისტოს დილით, აფეთქებულ იქნა ქართული პოლიციის სატვირთო მანქანა, დაიჭრა ხუთი პოლიციელი.¹

23) ოსურმა და ქართულმა ნაწილებმა ორმხრივ ცეცხლში გაატარეს დღე-ღამის მონაკვეთი პირველი აგვისტოს შუადღიდან, ორი აგვისტოს დილამდე. 2004 წლის შემდეგ პირველად, ოსურმა მხარემ გამოიყენა მსხვილკალიბრიანი არტილერია 100მმ-ზე მეტი მოცულობით, რისი გამოყენებაც, დღეს-ს მიერ იკრძალებოდა.

ორ აგვისტოს, ჩრდილო-კავკასიური სამხედრო წვრთნები „კავკასია 2008“ ოფიციალურად დასრულდა, მაგრამ სამხედრო ნაწილებს პოზიციები არ დაუტოვებიათ.²

24) 5 აგვისტოს სალამოსათვის დიდი რაოდენობით რუსული სამხედრო ნაწილები განლაგდნენ როკის გვირაბის ჩრდილოეთ შესასვლელთან.³

25) 6 აგვისტოდან მოყოლებული ცხინვალში დაიკეტა ყველა ოფისი თუ მაღაზია. მოსახლეობა უკვე ევაკუირებული იყო რუსეთში. იმავე დღეს „სამხრეთ ოსურმა“ ნაწილებმა გახსნეს ცეცხლი სოფლების – ერედვის, ფრისის, ავნევის, დვანისა და ნულის მიმართულებით.⁴

ის, რაც ზემოაღნიშნულ მოქმედებებს მოჰყვა, საქართველოს უახლეს ისტორიაში რუსეთ-საქართველოს ხუთდღიანი ომის სახელით შევიდა.

ანდრეი ილარიონოვის სტატიის ამგვარი, შეძლებისდაგვარად ვრცელი მიმოხილვის შემდეგ ყველანაირი დამატებითი კომენტარი ფაქტობრივად ზედმეტია. სტატია წარმოადგენს

¹ Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 72.

² Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 73.

³ Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 75.

⁴ Andrei Illarionov. The Russian Leadership's Preparation for War, გვ. 75.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ქრონიკას 1999-2008 წლებში, რომლის გაცნობისას თვალწინ გვეშლება მთელ იმ მოქმედებათა ჯაჭვი, რომელმაც რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომამდე მიგვიყვანა. ავტორი დაწვრილებით მიმოიხილავს ყველა იმ ქმედებას, რითაც რუსეთი საქართველოსთან ომისათვის ემზადებოდა და რომელიც ცხადყოფს იმ განზრახვას, რაც ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს ჰქონდა საქართველოსთან მიმართებაში. ილარიონოვის სტატია წარმოადგენს ძლიერი ანალიტიკური მუხტის მქონე სტატიას და ძვირფას წყაროს რუსეთ-საქართველოს თანამედროვე ურთიერთობებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

კრებულის მომდევნო სტატიას წარმოადგენს ნიკლას ნილსონის: „ვარდების რევოლუცია საქართველოში: წარსულთან კავშირის განწყვეტა“.¹ აღნიშნულ სტატიაში მიმოიხილულია შევარდნაძის ეპოქის დასასრული და ასპარეზზე ახალგაზრდა, „რეფორმებზე ორიენტირებული ლიბერალების გამოსვლა, რომელთაც სამუშაო თუ სასწავლო გამოცდილება დასავლეთში ჰქონდათ მიღებული“.² სტატიაში მომიხილულია საქართველოს ახალი ხელისუფლების გეზი, რომელიც, განსხვავებით შევარდნაძისეული დასავლეთსა და რუსეთს შორის ბალანსირების პოლიტიკისაგან, მკვეთრად დასავლეთისაკენ იყო მიმართული. როგორც გვახსოვს, და როგორც ზემოთ მრავალგზის აღინიშნა, საქართველომ 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ გეზი აიღო ინტეგრაციისკენ ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში, რაც, თავის მხრივ, რა თქმა უნდა, მკვეთრად აღიზიანებდა რუსეთს. ეს კი იწვევდა მწყობრად დაგეგმილ პროვოკაციებს რუსეთის მხრიდან, რომელიც შეიცავდა როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ ელემენტებს, რაც გამოიხატებოდა ეკონომიკური თუ სხვა სახის ემბარგოს დაწესებაში საქართველოს მიმართ, რამაც საბოლოო

¹ Niklas Nilsson. Georgia's Rose Revolution: The Break with the Past. In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S. Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute. Armonk, NY–London, 2009, გვ. 85.

² Niklas Nilsson. Georgia's Rose Revolution, გვ. 85.

ჯამში, მეტად ნეგატიური როლი შეასრულა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა პოლიტიკაში. იმის გამო, რომ ჩვენს ნაშრომში არაერთხელ იქნა დასახელებული ის მოვლენები, რაც მიხილ სააკაშვილის რეფორმებს მოჰყვა პასუხად რუსეთის მხრიდან, მათზე კონკრეტულად არ შევჩერდებით.

კრებულის მომდევნო სტატიის სათაურია: „უგულებელყოფიდან ზენოლამდე: დასავლეთი და საქართველოს კრიზისი 2008 წლის ომამდე“.¹ როგორც ვხედავთ, სათაურიდან გამომდინარე, სტატიის მთავარ თემას წარმოადგენს დასავლეთის დამოკიდებულება რუსეთ-საქართველოს ომთან მიმართებაში. საინტერესოა ავტორის, სტივენ ბლანკის პოზიცია, რომელიც ჯერ საუბრობს საქართველოში არსებულ დემოკრატიის დეფიციტზე,² ხოლო შემდეგ ასევე დასძენს, რომ ამის მიზეზი არის ის, რომ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაცია ქართულ დემოკრატიას „აკლებდა კრიტიკას, რამაც სააკაშვილი ვაშინგტონის მხარდაჭერის გაზვიადებამდე მიიყვანა“.³ მომდევნო გვერდზე ავტორი საკუთარ აზრს აფიქსირებს ქართულ დემოკრატიასთან მიმართებაში და ამბობს: „სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ბუშის ადმინისტრაციამ რამდენჯერმე განუცხადა ქართველებს, რომ მათ აშშ-ს გარანტირებული დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდათ და ამის გამო რუსეთის ნებისმიერ პროვოკაციას არ უნდა აჰყოლოდნენ“.⁴

ამ შემთხვევაშიც, როგორც ვხედავთ, თავს იჩენს საქართველოში მომხდარი ომის ცალსახად, დასავლურად შეფასების მომენტი. სტივენ ბლანკის აღნიშნულ მოსაზრებებს საკმაოდ არგუმენტირებულად პასუხობს ჩვენს მიერ ზემოთ მიმოხილული ანდრეი ილარიონოვის სტატია, სადაც პუნქტებად არ-

¹ Stephen Blank. From Neglect to Duress: The West and the Georgian Crisis Before the 2008 War. In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S. Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute. Armonk, NY–London, 2009, გვ. 104.

² Stephen Blank. From Neglect to Duress, გვ. 109.

³ Stephen Blank. From Neglect to Duress, გვ. 117.

⁴ Stephen Blank. From Neglect to Duress, გვ. 118.

ის ჩამოთვლილი რუსული საგარეო პოლიტიკური ნაბიჯები საქართველოში 2008 წლის ომის დაგეგმვასა და დაწყებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართული რუსული მოქმედება არ უნდა შეირაცხოს „ნებისმიერ პროვოკაციად“, ხოლო საქართველოს ხელისუფლების მოქმედება კი – ამ „პროვოკაციაზე აყოლად“, რადგან აგვისტოში სააკაშვილის ხელისუფლებას უკვე არ ჰქონდა სხვა გამოსავალი გარდა იმისა, რომ სამხედრო მოქმედებით დაეცვა საკუთარი ქვეყანა.

საკითხში უფრო მეტი სიცხადის შესატანად შეგვიძლია ჩამოვყალიბოთ საკითხის ხედვა ორი მხრიდან – დასავლური და ქართული გადმოსახედიდან.

დასავლეთიდან დანახული „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი საქართველო მომავალში მართლაც იძლეოდა დასავლური ტიპის დემოკრატიის ჩამოყალიბების იმედს, რაც საქართველოში მეტად რთული განსახორციელებელი იყო და არის, რადგან ცხადია იმ გზების განსხვავებულობა, რომელიც დასავლეთმა და საქართველომ დღევანდელ დღემდე და „დემოკრატიაში“ გაიარა. უნდა გავიაზროთ ასევე დასავლური დემოკრატიის ქვეყნების გეოპოლიტიკური მდებარეობა და შემდგომ დავაკვირდეთ საქართველოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობას და ამის შემდეგ შევხებით კიდევ ერთ და არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხს, რასაც რესურსები და ეკონომიკა ჰქვია. სწორედ აღნიშნული ფაქტორების ერთობლიობა გვაჩვენებს მთელ იმ სირთულეს, რაც დაკავშირებულია საქართველოში დემოკრატიის განვითარებასთან. თუ ამას დავუმატებთ იმ შიდა პრობლემებს, რაც ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მენტალობაშია, სურათი კიდევ უფრო მუქი გახდება. უნდა გავიაზროთ, რომ დასავლური დემოკრატიის ქვეყნების ერთ-ერთ მთავარ წარმატების ფორმულას წარმოადგენს „პოლიტიკური პრაგმატულობა“. ამის დიდი გამოცდილება აქვთ, როგორც დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, ასევე აშშ-ს. მსოფლიო ისტორიის კარგად შესწავლით ცხადი

ხდება დასავლური დემოკრატიის ქვეყნების პოლიტიკის მთავარი ხაზი, რომელიც ძირითადად პოლიტიკურ-ეკონომიკური მომგებიანობის სქემაზეა აგებული. აქედან გამომდინარე, ამკარა ხდება, რომ, პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორის გამო, 2007 წლის მიწურულისათვის ევროპაში რუსეთის ნომერ პირველი ეკონომიკური პარტნიორი გერმანია საკუთარ ინტერესებს არ დათმობდა მხოლოდ იმისათვის, რომ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ომში მარტო არ დარჩენილიყო. აქვე უნდა დავსვათ კითხვა: რა სახის დახმარების აღმოჩენა იყო საჭირო საქართველოსთვის დასავლეთის დემოკრატიის ქვეყნების მიერ? პასუხი ერთია: ქმედითი პოლიტიკური და სამხედრო სახის დახმარება, რომელიც რუსეთს ხელს ააღებინებდა საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის განხორციელებაზე. ამას კი ლოგიკურად მოჰყვებოდა რუსეთის ეკონომიკური იზოლაცია, რაც თავის მხრივ სხვა სირთულეებს გამოიწვევდა მსოფლიო ეკონომიკურ ბაზარზე და მრავალი ევროპული ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებს სერიოზულად დააზარალებდა. უნდა გავიაზროთ, რომ ეკონომიკურ ინტერესებზე საუბრისას, ჩვენ ვგულისხმობთ გაზსა და ნავთობს, ორ უმნიშვნელოვანეს რესურსს, რომელსაც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკა ეყრდნობა.

პრობლემის მეორე მხარეს წარმოადგენს დასავლეთისა და საქართველოს ურთიერთობის რაკურსი თავად ქართული პოზიციებიდან. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს უფრო ემოციურ მიდგომასთან, რადგან საქართველო, როგორც ქვეყანა, წლების განმავლობაში, საკუთარ თავზე განიცდის პრობლემებს, წარმოქმნილ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში და ამგვარი დაძაბული ვითარებიდან თავის დასაღწევად ერთადერთ გამოსავალს ხედავს დასავლური დემოკრატიის ქვეყნების პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სამხედრო დახმარებაში. თუმცა ამ დახმარების მოლოდინში ხშირად მარტივად უგულვებელყოფთ თავად დასავლური პოლიტიკის ზემოაღნიშნული პრაგმატიზმის თეორიას, იმას რომ ნატო, როგორც ორგანიზაცია, არ არის ფოკუსირებული რომელიმე პატარა

ქვეყნის პრობლემებზე, არამედ უფრო მეტად აქცენტს აკეთებს გეოპოლიტიკურ ვითარებაზე და ხშირ შემთხვევაში სწორედ ამის მიხედვით წყვეტს ამა თუ იმ ქვეყნის ალიანსში გაერთიანების საკითხს. ამის ნათელი მაგალითი იყო 2002 წლის NATO-ს პრალის სამიტი, როდესაც ალიანსში მიიღეს ბულგარეთი, რუმინეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, ლიტვა, ლატვია და ესტონეთი. პრალის სამიტზე ნატო-ში განევრიანებული ქვეყნების მაგალითზე აშკარად ჩანს, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ფაქტორი ითამაშა უფრო ამ ქვეყნების გეოგრაფიულმა მდებარეობამ, შუაგულ ევროპასთან სიახლოვემ, ვიდრე დემოკრატიის დონემ ამ ქვეყნებში. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აღნიშნულ სამიტზე ჩრდილო-ატლანტიკურმა ალიანსმა ერთგვარად აღმოსავლეთ ევროპის საზღვარი „მოხაზა“. ეს საზღვარი, რა თქმა უნდა, მუდმივი არ არის და მან, შესაძლოა, უფრო აღმოსავლეთითაც გადმოინაცვლოს, თუმცა ეს უკვე დროსა და ამ დროში განხორციელებულ გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ ცვლილებებზეა დამოკიდებული. მაგალითისათვის: ერთ მშვენიერ დღეს თურქეთის ევროკავშირში შესვლამ შეიძლება მთელი რიგი პოზიტიური ცვლილებები გამოიწვიოს ჩვენი ქვეყნისთვისაც და საქართველო უფრო მეტად დაახლოვდეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან. უნდა შევძლოთ გააზრება იმისა, რომ ისეთ ცხელ წერტილში, როგორც კავკასია, დასავლური დემოკრატიის ქვეყნები, საკუთარ სამხედრო ძალებს არ გამოიყენებენ რუსეთის წინააღმდეგ, რადგან ეს არც არასდროს გაუკეთებიათ ცივი ომის შემდგომ პერიოდში.

ეს არის საკითხის, ქართული გადმოსახედიდან განხილვის ერთი მხარე. მეორე მხარეს კი წარმოადგენს თავად საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების რწმენა და არგუმენტაცია იმისა, თუ რატომ უნდა დახმარებოდა საქართველოს დასავლეთი ყველა შესაძლო საშუალებით, რის მიხედვითაც, მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობდნენ, რომ 2008 წელს საქართველოსთან ერთად დამარცხდა დასავლური ინტერესები და გაიმარჯვა რუსულმა იმპერიულ-

მა პოლიტიკამ. უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულწილად ეს მართლაც ასეა, რადგან დასავლეთი იმ დროს რუსეთის მიმართ გაფრთხილებებსა და აღშფოთებებზე შორს არ წასულა, რუსეთს კი სწორედ ამაზე ჰქონდა გათვლა. მეტად საინტერესოა რონალდ ასმუსისა და რიჩარდ ჰოლბროუკის სტატია, გამოქვეყნებული გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ ვებგვერდზე, რომელიც, რა თქმა უნდა, პირდაპირ ეხება მაშინ ჯერ კიდევ მიმდინარე რუსეთ-საქართველოს ომს. შეკითხვაზე: „რა შეგვიძლია გავაკეთოთ?“ – დასავლელი ავტორები ამგვარად პასუხობენ: „პირველი, საქართველო იმსახურებს ჩვენს მხარდაჭერასა და სოლიდარობას. (საქართველო გვეხმარებოდა ჩვენ. მათი ნაწილები 2.000 ჯარისკაცი, წარმოადგენს სიდიდით მესამე კონტიგენტს ერაყში). ჩვენ უნდა მოვახერხოთ ომის შეჩერება და უზრუნველვყოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მისსავე საერთაშორისო საზღვრებში. როგორც კი დაპირისპირება დასრულდება, უნდა მოხდეს ძლიერი, კოორდინირებული, ტრანსატლანტიკური თანადგომა, რომ დავეხმაროთ თბილისს ნესრიგის აღდგენაში.

მეორე, ჩვენ არ უნდა გვჯეროდეს იმის, რომ რუსეთი ნეიტრალური, მშვიდობისდამცველია კონფლიქტურ რეგიონებში. რუსეთი წარმოადგენს პრობლემის ნაწილს და არა პრობლემის გადაწყვეტას. მოსკოვი დიდი ხნის განმავლობაში იყენებდა საერთაშორისო მანდატებს, საკუთარი იმპერიული ზრახვების განსახორციელებლად.

მესამე, ჩვენ უნდა დავუპირისპირდეთ რუსეთის ზენოლას საკუთარ მეზობლებზე, განსაკუთრებით უკრაინაში, რომელიც, დიდი ალბათობით, მოსკოვის შემდგომი სამიზნე გახდება ჰეგემონიის ახალი სფეროს შექმნის მცდელობაში“.¹

გარდა ამ ორი ავტორისა, 2008 წლის 26 ივნისს, გერმანულ გამოცემასთან Die Welt-თან ინტერვიუში, ზემოაღნიშნული აზრი გაატარა მიხეილ სააკაშვილმაც, რომელმაც აღნიშ-

¹ Ronald D. Asmus and Richard Holbrooke. Black Sea Watershed. Washington Post, August 11, 2008. <http://www.washingtonpost.com/wp-dyn/content/article/2008/08/10/AR2008081001870.html>.

ნა, რომ არსებულ დაძაბულ ვითარებაში დასავლეთს მართებს, ჯეროვანი ყურადღება დაუთმოს საქართველოს შესაბამისი ქმედითი დახმარების მხრივ, რადგანაც „საქართველო მხოლოდ დასაწყისია. ხვალ იქნება უკრაინა, შემდეგ ბალტიისპირეთის ქვეყნები და პოლონეთი“.¹ ამ მოსაზრების კომენტარებისთვის მხოლოდ ერთი წინადადება იკმარებს – აღნიშნული სტატიიდან შვიდ წელიწადში, ყირიმი და აღმოსავლეთ უკრაინა, ფაქტობრივად რუსეთის შემადგენლობაში შევიდა.

ამგვარად, ყოფილა სიმართლის გარკვეული, არცთუ მცირე მარცვალ იმდროინდელი საქართველოს ხელისუფლებისა და რონალდ ასმუსისა და რიჩარდ ჰოლბრუკის მსგავსად მოაზროვნე დასავლელი დიპლომატების მოთხოვნაში, რომ საქართველოსთვის დახმარება აღმოჩენილიყო, რადგან რუსეთი საქართველოს დამარცხებით ვერ დაიკმაყოფილებდა საკუთარ იმპერიულ მადას. ზემოაღნიშნული წინასწარმეტყველება უკრაინასთან დაკავშირებით კი ნამდვილად ახდა.

კრებულის შემდეგ სტატიას წარმოადგენს დევიდ ჯეი სმითის ნაშრომი: „საკავშირის ადმინისტრაციის რეაქცია რუსულ პოლიტიკაზე 2008 წლის ომამდე“.² ავტორი სტატიის დასაწყისშივე შენიშნავს, რომ დასავლელი დიპლომატები ვერაფრით წარმოიდგენდნენ სცენარის განვითარებას 1956 ან 1968 წლის მიხედვით. ფაქტობრივად გამოდის, რომ საქართვე-

¹ „Diese Ordnung beruhte auf Prinzipien: Dass Grenzen unverletzlich sind und kleine Staaten dieselben Rechte haben wie große. Was wir aber jetzt sehen, ist, dass Russland und Ministerpräsident Putin genau diese Prinzipien untergraben. Wir sehen eine Politik der Umverteilung, die aus dem 19. Jahrhundert stammt, nach dem Motto: Wir sind zurück auf der Bühne, jetzt zeigen wir Euch, wie stark wir sind. Und weil wir so stark sind, müssen wir mehr bekommen als andere. Georgien ist nur der Anfang. Morgen ist es die Ukraine, dann die baltischen Staaten, Polen.“ – <http://www.welt.de/politik/article2145974/Georgien-wirft-Russland-Zaren-Gebaren-vor.html>.

² David J. Smith. The Saakashvili Administration's Reaction to Russian Policies Before the 2008 War. In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S. Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute. Armonk, NY–London, 2009, გვ. 122.

ლოს იმდროინდელ ხელისუფლებას, რომელსაც იმ დროს არ სჯეროდა იმისა, რომ რუსეთი ამგვარ, ფართომასშტაბიან აგრესიაზე იყო წამსვლელი, იმედი ჰქონდა იმ დასავლური საზოგადოებისა, რომელსაც ასევე არ სჯეროდა რუსეთის მიერ ფართომასშტაბიანი აგრესიის გაჩაღების. როგორც ვხედავთ, დასავლეთისა და საქართველოს ხელისუფლების ამგვარი „მიამიტობა“ რუსეთმა სათავისოდ გამოიყენა, როგორც ხშირად იყენებს ხოლმე.

საქართველოს ხელისუფლების მიერ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთისათვის“ მშვიდობიანი გეგმების შეთავაზების შესახებ, ავტორს მოჰყავს მიხეილ სააკაშვილის პასაჟი, რის მიხედვითაც, როგორც საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი ამბობდა: „საქართველოს არასოდეს შეუთავაზებია აფხაზეთისათვის ამდენი რამ, ოფიციალურ დონეზე, როგორც ახლა“.¹ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ შეთავაზებები, როგორც უკვე ზემოთ მიმოვიხილეთ, საქართველოს მხრიდან კონფლიქტური რეგიონების მიმართ, მართლაც რომ იყო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ გულმოდგინებას და „პროფესიონალიზმს“, რითაც რუსეთი საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გეგმავდა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში გაყინული პროცესების „ცეცხლით გალღობას“, გასაგები გახდება, რომ საქართველოს მიერ შეთავაზებული ნებისმიერი პირობა, გარდა, რა თქმა უნდა, ორივე კონფლიქტური რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებისა, აფხაზეთისა და ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმისთვის მიუღებელი იქნებოდა. ასეც მოხდა.

საკუთარ სტატიას სმითი ამთავრებს იმის აღნიშვნით, რომ „2008 წლის აგვისტოს ომი იყო არც პროვოკაცია და არც გარკვეული დეტალების ვერგანჭვრეტის შედეგი. ის იყო ჩაფიქრებული და განხორციელებული რუსეთის მიერ, კარგად გასაგები გეოპოლიტიკური მიზეზების გამო. საქართველო იქცეოდა დიპლომატიურად, შესაძლოა, ზედმეტად დიდი დროის

¹ David J. Smith. The Saakashvili Administration's Reaction., გვ. 132.

განმავლობაში“.¹ – საინტერესოა რას გულისხმობს ავტორი ამ უკანასკნელ სიტყვებში? „ზედმეტად დიდხანს“ ხომ არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო უფრო ადრე უნდა გადასულიყო სამხედრო მოქმედებებზე? სხვაგვარი დასკვნის გაკეთება ამ შემთხვევაში რთულია.

კრებულის შემდეგი ნაშრომი არის იოჰანა პოპიანევისკის „სოხუმიდან ცხინვალამდე: გზა ომამდე საქართველოში“.² ავტორი კიდევ ერთხელ მიმოიხილავს რუსეთ-საქართველოს ომის წინამორბედ მოვლენებს, რომელთაც, ანდრეი ილარიონოვის ზემოაღნიშნული სტატიიდან მოყვანილი ვრცელი ამონარიდებისა და მათი კომენტარების შემდეგ, უკვე დანვრილებით არ შევხებით. ხაზს გავუსვამთ ავტორის მიერ მოცემულ ერთ პასაჟს, რომელშიც იგი სვამს კითხვას თუ ვინ იყო პირველი, ვინ დაიწყო ომი, ვინ გაისროლა პირველად და ა.შ. კითხვაზე პასუხად ავტორი ამბობს შემდეგს: „მოვლენების განვითარება 2008 წლის გაზაფხულსა და ადრეულ ზაფხულში, ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს აძლევდა ყველანაირ მიზეზს ეფიქრათ, რომ მოსკოვი ემზადებოდა ომისათვის საქართველოს ტერიტორიაზე. ივლისის შუა რიცხვებში, მოსკოვის მიერ დანყებული სამხედრო წვრთნები „კავკასია 2008“ წარმოადგენდა ამის იმდენად ღია მტკიცებულებას, რომელსაც ვერცერთი სახელმწიფო ვერ უგულვებლყოფდა“.³ მართლაც ასეა. მთელი რიგი იმ მოვლენების შემდეგ, რაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს უძღოდა წინ, მართლაც მეტად რთული იყო „მშვიდად ყოფნა“, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგემ დაიწყო ცხინვალის რეგიონის ქართული სოფლების დაბომბვა მსხვილკალიბრიანი საარტილერიო იარაღით.

¹ David J. Smith. The Saakashvili Administration's Reaction..., გვ. 142.

² Johanna Popjanevski. From Sukhumi to Tskhinvali: The Path to War in Georgia. In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S. Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute. Armonk, NY–London, 2009, გვ. 143.

³ Johanna Popjanevski. From Sukhumi to Tskhinvali, გვ. 157.

რუსი სამხედრო ანალიტიკოსის, პაველ ფელგენჰაუერის სტატია „7 აგვისტოს შემდეგ: რუსეთ-საქართველოს ომის ესკალაცია“, ¹ წარმოადგენს ჩვენთვის საინტერესო კრებულის მომდევნო სტატიას, რომელშიც, როგორც სათაურიდანვე ვიგებთ, საუბარია თავად საომარ მოქმედებებზე, რომელიც 2008 წლის 7 დან 12 აგვისტომდე გაგრძელდა. „2008 წლის ომში სეპარატისტთა ნაწილები, რომელთაც ქართველებს ომი ჰქონდათ გაჩაღებული, წარმოადგენდნენ რუსული სამხედრო ნაწილების მხოლოდ და მხოლოდ ავანგარდს, იმისათვის, რომ ქართველები ჩაეთრიათ ომში. შემდგომში მათი როლი რუსეთის ჯარის დამატებითი ნაწილების ფუნქციას არ სცილდებოდა.“² ავტორის აზრით, ქართული მხარე ვერ იაზრებდა, რომ რუსეთი ამგვარ, ფართომასშტაბიან შეტევას განახორციელებდა საქართველოს ტერიტორიაზე. გამომდინარე აქედან და კიდევ მრავალი ავტორის მოსაზრებიდან, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველო ფაქტობრივად, მართლაც არ იყო მზად იმ მასშტაბის ომისათვის, რაც მიიღო 2008 წლის აგვისტოში.

ქართული სამხედრო ნაწილების მოუმზადებლობაზე საუბრისას, ავტორი ეხება მიხეილ სააკაშვილის 8 აგვისტოს გადანიწყვეტილებას, რის მიხედვითაც გამოცხადდა ეროვნული გვარდიის მობილიზაცია. გვარდიისა, რომელსაც თავის მხრივ აკლდა გამოცდილი ოფიცრები, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ნაწილების ზოგად წარუმატებლობაში.³ მეტად საინტერესოა ავტორის მიერ მოყვანილი ციფრები, რომელიც 2008 წელს საქართველოს ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ნაწილების რაოდენობას ასახავს. ფელგენჰაუერის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული, რუსული სამხედრო ნაწილების საერთო რაოდენობა შეადგენდა

¹ Pavel Felgenhauer. After August 7: The Escalation of the Russia-Georgia War. In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S. Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute. Armonk, NY-London, 2009, გვ. 162.

² Pavel Felgenhauer. After August 7, გვ. 163.

³ Pavel Felgenhauer. After August 7, გვ. 170.

25-30 ათ. ჯარისკაცს. ამას ემატებოდა 10-დან 15 ათასამდე სეპარატისტული პოლიცია და მებრძოლენი, რომლებიც შეადგენდნენ დამხმარე ძალას.¹

კითხვაზე, თუ რატომ არ აიღეს რუსულმა სამხედრო ნაწილებმა თბილისი, ფელგენჰაუერი პასუხობს, რომ ეს განპირობებული იყო რუსული სამხედრო ნაწილების ლოჯისტიკური პრობლემებით, მათი მონყვევით საკუთარი ბაზებისაგან, რომელიც განლაგებული იყო კონფლიქტურ რეგიონებში: „რუსულმა ნაწილებმა არ დაიკავეს თბილისი 2008 წელს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ამას არასოდეს გააკეთებენ“.² რთულია კომენტირება აღნიშნულ საკითხზე, იმის ფონზე, რომ ომის პერიოდში მიმდინარე სამხედრო მოქმედებების ამსახველ დოკუმენტებზე კონფლიქტიდან 7 წლის შემდეგ ხელი ნაკლებად მიგვიწვდება.

ამგვარად, ავტორი, მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, გვაძლევს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის, სამხედრო მოქმედებების სურათს, რაც მეტად საინტერესოს ხდის მსჯელობას აღნიშნული საკითხის შესახებ.

„რა არის გამარჯვება და რა არის მარცხი: ინფორმაციული ომი რუსეთსა და საქართველოს შორის“,³ – ასეთია სათაური ჩვენთვის საინტერესო კრებულის მომდევნო სტატიისა პოლ გობლის ავტორობით. ავტორი მოკლედ მიმოიხილავს რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოში გაჩაღებული ომის კიდევ ერთ ფრონტს, რომელსაც „ინფორმაციული ფრონტი“ ეწოდება. გობლის სტატია საშუალებას გვაძლევს გამოვკვეთოთ ისეთი მნიშვნელოვანი მომენტები, როგორც იყო, მაგალითად, რუსული მხარის მიერ კონფლიქტის ზონაში საკუთარი ჟურნალისტების გაგზავნა სამხედრო

¹ Pavel Felgenhauer. After August 7, გვ. 173.

² Pavel Felgenhauer. After August 7, გვ. 180.

³ Paul A. Goble. Defining Victory and Defeat: The Information War Between Russia and Georgia. In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S. Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute. Armonk, NY–London, 2009, გვ. 181.

მოქმედებების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე. 7 აგვისტოსათვის ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე 48 რუსი ჟურნალისტი ყოფილა მობილიზებული.¹ გარდა ამისა, რუსული მედია სივრცე აქტიურად მუშაობდა ქართული მხარის აგრესორად წარმოსაჩენად. სხვადასხვა ვებგვერდები მიხეილ სააკაშვილს ადარებდნენ ჰიტლერს და რაცხავდნენ ქართველთა ფიურერად.²

ინფორმაციულ ფრონტზე რუსეთისა და საქართველოს სამოქმედო გეგმებს ავტორი შემდეგ კლასიფიკაციას ანიჭებს: პირველი – მოსკოვისათვის მიხეილ სააკაშვილი წარმოადგენდა აგრესორს. მეორე – აქედან გამომდინარე, რუსულ მხარეს არ დარჩენოდა არანაირი გამოსავალი გარდა იმისა, რომ ჩარეულიყო მიმდინარე მოქმედებებში და „დაეცვა საკუთარი მოქალაქეები“. რაც შეეხება მოსკოვის ინფორმაციულ ფრონტზე მოქმედების მესამე ნაწილს, იგი მიმართული იყო აშშ-სა და ნატოს მიმართ, რომელთაც მოსკოვის აზრით, რუსეთის გაკრიტიკების არანაირი საფუძველი არ გააჩნდათ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო.³

რაც შეეხება ქართულ მხარეს, ინფორმაციული ომის ბერკეტები ქართველებისათვის ამგვარად გამოიყურებოდა: თბილისი მიიჩნევდა, რომ სუვერენული ქვეყნის ტერიტორიაზე შეჭრით რუსეთმა დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები. ამას გარდა, საქართველოს მიერ კონფლიქტურ რეგიონში სამხედრო ნაწილების შეყვანა წარმოადგენდა ლეგიტიმურ ნაბიჯს და არ უნდა აღქმულიყო სამართლებრივ დარღვევად. დაბოლოს, საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება ხაზს უსვამდა იმ განსხვავებას, რაც იუგოსლავიის კონფლიქტსა და საქართველოს კონფლიქტებს შორის არსებობდა და მიიჩნევდა, რომ მათ შორის პარალელების გავლება არასწორი იყო. სწორედ ამიტომ აპელირებდა ქართული მხარე იმ მომენტზე, რომ თუკი მოსკოვმა აღიარა აფხაზეთი, რატომ

¹ Paul A. Goble. Defining Victory and Defeat, გვ. 186.

² Paul A. Goble. Defining Victory and Defeat, გვ. 187.

³ Paul A. Goble. Defining Victory and Defeat, გვ. 183.

არ შეიძლება დასავლეთმა აღიაროს ჩეჩნეთი?¹

ამგვარია გობლის მიერ მიმოხილული, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის ინფორმაციული ომის ძირითადი მონაკვეთები, რომელიც მეტად საყურადღებოა და საინტერესო მონაცემებს გვანდის აღნიშნული საომარი ფრონტის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი გვთავაზობს საკმაოდ პრაგმატულ და რეალისტურ ანალიზს მოვლენებისა, რასაც მთლიანად ვიზიარებთ.

დასასრულ, კრებულის ბოლო სტატიაში წარმოდგენილია ჯეიმს შერის ნაშრომი: „რუსეთ-საქართველოს ომის შედეგები ევროპული უსაფრთხოებისათვის“.² რომელშიც მიმოხილულია რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის მნიშვნელობა ევროპის უსაფრთხოებისათვის. სტატიაში მეტნაკლებად ფართოდ არის მიმოხილული რუსეთის პოლიტიკა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მიმართ და ხაზგასმულია ის ფაქტორი, რომ ნატო მოსკოვისათვის აღიქმება და განიხილება რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ ორგანიზაციად, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ნატო პირდაპირ ჩაერია იუგოსლავიის კონფლიქტში 1999 წელს.³ ამის მიზეზად ჯეიმს შერი ასახელებს პუტინის პოლიტიკას, რომლის საფუძველსაც, ავტორის აზრით, წარმოადგენს სტალინური ტიპის „ვერტიკალური ძალაუფლების“ აღდგენის მცდელობა.⁴ მართლაც, ვეთანხმებით ავტორს და ვიტყვით, რომ ჯეიმს შერის სტატია წარმოადგენს საკმაოდ საინტერესო ანალიზს იმ პროცესისა, რომელმაც მსოფლიო 2008 წლის ომამდე მიიყვანა.

დასკვნის სახით, სვანტე ე. კორნელისა და ფრედერიკ სტარის რედაქტორობით გამოცემული სტატიების კრებულის

¹ Paul A. Goble. Defining Victory and Defeat, გვ. 183.

² James Sherr. The Implications of the Russia-Georgia War for European Security. In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S. Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute. Armonk, NY–London, 2009, გვ. 196.

³ James Sherr. The Implications of the Russia-Georgia War, გვ. 204.

⁴ James Sherr. The Implications of the Russia-Georgia War, გვ. 205.

შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან მასალას 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომით დაინტერესებული მკითხველისათვის თავად ომისა და ომის წინა პერიოდის მოვლენათა ჯაჭვის აღსადგენად.

გარდა ზემოაღნიშნული ვრცელი კრებულისა, 2009 წელს, აშშ-ში გამოიცა ასევე ჰოომანის პეიმანის ნაშრომი: „კონფლიქტი და უსართხოება ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში“.¹ ნაშრომში ავტორი მიმოიხილავს ზემოთ დასახელებული რეგიონების ქვეყნების, შიდაპოლიტიკურ და გარეპოლიტიკურ ვითარებას, ასევე რეგიონების ქვეყნების ეკონომიკურ მდგომარეობას და ამ მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტივებს. აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის საინტერესო განსახილველ თემას ავტორი ცალკე არ ეხება. იგი ნაშრომის მესამე თავში: „არჩევნები აზერბაიჯანსა და საქართველოში და მათი გავლენა რეგიონულ უსაფრთხოებაზე“, – აზერბაიჯანისა და საქართველოს შიდა და საგარეო პოლიტიკის მიმოხილვისას, ცალკე ამონარიდების სახით, მოკლედ მიმოიხილავს 2008 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის გამართულ ომს და ამ ომის გამომწვევ მიზეზებს: „2008 წლის აგვისტოს ომმა საქართველოსა და რუსეთს შორის მნიშვნელოვანი გავლენა იქონია არამხოლოდ ომის მონაწილეებისა და ზოგადად კავკასიის, არამედ რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობაზეც. უდავოა, რომ ომმა, როგორც კატალიზატორმა, მნიშვნელოვნად დააზიანა რუსულ-დასავლური ურთიერთობები, მის შემდეგ ორივე მხარე ადანაშაულებდა ერთმანეთს ამ ომის წამოწყებაში.“

რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები, პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევისა და საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის ჩათვლით, ვაშინგტონს ადანაშაულებდნენ ომის წამოწყებასა და, სამხედრო ტექნიკის თვალსაზრისით, საქართველოს გაძლიერებაში. ასევე საქართველოს გამხნეებაში, რომ წამოწყებულიყო შეტევა სამხრეთ ოსეთის მიმართულებით 2008 წლის 8 აგვისტოს.

¹ Hooman Peimani. Conflict and Security in Central Asia and the Caucasus. ASC-CLIO, LLC 2009.

რუსეთის რეაქციამ, ცხინვალის მიმართულეებით საქართველოს შეტევაზე, გამოიწვია აშშ-სა და ნატო-ს ნეგატიური რეაქცია, რის მიხედვითაც რუსეთი აგრესორად იქნა შერაცხული.

ევროკავშირმა, თავის მხრივ, არაერთგვაროვანი რეაგირება გამოხატა მოვლენის მიმართ, რადგან კავშირის წევრები ფაქტობრივად ორ ნაწილად გაიყვნენ: ისინი, ვინც მხარს უჭერდნენ ვაშინგტონს და ისინი, ვინც ერიდებოდნენ რუსეთის აგრესორად მონათვლას და ამით მასთან ურთიერთობის გაფუჭებას. შედეგად, ევროკავშირის ქვეყნები შეთანხმდნენ ცეცხლის შეწყვეტასა და ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნაზე საქართველოში¹.

ნაშრომის მომდევნო, მეოთხე თავში – „ნავთობი და კავკასია: გრძელი და მოკლევადიანი პერსპექტივები“ – ავტორი მიმოიხილავს ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონების დამაკავშირებელ ეკონომიკურ ინტერესებს, რომელიც მტკიცედ არის გადაჯაჭვული ამ რეგიონის პოლიტიკურ ყოფასთან. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის² მაგალითზე, პეიმანი მიმოიხილავს საქართველოს მნიშვნელობას ცენტრალური აზიისა და კავკასიის რეგიონის ეკონომიკაში, რაც დიდწილად განპირობებულია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობით რეგიონის გზაგასაყარზე. აქვე ავტორი ხაზს უსვამს ჩვენს ქვეყანაში არსებულ არასტაბილურ შიდა და საგარეოპოლიტიკურ ვითარებას, რომელიც მეტად დიდ ხელისშემშლელ ფაქტორად ევლინება დასავლელ საინვესტიციო კომპანიებს იმაში, რომ საქართველოს ეკონომიკური სარგებ-

¹ Hooman Peimani. Conflict and Security, გვ. 58.

² „დღეში 1 მლნ ბარელი ნავთობის გადაზიდვის შესაძლებლობის მქონე ნავთობსადენი, რომლის შექმნის იდეა გაჩნდა 1990-იან წლებში, საბოლოოდ დასრულდა 2005 წლის 25 მაისს, ხოლო ფუნქციონირება დაიწყო 2006 წლის 13 ივლისს. 1.768 კილომეტრიანი ნავთობსადენი, აზერბაიჯანის ნავთობ-საბადოებს აკავშირებს თურქეთის ხმელთაშუაზღვისპირა, ჯეიჰანის პორტთან. პროექტის ღირებულება, სხვადასხვა მონაცემებით 3.7 მლნ \$ შეადგინა“. – Hooman Peimani. Conflict and Security, გვ. 70.

ლიანობა სრულად გამოიყენოს საკუთარი ეკონომიკური ინტერესების განსახორციელებლად. „მშვიდობა და სტაბილურობა“¹ – მხოლოდ ეს ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი უნდა გახდეს საქართველოსა და ჩვენი რეგიონის სხვა ქვეყნებისათვის ეკონომიკური წარმატების გარანტი.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის სამართლებრივი ასპექტების მიმოხილვას ეძღვნება ჯეიმს გრინისა და კრისტოფერ უოტერსის რედაქტირებით, 2010 წელს გამოცემული კრებული: „კონფლიქტი კავკასიაში. გავლენა საერთაშორისო სამართლებრივ წესრიგზე“.²

კრებულის სტატიათა ავტორები, ცდილობენ რა მიმოხილონ რუსეთ-საქართველოს ომის სამართლებრივი ასპექტები, განიცდიან დასავლური რიტორიკის გავლენას და 2008 წლის ომში დამნაშავედ რუსეთთან ერთად, მიიჩნევენ საქართველოსაც.³ უნდა ითქვას ასევე, რომ რუსული პასპორტიზაციის პოლიტიკის საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმებთან შეფარდებაზე საუბრისას, კრებულის მესამე სტატიაში⁴ ჯეიმს გრინი არ ეხება ამ პოლიტიკის მიმართებას ქართულ და თავად რუსულ კანონმდებლობასთან და დასძენს, რომ საერთაშორისო სამართალი ნებას რთავს ნებისმიერ სახელმწიფოს, თავად განსაზღვროს საკუთარი მოქალაქეობის გაცემის ნორმები და აქედან გამომდინარე რუსეთს ჰქონდა უფლება საკუთარი მოქალაქეობის, საკუთარი სურვილისამებრ გაცემისა.¹ ეს კი ნაშრომის ნაკლად უნდა მივიჩნიოთ, რადგან რუსეთის

¹ Hooman Peimani. Conflict and Security, გვ. 82.

² Conflict in the Caucasus. Implications for International Legal Order. Edited by James A. Green and Christopher P. M. Waters. New York: Palgrave Macmillan, 2010.

³ James A. Green. Passportisation, Peacekeepers and Proportionality: The Russian Claim of the Protection of Nationals Abroad in Self-Defence. In: Conflict in the Caucasus. Implications for International Legal Order. Edited by James A. Green and Christopher P. M. Waters. New York: Palgrave Macmillan, 2010, გვ. 70.

⁴ James A. Green. Passportisation, Peacekeepers and Proportionality, გვ. 54.

¹ James A. Green. Passportisation, Peacekeepers and Proportionality, გვ. 67.

მიერ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში განხორციელებული პასპორტიზაციის პოლიტიკა, ჩვენი აზრით, პირველ რიგში, ქართული და რუსული კანონმდებლობის ძირითადი უნდა იყოს მიმოხილული და მკაფიოდ უნდა იყოს გამოკვეთილი რუსული საპასპორტო პოლიტიკის „შესაბამისობა“ ქართულ და რუსულ კანონებთან მოქალაქეობის შესახებ.

კრებულის ბოლო სტატიაში¹ ავტორები რუსეთ-საქართველოს სამართლებრივ ასპექტებს მიმოხილავენ ჯერ ქართული, ხოლო შემდეგ რუსული გადმოსახედიდან და საბოლოოდ აკეთებენ დასკვნას, რომ: „სამხედრო კონფლიქტის მანძილზე ყველა მხარემ არაერთხელ მოახდინა საერთაშორისო წესებისა და ნორმების დარღვევა“.² ამგვარად ავტორები არ ამახვილებენ ყურადღებას იმ მდგომარეობაზე, რაც ჩვენს ქვეყანაში იყო შექმნილი 2008 წლის აგვისტომდე. არ ახორციელებენ ღრმა ანალიზს იმ ქმედებებისა, რაც კრემლმა განახორციელა საქართველოში 2008 წლის აგვისტომდე და რამაც ჩვენი ქვეყანა რუსეთთან წინასწარვე განწირულ სამხედრო კონფრონტაციამდე მიიყვანა. ამას დიდწილად განაპირობებს ავტორთა სუბიექტური პოზიცია ან ქართულ მასალებზე არასაკმარისი წვდომის ფაქტორი.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომს ეხება მარსელ დე ჰაასის 2010 წელს გამოცემული წიგნი: „რუსეთის საგარეო უსაფრთხოების პოლიტიკა XXI საუკუნეში. პუტინი, მედვედევი და მათ მიღმა“.¹ ჩვენთვის საინტერესო თემას ეძღვნება ნაშრომის მე-5 თავი: „2008 წლის აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტი“.² აღნიშნულ თავში ავ-

¹ Christoph H. Stefes, Julie A. George. The Battles after the Battle: International Law and the Russia-Georgia Conflict. In: Conflict in the Caucasus. Implications for International Legal Order. Edited by James A. Green and Christopher P. M. Waters. New York: Palgrave Macmillan, 2010, გვ. 153.

² Christoph H. Stefes, Julie A. George. The Battles after the Battle, გვ. 170.

¹ Marcel de Haas. Russia's Foreign Security Policy in the 21st Century. Putin, Medvedev and Beyond. Routledge, 2010.

² Marcel de Haas. Russia's Foreign Security Policy in the 21st Century, გვ. 135.

ტორი მიმოიხილავს საქართველოს კონფლიქტური რეგიონების – აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემებს, ისტორიულ საფუძველს მოყოლებული XX საუკუნის 90-იანი წლებიდან – 2008 წლის 26 აგვისტომდე, როდესაც რუსეთმა აფხაზეთი და ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა. მოვლენათა ამგვარად, ქრონოლოგიურად დალაგების მცდელობა ზემოთ არაერთხელ გვექონდა, თუმცა აღვნიშნავთ, რომ ნაშრომის სრულყოფის მიზნით, მოვლენათა პოლიტიკურ-ისტორიულ-სამართლებრივ მიმოხილვას ჩვენ მოგვიანებით, შემდგომ ნაწილებში შევუხებთ. მარსელ დე ჰაასის წიგნის კონკრეტული თავის შესახებ კი ვიტყვით, რომ ზემოაღნიშნული გამოცემების მიმოხილვის ფონზე, ამ სტატი-აში გვხვდება მეტად საინტერესო სქემა 2008 წელს, რუსული და ქართული შეიარაღებული ნაწილების რიცხოვნობის შედარებისა, რომელიც ამგვარად გამოიყურება:

რუსეთის შეიარაღებული ძალები	საქართველოს შეიარაღებული ძალები
1 მლნ – სამხედრო პერსონალი 23,000 – ტანკი 25,000 – ჯავშნოსანი საბრძოლო მანქანა 26,000 – საარტილერიო დანადგარი 1,736 – საბრძოლო თვითმფრინავი 635 – შემტევი ვერტმფრენი	25,000 – სამხედრო პერსონალი 183 – ტანკი 134 – ჯავშნოსანი საბრძოლო მანქანა 238 – საარტილერიო დანადგარი 9 – საბრძოლო თვითმფრინავი 9 – შემტევი ვერტმფრენი
რუსეთის ჩრდილო-კავკასიური სამხედრო უბანი: 90,000 – სამხედრო პერსონალი 800 – ტანკი 2,000 – ჯავშნოსანი საბრძოლო მანქანა 900 – საარტილერიო დანადგარი ¹	

¹ Marcel de Haas. Russia's Foreign Security Policy in the 21st Century, გვ. 148.

ავტორს ასევე მოცემული აქვს სამხედრო მსხვერპლის რაოდენობა რუსულ და ქართულ მხარეებზე, რის მიხედვითაც, 2008 წლის აგვისტოს ომში ქართული მხარის სამხედრო და სამოქალაქო დანაკარგს მოკლულთა სახით – 295, ხოლო დაჭრილთა სახით – 1500 მოქალაქე შეადგენდა, რუსული მხარის დანაკარგს კი – 71 მოკლული და 340 დაჭრილი.¹ ამგვარად მარსელ დე ჰაასის ნაშრომში ვხვდებით მეტად საინტერესო ციფრებს, რაც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში ძალთა ბალანსის შესახებ, უფრო მკვეთრი წარმოდგენის შექმნაში გვეხმარება. მეორე საკითხია აღნიშნული ციფრების რეალობასთან შეთავსებადობის ნამდვილობა, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ფაქტია, რომ აღნიშნული მონაცემები წარმოადგენს კიდევ ერთ შეხედულებასა და სტატისტიკას რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ.

ჩვენს მიერ განსახილველ შემდგომ გამოცემას წარმოადგენს ფრან ჰაროს რედაქციით 2010 წელს, ნიუ იორკში გამოცემული, სტატიათა კრებული „საქართველო და კავკასიის რეგიონი“.² კრებული შედგება 9 სტატიისაგან.

პირველი სტატიის – „რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი ოსეთში: კონტექსტი“.¹ – ავტორია ჯიმ ნიკოლი. ავტორი მიმოიხილავს 2008 წლის აგვისტოს ომის გამომწვევ მიზეზებსა და ჩვენთვის საინტერესო კონფლიქტის ისტორიულ ფესვებს, რასაც ჩვენ ზემოთ არაერთხელ შევეხეთ და ჩვენი ნაშრომის მომდევნო თავში კიდევ შევეხებით. ნიკოლის მიმოხილვაში არ გვხვდება ზემოთ მიმოხილული კრებულებისა თუ სტატიებისაგან ნოვატორულად განსხვავებული შეხედულება ან ინფორმაცია ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ, ისევე როგორც აღნიშნული კრებულის მეორე სტატიაში – „შავ ზღვაში ევრო-ატლანტიკური სტრატეგიის კვალდაკვალ“,

¹ Marcel de Haas. Russia's Foreign Security Policy in the 21st Century, გვ. 149.

² Georgia and the Caucasus Region. Ed. by Fran W. Haro. New York, 2010.

¹ Jim Nichol. Russia-Georgia conflict in Ossetia: Context. In: Georgia and the Caucasus Region. Ed. by Fran W. Haro. New York, 2010, გვ. 1.

რომლის ავტორები არიან იუჯინ რამერი და ჯეფრი საიმონი.¹

აღნიშნულ თემატიკას შინაარსობრივად აგრძელებს კრებულის შემდგომი სტატია სტიუარტ დ. გოლდმანის ავტორობით: „რუსეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების საკითხები და აშშ-ს ინტერესები“.² ავტორი მიმოიხილავს რუსეთის პოლიტიკასა და ინტერესებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ხაზს უსვამს რუსეთის შიშს, რომელიც გამოწვეულია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გაფართოების პერსპექტივით, რასაც რუსეთი პასუხობს საგარეო პოლიტიკის XIX საუკუნის იმპერიული სტანდარტებისაკენ ცვლილებით და ამ გზით ცდილობს თავის დამკვიდრებას მსოფლიო პოლიტიკაში.

კრებულის მეოთხე სტატია: „სომხეთი, აზერბაიჯანი და საქართველო: პოლიტიკური განვითარება და მისი მნიშვნელობა აშშ-ს ინტერესებისათვის“, რომლის ავტორიც კვლავ ჯიმ ნიკოლია,¹ ერთგვარად აჯამებს და ასრულებს საუბარს კავკასიის რეგიონის მნიშვნელობაზე, აქ არსებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რუსეთისა და აშშ-ს ინტერესებზე ამ რეგიონში. კრებული აგებულია იმგვარად, რომ პირველი 4 სტატია ვრცლად მიმოიხილავს საქართველოსა და მის გარშემო რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. მათ დანვრილებით მიმოიხილვას, ჩვენი აზრით, დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ვინაიდან აღნიშნულ სტატიებში ვერ ვხვდებით ანალიზის გარკვეულწილად ახალ გამოვლინებას ან იმგვარ ინფორმაციას, რომელსაც ზემოთ არ შევხებივართ.

¹ Eugene B. Rumer and Jeffrey Simon. Toward a Euro-Atlantic Strategy for the Black Sea Region. In: Georgia and the Caucasus Region. Ed. by Fran W. Haro. New York, 2010, გვ. 17.

² Stuart D. Goldman. Russian Political, Economic, and Security Issues and U.S. Interests. In: Georgia and the Caucasus Region. Ed. by Fran W. Haro. New York, 2010, გვ. 41.

¹ Jim Nichol. Armenia, Azerbaijan, and Georgia: Political Developments and Implications for U.S. Interests. In: Georgia and the Caucasus Region. Ed. by Fran W. Haro. New York, 2010, გვ. 65.

კრებულის მეხუთე სტატიაში მოცემულია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მასალებით წარმოდგენილი ინფორმაცია საქართველოს შესახებ,¹ მიმოხილულია საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი მიჯნები, ჩვენი ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებული საკითხები, საქართველო საბჭოთა წარსული და თანამედროვეობა და ამასთან ერთად მთელი ის პოლიტიკურ-ეკონომიკური პრობლემები, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობდა და არსებობს. აღნიშნულ სტატიაში, ქრონოლოგიურად მოსდევს ჯიმ ნიკოლის სამი სტატია, რომელიც კრებულის მე-6, მე-7 და მე-8 სტატიებს შეადგენს და რომელთა სათაურებია: „საქართველო (რესპუბლიკა): უახლესი მიღწევები და აშშ-ს ინტერესები“,² „საქართველოს 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები: შედეგები და მნიშვნელობა“¹ და „საქართველოსა და ნატოს გაფართოების საკითხები და მათი მნიშვნელობა“.²

კრებულის მე-6 სტატიაში, ჯიმ ნიკოლი საქართველოს უახლეს მიღწევებზე საუბრისას, რა თქმა უნდა, ეხება რუსული სამხედრო ბაზების საკითხს საქართველოში და მეტად ლაკონურად აყალიბებს აღნიშნული პრობლემის არსს: „1995 წელს ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით დასუსტებულმა საქართველომ, რუსეთს იძულებით მისცა უფლება განეღებინა საბჭოთა დროინდელი, ოთხი სამხედრო ბაზა საქართველოს ტერიტორიაზე 2020 წლამდე. მოგვიანებით, 1999

¹ United States Department of State. Background Note: Georgia. In: Georgia and the Caucasus Region. Ed. by Fran W. Haro. New York, 2010, გვ. 99.

² Jim Nichol. Georgia (Republic): Recent Developments and U.S. Interests. In: Georgia and the Caucasus Region. Ed. by Fran W. Haro. New York, 2010, გვ. 111.

¹ Jim Nichol. Georgia's January 2008 Presidential Election: Outcome and Implications. In: Georgia and the Caucasus Region. Ed. by Fran W. Haro. New York, 2010, გვ. 119.

² Jim Nichol. Georgia (Republic) and NATO Enlargement: Issues and Implications. In: Georgia and the Caucasus Region. Ed. by Fran W. Haro. New York, 2010, გვ. 125.

ნელს, აშშ-ს ჩარევისა და მთელი რიგი ღონისძიებების შედეგად, რუსეთმა დაიწყო საუბრები გუდაუთისა და ვაზიანის სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ 2001 წლის 1 ივლისისათვის და ასევე იმის შესახებ, რომ 2000 წლის ბოლოსთვის უნდა გამართულიყო საუბრები, დარჩენილი ორი სამხედრო ბაზის (საუბარია ბათუმისა და ახალქალაქის სამხედრო ბაზებზე – კ.ყ.) დახურვისა და საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ. რუსეთმა შეთანხმებული დროის მონაკვეთში მოახდინა ვაზიანის სამხედრო ბაზის დემონტაჟი. 2002 წლის ივნისში რუსეთის მხარემ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მათ ასევე დახურეს გუდაუთის სამხედრო ბაზა, თუმცა აფხაზეთში რუსი მშვიდობისმყოფელების დასაცავად დატოვეს 320 სამხედრო. 2005 წლის მარტში, რუსეთი დათანხმდა ახალქალაქის ბაზის დახურვას 2007 წლის ბოლოსათვის, ხოლო ბათუმის ბაზის დახურვას 2008 წლის შუა მონაკვეთისათვის. 2007 წლის 27 ივნისს რუსეთმა საქართველოს ფორმალურად გადასცა ახალქალაქის სამხედრო ბაზა. 2007 წლის 21 ნოემბერს, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ინფორმაცია ბათუმის სამხედრო ბაზის დახურვის შესახებ¹.

ავტორის აღნიშნული მსჯელობა საინტერესოა, თუმცა მას აუცილებლად უნდა დავამატოთ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, რის შესახებაც ჯიმ ნიკოლს გაურკვეველი მიზეზის გამო, საუბარი არ აქვს. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ 1995 წლის 22 მარტს საქართველოსა და რუსეთის თავდაცვის მინისტრებმა მოახდინეს საქართველოს ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ბაზების შექმნის ხელშეკრულების პარაფირება. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, რუსეთს საქართველოს ტერიტორიაზე უნდა განელაგებინა ზემოაღნიშნული ოთხი სამხედრო ბაზა გუდაუთაში, ბათუმში, ახალქალაქსა და ვაზიანში. ხელშეკრულება დაიდო 25 წლის ვადით შემდეგი პირობებით: 1. რუსეთს საქართველოს იურისდიქცია უნდა ელიარებინა აფხაზეთში. 2. რუსეთი საქართველოს ეხ-

¹ Jim Nichol. Georgia (Republic): Recent Developments., გვ. 114.

მარება ჯარის შექმნაში.¹ აღნიშნული ხელშეკრულების რატიფიცირება არ მომხდარა.² აქედან გამომდინარე, შეგვიძლია მარტივად დავასკვნათ, რომ რუსეთმა არ გაითვალისწინა ის ორი ვალდებულება საქართველოს მიმართ, რომლის შესრულების ვალდებულებაც უნდა დაჰკისრებოდა მას, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულება რატიფიცირებული იქნებოდა, რადგან სწორედ რატიფიცირების შემდეგ ექმნება სახელმწიფოს ხელშეკრულებაში მოცემული პირობების შესრულების ვალდებულება. ამ შემთხვევაში რუსეთი საკუთარი ინტერესებიდან გამოვიდა და შეასრულა ხელშეკრულების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც თვითონ სურდა, რატიფიცირების გარეშე და ამასთან ერთად უგულებელყო საქართველოს წინაშე აღებული ვალდებულებები იმავე ხელშეკრულების მიხედვით.

საქართველოს ტერიტორიაზე, ზემოაღნიშნული ოთხი სამხედრო ბაზის განლაგებით რუსეთმა კონტროლი დაამყარა ფაქტობრივად მთელი საქართველოს ტერიტორიაზე: გუდაუთის რუსული სამხედრო ბაზით – აფხაზეთზე, აჭარაში ასლან აბაშიძის რეჟიმის საყრდენი გახდა ბათუმის რუსული ბაზა, სამცხე-ჯავახეთში სომხური პოლიტიკური მიზნების საყრდენი გახდა ახალქალაქის რუსული სამხედრო ბაზა, ხოლო ვაზიანში ბაზის განლაგებით რუსეთს ჰქონდა საშუალება, „საჭიროების შემთხვევაში“, სულ რაღაც ნახევარ საათში შემოეყვანა საკუთარი ჯარი საქართველოს დედაქალაქში – თბილისში.¹

ამგვარად 1995 წლის 22 მარტის ხელშეკრულება საქართველოსა და რუსეთს შორის საქართველოსათვის სრულ ფიასკოსა და წარუმატებლობას ნიშნავდა, მაშინ, როდესაც რუ-

¹ „რუსეთთან განსაკუთრებული ურთიერთობის დამყარება ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის და მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის წინაპირობა“. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995 წლის 25 მარტი. №32 (1048).

² იხ.: რევაზ თოფურია. საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა. <http://blog.fdclub.ge/2015/02/19/საქართველოდან-რუსეთის-სა-რევაზ-თოფურია. საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა.>

სეთმა ჩვენს ქვეყანაში კიდევ ერთხელ გააკეთა ის, რაც სურდა და როგორც სურდა.

კრებულის მომდევნო, მე-7 სტატიაში, 2008 წლის იანვარში, საქართველოში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბრისას, ნიკოლი ხაზს უსვამს სააკაშვილის მორიგი გამარჯვებით რუსეთის გალიზიანებას, რაც მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების საგარეოპოლიტიკური კურსითა და გეგმებით იყო განპირობებული, რის მიხედვითაც საქართველოსათვის უალტერნატივო იყო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისა და ევროპასთან ინტეგრაციის პოლიტიკა.¹

კრებულის მე-8 სტატიაში, ნატო-ს ორგანიზაციის გაფართოებასა და საქართველოზე საუბრისას, ავტორი მიმოიხილავს საქართველოსა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის „ინდივიდუალური პარტნიორობის“ ფარგლებში 2005-2006 წლებში განხორციელებულ წარმატებულ რეფორმებს, რასაც მნიშვნელოვნად შეუშალა ხელი იმავე მიხეილ სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების მიერ 2007 წლის ნოემბერში მშვიდობიანი მანიფესტაციის ძალით დაშლამ და ტელეკომპანია „იმედის“ დახურვამ. ნატო-ს მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰოოპ სხეფერმა საქართველოს ხელისუფლების აღნიშნულ ღონისძიებებს ევროატლანტიკური ალიანსის ხაზთან შეუსაბამო მოვლენები უწოდა.¹

კომენტარის სახით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ აღებულ პოლიტიკურ კურსს ნამდვილად არ შეესაბამებოდა ის მოვლენები, რაც საქართველოში მოხდა 2007 წლის ნოემბერში. ამ მოვლენებმა, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვნადაა გააუარესა ქვეყნის საგარეოპოლიტიკური მდგომარეობა. მშვიდობიანი მიტინგის დარბევამ და ტელეკომპანია „იმედის“ დახურვამ საქართველოსთვის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სამოქმედო გეგმის (MAP) მინიჭების ისედაც არცთუ დიდი სურვილის მქონე და-

¹ Jim Nichol. Georgia's January 2008 Presidential Election, გვ. 123.

¹ Jim Nichol. Georgia (Republic) and NATO Enlargement, გვ. 126.

სავლური დემოკრატიის ქვეყნებს მისცა MAP-ის არმინიჭების საბაზი 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე. ეს ფაქტორი კი, როგორც ზემოთ უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, განპირობებული იყო ევროპის ქვეყნების (საფრანგეთი, გერმანია, იტალია...) ინდივიდუალური პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესებით რუსეთთან.

იმავე სტატიაში საინტერესო ციფრებია მოყვანილი საქართველოს სამხედრო ბიუჯეტის გაზრდის შესახებ 2008 წელს, რის მიხედვითაც ჩვენი ქვეყნის სამხედრო ბიუჯეტი 560 მლნ აშშ დოლარიდან 875 მლნ აშშ დოლარამდე გაიზარდა.¹ რა თქმა უნდა ეს ფაქტორი რუსეთის „სიმშვიდეს“ დაარღვევდა, ამ ქვეყანას, ხომ პარანოიდული შიში აქვს ყველა მეზობელი ქვეყნის გაძლიერების.

ავტორს ასევე მოყვანილი აქვს 2008 წლის იანვარში, ქვეყნის ნატო-ში განწევრიანებასთან დაკავშირებით, საქართველოში ჩატარებული პლემბისციტის შედეგი, რის მიხედვითაც, საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში განწევრიანების მომხრედ, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 77% გამოვიდა.¹

კრებულის მე-9, ფინალურ სტატიას წარმოადგენს ევროპული და ევრაზიული საკითხების ბიუროს მასალებზე აგებული, ძალიან მოკლე მიმოხილვა: „შეერთებული შტატები და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი“.² სტატიაში ძალზე მოკლედ არის მიმოხილული „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტის ისტორიული ფესვები და გამოთქმულია მხარდაჭერა, რომელსაც აშშ უწევდა და უწევს საქართველოს, კონფლიქტურ რეგიონებში არსებული ვითარების სტაბილიზაციის მიზნით.³

საბოლოო ჯამში, აღნიშნული კრებულის შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი წარმოადგენს რუსეთ-საქართველოს ომის,

¹ Jim Nichol. Georgia (Republic) and NATO Enlargement, გვ. 127.

¹ Jim Nichol. Georgia (Republic) and NATO Enlargement, გვ. 128.

² Bureau of European and Eurasian Affairs. The United States and the South Ossetian Conflict. In: Georgia and the Caucasus Region. Ed. by Fran W. Haro. New York, 2010, გვ. 131.

³ Georgia and the Caucasus Region, გვ. 131.

ამ ორი ქვეყნის ურთიერთობებისა და მათი საერთაშორისო მნიშვნელობისა და მასშტაბის მიმოხილვის მცდელობას, რასაც სტატიათა ავტორები მეტნაკლებად ართმევენ თავს.

ჩვენი მიმოხილვის შემდეგ ნაშრომს წარმოადგენს, ამერიკელი დიპლომატისა და პოლიტოლოგის, რონალდ დიტრის ასმუსის – 2010 წლის იანვარში გამოცემული, ფართოდ ცნობილი წიგნი: „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა. საქართველო, რუსეთი და დასავლეთის მომავალი“.¹ წიგნი შედგება შესავლისა და რვა თავისაგან, რომელთაც ჩვენ ქვემოთ მიმოვიხილავთ, თუმცა მანამდე უნდა აღინიშნოს, რომ რონალდ ასმუსის აღნიშნული ნაშრომი მეტ-ნაკლებად ობიექტურად მიმოიხილავს იმ მოვლენებს, რომლებმაც საქართველო, რუსეთი და დასავლეთი 2008 წლის აგვისტოს ომამდე მიიყვანა. ავტორის პოზიცია ჩვენთვის საინტერესო თემასთან მიმართებაში ჩანს ჯერ კიდევ შესავლიდან, რომელშიც ავტორი მოკლედ მიმოიხილავს სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებას, ნათლად გამოკვეთს საქართველოსა და მისი იმდროინდელი ხელისუფლების წინაშე ფაქტობრივად არსებულ არჩევანს, რომლის წინაშეც ჩვენი ქვეყანა დადგა ქართველი ხალხისა და ხელისუფლების მკვეთრი დასავლური ორიენტირისა და ასევე რუსეთის მხრიდან წაყენებული პირობებისა თუ ულტიმატუმის გამო. ავტორი გამოკვეთს საქართველოს საგარეპოლიტიკური ორიენტირის – დასავლეთის ან რუსეთისაკენ – მნიშვნელობას, რაც, საბოლოო ჯამში, უნდა გამხდარიყო გადამწყვეტი ფაქტორი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების საქმეში.¹

შესავალშივე ავტორი შეცდომას უწოდებს საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების მოქმედებებს, რამაც შე-

¹ Ronald D. Asmus. *A Little War that Shook the World. Georgia, Russia and the Future of the West*. Palgrave Macmillan, 2010; რონალდ დ. ასმუსი. *მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა. საქართველო, რუსეთი და დასავლეთის მომავალი*. მთარგმნ. გია ჭუმბურიძე. სამეცნ. რედ. დავით დარჩიაშვილი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010, 276 გვ.

¹ Ronald D. Asmus. *A Little War that Shook the World*, გვ. 9.

საძლთა ხელი შეუწყო რუსეთსა და საქართველოს შორის ომის გაჩაღებას. ასმუხი ხაზს უსვამს სააკაშვილის პოზიციას, რის მიხედვითაც, 2008 წელს განხორციელებული რუსული პროვოკაციების შემთხვევაში, მოსალოდნელი იყო ეთნიკური წმენდა ე.წ. სამხრეთ ოსეთის რეგიონში. აღნიშნული ვითარების ფონზე კი, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის აზრით – უმოქმედობა, მისი პოლიტიკური სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ასმუხი იქვე აღნიშნავს, რომ „თბილისი თითქოს სწორედ იმ გზით მიდიოდა ხოლმე, რასაც რჩინარდ ნიქსონმა ერთხელ „სიძლევის თეორია“ უწოდა ანუ – საგარეო პოლიტიკაში ირაციონალური ქმედებებით დამუქრება – ყურადღების მისაპყრობად. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველო რუსეთთან ომის დაწყებით იმუქრებოდა და სასონარკვეთილი, ასე ცდილობდა ევროპის მხარდაჭერის უზრუნველყოფას“.¹ ამავე დროს, ავტორი აკრიტიკებს დასავლეთსაც და ამბობს, რომ სადამკვირვებლო მისიის გაგზავნას კონფლიქტურ რეგიონში ომის შემდეგ, აჯობებდა აღნიშნული მისია, ჯერ კიდევ 2008 წლის გაზაფხულზე გაგზავნილიყო კონფლიქტურ რეგიონებში, რასაც შესაძლებელია შეეცვალა ისტორიის მსვლელობის გეზი.² ამგვარად ნაშრომის შესავლის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ავტორს მართლაც აქვს მცდელობა, პრობლემის ობიექტური მიმოხილვისა. ასმუხი, რუსულ მხარესთან ერთად, არ ამართლებს არც ქართულ და არც დასავლურ მხარეებს, რასაც საკუთარი, ზემოხსენებული არგუმენტებით ხსნის. უნდა ითქვას, რომ ასმუხის ამგვარი პოზიცია სრულიად რეალისტურად მიგვაჩნია, რადგან არცერთ ისტორიულ ფაქტს არ განაპირობებს მხოლოდ ერთი მიზეზი. ნებისმიერი ომისა თუ სხვა რამ მოვლენის გამომწვევია მიზეზთა ერთობლიობა, რასაც კონკრეტულ შედეგამდე მივყავართ. ამგვარად, საკმაოდ რეალისტურად გვეჩვენება ავტორის მიერ როგორც რუსეთის, ისე საქართველოს და და-

¹ Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 10; რონალდ დ. ასმუხი. მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, გვ. 12.

² Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 12.

სავლეთის ქვეყნების ქმედებებში 2008 წლის აგვისტოში მომხდარი ომის მაპროვოცირებელი ფაქტების საფუძვლები, რომელთაც საბოლოო ჯამში ერთად გამოიწვიეს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი.

ნიგნის პირველ თავში: „გადანყვეტილება“ (The Decision) – ავტორი მიმოიხილავს 2008 წელს განვითარებულ იმ მოქმედებებს, რომელთაც გზა გაუკაფეს აგვისტოს ომს რუსეთსა და საქართველოს შორის. ავტორი საუბრობს მთელ რიგ რუსულ პროვოკაციებზე, რომელთა დაგეგმვა და შესრულება კრემლის მხრიდან უმაღლეს დონეზე ხდებოდა. ავტორის ინფორმაციით, „29 ივლისიდან 7 აგვისტომდე დაიჭრა 6 ქართველი პოლიციელი, სამშვიდობო ქვედანაყოფების 11 კარისკაცი და 14 სამოქალაქო პირი. 2 ქართველი ჯარისკაცი უშუალოდ სროლის დროს, კიდევ ორი კი, მიღებული ჭრილობებისაგან მოგვიანებით გარდაიცვალა“.¹ ავტორი ასევე მიმოიხილავს რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს მინისტრის, თემურ იაკობაშვილის შეხვედრის მცდელობას ცხინვალში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელ იური პოპოვთან 2008 წლის 7 აგვისტოს. ცხინვალს მიახლოებული იაკობაშვილი დაკავშირებია პოპოვს, შეხვედრის საბოლოო დეტალების დასაზუსტებლად, როდესაც ამ უკანასკნელს შეხვედრაზე უარი განუცხადებია, საკუთარ ავტომობილზე საბურავის დაშვების მომიზეზებით. იაკობაშვილის შეკითხვაზე ჰქონდა თუ არა მას სათადარიგო საბურავი, პოპოვს უპასუხნია, რომ სათადარიგო საბურავიც დაშვებულია.² ამგვარად, ერთდერთი ადამიანი, ვისაც იაკობაშვილი შეხვდა 2008 წლის 7 აგვისტოს, ყოფილა რუსეთის მშვიდობისმყოფელთა მეთაური მარატ კულახმეტოვი, რომელსაც რონალდ ასმუსის მიხედვით, მეტად საინტერესო რამ განუცხადებია იაკობაშვილისათვის: „*იაკობაშვილის თქმით, კულახმეტოვმა გულწრფელად აღიარა, რომ სროლები ქართული მხარის მიმარ-*

¹ Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 26; რონალდ დ. ასმუსი. მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, გვ. 29.

² Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 34.

თულებით მართლაც რუსი სამშვიდობოების პოზიციების ახლომდებარე ტერიტორიებიდან ან უშუალოდ პოზიციებიდანვე ხდებოდა, ანუ – სამხრეთ ოსური მხარე ნამდვილად იყენებდა ფარად რუს სამშვიდობოებს. თურმე ისიც უთქვამს, მე ამას ვერ აღვკვეთ, რადგან მე ისინი უკვე აღარ მემორჩილებიანო¹. ამის შემდეგ ავტორი გვაძლევს მოვლენათა საინტერესო, თანმიმდევრობით ქრონიკას, რომელიც იწყება იაკობაშვილის თბილისში ჩამოსვლით და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ განცხადების გაკეთებით 18:40 წთ-ზე. აღნიშნული ბრძანება ნახევარ საათში ოფიციალურად, კიდევ ერთხელ გაუჟღერებია მიხეილ სააკაშვილს.

21:00 სთ-ზე იაკობაშვილმა რეზიდენციაში მიაკითხა მიხეილ სააკაშვილს, რის შემდეგაც, მიხეილ სააკაშვილის ტელეფონზე 22:30 სთ-ზე გაისმა თავდაცვის მინისტრის – დავით კეზერაშვილის ზარი, რომელმაც პრეზიდენტს მოახსენა ქართული სოფლების დაბომბვისა და ქართველი მშვიდობისმყოფელების დაღუპვის ამბები, რაზეც მიხეილ სააკაშვილმა უპასუხა: „არ უპასუხოთ“. ასე გაგრძელდა კიდევ ერთ საათს 23:30 სთ-მდე, როდესაც სააკაშვილის ტელეფონზე მორიგმა ზარმა აცნობა პრეზიდენტს, რომ როკის გვირაბში მდგარი რუსული ნაწილები ცხინვალის მიმართულებით დაიძრნენ. ამჯერად პრეზიდენტმა დაურეკა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროს ზაზა გოგავას და მისცა მას ორი ბრძანება: შეეჩერებინა როკის გვირაბიდან ცხინვალის მიმართულებით დაძრული, რუსული სამხედრო ნაწილები. ასევე შეეჩერებულიყო ის ოსური ნაწილები, რომელნიც ცხინვალის ქართულ სოფლებს ბომბავდნენ. ეს ყველაფერი, მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით, უნდა მომხდარიყო „მინიმალური დანაკარგით“¹. აქვე კომენტარის სახით, საინტერესოა აღინიშნოს, რომ ქართველი მოსახლეობის მინიმალურ მსხვერპლზე რთული იქნებოდა საუბარი, მაშინ როდესაც, როგორც

¹ Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 33-34; რონალდ დ. ასმუსი. მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, გვ. 38.

¹ Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 36.

ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, ცხინვალის რეგიონის ოსური სოფლებიდან მოსახლეობის ევაკუაცია უკვე 2-3 აგვისტოს იყო განხორციელებული, ხოლო ცხინვალის რეგიონის ქართული სოფლების მოსახლეობის მიმართ აღნიშნული ღონისძიების ბრძანება 7 აგვისტოს 23:35-ის მერეც არ გაცემულა.

პირველი თავის ბოლოს, ავტორი იხსენებს მის შეხვედრას მიხეილ სააკაშვილთან 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან ექვსი თვის შემდეგ: „პირდაპირ ვკითხე – მისი აზრით, რა მოხდებოდა, თუკი რჩევას ყურად იღებდა, 7 აგვისტოს იმ საბედისწერო საღამოს არაფერს მოიმოქმედებდა და დაელოდებოდა, სანამ დანარჩენი მსოფლიო თვითონ გაერკვეოდა – ვის მიუძღოდა ბრალი და საქართველოს დასახმარებლად ხელს გამოიღებდა? პასუხი ერთმნიშვნელოვანი გახლდათ – მას არ სჯეროდა, რომ როგორც პრეზიდენტი გადარჩებოდა, რადგან ქართველი ხალხი არც ერთ პრეზიდენტს არასოდეს აპატიებდა უმოქმედობას და იმასთან შეგუებას, უბრძოლველად როგორ კარგავდა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს! მას ისიც ეეჭვებოდა, რომ დღევანდელი საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დარჩებოდა, რადგან მისი ღრმა რწმენით, რუსეთის ქეშმარიტი მიზანი სეპარატისტული რეგიონების გაკონტროლება კი არა, პირადად მისი ხელისუფლების დისკრედიტაცია და დამხობა იყო საქართველოს პროდასავლური კურსიდან გადასაცდენად“.¹

ამ შემთხვევაში საჭიროდ მიგვაჩნია ერთი რამის გააზრება: განურჩევლად ჩვენი პოლიტიკური ორიენტაციისა, თუ პიროვნული სიმპათიებისა და ანტიპათიებისა სააკაშვილის ხელისუფლების მიმართ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ როდესაც ქვეყნის ტერიტორიას ბომბავს მეზობელი აგრესორი, არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში, შენი ქვეყნის ტერიტორიაზე იზრდება აგრესორის სამხედრო ნაწილების რაოდენობა და მოსალოდნელია ნებისმიერი ქმედება მისგან, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ამ აგრესორს რუსეთი ჰქვია.

¹ Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 50; რონალდ დ. ასმუსი. მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, გვ. 56.

რუსეთი არის ქვეყანა, რომელმაც ისტორიის მანძილზე საკმაოდ მაღალ საშემსრულებლო ოსტატობამდე მიიყვანა ომის დანებების ხერხები, მაშინ, როდესაც ეს უნდა და იმ მეთოდით, რა მეთოდითაც ეს აწყობს. უნდა გავიაზროთ როგორმე, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთისათვის ნამდვილად არ ჰქონდა მნიშვნელობა, სააკაშვილის ხელისუფლება უპასუხებდა მას პროვოკაციაზე თუ არა. რუსეთის ფედერაცია მაინც მიაღწევდა საკუთარ სანადელს და ომს დაიწყებდა ნებისმიერ შემთხვევაში. ასეთ ვითარებაში, სუვერენული ქვეყნის პირველ პირს და ქვეყნის სამხედრო ნაწილებს ექმნებათ ვალდებულება როგორმე, გარკვეული ქმედებით შეაჩერონ ან წინ აღუდგნენ მონინალმდეგეს იმისათვის, რომ ჯარმა შეასრულოს საკუთარი ფუნქცია და ასევე პრეზიდენტს ერქვას პრეზიდენტი.

საკითხის მეორე მხარეა ის მომენტი, თუ რამდენად სწორად იყო დაგეგმილი ქართული ნაწილების სამხედრო მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელი ფაქტორის გამო, მიგვაჩნია, რომ დიდწილად სამართლიანად აკრიტიკებს სააკაშვილის ხელისუფლებას გიორგი ყარყარაშვილი, რომლის ნაშრომის მიმოხილვასაც ჩვენ წინა თავში დავუთმეთ ადგილი. ფაქტია, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ვალდებული იყო სამხედრო ნაწილებით დაეცვა საკუთარი ქვეყანა და მოსახლეობა. თუ რამდენად სწორად დაიგეგმა ეს მოქმედება, ვიმეორებთ, რომ ცალკე საკითხია.

გარდა ამისა, საინტერესოა საკითხი დავსვათ შემდეგნაირადაც: რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებაში არშესვლამ 2014 წელს რეალურად რა შედეგი მოუტანა უკრაინას? საბოლოოდ რუსეთმა ვერ განახორციელა საკუთარი მიზანი და ვერ წაართვა ყირიმი და ვერ გაყო ეს ქვეყანა ორ ნაწილად? სწორედ ამიტომ, დიდი სიფრთხილეა საჭირო ამგვარი, თამამი დასკვნების გაკეთებისას. სანამ ვიტყოდეთ, რომ სააკაშვილი საკუთარი სამხედრო ნაწილების ცხინვალისაკენ დაძვრით რუსეთის პროვოკაციაზე წამოეგო და რუსული გეგმის განხორციელებას შეუწყო ხელი, უნდა დავსვათ კითხვა: სააკაშვილის ქმედებების გარეშე რუსეთი არ განახორციელებდა იგ-

ივეს? რა თქმა უნდა, არა. და განა სააკაშვილის მიერ სამხედრო მოქმედებაზე არგადასვლის შემთხვევაში არ დავდებით საქართველოს ხელისუფლებას ბრალს უმოქმედობაში?

ნიგნის მეორე თავში: „კავკასია: ცივიდან ცხელ ომამდე“ – ავტორი მიმოიხილავს მიხეილ სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების გეგმებს, რომელთა მიხედვითაც დასავლური ორიენტირისაკენ უნდა შეცვლილიყო არა მხოლოდ საქართველო და ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, არამედ მთლიანად კავკასიის რეგიონი, რომელიც საბოლოოდ, რუსეთის გვერდის ავლით, შუა აზიიდან ევროპისკენ მიმავალ ენერგოდერეფნად უნდა ქცეულიყო.¹ გარდა ამისა, აღნიშნულ თავში საუბარია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში მიმდინარე პროცესებზე, მიმოიხილულია ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკა კონფლიქტური რეგიონების მიმართ, ავტორი მოკლედ ეხება იმ შეთანხმებებს, რომელთაც საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში არსებული სიტუაცია უნდა დაერეგულირებინა. აღნიშნულ გეგმებსა და საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში არსებულ კონფლიქტთა მცირე ისტორიულ ექსკურსს, ჩვენ დანვრილებით შევხებით ნაშრომის მომდევნო თავში. იმავე თავში, ავტორი აღნიშნავს, რომ „დასავლეთი მხოლოდ იმას ამბობდა, რისი გაკეთებაც არ შეიძლებოდა, მაგრამ გამოსავლის გზებს არ იძლეოდა“.² ასევე ასევე ეხება იმ სამშვიდობო გეგმებს, რომელსაც ქართული მხარე ჯერ კიდევ 2005 წლიდან მოყოლებული სთავაზობდა როგორც ცხინვალის რეგიონს, ასევე აფხაზეთს, თუმცა, როგორც გვახსოვს, სეპარატისტი ლიდერები, მოსკოვის ნაქეზებით, უბრალოდ უგულვებლყოფდნენ ქართული მხარის ამ გეგმებს. ავტორი გაკვირით ეხება ჯერ კიდევ 2000 წელს შემუშავებულ „ბოდენის გეგმას“,³ რომლის შესრულების შემ-

¹ Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 57.

² Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 79; რონალდ დ. ასმუსი. მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, გვ. 86.

³ ინფორმაციული ცნობა „ქართულ-ოსური“ კონფლიქტის შესახებ. იხ.: http://www.parliament.ge/files/617_8236_484760_qart_osuri.pdf.

თხვევაშიც, ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის მოგვარება რეალური ხდებოდა. ავტორის თქმით, ყოველ ჯერზე, როდესაც ქართული მხარე ამა თუ იმ სამშვიდობო ინიციატივით გამოვიდოდა, სეპარატისტული რეგიონებისა და კრემლის მხრიდან საქართველოს ხელისუფლებაზე ხორციელდებოდა თავდასხმა.¹

რონალდ ასმუსის წიგნის მესამე თავი: „კოსოვოს პრეცედენტი“ – ეძღვნება 2008 წლის 17 თებერვალს აშშ-სა და დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების მნიშვნელობასა და საქართველოსთან მიმართებით გამოძახილს რუსეთის საგარეო პოლიტიკაში. როგორც გვახსოვს, ჯერ კიდევ 2006 წელს, როდესაც კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება/არაღიარების შესახებ დასავლეთში მიმდინარეობდა კულუარული საუბრები, პუტინმა განაცხადა, რომ თუკი შესაძლებელი იყო, რომ კოსოვო გამხდარიყო დამოუკიდებელი სახელმწიფო, რატომ იყო შეუძლებელი იგივე მომხდარიყო აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ შემთხვევაშიც?! რონალდ ასმუსი ხაზს უსვამს მთელ რიგ განსხვავებებს, რომელიც არსებობდა და არსებობს კოსოვოსა და აფხაზეთის ან კოსოვოსა და ცხინვალის რეგიონის შედარებისას: 1. ადგილობრივი მოსახლეობის რიცხოვნობა – კოსოვოში 90% პროცენტი მუსლიმი კოსოვარი ცხოვრობდა, მაშინ როდესაც არც აფხაზეთსა და არც ცხინვალის რეგიონში მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას არ შეადგენდნენ არც აფხაზები და არც ოსები; 2. ის ფართო უფლებები და თავისუფლებები, რითაც აფხაზები და ისები სარგებლობდნენ საბჭოთა პერიოდში და, პირიქით, ის შეზღუდვები, რაც მოქმედებდა თანამედროვე მუსლიმი კოსოვარების მიმართ, ზემოხსენებულ საბჭოთა და კიდევ უფრო ადრინდელ პერიოდში.¹ დასავლური პოლიტიკის მთავარ შეცდომად 2008 წლის თებერვალში, ასმუსი მიიჩნევს არა თავად ფაქტს კოსოვოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებისა, არამედ იმას, რომ არ არსებობდა არანაირი სათადარიგო გეგმა იმ შემთხვევაში, თუკი კოსოვოს დამო-

¹ Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 78.

¹ Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 97.

უკიდებლობის გამოცხადებით გალიზიანებული კრემლის არ-ნივები პოსტსაბჭოთა სივრცეში, საკუთარ მეზობლებთან მონდომებდნენ „ფრთების გაშლას“.¹ ავტორს აქვე ახსნილი აქვს იმის მიზეზი, თუ რატომ უყურებდა კოსოვოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გადაქცევას რუსეთი შიშით: „ბევრი რუსისათვის კოსოვო ჩეჩნეთის ერთგვარ ანალოგიად განიხილებოდა: ჩეჩნეთის მსგავსად, კოსოვოც უპირატესად მაჰმადიანებით დასახლებული პროვინცია იყო იმ სახელმწიფოს საზღვრებში, სადაც უმრავლესობას სლავები შეადგენდნენ და როგორც ჩეჩნეთში, იქაც სეპარატისტული განწყობილება დულდა“.¹

აღნიშნული თავის ბოლოს ავტორი მიხეილ სააკაშვილსა და ვლადიმერ პუტინს შორის შეხვედრასაც ეხება. ეს შეხვედრა, რომელიც 2008 წლის 22 თებერვალს, კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 5 დღის შემდეგ შედგა. ამ შეხვედრაზე პუტინის მიერ სააკაშვილის მისამართით თქმული შემდეგი სიტყვები: „ხომ გესმით, რომ კოსოვოს შემდეგ, დასავლეთს უპასუხოდ ვერ დავტოვებთ – მართალია, ძალიან ვნუხვართ, მაგრამ თქვენც ამ პასუხის ნაწილად მოიაზრებით“,² – წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის არაერთი პრინციპის უხეშ დარღვევას. სამწუხაროა, რომ დასავლურმა პოლიტიკურმა წრეებმა აღნიშნულ დარღვევას მაშინ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქციეს და „აცალეს“ რუსეთს, მოემოქმედებინა ის, რაც ამ უკანასკნელმა მოიმოქმედა.

რონალდ ასმუსის ნიგნის მეოთხე თავი: „დიპლომატიური შეხლა-შემოხლა ბუქარესტში“ – აღწერს 2008 წლის 2-4 აპრილს რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში გამართულ ნატო-ს სამიტზე მიმდინარე დიპლომატიურ მოქმედებებს, რომელსაც ჩვენ ზემოთ არაერთხელ შევეხეთ. ავტორი მოკლედ მიმოიხილავს გერმანიისა და საფრანგეთის პოზიციებს 2008

¹ Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 88.

¹ Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 91; რონალდ დ. ასმუსი. მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, გვ. 99.

² Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 106; რონალდ დ. ასმუსი. მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, გვ. 115.

ნლის ბუქარესტის სამიტზე საქართველოსა და უკრაინისათვის MAP-ის მინიჭების თაობაზე. გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელისა და საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის პიროვნებათა სახასიათო შტრიხების გამოკვეთის შემდეგ, ასმუსი ხაზს უსვამს მთავარ მიზეზს, თუ რატომ მოხდა, რომ რუსეთის არცთუ დიდმა მხარდამჭერმა ნიკოლა სარკოზიმ დაიჭირა რუსეთის უფრო დიდი მხარდამჭერის ანგელა მერკელისა და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის – ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის პოზიცია. ავტორი ამბობს, რომ ამის მიზეზი გახდა სარკოზის სურვილი, არ დაეძაბა ურთიერთობა გერმანიასთან მაშინ, როდესაც მან და მერკელმა მოახერხეს და იმ დროისთვის იპოვეს საერთო ენა.¹

ავტორი ასევე უთმობს ადგილს საქართველოსა და უკრაინის გულმხურვალე მხარდამჭერებს, რომელთა შორის პოლონეთს და მის ლიდერს ლეხ კაჩინსკის გამორჩეული ადგილი ეკავათ, თუმცა რადგან კაჩინსკის მაშინდელ იდეებზე ზემოთ უკვე საკმარისად ვისაუბრეთ, ამჯერად შევეხებით ავტორის მიერ მიმოხილულ აშშ-ს პოზიციას 2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტზე საქართველოსა და უკრაინისათვის MAP-ის მინიჭების თაობაზე. ავტორი ამბობს, რომ აშშ დიდად გულშემატკივრობდა საქართველოსა და უკრაინას, როგორც ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გზაზე მდგარ სახელმწიფოებს, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან ფაქტორად მოჰყავს ის გარანტია, რაც საბოლოოდ აშშ-მ და ევროპის ქვეყნებმა მისცეს საქართველოსა და უკრაინას, რის მიხედვითაც ეს ორი ქვეყანა „ერთ დღესაც“ (One Day) უნდა გამხდარიყო ალიანსის წევრი. „მსგავსი პრეცედენტი არავის არ ახსოვდა“.² თუმცა ფაქტია. აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა ასევე სატრანზიტო ხელშეკრულებას, რომელიც უნდა დადებულყო აშშ-სა და რუსეთს შორის ავღანეთში

¹ Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 124.

² “That had never happened before,” – Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 135.

მყოფი ამერიკელი სამხედროებისათვის არასამხედრო ტვირთის მისაწოდებლად, რუსეთის ტერიტორიის გავლით. ამ და კიდევ ალბათ სხვა მრავალმა ფაქტორმა მისცა 2008 წელს რუსეთს მოქმედების საშუალება ისე, როგორც საბოლოოდ კრემლმა იმოქმედა. გარდა ამისა, სტატიის ბოლოს, ავტორს მოჰყავს ბუქარესტის სამიტზე ვლადიმერ პუტინის მიერ უკრაინის მისამართით წარმოთქმული სიტყვები, „პუტინმა იმ აზრზე გაამახვილა ყურადღება, რომ ამ ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი უპირატესად ეთნიკური რუსებით იყო დასახლებული და უკრაინის ნაწილად მხოლოდ სტალინის ცალმხრივი გადაწყვეტილების შედეგად იქცა. რიტორიკული შეკითხვაც კი დასვა: „იტყვის ვინმე, რომ ჩვენ იქ საკუთარი ინტერესები არ გაგვაჩნია?“ მისივე მტკიცებით, ნატო-ში გაწევრიანების საკითხს თავად უკრაინის არსებობისთვის შეიძლებოდა შეექმნა საფრთხე“.¹ ამგვარად, ძნელია, ეჭვი შევიტანოთ პუტინის მიერ 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე წარმოთქმულ „წინასწარმეტყველებაში“ უკრაინის შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ სტრიქონების წერისას უკრაინა ფაქტობრივად ორად არის გაყოფილი.

რონალდ ასმუსის წიგნის მეხუთე თავის სათაურია: „ხელმოცარული დიპლომატია“. ამ თავში ავტორს განხილული აქვს ის მოქმედებები, რომელიც კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოჰყვა 2008 წელს და რომელმაც რუსეთ-საქართველოს ომი გამოიწვია. როგორც ავტორი ამბობს: „კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაციას ჯერ ხეირიანად მელანიც არ შეშრობოდა, როცა მოსკოვმა პირველი ნაბიჯები გადადგა იმ მიმართულებით, რაც, საბოლოო ჯამში, მიზანმიმართულ პოლიტიკურ თუ სამხედრო წნეხად შეიძლება ჩაით-

¹ “He noted that large parts of Ukraine were dominated by ethnic Russians and had been given to Ukraine by Moscow in an arbitrary fashion under Stalin, and asked, “Who can say that we do not have interests there?” The issue of NATO membership, he claimed, could threaten the very existence of Ukraine,” – Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 136; რონალდ დ. ასმუსი. მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შექრა, გვ. 150.

ვალოს საქართველოს მიმართ და რაც 7 აგვისტოს ომის დაწყებით დაგვირგვინდა. 6 მარტს მოსკოვმა გააუქმა დსთ-ს მიერ 1996 წელს მიღებული გადანყვეტილება, რომელიც სეპარატისტულ რეგიონებში იარაღისა თუ სამხედრო აღჭურვილობის შეტანას კრძალავდა და ღიად დაიწყო სეპარატისტთა მხარდაჭერა“.¹

ამის შემდეგ, ავტორი მეტ-ნაკლები თანმიმდევრობით მიმოიხილავს იმ მოქმედებათა ქრონოლოგიას, რომელიც წინ უძღოდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს სამხედრო შეტაკებას. ამ მოვლენებს ჩვენ ზემოთ მრავალჯერ შევხებით. რონალდ ასმუსის წიგნის აღნიშნულ თავზე საუბრისას უპრიანი იქნება ითქვას, რომ ავტორი ეხება ქართული მხარის მიერ წამოყენებულ სამშვიდობო გეგმებს, კერძოდ, აფხაზეთის გავლენის სფეროებად დანაწილების მიხედვით სააკაშვილისეულ გეგმას (2008წ. 21 ივნისი), რის მიხედვითაც ქართული სახელმწიფოს გავლენა უნდა დამყარებულიყო გალისა და ოჩამჩირის ზონებზე და აქ უნდა მომხდარიყო იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის დაბრუნება. ამავე ზონაში უნდა შექმნილიყო ქართულ-აფხაზური ერთობლივი კონტიგენტის მიერ კონტროლირებადი, თავისუფალი ეკონომიკური ზონა. როგორც ვიცით, მოსკოვისა და აფხაზური მხარის ძალისხმევით, აღნიშნული გეგმა სასიკვდილოდ განწირული აღმოჩნდა.² ამგვარად, კომენტარის სახით, შეგვიძლია ვთქვათ მხოლოდ ის, რომ, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, ცნობილია: როდესაც რომელიმე მხარეს სურს ომი, იგი აუცილებლად მოახერხებს ომისათვის გარკვეული საბაბის მოძებნას. რუსეთი, მისი წარსულით, ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო დახვეწილად ვერაგული პოლიტიკის მატარებელი და შემსრულებელი ქვეყანა.

საინტერესოა, რომ 1990-იან წლებში აფხაზეთის ომის დაწყებამდე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს-

¹ Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 146; რონალდ დ. ასმუსი. მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, გვ. 160.

² Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 160-161.

სი საბჭოს თავმჯდომარე ვლადისლავ არძინბა ამბობდა: „ჩვენ ნებისმიერ ფასად ვაიძულებთ ქართველებს, გვესროლონ“.¹ უდავოა, რომ 2008 წელს, ისევე როგორც 90-იანი წლების აფხაზეთის ომის პერიოდში, რუსეთის მიზანს წარმოადგენდა ომის დაწყება და ამ მიზანს რუსეთმა „ნებისმიერ ფასად“ მიაღწია. ჩვენს აზრს იმის შესახებ, თუ რისი გაკეთება იყო შესაძლებელი 2008 წელს რუსული აგრესიის თავიდან ასაცილებლად, ნაშრომის მომდევნო თავში განვავრცობთ. მანამდე კი შევეხებით რონალდ ასმუსის წიგნის მომდევნო, მეექვსე თავს: „ბრძოლა“, – რომელშიც ავტორი მიმოიხილავს იმ საბრძოლო მოქმედებებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა რუსეთსა და საქართველოს შორის 2008 წლის აგვისტოს ხუთი დღის განმავლობაში. 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სამხედრო ნაწილების რაოდენობა, ავტორის მიხედვით შეადგენდა 40 ათასს, რაც თითქმის სამჯერ აღემატებოდა ქართული სამხედრო ნაწილების რაოდენობას.¹ გარდა ამისა, როგორც ზემოთ უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, რუსეთი ომს აწარმოებდა ინფორმაციულ ფრონტზეც, ანუ კიბერსივრცეში, რაც წარმოადგენდა ფაქტობრივად მეოთხე ფრონტს – ზღვის, ჰაერისა და ხმელეთის შემდეგ. საბრძოლო მოქმედებებთან ერთად, ავტორი საუბრობს ასევე საქართველოს სამხედრო ნაწილების ნაკლოვანებებსა და საბედისწერო მინუსებზე, რომელთა შორის, პირველ რიგში აღნიშნავს კომუნიკაციის პრობლემებს: „რადიოგადამცემები წესიერად ვერ მუშაობდა და მეთაურებს ხშირად მობილური ტელეფონებით ან სულაც პირადად უწევდათ ერთმანეთთან დაკავშირება“.²

¹ «...Мы любой ценой заставим грузин стрелять в нас...». – Гоча Гварамия. Как Начинаясь война в Абхазии. <http://www.apsny.ge/analytics/1187113045.php>.

¹ Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 165.

² “Radios did not function properly, and commanders often had to stay in touch by mobile phones or even in person.” – Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 175; რონალდ დ. ასმუსი. მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, გვ. 193.

სხვადასხვა საომარ პერიპეტიებზე საუბრისას, ასმუსი ასევე ეხება საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილებას, უარი ეთქვათ პარტიზანულ ომზე, რადგან ამას აუცილებლად მოჰყვებოდა ქვეყნის გავერანება, თანაც, თუ გავითვალისწინებთ რუსული არმიის მასშტაბებს, პარტიზანულ ომში ქართული სამხედრო ნაწილების შანსი მიზერული იყო. რუსული არმიის პარტიზანული ომის შესაძლებლობები კარგად გამოჩნდა უკრაინის 2014-2015 წლების კონფლიქტში, რომელიც დღემდე გრძელდება და ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობს.

დასასრულს, შევეხოთ რონალდ ასმუსის მიერ მოყვანილ, რუსი სამხედრო ექსპერტის პაველ ფელგენჰაუერის სტატიას, რომელიც «Новая Газета»-ში დაიბეჭდა. აღნიშნულ სტატიაში ფელგენჰაუერი ამბობს, რომ „ომი ნებისმიერ შემთხვევაში გარდაუვალი იყო – არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რას მოიმოქმედებდა თბილისი: ჩათრევას ჩაყოლას ამჯობინებდა თუ არა. მიზანი საქართველოს ხელისუფლების დამხობა, ქართული ჯარის დაშლა-განადგურება და, საბოლოოდ, ნატოში შესვლაზე ოცნების დასამარება გახლდათ“.¹ ჩვენი აზრით, აღნიშნულ ამონარიდს კომენტარი არ სჭირდება.

რონალდ ასმუსის წიგნის მეშვიდე თავი: „ცეცხლის შეწყვეტა“ – ფართოდ მიმოიხილავს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის ბოლო დღეებს და ექვსპუნქტიან შეთანხმებას, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის საფრანგეთის პრეზიდენტის – ნიკოლა სარკოზის შუამდგომლობით გაფორმდა. და რომლის მეხუთე პუნქტი – „რუსული შეიარაღებული ძალების დაბრუნება ომამდე პოზიციებზე; ხოლო საერთაშორისო მექანიზმების შემუშავებამდე, რუსულ სამშვიდობოებს უსაფრთხოების დამატებითი ზომების გატარებაც ეკისრებათ“,² ფაქტობრივად, წინ არ აღუდგა რუსეთის განზრახვას

¹ Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 170; რონალდ დ. ასმუსი. მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, გვ. 187.

² Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 201; რონალდ დ. ასმუსი. მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, გვ. 221.

2008 წლის 26 აგვისტოს აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადებისა. ავტორი აღწერს იმ შეშფოთებას, რომელიც დაეუფლათ საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს აღნიშნული შეთანხმების გაცნობისას, თუმცა ავტორის თქმით, საქართველოს ფაქტობრივად არ ჰქონდა გამოსავალი, რადგან ამ ომის დასასრული დამოკიდებული იყო საფრანგეთის პრეზიდენტზე, რომლის მიზანიც იყო ომის შეჩერება და რუსული სამხედრო ნაწილების გაყვანა ერთი თვის ვადაში: „ევროკავშირის გარდა, ვერცერთი სხვა პოლიტიკური ძალა ამას ვერ მოახერხებდაო“,¹ – ამბობდა ნიკოლა სარკოზი 2008 წელს. მართლაც, ძნელია არ დავეთანხმოთ – ნამდვილად არცერთ პოლიტიკურ ძალას, გარდა ევროკავშირისა, ალბათ არ შეეძლო ასე „ჩაეფარცხა“ საქართველოსთვის ასე მნიშვნელოვანი საკითხი და მიეღო ისეთი ზედაპირული და გაუაზრებელი გადაწყვეტილება, როგორც მიღებულ იქნა ნიკოლა სარკოზისა და ვლადიმერ პუტინის შეხვედრაზე. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ნიკოლა სარკოზიმ უბრალოდ ვალი მოიხადა აღნიშნული პოლიტიკური ვითარების პირობებში. სხვა მხრივ, ჩვენი აზრით, შეუძლებელია საკითხში ოდნავ მაინც ჩახედულ პოლიტიკოსს, მსგავსი ტიპის გადაწყვეტილება მიეღო და დაემტკიცებინა გადაწყვეტილება, რომელმაც რუსულ მხარეს აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის აღიარებასა და 12 აგვისტოს შემდეგ, საქართველოს ტერიტორიაზე, საკუთარი ჯარებისათვის ძარცვა-გლეჯის ასპარეზის შექმნაში შეუწყო ხელი.² ვიზიარებთ და ვეთანხმებით

¹ Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 213; რონალდ დ. ასმუსი. მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა, გვ. 233.

² Глава МВД Грузии рассказал, как русские солдаты вывозили унитазы, кровати, туалетную бумагу, а боеприпасы меняли на водку. об.: http://censor.net.ua/news/40806/glava_mvd_gruzii_rasskazal_kak_russkie_soldaty_vyvozili_unitazy_krovati_tualetnuyu_bumagu_a_boepripsy; В Грузии удивляются, зачем российские военные воруят унитазы и табуретки. об.: <http://www.segodnya.ua/world/v-hruzii-udivljajutcja-zachem-roccijkie-voennye-vorujut-unitazy-i-taburetki.html>.

ამ აზრს, რადგან დასავლეთის ქვეყნების მიერ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ის, რომ მათ საქმე ჰქონდათ რუსეთთან და არა რომელიმე ადეკვატური საგარეო პოლიტიკის მქონე ქვეყანასთან. ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ გეგმის შედგენისას უნდა მომხდარიყო ამ გეგმის მოდიფიცირება იმგვარად, რომ რუსეთს არ დარჩენოდა გამოსავალი, გარდა უკან დახევისა. ექვსპუნქტიანი გეგმა კი ასე ნამდვილად არ იყო შედგენილი.

ნიგნის ბოლო თავში: „საქართველო, რუსეთი და დასავლური სამყაროს მომავალი“ – რონალდ ასმუსი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს შესახებ აკეთებს ორი სახის დასკვნას: იგი ამბობს, რომ რუსეთ-საქართველოს ომი 2008 წლის აგვისტოში არ მომხდარა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში არსებული ეთნიკური პრობლემების გამო, არამედ მოხდა საქართველოს ნატოში გაერთიანების სურვილისა და მისწრაფების გამო, რომელსაც ფესვები ეძებნება ჯერ კიდევ შვეარდნაძის ეპოქაში. ავტორი იხსენებს ედუარდ შვეარდნაძის წინააღმდეგ ორგანიზებულ ტერაქტებს და ამბობს, რომ კრემლი აქტიურად მუშაობდა შვეარდნაძის გასანადგურებლად, როგორც ადამიანის, რომელმაც აირჩია „ბალანსის“ პოლიტიკა რუსეთსა და დასავლეთს შორის.¹

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია გავაკეთოთ მარტივი დასკვნა, რომ რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობისათვის საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიიღოს მკაფიო გადამწყვეტილება ან დასავლური, ან რუსული ორიენტაციისაკენ. ამასთან, მკვეთრი დასავლური პოზიცია პრობლემებს გვიქმნის რუსეთთან, ხოლო რუსული პოზიცია კი, თავად წარმოადგენს პრობლემას და არა პრობლემის მოგვარებას საქართველოსთვის. ყოველგვარი ბალანსი, რის განხორციელებასაც საქართველოს ხელისუფლება ეცდება, ფაქტობრივად წარუმატებელი გამოვა. ეს დებულება გამომდინარეობს მოვლენათა იმ ლოგიკური ჯაჭვიდან, რომელსაც ადგილი ჰქონდა საბჭო-

¹ Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 215-217.

თა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის მიერ, 2013 წელს გამოცემულ ექსპერტ იუჯინ კოგანის სტატიაში: „რუსულ-ქართული ურთიერთობები და რეაქცია ევროკავშირიდან“ – მიმოხილულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, საქართველოში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, როდესაც 2012 წლის 1 ნოემბერს, ბიძინა ივანიშვილმა რუსეთთან ურთიერთობებში სპეციალურ წარმომადგენლად, დანიშნა ზურაბ აბაშიძე. ამ ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, ივანიშვილი რუსეთისაგან კეთილგანწყობილ რეაქციას ელოდა, თუმცა ნაცვლად ამისა, რუსმა დიპლომატმა ალექსანდრე ლუკაშევიჩმა განაცხადა: „ჩვენ ველით კონკრეტულ, პრაქტიკულ ნაბიჯებს საქართველოს ახალი ხელისუფლებისაგან“.¹ კრემლის ამ განცხადებას, როგორც გვახსოვს მოჰყვა ბიძინა ივანიშვილის იმედგაცრუება, რის შესახებაც იუჯინ კოგანი ამბობს: „ივანიშვილის იმედგაცრუება მოსკოვის განცხადებით მიუთითებს მის მიერ პუტინის პოლიტიკის ვერგაგებაზე საქართველოსა და ზოგადად კავკასიის რეგიონთან მიმართებაში. შესაძლოა, ივანიშვილი კარგად იცნობდეს რუსული ბიზნესელიტების მენტალობასა და ხასიათს, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი ნაკლებად იცნობს რუსული პოლიტიკის ბუნებას“.² აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ კრემლი, როგორც ედუარდ შევარდნაძის, ასევე მიხეილ სააკაშვილისა და დღესდღეობით ირაკლი ლარიბაშვილის ხელისუფლებისგან ითხოვს მხოლოდ და მხოლოდ დასავლურ ორგანიზაციებში ინტეგრაციაზე უარის თქმას და რუსეთისაკენ „შემობრუნებას“ და არაფერს სხვას, ხოლო ამგვარი შემობრუნება, რომ სასიკეთოს არაფერს უქადის საქართველოს, ეს ცხადია. არანაირი ბალანსის

¹ Eugene Kogan. Russian-Georgian Relations and the Reaction from the European Union. Georgian Foundation for Strategic and International Studies, 2013, გვ. 4.

² Eugene Kogan. Russian-Georgian Relations.., გვ. 4.

მცდელობა საქართველოს მიერ რუსეთსა და დასავლეთს შორის, კრემლისათვის მისაღები არ არის.

რონალდ ასმუსის აზრით, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში დასავლეთის სამშვიდობო კონტიგენტების განლაგებით, რომლებიც, ვითარების დაძაბვის პირველივე ნიშნების შემდეგ, გაძლიერებულ კონტროლს გაუწევდნენ რეგიონებში შექმნილ ვითარებას.¹ საბოლოოდ, რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის მონესრიგების გამოსავალს რონალდ ასმუსი ხედავს დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობათა მონესრიგებაში. მისი თქმით, რუსეთს მკაფიოდ უნდა განემარტოს, რომ დასავლურ საზოგადოებაში არსებობს ადგილი რუსეთისათვის, რომელიც გაიზიარებს დასავლურ ღირებულებებს და მიიღებს თამაშის წესებს.² დრო გვაჩვენებს, თუ რამდენად მისაღები იქნება რუსეთისთვის დასავლური თამაშის წესები.

ამგვარია ამერიკელი დიპლომატის რონალდ დიტრიხ ასმუსის პოპულარული წიგნის მიმოხილვა. აღნიშნულ ნაშრომზე აზრის გამოთქმისა და კომენტარებისას, უპრიანად მივიჩნევთ, შევხვთ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ ალექსანდრე დაუშვილის 2013 წელს გამოცემული წიგნს: „ფიცი მწამს – ბოლო მაკვირვებს!.. რონალდ დ. ასმუსის წიგნის: „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“ (თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010,) გამოცემის გამო“.³

ალექსანდრე დაუშვილის წიგნის შესახებ საუბრისას, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს წიგნის სუბიექტური მუხტი და ავტორის მიკერძოებული დამოკიდებულება მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებასთან. საკუთარ წიგნში დაუშვილი სააკაშვი-

¹ Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 222.

² Ronald D. Asmus. A Little War that Shook the World, გვ. 233.

³ ალექსანდრე დაუშვილი. ფიცი მწამს – ბოლო მაკვირვებს!.. რონალდ დ. ასმუსის წიგნის: „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“ (თბ., 2010, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა) გამოცემის გამო. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2013.

ლის აბსოლუტურად ყველა ნაბიჯის მაკრიტიკებელ პიროვნებად წარმოგვიდგება და ერთ-ერთ ძირითად „ბრალდებას“, რასაც იგი უყენებს რონალდ ასმუსს, არის სწორედ ის, რომ ამერიკელი დიპლომატი, საკუთარ წიგნში, სწორედ რომ საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების მიერ მიწოდებული წყაროებით სარგებლობს და არ იყენებს ქართულ სივრცეში ხელმისაწვდომ სხვა ქართულენოვან წყაროებს.¹ ამაში ავტორს ვეთანხმებით, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არა მხოლოდ რონალდ ასმუსს, არამედ ზოგადად მრავალ დასავლელ მკვლევარს აქვს თავად ქართულენოვან წყაროებზე წვდომის პრობლემა. ეს კი, რა თქმა უნდა, ქართულ პრობლემატიკაზე შესრულებული ნაშრომის სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს.

ჩვენი აზრით, რონალდ ასმუსის წიგნი ეძღვნებოდა საქართველოს და ცდილობდა ეჩვენებინა დასავლეთისათვის, რომ ის ტრადიციული „დასავლური პოლიტიკა“ რუსეთის მიმართ უნდა შეიცვალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთისა და დასავლეთის თანამედროვე ურთიერთობები დაემსგავსება ცივი ომის პერიოდის სსრკ-სა და დასავლეთის ურთიერთობებს. ამის თავიდან აცილება კი კავკასიის რეგიონში დასავლეთის ქვეყნების უფრო მეტი პოლიტიკური ჩართულობით არის შესაძლებელი. ამ აზრის საწინააღმდეგოდ, ალექსანდრე დაუშვილი არ იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ 2008 წლის 17 თებერვალს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსეთ-საქართველოს ომის გაჩაღებაში იმ სახით, როგორითაც იგი გაჩაღდა. მოჰყავს რა არგუმენტად ის ფაქტორი, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობას საქართველოს გარდა დედამიწის არცერთ კუთხეში, არცერთი სეპარატისტული მოძრაობა არ გაუღვიძებია, ავტორი ამბობს, რომ „*კოსოვოში კი არა, „ძალღის თავი“ ქართულ-რუსულ ურთიერთობაშია ჩამარხული*“.² რა თქმა უნდა, ავტორი მართალია იმაში, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები გადამწყვეტია მაშინ, როდესაც ჩვენ აფხაზეთისა და ცხინვალის

¹ ალექსანდრე დაუშვილი. ფიცი მწამს – ბოლო მაკვირვებს, გვ. 21.

² ალექსანდრე დაუშვილი. ფიცი მწამს – ბოლო მაკვირვებს, გვ. 10.

რეგიონის პრობლემებზე ვსაუბრობთ, მაგრამ იმ დიდი რაოდენობით ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ, რომელსაც ჩვენ ზემოთ დავუთმეთ ადგილი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მაშინ როდესაც რუსეთი საქართველოში, დასავლეთზე ორიენტირებული სააკაშვილის ხელისუფლების წინააღმდეგ ომის დაგეგმვას იწყებდა და ჯერ კიდევ 2004 წლიდან „უთითებდა“ საქართველოს პრეზიდენტს, თუ ვინ უნდა დაეტოვებინა საქართველოს ხელისუფლების მაღალ თანამდებობებზე და ვინ არა, უბრალოდ სახელმწიფოს თავმოყვარეობის საკითხს წარმოადგენდა ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მიმართ მტკიცე პოზიციის დაჭერა და ამით ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვა, ასევე „განგაშის ატეხვა“ და ყველასათვის ჩვენება იმისა, თუ რა ხერხებით ცდილობს რუსეთი საქართველოში კონფლიქტების პროვოცირებას. ჩვენი აზრით, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამ დააჩქარა რუსეთ-საქართველოს ომი, რომელიც ალბათ, რუსეთის გეგმით, შესაძლოა, უფრო გვიან მომხდარიყო. ეს არავინ იცის.

საბოლოოდ უნდა ვთქვათ ის, რომ „რუსეთის მოფერება“ და ამ ორი სახელმწიფოს ხალხებს შორის ძველი მეგობრობის გახსენება, ჩვენი აზრით, არ არის ის ბერკეტი, რითაც საქართველოს ხელისუფლებამ შეიძლება პოლიტიკაში იხელმძღვანელოს. წარმატებული და მშვიდობიანი ურთიერთობისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია, რომ ერთი ქვეყანა მეორისათვის იყოს „საჭირო“ პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა რამ მნიშვნელოვანი კუთხით. ოღონდაც „საჭირო“ არა ვასალური გაგებით, როგორც რუსეთს სჭირდება საქართველო, არამედ „საჭირო“ სტრატეგიულ-პარტნიორული გაგებით, როგორც, მაგალითად, გერმანიას სჭირდება რუსული გაზის რესურსი. ყველაზე სამწუხარო ამ შემთხვევაში არის ის, რომ XXI საუკუნეში, როდესაც მნიშვნელოვანწილად ეკონომიკა განსაზღვრავს პოლიტიკას, საქართველოს არ გააჩნია ისეთი ეკონომიკური პოტენციალი, რომ მიიზიდოს დასავლეთის ქვეყნები და რუსეთი იმ დონეზე, რომ რეგიონი პოლიტიკურად უსაფრთხო და სტაბილური გახდეს. ჩვენი ქვეყანა, დღესდღე-

ობით, ისევე როგორც ისტორიულ წარსულში, რჩება მსოფლიოში დაპირისპირებული ორი ბანაკის ბრძოლის ველად.

„დასავლეთი მოიქცა და მუდამ მოიქცევა ისე, როგორც ევროპის, მთლიანად დასავლეთის პოლიტიკური, გეოსტრატეგიული და ეკონომიკური ინტერესები მოითხოვენ...“¹ – ამბობს ალექსანდრე დაუშვილი და ჩვენც ვეთანხმებით, რადგან მართლაც თითქმის არარეალურ რომანტიზმად მიგვაჩნია საქართველოს მამინდელი ხელისუფლების რწმენა, რომ ამგვარი მსოფლიო წესრიგი შეიცვლებოდა საქართველოს გამო. ამავე დროს, ეს, ჩვენი აზრით, უფრო მეტად სასარგებლო იქნებოდა თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკისათვის, ვიდრე დღესდღეობით მსოფლიო პოლიტიკაში შექმნილი მდგომარეობა, როდესაც რუსეთი საკუთარ „სამეზობლოში“ აკეთებს, რასაც უნდა, რა ფორმითაც უნდა. 2008 წელს დასავლეთის ქვეყნებს რომ საკუთარი „ჩვეული“ სცენარით არ ეთამაშათ და ეჩვენებინათ რუსეთისათვის, რომ XXI საუკუნეში XIX საუკუნის პოლიტიკური მეთოდებით მოქმედება დაუშვებელია, შესაძლოა, თავიდან აცილებულიყო როგორც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, ისე 2013 წელს უკრაინაში დაწყებული კრიზისი, მაგრამ როგორც დავინახეთ, დასავლეთი მოიქცა ისე, როგორც მუდამ იქცეოდა – საკუთარი ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. სწორედ ამიტომ, რონალდ ასმუსის წიგნის სათაურის ხაზგასმისას, ჩვენი აზრით, სავსებით სამართლიანად შენიშნავს ალექსანდრე დაუშვილი: „არა ხართ მართალი, ბატონო ავტორო, არ „შედრა მსოფლიო“. ასე არ იქცევიან წამყვანი ქვეყნები, როცა „შეიძრა მსოფლიო“.

„შედრა მსოფლიო“ – ჰიტლერის აგრესიამ; „შედრა მსოფლიო“ – სადამ ჰუსეინის მოქმედებამ; „შედრა მსოფლიო“ – ბაშარ ასადის უზნეობამ... მართლაც, მიიღეს ზომები, არაფერი შეარჩინეს აგრესორებს, ნავიდნენ მატერიალურ და ადამიანურ მსხვერპლზე და გაიმარჯვეს. ეს ასე ხდება, როცა აგრესიამ „შედრა მსოფლიო“.¹ საქართველოს შემთხვევაში კი

¹ ალექსანდრე დაუშვილი. ფიცი მწამს – ბოლო მაკვირვებს, გვ. 27.

¹ ალექსანდრე დაუშვილი. ფიცი მწამს – ბოლო მაკვირვებს, გვ. 77.

დასავლეთის ქვეყნები მხოლოდ გაფრთხილებით შემოიფარგლნენ, ისევე, როგორც დღესდღეობით უკრაინის შემთხვევაში, სადაც რუსეთის წინააღმდეგ მოქმედების ყველაზე მკაცრ ზომად ეკონომიკური სანქციები მოგვევლინა, რომელთაც საბოლოოდ რუსეთს ხელი არ ააღებინა საკუთარ განზრახვასა და მოქმედებებზე. მიუხედავად ყოფილი თავდაცვის მინისტრის დიმიტრი შაშკინის განცხადებისა, რომელიც მან 2015 წლის აგვისტოში გააკეთა და რომლის მიხედვითაც ტყუილია და სიცრუეა, ის ფაქტი, რომ აშშ და დასავლეთი ქმედითად არ დაგვხმარებია 2008 წელს, რადგან, შაშკინის თქმით, თბილისი დაბომბვას სწორედ ამერიკულმა საჰაერო სისტემებმა და იმ თვითმფრინავებმა გადაარჩინეს, რომლებიც იმ დღეებში თბილისის აეროპორტის ასაფრენ ზოლზე იყვნენ დისლოცირებულნი,¹ მაინც რთულია იმის დაჯერება, რომ დასავლეთმა გააკეთა ყველაფერი, რაც შეიძლებოდა გაეკეთებინა, რომ საქართველოს თავიდან აერიდებინა მარცხი, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური; რომ რუსეთისათვის დასავლეთისაგან არ ყოფილიყო მიწოდებული ბერკეტი, ექვსპუნქტიანი შეთანხმების მეხუთე პუნქტის სახით, საიმისოდ, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა ცალმხრივად გამოეცხადებინა. ამასთან ერთად, რთულია ასევე იმ პოზიციის გაზიარება, რომ სამხედრო მარცხის მიუხედავად 2008 წელს საქართველომ პოლიტიკურ გამარჯვებას მიაღწია, რადგან რუსეთმა საბოლოოდ მაინც შეძლო საქართველოს კონფლიქტური რეგიონების დამოუკიდებლობის ცალმხრივად გამოცხადება. შესაძლოა, ეს არ წარმოადგენდეს რუსული პოლიტიკის გამარჯვებას, მაგრამ ცხადზე ცხადია, რომ ეს ფაქტი წარმოადგენს ქართული პოლიტიკის მარცხს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში. გარდა ამისა, საქართველოსა და დასავ-

¹ დიმიტრი შაშკინი – „რუსეთი გააჩერა ქართულმა ჯარმა, საერთაშორისო მხარდაჭერამ და აშშ-ს მიერ გადადგმულმა კონკრეტულმა ნაბიჯებმა“. იხ.: <http://news.ge/ge/news/story/147396-ruseti-gaachera-qartulma-jarma-saertashoriso-mkhardacheram-da-ashsh-s-mier-gadadgmulma-konkretulma-nabijebma>.

ლეთის ქვეყნების ერთიან პოლიტიკურ გამარჯვებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა საუბარი უპრიანი, თუკი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომიდან ხუთი წლის შემდეგ რუსეთი ვერ „გაბედავდა“ იმას, რასაც დღემდე ახორციელებს უკრაინაში.

ალექსანდრე დაუშვილის წიგნს პოლიტიკურ მუხტს მატებს მიხეილ სააკაშვილისადმი ცალკე დათმობილი პასაჟები, სადაც იგი საქართველოს იმდროინდელ პრეზიდენტს თავიდანვე „რუსულ პროექტს“ უწოდებს და არგუმენტად მოჰყავს „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის იგორ ივანოვის როლი, საქართველოში მოვლენების მშვიდობიანად დასრულებაში.¹

ალექსანდრე დაუშვილი 2004-2008 წლებში მიხეილ სააკაშვილის გუნდის პოლიტიკის შეფასებისას ხაზს უსვამს, რომ ამ პერიოდში საქართველოს ხელისუფლების მოქმედების „ძირითადი პოლიტიკური მეთოდი უნდა ყოფილიყო: «*Tuše sodby – Niže pravdy*»“.² ავტორის ამ მოსაზრებას შეუძლებელია დავეთანხმოთ, რადგან რუსეთთან მსგავს პოლიტიკას სარგებელი არავისთვის მოუტანია. ორი გვერდის შემდეგ ავტორი გვთავაზობს შემდეგ მოსაზრებას: „თუ მე ვცდები და ეს ჩემი შეფასება მცდარია, მაშინ მ. სააკაშვილის მთავრობა უნდა მოქცეულიყო ისე, როგორც მოიქცა ბელგიისა და ნიდერლანდების მთავრობა II მსოფლიო ომის დროს – უომრად უნდა დამორჩილებულიყო აგრესორს ბოლომდე. მთლიანად ოკუპირებული ქვეყნის განთავისუფლება მსოფლიოს თანამეგობრობისათვის უფრო იოლია, ვიდრე მიტაცებული 20 პროცენტის უკან დაბრუნება (გავიხსენოთ, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, მაგრამ იაპონიამ დღემდე ვერ დაიბრუნა ნანატრი კურილიის კუნძულები)“.¹

ამ შემთხვევაში, წარმოუდგენელია დავეთანხმოთ ავტორს, რადგან ნებისმიერ სუვერენულ სახელმწიფოს გააჩნია

¹ ალექსანდრე დაუშვილი. ფიცი მწამს – ბოლო მაკვირვებს, გვ. 80.

² ალექსანდრე დაუშვილი. ფიცი მწამს – ბოლო მაკვირვებს, გვ. 86.

¹ ალექსანდრე დაუშვილი. ფიცი მწამს – ბოლო მაკვირვებს, გვ. 88.

საკუთარი ინტერესები, პოლიტიკური ნება, დამოუკიდებლად არსებობის უფლება, რომლის შელახვა თითოეული სუვერენული სახელმწიფოსა და მისი მოსახლეობის შეურაცხყოფას ნარმოადგენს და დაუშვებელია. მიუხედავად რიგი იმ შეცდომებისა, რომელიც საქართველოს მაშინდელმა ხელისუფლებამ დაუშვა, მიუღებელია ამ შეცდომების საპირწონედ დაუშვილი-სეული „გამოსავლის“ მოყვანა, რაც ეწინააღმდეგება სუვერენული ქვეყნის არსებობის პრინციპებს. აქვე იმაშიც ვართ დარწმუნებულნი, რომ უარესი და უბედური სცენარის შემთხვევაში, რომ მართლაც მთელი საქართველო „დანებებული-ყო“ რუსეთს, ალბათ თავად ალექსანდრე დაუშვილი და მისი ზემოაღნიშნული აზრის გამზიარებელი სხვა ადამიანები, პირველები იქნებოდნენ, ვინც დაგმობდა საქართველოს ხელისუფლების მოქმედებას და დაადანაშაულებდა მას საქართველოს, როგორც სუვერენული ქვეყნის არსებობის უფლებების შელახვასა და საკუთარი ქვეყნის არ/ვერ დაცვაში.

ამგვარად, დასკვნის სახით, რონალდ ასმუსის წიგნზე უნდა ითქვას, რომ ეს არის დასავლელი დიპლომატიის მიერ დასავლური თვალთახედვით დანერილი წიგნი ქართულ პრობლემაზე, რომელიც ასევე მსოფლიო პოლიტიკის მნიშვნელოვან პრობლემად რჩება. საკუთარ წიგნში რონალდ ასმუსი, როგორც ზემოთ დავინახეთ, გარკვეული, შუალედური დასკვნების გაკეთებას ცდილობს – აკრიტიკებს დასავლეთის უმოქმედობას, ამასთან ერთად, რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლების ნაბიჯებსაც. სწორედ რონალდ ასმუსი გვევლინება საქართველოსა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში განევრიანების მომხრედ, თუმცა ამის გაკეთებას რუსეთთან პირდაპირი და სრულმასშტაბიანი ომით იგი სწორ გზად არ მიიჩნევს და სწორედ ამგვარი შუალედური დასკვნების გამო მიგვაჩნია, რომ ავტორს არ აქვს საშუალება ან, საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე, არ ცდილობს ბოლომდე ჩანვდეს საკითხის პრობლემატიკას და 2008 წლის ომი დაინახოს საქართველოს ხელისუფლების თვალბით.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების მიზე-

ზად, რონალდ ასმუსი, ისევე როგორც თავად კრემლი, ასახელებს საქართველოს სწრაფვას ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციისაკენ, რაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოსათვის რუსეთისაგან თავის დაცვისა და უსაფრთხოების მოპოვების მთავარ გარანტს წარმოადგენს.

რაც შეეხება ალექსანდრე დაუშვილის წიგნს, როგორც ამ წიგნის მიმოხილვის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, ნაშრომი ძლიერ სუბიექტურ-პოლიტიკურ მუხტს ატარებს, რაც სამეცნიერო-ისტორიული ნაშრომის აპრიორულ ნაკლს წარმოადგენს, თუმცა ავტორის მიერ გამოთქმული აზრი, ჩვენს ნაშრომში, ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ გამოთქმულ შეხედულებებს კიდევ უფრო ამრავალფეროვნებს, რაც საკითხის გააზრებისა და ანალიზის ფართო ასპარეზს გვიძლის.

იმავე 2010 წელს გამოიცა ბრიტანელი ჟურნალისტის თომას დე ვაალის წიგნი: „კავკასია. შესავალი“.¹ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომს ავტორი ეხება წიგნის უკანასკნელ თავში: „თანამედროვე საქართველო: „თავიდან დაბადება, ვარდების რევოლუცია და კონფლიქტი“.² დე ვაალი მეტად საინტერესო მიმოხილავს იმ გზას, რაც საქართველომ გაიარა 2008 წლის შეიარაღებულ კონფლიქტამდე, ავტორის მსჯელობაში ძირითადად ხაზგასმულია ის ქმედებები, რასაც ადგილი ჰქონდა სააკაშვილის გუნდის ხელისუფლებაში მოსვლისა და მათ მიერ კონფლიქტურ რეგიონებში დაგეგმილ მოქმედებებთან დაკავშირებით.

დე ვაალი ხაზს უსვამს სააკაშვილის ხელისუფლების, იმ დროისათვის თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის ხისტ დამოკიდებულებას კონფლიქტური რეგიონების მიმართ. ავტორს მოჰყავს ოქრუაშვილის მიერ 2006 წელს ნათქვამი სიტყვები, დაპირება, რომელიც თავდაცვის მინისტრმა საქართველოს მოსახლეობას მისცა, რომ თუკი 2007 წლის 1 იანვარს ახალი წლის ცხინვალში შეხვედრა არ გამოვიდოდა, იგი

¹ Thomas de Waal. The Caucasus. An Introduction. New York, Oxford University Press. 2010.

² Thomas de Waal. The Caucasus. An Introduction. გვ. 188.

დატოვებდა თავდაცვის მინისტრის პოსტს. დე ვაალი სამართლიანად აღნიშნავს, რომ მსგავსი დამოკიდებულება კონფლიქტურ რეგიონებში ვითარების დარეგულირების პოლიტიკის მიმართ ნამდვილად საზიანო იყო პირველ რიგში ქართული მხარის ინტერესებისთვის, რაშიც ავტორს სრულიად ვეთანხმებით.¹

ამასთან ერთად, დე ვაალი აღნიშნავს, რომ საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების მიერ „ერგნეთის ბაზრობის“ გაუქმება ერთგვარად ნეგატიურად აისახა ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე, რადგან ამ ფაქტორმა თავად ხალხთა შორის კონტაქტების დამყარების პროცესი შეაფერხა.² ჩვენი აზრით, ძნელია ამ ფაქტთან დაკავშირებით მხოლოდ ასეთი ცალმხრივი არგუმენტაციის მიღება, რადგანაც ერგნეთის ბაზრობის არსებობა სახელმწიფოს სერიოზულ ეკონომიკურ (და არა მარტო ეკონომიკურ) პრობლემებს უქმნიდა.

ნეგატიურად აფასებს ავტორი ასევე ცხინვალში „სანაკოვეის რეჟიმის“ შექმნას საქართველოს ხელისუფლების მიერ,³ რასაც ნაწილობრივ შეიძლება დავეთანხმოთ კიდევ წინა თავში მოყვანილი მიზეზების გამო.

დე ვაალის მსჯელობის შესახებ უნდა ითქვას, რომ სააკაშვილის ხელისუფლების კრიტიკასთან ერთად, იგი ხაზს უსვამს ასევე იმ „ორმაგ პოლიტიკას“ (სტილი დაცულია – კ.ყ.), რომელსაც საქართველოს ხელისუფლება იმ დროს ატარებდა, რაც, კერძოდ, გამოიხატებოდა, ზემოაღნიშნული ხისტი ქმედებების პარალელურად, იმ სამშვიდობო გეგმების შემუშავებაში, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლებას არაერთხელ შეუთავაზებია კონფლიქტური რეგიონების დე ფაქტო მთავრობებისთვის, რომელთა პასუხიც აღნიშნულ გეგმებზე მუდამ უარყოფითი იყო.

დასასრულს, დე ვაალი საუბრობს ევროპული პოლიტიკის არასაკმარის სიმტკიცეზე რუსეთის მიმართ. ავტორის

¹ Thomas de Waal. The Caucasus. An Introduction, გვ. 204.

² Thomas de Waal. The Caucasus. An Introduction, გვ. 202.

³ Thomas de Waal. The Caucasus. An Introduction, გვ. 203.

თქმით: „თუკი დასავლეთს არ სურდა ახალი *Pax Russica*-ს ხილვა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, მას უნდა შეეთავაზებინა ძლიერი ალტერნატივა“...¹ სრულად ვიზიარებთ ავტორის აღნიშნულ დამოკიდებულებას დასავლეთის პოზიციის მიმართ და დავამატებთ მხოლოდ იმას, რომ 2008 წელს საქართველოს, დასავლეთის გარეშე, ვერაფრით ეყოფოდა ვერც სამხედრო და ვერც პოლიტიკური ძალა რუსული იმპერიის წინ აღსადგომად. ამაში საქართველოს სწორედ დასავლეთი უნდა დახმარებოდა. რატომ? იმიტომ რომ, 2008 წელს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ზოგადად აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოების საკითხი წყდებოდა და ეს რომ ნამდვილად ასე იყო შესანიშნავად დადასტურდა 2013 წლის შემდეგ, როდესაც რუსეთმა საკუთარი იმპერიული პოლიტიკური ორიენტირი უკრაინას მიაპყრო.

საბოლოოდ დე ვაალის წიგნის შესახებ უნდა ითქვას, რომ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე მის მსჯელობას ახასიათებს ძლიერი ანალიტიკური მუხტი, რაც მისი წიგნის უდავოდ ძლიერ მხარეს წარმოადგენს. რაც შეეხება დე ვაალის მსჯელობის სუსტ მხარეებს, უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ხაზი უნდა გაესვას ავტორის მიკერძოებულ პოზიციას სააკაშვილის ხელისუფლების მიერ განხორციელებული ქმედებების მიმართ. საქართველოს ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებზე დე ვაალი გაცილებით ვრცლად საუბრობს, ვიდრე იმ სამშვიდობო ღონისძიებებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, ასევე ნაკლებ ყურადღებას უთმობს ავტორი სამართლებრივ, ლეგიტიმურ ასპექტებს, რის მიხედვითაც მოქმედებდა, ერთის მხრივ, საქართველო და, მეორე მხრივ, კრემლი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომში.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ 2011 წელს გამოცემულ ნაშრომთაგან უთუოდ ყურადღების ღირსია 2005-2009 წლებში, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმ-

¹ Thomas de Waal. The Caucasus. An Introduction. გვ. 223.

ნიფო მდივნის, კონდოლიზა რაისის მემუარები: „უდიდესი პატივი. ჩემ მიერ ვაშინგტონში გატარებული წლების მემუარები“. ¹ საკუთარი ნაშრომის ერთ-ერთ თავში – „ომი იწყება საქართველოში“ (War Breaks Out in Georgia) – კონდოლიზა რაისი ქრონოლოგიურად მიჰყვება 2008 წელს განვითარებული მოვლენების მიმოხილვას და აღნიშნულ თავს იწყებს კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე საუბრით: „ვეროპელებსა და ჩვენ არ გვექონდა გამოსავალი გარდა იმისა, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებინა. ყველაფერმა ამან არეულობა შემოიტანა პროცესში. შეუძლებელი იყო საკითხის გატანა უშიშროების საბჭოს კენჭისყრაზე; რუსეთი, ჩინეთთან ერთად აუცილებლად ვეტოს დაადებდა საკითხს, რადგან თავის მხრივ ჩინეთსაც არ სურდა დაეშვა პრეცედენტი ტაივანისა და ტიბეტისთვის. ერთადერთი გამოსავალი მდგომარეობდა პრობლემის მშვიდობიანად, ძალისმიერი მეთოდის გარეშე მოგვარებაში, კოსოვოს დამოუკიდებლობის ასალიარებლად რაც შეიძლება მეტი ქვეყნის დარწმუნებაში“. ² როგორც ვხედავთ, მეტად საინტერესოა რაისის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების არგუმენტაცია. ამ შემთხვევაში აშშ-მ და დასავლეთმა კოსოვო „განსაკუთრებულ“ მოვლენად შერაცხეს და დამოუკიდებლობა მიანიჭეს. ამით კი სანუკვარ და ნანატრ მშვიდობას „მიაღწიეს“ კოსოვოს საკითხის გარშემო და იმავე მოქმედებით, თავისდაუნებურად რუსეთს საკუთარ სამეზობლოში საკუთარ „იმპერიულ ჭუაზე“ მოქმედების საბაზი მისცეს.

კონდოლიზა რაისი იხსენებს ასევე მის შეხვედრას პრეზიდენტ სააკაშვილთან თბილისში 2008 წლის 10 ივლისს, სადაც მას საქართველოს პრეზიდენტისათვის განუცხადებია, რომ ეს უკანასკნელი არაფრით არ უნდა აპყოლოდა რუსულ პროვოკაციებს, რადგან ამ შემთხვევაში საქართველოს არავინ დაეხმარებოდა. „კონდის“ თქმით, მიხეილ სააკაშვილმა მას ისე შეხედა, თითქოს იმ წუთს უკანასკნელი მეგობარი დაე-

¹ Condoleezza Rice. No Higher Honor. A Memoir of My Years in Washington. New York, Crown Publishers: 2011.

² Condoleezza Rice. No Higher Honor, გვ. 426-427.

კარგოს.¹

2008 წელს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის შვებულება და საზაფხულო არდადეგები შეუწყვეტია საქართველოში რუსეთსა და საქართველოს შორის გაჩაღებულ ომს. როგორც „კონდი“ ამბობს, 2008 წელს დატვირთული სამუშაო გრაფიკის შემდეგ, მას საკუთარი თავისთვის პირობა მიუცია, რომ თუკი იგი როგორმე მშვიდობით მიაღწევდა 8 აგვისტომდე, დასავლეთ ვირჯინიაში, გრინბრიერში ითამაშებდა გოლფს და მონახულებდა საკუთარ მეგობრებს, ხოლო ორი კვირის შემდეგ კი, გაემგზავრებოდა ოლიმპიურ თამაშებზე ჩინეთში. მთავარი იყო, როგორმე 8 აგვისტომდე მისულიყო მშვიდობიანად,² თუმცა რაისის გეგმებს, 8 აგვისტოსთან დაკავშირებით, 2008 წელს ასრულება არ ეწერა...

აშშ-ს სახელმწიფო მდივანი იხსენებს მის საუბარს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი ლავროვთან 11 აგვისტოს, რომელშიც ლავროვს საკუთარი „სამი მოთხოვნა“ გაუზიარებია „კონდისათვის“:

„რაში მდგომარეობს ეს მოთხოვნები?“ ვკითხე მე.

„პირველ ორ მოთხოვნას წარმოადგენს ქართველების მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დოკუმენტზე ხელის მოწერა და საკუთარი ნაწილების ყაზარმებში დაბრუნება,“ – მითხრა მან.

„შესრულებულია,“ – ვუპასუხე მე.

„... შემდეგი მოთხოვნა უნდა დარჩეს მხოლოდ ჩვენს შორის. მიშა სააკაშვილი უნდა წავიდეს.“ მე ვერ დავუჯერე საკუთარ ყურებს...

„სერგეი, შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს არ უნდა ჰქონდეს დიალოგი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის გადაყე-

¹ "Mr. President, whatever you do, don't let the Russians provoke you... No one will come to your aid, and you will lose. I said sternly. He got the point, looking as if he'd just lost his last friend." – Condoleezza Rice. No Higher Honor, გვ. 428.

² Condoleezza Rice. No Higher Honor, გვ. 428.

ნების შესახებ,“ – ვუპასუხე მე. „მესამე მოთხოვნა ეხლავე გახდება საჯარო, რადგან მე ვაპირებ დავრეკო ყველასთან, ვისთანაც შევძლებ და ვუთხრა მათ, რომ რუსეთი საქართველოს პრეზიდენტის გადაყენებას მოითხოვს.“

„მე ვთქვი, რომ ეს ჩვენში უნდა დარჩეს,“ – მითხრა მან.

„არა, ეს არ დარჩება ჩვენს შორის. ამას ყველა გაიგებს.“ დიალოგი ამით დასრულდა.¹ ამის შემდეგ, როგორც ავტორი ამბობს, მას მართლაც დაურეკავს საფრანგეთის, ბრიტანეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებთან და მოუხსენებია მათთვის ლავროვთან სატელეფონო საუბრის შესახებ.

„კონდი“ ასევე იხსენებს მომდევნო დღეს ჩატარებულ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს სხდომას, რომელზეც შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩვეელმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, სტივ ჰედლიმ დასვა შემდეგი კითხვა: „მზად ვართ, რუსეთთან ომისათვის საქართველოს გამო?“ რაისის თქმით, ამ შეკითხვამ, ოთახში სიჩუმე ჩამოაგდო.² ამგვარად, რაისის მემუარების ამ ნაწილის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ აშშ, ისევე როგორც ევროპის ქვეყნები, 2008 წელს (ისევე როგორც ყოველთვის) ატარებდნენ საკუთარი ინტერესების ადეკვატურ, პრაგმატულ პოლიტიკას. ალბათ, შეუძლებელია, საერთაშორისო ურთიერთობებსა და თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში, თუნდაც საშუალო განათლების მქონე ამერიკელთან ამ თემაზე საუბრისას, მისგან პასუხად კონდოლიზა რაისისა და აშშ-ს იმდროინდელი პოლიტიკის კრიტიკა მოვისმინოთ, რადგან ნებისმიერი ამერიკელი ხვდება, რომ რუსეთ-საქართველოს ომში „ჩარევა“ ნიშნავს რუსეთთან ომს. თუმცა „ჩარევა“, როგორც ასეთი, შესაძლოა, სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირდეს. შესაძლოა, აშშ საქართველოს არ უნდა დახმარებოდა საკუთარი სამხედრო ნაწილებითა თუ ტექნიკით, მაგრამ სანაცვლოდ, ალბათ, აშშ-ს ისევე, როგორც საფრანგეთს და სხვა ევროპულ ქვეყნებს, შეეძლოთ ჯეროვანი ყურადღება

¹ Condoleezza Rice. No Higher Honor, გვ. 429.

² Condoleezza Rice. No Higher Honor, გვ. 430.

დაეთმოთ რუსეთ-საქართველოს ომის მშვიდობიანი დარეგულირებისა და ჯეროვანი დოკუმენტის გაფორმებისათვის.

აქ საუბარია „სარკოზის დოკუმენტზე“, რომელსაც ჩვენ ზემოთ არაერთხელ შევეხეთ და რომელზეც კონდოლიზა რაისი მეტად საინტერესო და, შეიძლება ითქვას, უცნაურ ცნობას გვანვდის. აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თქმით, საქართველოს მხარის მიერ აღნიშნულ დოკუმენტზე ხელის მოწერაზე უარის თქმა განპირობებული იყო თავად ამ დოკუმენტში მოცემული ერთ-ერთი პუნქტით, რის მიხედვითაც რუსულ სამხედრო ნაწილებს ჰქონდათ უფლება განლაგებულიყვნენ გორიდან 15 კმ-ის პერიმეტრში.¹ ამის შემდგომ, რაისის მიხედვით, მომხდარა დოკუმენტისათვის სწორედ იმ სახის მინიჭება, რაც საბოლოოდ ექვსპუნქტიანი შეთანხმების სახელით არის ცნობილი. აღნიშნული შეთანხმების მეხუთე პუნქტზე, რომელიც რუსეთს, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ომის შემდგომ თარეშისა და ფაქტობრივად აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის გამოცხადების ბერკეტს აძლევდა, ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ამჯერად, რაისის მეშუარეობაში საინტერესოდ არის მიმოხილული ზემოაღნიშნული დოკუმენტის მიღების შემდეგ მიხეილ სააკაშვილისა და რაისის მიერ გამართული პრესკონფერენცია, რომელზეც აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მიხედვით, მიხეილ სააკაშვილმა საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგა და მადლობის ნაცვლად, ევროპელები მიუნხენის კონფერენციის გამეორებაში დაადანაშაულა.¹ „კონდი“ ნანყენი დარჩა მიხეილ სააკაშვილზე, რომელიც, თავის მხრივ, ნანყენი იყო მთელ დასავლეთზე იმის გამო, რომ საქართველოს რუსეთთან ომში ჯეროვანი ყურადღება არ დაეთმო. ამ შემთხვევაში, კომენტარის სახით უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და რუსეთისათვის საქართველოს ტერიტორიაზე სამოქმედო ბერკეტების შემცირება აშშ-სა და ევროპის ქვეყნების ინტერესში ნამდვილად

¹ Condoleezza Rice. No Higher Honor, გვ. 430.

¹ Condoleezza Rice. No Higher Honor, გვ. 431.

უნდა ყოფილიყო. არაფრით არ შეიძლებოდა „სარკოზის დოკუმენტის“ მეხუთე პუნქტით, რუსეთისათვის ასპარეზის მიცემა, რადგან რთული გამოსაცნობი არ უნდა ყოფილიყო ამ პუნქტის საბოლოო შედეგი და ის, თუ მომავალში რა საფრთხის მომასწავებელი შეიძლებოდა ყოფილიყო რუსეთისათვის ამგვარი სამოქმედო ასპარეზის მინიჭება.

მიხეილ სააკაშვილის მიერ ზემოაღნიშნულ პრესკონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვა კონდოლიზა რაისმა შემდეგნაირად შეაფასა: „ჩვენ ჩავატარეთ ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, ზემოაღნიშნული შეთანხმების მიღებიდან რამდენიმე დღეში. მე აღმოვაჩინე, რომ ნატოს წევრები საკვირველად თანაუგრძნობდნენ სააკაშვილს, თუმცა ზოგიერთმა მოკავშირემ აღნიშნა, რომ მან დემონსტრაციულად აჩვენა, თუ რატომ არ იყო კარგი იდეა საქართველოსათვის MAP-ის მინიჭება“.¹ ამგვარად, ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი პრეზიდენტი აშშ-ს იმდროინდელ სახელმწიფო მდივანს ფაქტობრივად გამოჰყავს ადამიანად, რომელმაც ვერ დააფასა აშშ-სა და დასავლეთის მიერ, რუსეთ-საქართველოს ომის მშვიდობიანად დასრულებაში შეტანილი ნვლილი და მადლობის ნაცვლად, უხეში კონტექსტი არ დაიშურა მათ მიმართ. ჩვენი აზრით, სხვა საკითხია, თუ რამდენად ჯდება დიპლომატიურ ეტიკეტში ის, რაც თქვა და რა ფორმითაც თქვა მიხეილ სააკაშვილმა, თუმცა ფაქტია, რომ მისი ნათქვამი დიდწილად შეესაბამებოდა სიმართლეს. ამ შემთხვევაში ვიტყვით, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიუღებელი, უხეში ტონით, ამხილა აშშ და დასავლეთის ქვეყნები, იმ უმოქმედობაში, რომელიც ამ უკანასკნელებმა გამოიჩინეს საქართველოში მიმდინარე ომის მიმართ. კიდევ ერთხელ, ხაზგასმით ვიმეორებთ, რომ ამ შემთხვევაში, ჩვენ არ მივიჩნევთ აუცილებლად დასავლეთის ქვეყნების სამხედრო ჩარევას რუსეთ-საქართველოს კონფლიქტში, საუბარია დიპლომატიურ არდათმობაზე რუსეთთან, რუსეთისათვის იმ ბერკეტის მოსპობაზე,

¹ Condoleezza Rice. No Higher Honor, გვ. 431.

რაც მას 2008 წლის 26 აგვისტოს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის გამოცხადებას შეაძლებინებდა.

გარდა ამისა, როდესაც რაისი საუბრობს საქართველოს მდგომარეობაზე 2008 წელს, ჩვენი აზრით მან უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტორი, რომ დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს დახმარების გარეშე საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნები ვერაფერს გახდებიან ისეთი აგრესორის წინააღმდეგ, როგორიც არის რუსეთი. დაუშვებელია მსოფლიო დონის დიპლომატმა ვერ გაიგოს, ან ვერ გაითვალისწინოს რუსეთის საფრთხის ფაქტორი მისი მეზობელი ქვეყნებისა და, პირველ რიგში, საქართველოსათვის; ვერ გაითვალისწინოს, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა 2008 წელს იმას, რომ რუსეთს საქართველოში თავისი ვერ გაეტანა და ამით უკრაინის პრეცედენტისათვის ვერ მოეძებნა საფუძველი. ჩვენი აზრით, 2008 წელს დასავლეთს უნდა მოეხერხებინა იმდენი, რომ რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას გასაქანი არ მისცემოდა არცერთი მიმართულებით, რომ კრემლისთვის ცხადი გამხდარიყო XIX საუკუნის იმპერიული პოლიტიკის გატარების გაგრძელების უპერსპექტივობა, რადგან მსოფლიო არ მიიღებდა და არ იგუებდა მათ ამგვარ პოლიტიკას. რა არგუმენტიც არ უნდა ახსნას კონდოლიზა რაისმა 2008 წელს საქართველოში შექმნილი ვითარება, ფაქტი ერთია – აშშ-მ და ევროპამ ვერ დააფიქსირეს საკმარისად მტკიცე პოზიცია საიმისოდ, რომ რუსეთს ჯერ საქართველოში, ხოლო შემდეგ უკრაინაში ვერ ემოქმედა ისე, როგორც იმოქმედა. ეს ფაქტია. ფაქტი კი ყველაზე ჯიუტი რამ არის ამქვეყნად.

2011 წელს გამოცემულ ერთ-ერთ საინტერესო წიგნს, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ, წარმოადგენს რუსი პოლიტოლოგის, მოსკოვის კარნეგის ცენტრის დირექტორის დიმიტრი ტრენინის წიგნი „პოსტ-იმპერიუმ. ევრაზიული ამბავი“.¹ წიგნში ერთი თავი – „გაყინული კონფლიქტებიდან ხუთდღიან ომამდე: საქართველო“ – ეთმობა საქართვე-

¹ Dmitri Trenin. Post-Imperium. A Eurasian Story. Carnegie Endowment for International Peace, 2011.

ლოში 2008 წელს განვითარებულ მოვლენებს. ტრენინი მიმოიხილავს საქართველოს საგარეო პოლიტიკას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. იგი ხაზს უსვამს, რომ საქართველოს მიერ დასავლეთისაკენ ორიენტირის მიმართვა დაიწყო ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, ხოლო შემდგომ მიხეილ სააკაშვილისა და ვლადიმირ პუტინის პირველი კონტაქტების შესახებ, 2004 წლიდან მოყოლებული, ავტორი ამბობს, რომ პუტინი სააკაშვილს აღიქვამდა პარტნიორად საქართველოში, მაგრამ აჭარის გათავისუფლების შემდეგ, სააკაშვილმა, როგორც „ახალგაზრდა კაცმა, რომელიც მეტად ჩქარობდა“,¹ უფრო მეტი მოინდომა და აჭარის მსგავსი გეგმის განხორციელება დააპირა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში.

საინტერესოა, რას ეძახის ავტორი პუტინის მიერ სააკაშვილის პარტნიორად აღქმას? ან ზოგადად რუსული მხარის მიერ საქართველოში მოსული ხელისუფლების პარტნიორად აღქმას? ჩვენი აზრით, კრემლი პარტნიორად აღიქვამს მხოლოდ და მხოლოდ იმ ადამიანებს, რომელნიც კრემლისთვის სასარგებლო პოლიტიკას ატარებენ. გავიხსენოთ ჩვენ მიერ ზემოაღნიშნული პუტინისა და სააკაშვილის პირველი შეხვედრა 2004 წელს, როდესაც პუტინმა სააკაშვილს მიუთითა საქართველოს მაშინდელ უშიშროების მინისტრზე ვალერი ხაბურძანიაზე და ანიშნა, რომ „მიეხედა“ ამ უკანასკნელისთვის. სწორედ ამას ეძახის ავტორი პარტნიორობას? გამოდის, რომ რუსეთისათვის პარტნიორობად ითვლება საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების საწინააღმდეგო ქმედება, მეზობელი სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევის მცდელობა. როგორც ბოლო ხანების რუსული პოლიტიკა გვაჩვენებს, ეს მართლაც ასეა.

საბოლოო ჯამში, ტრენინის წიგნის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოსა და პირისპირებასა და ომს ეხება, უნდა ითქვას, რომ, ტრენინის აზრით, რუსეთის მიერ აღნიშნული ომის მომზადება დაკავშირებული იყო საქართველოს მისწრაფებებთან, გაერთიანებულიყო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში: „სოჭი, რუსეთის „მესამე დედაქა-

¹ Dmitri Trenin. Post-Imperium. A Eurasian Story, გვ. 95.

ლაქი“ მოსკოვისა და სანქტ-პეტერბურგის შემდეგ, ნატო-ს წევრი ქვეყნის საზღვრიდან ოცდაათ მილში აღმოჩნდებოდა“.¹ ამგვარად სტატიის საუბარია იმ გეოპოლიტიკურ ფაქტორებზე, რომლებზეც ჩვენ ზემოთ უკვე არაერთხელ ვისაუბრეთ.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს ეხება 2011 წელს ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მიერ ალექსანდრ ასტროვის რედაქციით გამოცემული სტატიათა კრებული: „დიდი ძალის არასწორი გამოყენება. რუსეთ-საქართველოს ომი და მისი მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკური წესრიგისათვის“.² კრებული შედგება ცხრა სტატიისაგან, რომელთაგან პირველი და მეცხრე სტატიის ავტორია თავად ალექსანდრ ასტროვი, ხოლო დანარჩენ შვიდ სტატიას სხვადასხვა ავტორი ჰყავს.

კრებულის პირველ სტატიაში – „დიდი ძალების მმართველობა დიდი ძალების გარეშე? რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი და მსოფლიო პოლიტიკური წესრიგი“³ – ალექსანდრ ასტროვი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომს განიხილავს საერთაშორისო ურთიერთობების ქრილში. იწყებს რა საკუთარ სტატიას 2008 წელს ესტონეთის პრეზიდენტის ტომას ილვესის სიტყვებით: „...ჩვენ ვცხოვრობთ პოსტმოდერნისტულ XXI საუკუნის ევროპაში, მაგრამ საქმე გვაქვს რუსეთთან, რომელიც XIX საუკუნის წინამოდერნისტულ სტილში მოქმედებს“.¹

კრებულის მეორე სტატიის – „კატეხონიდან ინტრიგანამდე: პოსტსაბჭოთა ჩვეულებათა რღვევა“ – ავტორი სერგეი პროზოროვი 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს რუსეთისა და ევროპის ურთიერთობის ყველაზე დაბალ ნიშნულს უწოდ-

¹ Dmitri Trenin. Post-Imperium. A Eurasian Story, გვ. 97.

² The Great Power (mis) Management. The Russian-Georgian War and its Implications for Global Political Order. Edited by Alexander Astrov. Ashgate, 2011.

³ Alexander Astrov. Great Power Management Without Great Powers? The Russian-Georgian War of 2008 and Global Police/Political Order. In: The Great Power (mis) Management. The Russian-Georgian War and its Implications for Global Political Order. Edited by Alexander Astrov. Ashgate, 2011, გვ. 25.

¹ Alexander Astrov. Great Power Management Without Great Powers, გვ. 1.

ებს და მოჰყავს ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, ალექსანდრე სტუბის სიტყვები: „...ჩვენ შეგვიძლია პოსტ-08.08.08 მსოფლიოს შესახებაც კი ვისაუბროთ“.¹ იმავე სტატიის, თანამედროვე პოლიტიკაზე საუბრისას, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთი XIX საუკუნის სტილში უძღვება, ავტორს მოჰყავს სწორედ XIX საუკუნის, კონსერვატორი რუსი ფილოსოფოსის, კონსტანტინ ლეონტიევის სიტყვები: „რუსეთი უნდა გაიყინოს, იმისათვის რომ არ გაიხრწნას“.² ამით ავტორი მიუთითებს, რომ თანამედროვე რუსეთი, სწორედ რომ გახრწნის ზღვარზე დგას და მას გაყინვა სჭირდება, რომ არც თავად გაიხრწნას და ეს პროცესი მის მეზობელ სახელმწიფოებსაც არ გადასდოს.

ჩვენს მიერ საინტერესო კრებულის მესამე სტატიის – „დიდ ძალთა არასწორი განლაგება: შეერთებული შტატები და რუსულ-ქართული კონფლიქტი“¹ – ავტორია ირინა პაპკოვა. სტატიაში მეტად საინტერესოდ არის მიმოხილული აშშ-სა და რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლის შემდეგ. ავტორი ხაზს უსვამს აშშ-სა და რუსეთის 2008 წელს საქართველოში დაპირისპირების მიზეზს, რომელსაც, მისი აზრით, მივყავართ, სსრკ-ს დაშლის შემდეგ აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ცვლილებამდე, რომელიც ითვალისწინებდა ამერიკის შეერთებული შტატების დომინანტურ როლს მსოფლიო პოლიტიკაში. ასე გრძელდებოდა ყოველ შემთხვევაში ობამას გაპრეზიდენტებამდე.² შედეგად, ავტორის მიხედვით, მივიღეთ ის, რომ 90-იან წლებში,

¹ Sergei Prozorov. From *Katechon* to *Intrigant*: The Breakdown of the Post-Soviet *Nomos*. In: *The Great Power (mis) Management. The Russian-Georgian War and its Implications for Global Political Order*. Edited by Alexander Astrov. Ashgate, 2011, გვ. 26.

² Sergei Prozorov. From *Katechon* to *Intrigant*, გვ. 37.

¹ Irina Papkova. Great Power Misalignment: The United States and the Russo-Georgian Conflict. In: *The Great Power (mis) Management. The Russian-Georgian War and its Implications for Global Political Order*. Edited by Alexander Astrov. Ashgate, 2011, გვ. 43.

² Irina Papkova. Great Power Misalignment, გვ. 49.

შიდაპოლიტიკური და ეკონომიკური კუთხით კრიზისში მყოფ-მა რუსეთმა, ვლადიმერ პუტინის ხელმძღვანელობით 1999-2000 წლიდან მოყოლებული, ნელ-ნელა მოახერხა ჯერ შიდა-პოლიტიკური პრობლემების მოგვარება, ხოლო შემდეგ უკვე საგარეო პოლიტიკაში, რუსეთის „მოძლიერება“, რამაც აშშ და რუსეთის ფედერაცია ლოგიკურ დაპირისპირებამდე მიიყვანა, რადგან ამ ორი ქვეყნის ინტერესი, ხშირად ერთსა და იმავე რეგიონზე იყო მიმართული. ავტორის აზრით, სწორედ ერთ-ერთ ამგვარ ინტერესთა ბრძოლას წარმოადგენდა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი.¹ როგორც ვხედავთ, ავტორი საკმაოდ საინტერესოდ და, რაც მთავარია, ლოგიკურად მიმოიხილავს აშშ-სა და რუსეთის ფედერაციის პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებს და საკუთარ, საკმაოდ რაციონალურ აზრს გვთავაზობს 2008 წლის კონფლიქტის შესახებ სამხრეთ კავკასიაში, რასაც ჩვენ აბსოლუტურად ვიზიარებთ.

კრებულის მეოთხე სტატია – „რუსეთი და ნატო საქართველოს ომის შემდეგ: დიდ ძალთა მმართველობის პერსპექტივების გააქტიუალურება“, ¹ ანდრეი მაკარიჩევის ავტორობით, ხაზს უსვამს იმ განსხვავებებს, რომელიც არსებობს რუსეთსა და ნატოს ორგანიზაციის ქვეყნების მიერ უსაფრთხოების სისტემის აღქმასა და გაანალიზებაში. იმავე თემას, ეკონომიკური საკითხების მიმოხილვის დამატებით, განიხილავს იანა კობზოვას, ნიჩუ პოპესკუსა და ენდრიუ უილსონის, ერთობლივი (კრებულში რიგით მეხუთე) სტატია „რუსეთისა და ევროკავშირის კონკურენტული სამეზობლო“.² ავტორთა კოლექტივი რუსეთისა და ნატოს მიერ უსაფრთხოების ზომების

¹ Irina Papkova. Great Power Misalignment, გვ. 58.

¹ Andrey Makarychev. Russia and NATO After the Georgia War: Re-Actualizing the Great Power Management Prospects. In: The Great Power (mis) Management. The Russian-Georgian War and its Implications for Global Political Order. Edited by Alexander Astrov. Ashgate, 2011, გვ. 59.

² Jana Kobzova, Nicu Popescu, Andrew Wilson. Russia and EU's Competitive Neighbourhood. In: The Great Power (mis) Management. The Russian-Georgian War and its Implications for Global Political Order. Edited by Alexander Astrov. Ashgate, 2011, გვ. 79.

დასაცავად გატარებულ პოლიტიკას უწოდებს, რუსეთის შემთხვევაში – ხისტს, ხოლო ნატოს შემთხვევაში – რბილ პოლიტიკას,¹ რაც თვალნათლივ, ვრცელი კომენტირების გარეშეც ჩანს, როგორც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის, ასევე რუსეთის საგარეო პოლიტიკაში.

რუსეთის მიერ საკუთარ სამეზობლოში ეკონომიკური პოლიტიკის მიმოხილვისას, ავტორთა კოლექტივი ხაზს უსვამს რუსეთის ეკონომიკური პოლიტიკის ცვლილებას მის სამეზობლოში მყოფი ქვეყნების საგარეო პოლიტიკური ორიენტირის მიხედვით. მაგალითისათვის, სტატიაში მოყვანილია რუსეთის მიერ უკრაინისათვის საკუთარ გაზზე დაწესებული ფასი 2004 წლის „ნარინჯისფერ რევოლუციამდე“, როდესაც 1000 მ რუსულ გაზს უკრაინა 50\$ ყიდულობდა და რევოლუციის შემდეგ, როდესაც რუსული გაზი, უკრაინისათვის თითქმის ხუთჯერ გაძვირდა და 240\$ გახდა.¹

საქართველოზე საუბრისას, ავტორთა კოლექტივი იხსენებს რუსეთის მიერ ეკონომიკური ბლოკადის მიზნით განხორციელებულ იმ ფაქტებს, რომელიც საქართველოს მიერ 2006 წელს ოთხი რუსეთის ჯაშუშის დაკავებასა და ქვეყნიდან გაძევებას მოჰყვა. საპასუხოდ, რუსეთმა რამდენიმე ასეული საქართველოს მოქალაქე გააძევა საკუთარი ტერიტორიიდან და დაკეტა რუსეთ-საქართველოს საზღვრის ზემო ლარსის მონაკვეთი. ასევე საინტერესოა სტატიაში მოყვანილი საქართველოში გაყიდული რუსული გაზის ფასები, რომლებიც წლების მიხედვით შემდეგნაირად იცვლებოდა: 2005 წელი – 60\$; 2006 წელი – 110\$; 2007 წელი – 235\$; 2008 წელი – 280\$ და 2009 წელი – 350\$.² აღნიშნულის ფონზე, იმის ხაზგასასმელად, რომ „გაზპრომი“ რუსეთის ხელში მართლაც საგარე-

¹ Jana Kobzova, Nicu Popescu, Andrew Wilson. Russia and EU's Competitive Neighbourhood, გვ. 79.

¹ Jana Kobzova, Nicu Popescu, Andrew Wilson. Russia and EU's Competitive Neighbourhood, გვ. 84.

² Jana Kobzova, Nicu Popescu, Andrew Wilson. Russia and EU's Competitive Neighbourhood, გვ. 85.

ოპოლიტიკურ იარაღს წარმოადგენს, უპრიანი იქნება თვალი გადავაგლოთ რუსული გაზის გასაყიდ ფასს რუსეთისადმი ლოიალურ ბელორუსიაში, სადაც 2008 წელს რუსული გაზის შეძენა მხოლოდ 128 აშშ დოლარი ღირდა.¹ ყველაზე დაბალ ფასში კი რუსეთი გაზით ამარაგებდა და ამარაგებს, ასევე მისდამი ლოიალურ სომხეთს, სადაც რუსული გაზის ფასი 2015 წლის დასასრულის მონაცემებით შეადგენს 165 აშშ დოლარს,² ხოლო 2006-2008 წლებში შეადგენდა 110 აშშ დოლარს.³ რაც შეეხება რუსული ბუნებრივი აირის ფასს უკრაინაში, უნდა აღინიშნოს, რომ 2008 წელს უკრაინა რუსეთის გაზს 179 აშშ დოლარად შეიძენდა,¹ ხოლო მას შემდეგ, რაც, 2013 წლიდან მოყოლებული რუსეთი და უკრაინა ფაქტობრივად საომარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რუსული ბუნებრივი აირის ფასმა უკრაინაში ლოგიკურად მოიმატა და 2015 წლის მეორე ნახევრისათვის 247 აშშ დოლარს მიაღწია.² მოცემული ციფრები კიდევ ერთხელ ცხადყოფს გაზპრომის როლს და მნიშვნელობას რუსეთის იმპერიულ საგარეო პოლიტიკაში.

აღნიშნული სტატიის უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენს ასევე პასაჟი, რომელიც ეხება ევროკავშირის დამოკიდებულებას საქართველოში 2008 წელს მომხდარი ომის შესახებ: „საქართველოში მომხდარი ომის კომენტარებისას, ევროკავშირის ერთ-ერთმა, მაღალი რანგის პოლიტიკოსმა,

¹ «Газпром» поднимет цены на газ для стран СНГ и Балтии до \$300-400. იხ.: http://www.esco-ecosys.narod.ru/2008_5/art020.htm

² Россия снижает цены на газ для Армении на \$24. იხ.: http://www.arka.am/ru/news/economy/rossiya_snizhaet_tseny_na_gaz_dlya_armenii_n_a_24/.

³ Karel Svoboda. Business as Usual? Gazprom's Pricing Policy Toward the Commonwealth of Independent States. Problems of Post-Communism. Vol 58. No. 6, November/December 2011, გვ. 33.

¹ Karel Svoboda. Business as Usual? Gazprom's Pricing Policy Toward the Commonwealth of Independent States. Problems of Post-Communism. Vol 58. No.6, November/December 2011, გვ. 31.

² Russia prices gas for Ukraine at \$247, cuts discount. იხ.: <https://www.rt.com/business/270475-russian-gas-price-ukraine/>

2008 წლის ნოემბერში, ავტორებისადმი მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ „ევროკავშირს არ შეუძლია იხსნას სააკაშვილი საკუთარი სისულელისგან“. მსგავსი განცხადებები ჭეშმარიტებას არ შეესაბამება, რადგან იუგოსლავიის კონფლიქტში ევროკავშირის ჩარევა არ იყო განპირობებული იმით, მოსწონდათ თუ არა მათ სლობოდან მილოშევიჩი ან ჰაშიმ თაჩი, არამედ იმით, რომ მოსალოდნელი იყო დესტაბილიზაციის გაფართოება“. ¹ მართლაც უნდა დავეთანხმოთ ავტორებს და კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, რომ 2008 წელს საქართველოსათვის დახმარების ხელის „ქმედითად“ გამოწვევას დასავლეთის ქვეყნებისა და ორგანიზაციებისთვისაც წარმატებული და უკეთესი მომავლის საწინდარი უნდა ყოფილიყო, რაც დიდი ალბათობით ააცილებდა მსოფლიოს 2013 წელს უკრაინაში დაწყებულ კრიზისს, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეინირა.

კრებულის ბოლო სტატიას, რომელიც აქტიურად ეხმაურება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს, წარმოადგენს კრებულის რიგით მეშვიდე სტატია პამი აალტოს ავტორობით: „პრაგმატული საგარეო პოლიტიკა: ძალთა დიფერენციალების მართვა ფართო ევროპული საზოგადოების სახელმწიფოებში“. ¹ ავტორი გვთავაზობს პრაგმატული საგარეო პოლიტიკის ხუთ ტიპს:

ნეიტრალიტეტს – მისი კლასიკური მნიშვნელობით.

მიუმხრობლობას – რის მიხედვითაც სახელმწიფო არ

¹ “Commenting on the war in Georgia, one senior EU politician claimed in an interview with the authors in November 2008 that ‘the EU can’t save Saakashvili from his own stupidity’. Such claims miss the point – the EU did not get involved in the Balkans conflicts because it liked or disliked Slobodan Milosevic or Hashim Thaci, but because of the broader threat of destabilization.” – The Great Power (mis) Management, გვ. 86.

¹ Pami Aalto. Pragmatic Foreign Policy: Managing Power Differentials in the Wider European Society of States. In: The Great Power (mis) Management. The Russian-Georgian War and its Implications for Global Political Order. Edited by Alexander Astrov. Ashgate, 2011, გვ. 115.

ემბრობა არცერთ არსებულ სამხედრო ბლოკს.

ფინეთიზაცია – რაც წარმოადგენს კნინობით ტერმინს, შერქმეულს ფინეთის მიერ საბჭოთა კავშირის მიმართ წარმოებული პოლიტიკის გამო. აღნიშნული პოლიტიკის მიხედვით, სახელმწიფო თვითმყოფადობის ბოლომდე დაკარგვის შიშით, მსხვერპლად იღებს გარკვეულ ღირებულებებს, რის საფასურადაც ინარჩუნებს საკუთარი სახელმწიფოებრივი ღირებულებების ბირთვის.

ხიდის მაშენებელი/გულწრფელი შუამავალი – ზემოაღნიშნული, ნეიტრალიტეტის, მიუმხრობლობისა და ფინეთიზაციისაგან განსხვავებით, უფრო მეტად აქტიურ საგარეო პოლიტიკურ კურსს, წარმოადგენს, რომლის მიზანია შუამავლობა გარკვეულ ძალებს შორის და ამის მიხედვით, გარკვეული პოზიტიური როლის შეტანა მსოფლიო პოლიტიკურ პროცესის ნაწილში მაინც.

მულტივექტორული საგარეო პოლიტიკა – რის მიხედვითაც, ქვეყანა საგარეო პოლიტიკას აწარმოებს საკუთარი ინტერესებიდან და სარგებლიდან გამომდინარე არაერთი მიმართულებით.¹ მიუხედავად იმისა, რომ ავტორის აზრით, ხიდის მაშენებელი/გულწრფელი შუამავლის საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს თანამედროვე ევროპული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ, ყველაზე პრაგმატულ და მშვიდობისმომტან პოლიტიკას, საქართველოს მსგავსი, პატარა სახელმწიფოებისათვის, ავტორის აზრით, უფრო სასარგებლოა მულტივექტორული საგარეო პოლიტიკა.² – სამწუხაროდ, ავტორის მიერ შემოთავაზებული საგარეოპოლიტიკური გეზი, ჩვენი აზრით საქართველოს შემთხვევაში, თუ განუხორციელებელი არა, ყოველ შემთხვევაში, ფაქტობრივად წარმოუდგენლად რთულად განსახორციელებელი ჩანს, რადგან რუსეთი საქართველოს ხელისუფლებისგან მუდამ ერთ რამეს ითხოვს – რუსეთის მიერ დაარსებულ ევრაზიულ კავშირში განევრიანებას

¹ Pami Aalto. Pragmatic Foreign Policy, გვ. 120-124.

² Pami Aalto. Pragmatic Foreign Policy, გვ. 129.

და დასავლურ საგარეო პოლიტიკურ კურსზე უარის თქმას იმ დროს, როდესაც სანაცვლოდ იოტისოდენადაც კი არ ცდილობს დააკმაყოფილოს საქართველოს ინტერესები კონფლიქტურ რეგიონებში. სხვა მიმართულებით, დღესდღეობით, კრემლი თბილისთან დიალოგს უბრალოდ არ აწარმოებს.

ამგვარად, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მიერ 2011 წელს გამოცემული სტატიათა კრებული, ისეთივე საინტერესო და ინფორმაციულია, როგორც ჩვენ მიერ ზემოთ მიმოხილული სხვა გამოცემები და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომითა და ამ ომის საერთაშორისო მნიშვნელობითა თუ რუსეთ-საქართველოს თანამედროვე ურთიერთობებით დაინტერესებული მკითხველისათვის მნიშვნელოვან ნაშრომს წარმოადგენს.

2011 წელს გამოცემულ კიდევ ერთ საინტერესო ნაშრომს, ჩვენს მიმოხილვაში წარმოადგენს აშშ-ს სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის მიერ არიელ კოენისა და რობერტ ე. ჰამილტონის ავტორობით გამოცემული მონოგრაფია: „რუსული სამხედრო საქმე და ომი საქართველოსთან: გაკვეთილები და მნიშვნელობა“.¹ ნაშრომი, სამხედრო ასპექტებთან ერთად, მიმოხილავს რუსეთის მიერ 2008 წელს, საქართველოში ომის დაწყების პოლიტიკურ და ეკონომიკურ მიზეზებსაც. ავტორთა თქმით: „თბილისი რუსეთის პასუხის სისასტიკით გაოცებული იყო, თუმცა ისინი არ უნდა გაოცებულიყვნენ, არ უნდა გაოცებულიყო ასევე ვაშინგტონი. წარწერა პირდაპირ კედელზე იყო განთავსებული, ვაშინგტონმა კი ვერ შეძლო მისი წაკითხვა...“.² სწორედ ამგვარ დასკვნას აკეთებენ არიელ კოენი და რობერტ ჰამილტონი 2008 წლის მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების მიმოხილვის შემდეგ, რო-

¹ Ariel Cohen, Robert E. Hamilton. The Russian Military and the Georgia War: Lessons and Implications. Strategic Studies Institute. June 2011.

² "Yet Tbilisi was stunned by the ferocity of the Russian response. It should not have been, nor should the U.S. Government be surprised. The writing was on the wall, but Washington failed to read it..." Ariel Cohen, Robert E. Hamilton. The Russian Military and the Georgia War, გვ. 5.

მელსაც ჩვენ ზემოთ არაერთხელ შევხვით. ამ დასკვნაში ავტორებს სრულებით ვეთანხმებით. მართლაც, დიდი გამჭრიახობა არ იყო საჭირო იმის მისახვედრად, რომ რუსეთი საქართველოში მოიმოქმედებდა იმას, რაც მოიმოქმედა. მით უმეტეს აშშ-ს კარგად უნდა სცოდნოდა ეს ყველაფერი.

რუსეთ-საქართველოს ომის სამხედრო დეტალებზე საუბრისას, ავტორები რუსეთის სამხედრო შემადგენლობის ციფრებს ასახელებენ ჩვენ მიერ ზემოთ მიმოხილული რუსი სამხედრო ანალიტიკოსის, პაველ ფელგენჰაუერის ინფორმაციის მიხედვით. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია 2008 წელს რუსეთის ავიაციის რაოდენობამ, რომელიც შედგებოდა Cy-24, Cy-25, Cy-27 და Ty-22-ის ტიპის 300-მდე თვითმფრინავისაგან, მაშინ, როდესაც ქართულ მხარეს სულ 8 Cy-25 ჰყავდა. გარდა ამისა, ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ რუსეთმა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, პირველად „ჩართო საქმეში“ შავი ზღვის სამხედრო ფლოტი.¹ ყველაფერი ეს, კიდევ ერთხელ, აშკარად მიუთითებს 2008 წელს რუსეთის განზრახვის სერიოზულობასა და მასშტაბურობაზე.

რაც შეეხება ავტორთა მიერ მოყვანილ ციფრებს, ქართული და რუსული სამხედრო ნაწილების შემადგენლობის შესახებ, კონისა და ჰამილტონის მიხედვით საქართველოში ომისათვის მომზადებული, რუსული სამხედრო ნაწილების შემადგენლობა 2008 წელს 35 000-40 000 კაცს შეადგენდა, ხოლო ქართული სამხედრო ნაწილების შემადგენლობა კი მხოლოდ და მხოლოდ 12 000-15 000 იყო.² აღნიშნული მონაცემები, ჩვენი აზრით, კომენტარს არ საჭიროებს.

აშშ-დან წარმოებული დაკვირვების მიხედვით, ავტორები საუბრობენ ქართული სამხედრო ნაწილების უკეთესი ეკიპირების შესახებ, რუსულ სამხედრო ნაწილებთან შედარებით:

¹ Ariel Cohen, Robert E. Hamilton. The Russian Military and the Georgia War, გვ. 11.

² Ariel Cohen, Robert E. Hamilton. The Russian Military and the Georgia War, გვ. 12.

„...ქართველი ჯარისკაცები აღჭურვილნი იყვნენ თანამედროვე ჯავშნებითა და ჩაფხუტებით, რაც რუს ჯარისკაცებს არ ჰქონდათ. იყო შემთხვევები, როდესაც რუსი ჯარისკაცები, გარდაცვლილ ქართველ ჯარისკაცებს ხსნიდნენ ჩაფხუტებსა და ჯავშანს, საკუთარი თავდაცვის გასაუმჯობესებლად“.¹

აქვე ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს რუსი სამხედროების მიერ 2008 წელს საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული მარადიურობა, რომელსაც რუსმა სამხედროებმა „ქონების დაცვა“ დაარქვეს, რაც მეტად საინტერესოა, რადგან რთულად წარმოსადგენია სხვისი ქვეყნის ტერიტორიაზე სხვისი საკუთრების დაცვა როგორ შეიძლება მოხერხდეს, თუმცა დოკუმენტურად დადასტურებულია, რომ 2008 წელს რუსმა სამხედროებმა ეს ნამდვილად „მოახერხეს“.¹

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი, რუსეთის ფაქტობრივი გამარჯვებით დასრულდა, უნდა აღინიშნოს ასევე, რომ რუსეთისათვის აღნიშნულმა გამარჯვებამ მთელი რიგი პრობლემები წამოსწია წინ სამხედრო კუთხით. წიგნის ერთ-ერთი ავტორისთვის, არიელ კოენისთვის, რუსეთის თავდაცვის მინისტრის მრჩეველს უთქვამს შემდეგი: „...ომმა დაამტკიცა, რომ რუსეთმა უფრო მეტი თანხა და ყურადღება უნდა დაუთმოს გაცილებით მცირე, მანევრირებადი და მობილური ჯარის შექმნას, საკუთარი საზღვრების დასაცავად და არა მსოფლიო ომში საბრძოლველად“.² აქედან გამომდინარე ცხადი ხდება კიდევ ერთი დეტალი – რუსეთი, როგორც ყოველთვის, ტრადიციულად სამხედრო საქმეში გათვლას აკეთებს არა საკუთარი ჯარების მობილურობასა და სწრაფ მანევრირებაზე, არამედ რაოდენობაზე. სწორედ რაოდენობით დაამარცხა 2008 წელს რუსულმა არმიამ საქარ-

¹ Ariel Cohen, Robert E. Hamilton. The Russian Military and the Georgia War, გვ. 33.

¹ Война. Российские вежливые мародеры в Грузии. – <https://www.youtube.com/watch?v=pB7w2jkgfE>.

² Ariel Cohen, Robert E. Hamilton. The Russian Military and the Georgia War, გვ. 50.

თველოს არმია და არა მობილურობამ და სწრაფმა მანევრირებამ. და ეს ყველაფერი, მიუხედავად იმისა, რომ ვერც ჩვენი ქვეყნის ნაწილები დაიკვეხნიდნენ სამხედრო მოქმედებების მწყობრი დაგეგმარებითა და მობილურობით...

ასე გამოიყურება ის მნიშვნელოვანი და საყურადღებო დეტალები არიელ კოენისა და რობერტ ჰამილტონის ნაშრომიდან, რომელზეც ჩვენ გავამახვილეთ ყურადღება და რომელთა მიერ მოწოდებულმა ინფორმაციამ, საშუალება მოგვცა კიდევ უფრო გაგვემდიდრებინა, ისედაც საკმაოდ მდიდარი ინფორმაციული ბაზა, რომელსაც ინგლისურენოვანი ლიტერატურა გვთავაზობს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შესახებ 2012 წელს გამოცემულ ინგლისურენოვან ნაშრომთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს ლოს ანჯელესში გამოცემული წიგნი, ისკრა კიროვას ავტორობით: „სახალხო დიპლომატია და კონფლიქტის მოგვარება: რუსეთი, საქართველო და ევროკავშირი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში“.¹ როგორც სათაურიდან ვიგებთ, წიგნი შეეხება სახალხო დიპლომატიას, რომელიც გატარებულ იქნა საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში რუსეთის, საქართველოსა და ევროკავშირის მიერ. აღნიშნული წიგნის მიმოხილვა, ჩვენ შეგვიძლია პირობითად, სამ მონაკვეთად დავყოთ:

წიგნის პირველ მონაკვეთში საუბარია კონფლიქტურ ზონებში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში, 2012 წლისათვის შექმნილ და მანამდე არსებულ ვითარებაზე, იმ ძლიერ პოზიციებზე, რომელიც რუსეთის სახალხო დიპლომატიას გააჩნდა კონფლიქტურ რეგიონებში, მოყოლებული XX საუკუნის 90-იანი წლებიდან და იმ ღონისძიებებზე და ციფრებზე, რომელშიც შეიძლება აისახოს რუსეთის „დახმარება“ განუხლები აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისათვის. „2012 წელს რუსეთი აფხაზეთს გაუწევს 6.802 მილიარდი რუბლის (210 მლნ \$)

¹ Iskra Kirova. Public Diplomacy and Conflict Resolution: Russia, Georgia and the EU in Abkhazia and South Ossetia. Los Angeles, Figueroa Press: 2012.

რაოდენობის ფინანსურ დახმარებას, რაც რესპუბლიკის ბიუჯეტის თითქმის 70%-ს წარმოადგენს და 5.497 მილიარდი რუბლის (170 მლნ \$) რაოდენობის დახმარებას სამხრეთ ოსეთს, რაც ამ უკანასკნელი ერთეულის, წლიური შემოსავლის 92%-ს წარმოადგენს.¹ გარდა ამისა, ავტორი მეტად საინტერესო ინფორმაციას გვანვდის რუსეთის პასპორტიზაციის პოლიტიკის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის – პენსიების პოლიტიკის – შესახებ, რის მიხედვითაც: „2008 წლის მონაცემების მიხედვით, რუსული პასპორტის მფლობელებს აფხაზეთში, ეძლეოდათ პენსია 1600 რუბლის რაოდენობით მაშინ, როდესაც თავად დე ფაქტო რესპუბლიკის მიერ გაცემული პენსიის რაოდენობა 100 რუბლს შეადგენდა. პროპორციული შეფარდება იგივეა სამხრეთ ოსეთშიც“.¹ როგორც ვხედავთ, პასპორტიზაციის პოლიტიკას რუსეთი, აფხაზებისა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ოსებისათვის საკმაოდ „მიმზიდველ“ სარჩულს – ეკონომიკურ მხარეს უძებნიდა. გარდა ამისა, აფხაზ და ოს ახალგაზრდებს საშუალება ეძლეოდათ (და დღესაც ეძლევათ) განათლება მიეღოთ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, რაც ასევე საკმაოდ „მნიშვნელოვან ასპექტს“ წარმოადგენს საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მოსახლეობის ცხოვრებაში.² ყველაფერ ამას, რუსეთი ასევე უმატებს იმ სოციალურ და პოლიტიკურ მომენტს, რასაც ჰქვია რუსული ენის დამკვიდრება საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში, რაც რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას აქცევს რუსულად მოსაუბრედ – რუსულენოვნად – ეს კი, თავის მხრივ, კიდევ ერთ სერიოზულ ბერკეტს წარმოადგენს რუსეთისათვის საკუთარი ინტერესების გასაძლიერებლად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში: „მართლაც, ზოგიერთი ანგარიშის მიხედვით, აფხაზთა დაახლოებით ერთი მესამედი სანყის დონეზეც კი ვერ საუბრობს აფხაზურად, უფრო მცირე რაოდენ-

¹ Iskra Kirova. Public Diplomacy and Conflict Resolution, გვ. 15.

¹ Iskra Kirova. Public Diplomacy and Conflict Resolution, გვ. 17.

² Iskra Kirova. Public Diplomacy and Conflict Resolution, გვ. 19.

ობა ახერხებს წერასა და კითხვას აფხაზურ ენაზე. აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის საპრეზიდენტო კანდიდატები გადიან სპეციალურ ტესტირებას აფხაზურ ენაში, იმისათვის რომ შეძლონ მმართველობა. 2011 წლის ნოემბერში სამხრეთ ოსეთში ჩატარდა რეფერენდუმი, რომელშიც მოსახლეობის დაახლოებით 84-მა პროცენტმა თანხმობა განაცხადა სეპარატისტულ ერთეულში, ოსურთან ერთად, რუსული ენისათვის ოფიციალური სტატუსის მინიჭების შესახებ¹. ამგვარად, ამ და სხვა მრავალ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ავტორი მკითხველს უდავოდ არწმუნებს საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში, რუსეთის მიერ საკმაოდ გეგმაზომიერი პოლიტიკის გატარების სიცხადეში და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ კრემლის მიერ მწყობრად დაგეგმილ სახალხო დიპლომატიას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში უკვალოდ ნამდვილად არ ჩაუვლია, რაშიც ავტორს სრულიად ვეთანხმებით.

წიგნის მეორე ნაწილში, საქართველოს მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში გატარებული სახალხო დიპლომატიის შეფასებისას, ავტორი ამბობს, რომ საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლება, მოყოლებული 2004 წლიდან, სახალხო დიპლომატიის გრძელვადიანი გეგმების ნაცვლად, ფოკუსირებული იყო უფრო მოკლევადიან გეგმებზე, მიხეილ სააკაშვილს, საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში პრობლემური ვითარების მოგვარება სულ რამდენიმე წელიწადში სურდა,¹ რაც, ავტორის აზრით, არანაირად არ წარმოადგენდა მწყობრი და გეგმაზომიერი სახალხო დიპლომატიის ნიმუშს. „ფართო სახალხო დიპლომატიურ ღონისძიებებთან ერთად, როგორც იყო პენსიების გაცემა, უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარება, უფასო სასოფლო-სამეურნეო სასუქები, ჰუმანიტარული დახმარება და რკინიგზის რეაბილიტაცია, ოსური რადიოსა და ტელევიზიის შექმნის პროექტი, 2004 წელს საქართველოს ხელისუფლება, აქტიურ პოლიტიკურ და

¹ Iskra Kirova. Public Diplomacy and Conflict Resolution, გვ. 21.

¹ Iskra Kirova. Public Diplomacy and Conflict Resolution, გვ. 27.

ზოგჯერ სამხედრო წნეხს ახორციელებდა სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ავტორიტეტების მიმართ – ანტიკონტრაბანდული ოპერაციის ჩათვლით, რომელიც ლამის სრულმასშტაბიანი ომით დასრულდა. ამგვარი, მათრახისა და თაფლაკვერის სტრატეგიით ცდილობდა საქართველო კონტროლის აღდგენას რეგიონზე¹. ავტორის აზრით, სამწუხაროდ, სწორედ ამგვარი ორმაგი სტანდარტით მოქმედებამ გამოიწვია ის, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო აფხაზებისა და ცხინვალის რეგიონში მაცხოვრებელი ოსების გულის მოგება 2008 წლამდე. ჩვენი მხრივ, დავამატებდით კიდევ ერთ მიზეზს – ზემოთ მიმოხილული, რუსული სახალხო დიპლომატია კიდევ ერთხელ ცხადს ხდის იმ ფუნდამენტურ კავშირებს, რაც რუსეთსა და საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას შორის იყო. ამგვარი ფუნდამენტური კავშირი კი თავისთავად მეტყველებს აფხაზებისა და ოსების ქართველების მიმართ ნდობის დაბალ მაჩვენებელზე, რადგან რუსეთს არაერთი ათეული წლის განმავლობაში ჰქონდა განეული იდეოლოგიური სამუშაო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. სწორედ ამიტომ, ჩვენი აზრით საქართველოს ხელისუფლების მიერ, ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონებში განხორციელებული სახალხო დიპლომატიური ღონისძიებების შედეგად, რეგიონებში ნდობის აღდგენისათვის საჭირო იყო მხოლოდ და მხოლოდ დრო და მესამე ძალის – რუსეთის – ჩაურევლობა. ჩვენი აზრით, ყოვლად წარმოუდგენელი იყო საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების იდეა, რის მიხედვითაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ინტეგრირება საქართველოში სულ რამდენიმე წელიწადში შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან ეს ორი რეგიონი „რამდენიმე წელიწადში“ არ დაკარგულა. ორივე რეგიონში, რუსული პოლიტიკა აქტიურად მოქმედებდა მთელი XX საუკუნის განმავლობაში.

ამასთან, უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა თავად საქართველოში, ქვეყნის შიდაპოლიტიკურ სივრცეში, კონფლიქ-

¹ Iskra Kirova. Public Diplomacy and Conflict Resolution, გვ. 30.

ტური რეგიონებისადმი დამოკიდებულების პოზიციაში ერთიანობასა და კონსოლიდაციას, რაც უნდა გამოხატულიყო როგორც მოქმედი ხელისუფლების, ასევე ოპოზიციისა და ქვეყნის მოსახლეობის ერთიანი პოზიციითაც კი. ჩვენი აზრით, სწორედ ამგვარ ერთიან და კონსოლიდირებულ პოლიტიკასა და სახალხო დიპლომატიურ მეთოდებს დროსთან ერთად შეეძლო შედეგი გამოეყო კონფლიქტურ რეგიონებში. სამწუხაროდ, ჩვენს რეალობაში ამგვარ კონსოლიდაციას ქვეყნის შიგნით ვერაფრით მივაღწიეთ.

კონფლიქტურ რეგიონებში, საქართველოს ომის შემდგომი სახალხო დიპლომატიის შესახებ საუბრისას, ავტორი ამბობს, რომ 2010 წლიდან საქართველოს ხელისუფლება აგრძელებს მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელებას, რაშიც შედის ადგილობრივ ენაზე განათლების მიღების საშუალება და სტიპენდიები საქართველოს უნივერსიტეტებში და საზღვარგარეთ სასწავლებლად აფხაზი და ოსი სტუდენტებისათვის. ასევე უფასო სამედიცინო დახმარების პროგრამა, რის მიხედვითაც, ავტორის თქმით, 2012 წლის მონაცემებით, მხოლოდ ომის შემდეგ 9 000 აფხაზს ჰქონდა მიღებული უფასო სამედიცინო დახმარება საქართველოს ტერიტორიაზე,¹ რაც მხოლოდ და მხოლოდ მისასალმებელია.

წიგნის მესამე ნაწილში, ავტორი საუბრობს ევროკავშირის როლზე აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სახალხო დიპლომატიის პოლიტიკის გატარებაში. კიროვა ხაზს უსვამს 2008 წლის ომის შემდეგ შექმნილ მძიმე ვითარებას კონფლიქტურ რეგიონებში და ამბობს, რომ: „მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი რჩება უმსხვილეს საერთაშორისო დონორად აფხაზეთში, რომელიც რეგიონში ჩატარებულ ღონისძიებათა თითქმის 80%-ს აფინანსებს, მათი ინვესტიცია 15-16 მლნ €-ს ოდენობით ახლოსაც ვერ მიდის რუსეთის მიერ 2009 წლიდან რეგიონში ჩადებულ 460 მლნ €-თან.² საბოლოოდ, უნდა ითქ-

¹ Iskra Kirova. Public Diplomacy and Conflict Resolution, გვ. 34.

² Iskra Kirova. Public Diplomacy and Conflict Resolution, გვ. 45.

ვას, რომ ავტორი სახალხო დიპლომატიას კონფლიქტის გადაწყვეტის საკითხში უალტერნატივოდ მიიჩნევს და მომხრეა აღნიშნული პოლიტიკური მეთოდის აქტიური გამოყენებისა, რაშიც ჩვენ სრულებით ვეთანხმებით ავტორს, რადგან ისეთი რთული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება, როგორც არის ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტი, შესაძლებელია მხოლოდ ხალხის ორმხრივი ნებით და თანაცხოვრების სურვილით. ამ სურვილის გაჩენას კი საკმაოდ დიდი დრო და მოთმინება სჭირდება.

დასკვნის სახით, ისკრა კიროვას ნაშრომს შეგვიძლია ვუწოდოთ უაღრესად საინტერესო ნაშრომთაგანი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო თემას, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომს ეხება და მეტად საინტერესო ინფორმაციით ამარაგებს საკითხით დაინტერესებულ მკითხველს.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომს ეხება ცნობილი პოლიტოლოგი და სოციოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი სტივენ ჯონსი თავის წიგნში „საქართველო. პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ“, ¹ რომელიც გამოცემულია ასევე 2012 წელს. ჩვენთვის საინტერესო საკითხს ავტორი ეხება საკუთარი წიგნის უკანასკნელ თავში – „ეროვნული უსაფრთხოება და საგარეო პოლიტიკა“. ზემოთ მიმოხილული მასალების ფონზე, უნდა ითქვას, რომ ჯონსის წიგნის ამ მონაკვეთში, რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ რაიმე განსაკუთრებულ მასალას არ ვხვდებით, თუმცა საინტერესოა თავად ავტორის შეფასება და აზრები აღნიშნული მოვლენის შესახებ. ავტორი სტატიის დასაწყისშივე ამბობს, რომ ცხინვალის რეგიონი 18 წლის მანძილზე იდგა ომის გარდაუვალი საფრთხის წინაშე, ² რაც მიუთითებს იმაზე, რომ ავტორი ემხრობა აზრს რუსეთის მიერ აღნიშნული ომის დიდი ხნის წინათ დაგეგმვის შესახებ: „2008 წლისთვის საქართველოს ხელისუფლებას სულ ორი არჩევა-

¹ Stephen Jones. Georgia. A Political History Since Independence. London–New York, 2012.

² Stephen Jones. Georgia. A Political History Since Independence, გვ. 337.

ნილა რჩებოდა – გაენია წინააღმდეგობა ან უკან დაეხია. წლების მანძილზე ორივე პრეზიდენტი, შვეარდნაძე და სააკაშვილიც, საოცარ თავშეკავებას იჩენდნენ რუსეთის პროვოკაციებსა და მის მიერ საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევებზე. თბილისი მშვიდად მოიქცა რუსეთის მიერ ქართული სოფლების დაბომბვისას სამხრეთ ოსეთში ომამდე ათი წლით ადრე, არ აჰყვა რუსეთის პროვოკაციებს პანკისის ხეობაში 2002 წელს და პოლიციის ძალებით სწრაფად გაიყვანა ჩეჩენი მებრძოლეები იქიდან, ხოლო 2004 წელს, სამხრეთ ოსეთთან შეიარაღებული შეტაკების შემდეგ, თითქმის ომის ზღვარზე მყოფმა, უკან დაიხია. მაშინ 22 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა, მაგრამ 7 აგვისტოს დათმობას აზრი აღარ ჰქონდა და სამხრეთ ოსეთიდან ჯარის გამოყვანაც პოლიტიკურად დამლუპველი იქნებოდა სააკაშვილისთვის“.¹ როგორც ვხედავთ, ავტორი საკმაოდ ლოგიკურ დასკვნამდე მიდის, რაშიც მას აბსოლუტურად ვეთანხმებით.

ომის შედეგებზე, საქართველოს 1.2 მლრდ \$-იან ეკონომიკურ ზარალზე² და სხვა დანაკლისებზე საუბრისას, ჯონსი ხაზს უსვამს ერთ მნიშვნელოვან მომენტს: „ომმა განამტკიცა საქართველოს დასავლური ორიენტაცია, მაგრამ გამოამჟღავნა დასავლეთის იმედზე ყოფნის ილუზიები“.³ საბოლოოდ ავტორი ამბობს: „არასტაბილური საქართველო, ბოლოს მოუღებს ევროკავშირის ენერგოუსაფრთხოების სტრატეგიას“.⁴ ჩვენი აზრით, ეს მართლაც მოსალოდნელია, რადგან, როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, 2008 წელს დასავლეთმა არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიების რუსეთის მიერ ოკუპაციაზე „დახუჭა თვალი“, არამედ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის მხრიდან საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების დარღვევა დატოვა შესაბამისი რეაგირების გარეშე.

2012 წელს, ტასმანიის უნივერსიტეტის პროფესორის მე-

¹ Stephen Jones. Georgia. A Political History Since Independence, გვ. 342-343.

² Stephen Jones. Georgia. A Political History Since Independence, გვ. 343.

³ Stephen Jones. Georgia. A Political History Since Independence, გვ. 344.

⁴ Stephen Jones. Georgia. A Political History Since Independence, გვ. 345.

თიუ სასექსის რედაქტირებით, გამოიცა სტატიათა კრებული: „კონფლიქტი ყოფილ სსრკ-ში“. ¹ კრებულში მიმოხილულია კონფლიქტის ბუნება პოსტ-საბჭოთა სივრცეში და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის მიზეზები. კრებულში სტატიები დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთში არსებული მდგომარეობის მიმოხილვიდან დღევანდელ რუსეთამდე.

კრებულის მეორე სტატიაში – „იმპერიული რუსეთის დაბრუნება“¹ – როჯერ კანეტი საუბრობს პუტინის მოსვლის შემდეგ რუსეთის „ძლიერების ხანის“ დადგომის შესახებ და ხაზს უსვამს ენერგორესურსების როლს რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, რის საილუსტრაციოდაც მოჰყავს 2005-2006 წლების ზამთარში, უკრაინაში განვითარებული მოვლენები, როდესაც უკრაინის მიერ დასავლური პოზიციების გამოხატვა, რასაც ადგილი ჰქონდა 2005 წლის გაზაფხულიდან, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა ვიქტორ იუშჩენკო, პირდაპირ აისახა რუსული გაზის მიწოდებაზე უკრაინაში. რუსეთმა უკრაინას გაზის მიწოდება რამდენიმე დღით შეუწყვიტა 2006 წლის დასაწყისში და განუახლა მხოლოდ მას შემდეგ, რაც თითქმის გაასამშავა საკუთარი ბუნებრივი აირის ფასი უკრაინისათვის.² ამგვარად, თუკი ლეონიდ კუჩმას პრეზიდენტობის პერიოდში (1994-2005), უკრაინა ერთ კუბურ მეტრ რუსულ ბუნებრივ აირში დაახლოებით 50 აშშ დოლარს იხდიდა, 2005 წლისათვის ფასმა 160 დოლარს, ხოლო მოგვიანებით კი 230 დოლარსაც მიაღწია.³

¹ Conflict in the Former USSR. Edited by Matthew Sussex. Cambridge University Press. New York, 2012.

¹ Roger E. Kanet. The Return of Imperial Russia. In: Conflict in the Former USSR. Edited by Matthew Sussex. Cambridge University Press. New York, 2012, გვ. 15.

² Roger E. Kanet. The Return of Imperial Russia, გვ. 28.

³ Karel Svoboda. Business as Usual? Gazprom's Pricing Policy Toward the Commonwealth of Independent States. – Problems of Post-Communism, Vol 58, No.6, November/December 2011, გვ. 31.

რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე აგრძელებს საუბარს, კენტიის უნივერსიტეტის პროფესორი რიჩარდ საკვა კრებულის მეოთხე სტატიაში: „დიდი ძალები და მცირე ომები კავკასიაში“.¹ ამასთან ერთად, ავტორი მიმოიხილავს საქართველოს რეგიონული კონფლიქტების საფუძვლებსაც, თუმცა ამ შემთხვევაში უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს მიმოხილვა სიღრმის ნაკლებობას ნამდვილად განიცდის. ხელმძღვანელობს რა ოსი სეპარატისტი ავტორების ნაშრომით (В. Д. Дзидзоев, К. Г. Дзугаев. Южная Осетия в ретроспективе грузино-осетинских отношений. Цхинвали, 2007),¹ ის ხაზს უსვამს სეპარატისტების პოზიციას იმის შესახებ, რომ „სამხრეთ ოსეთს“ მართლაც გააჩნია საქართველოსაგან დამოუკიდებლობის მოპოვებისა და ამ გზით საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ტრადიცია.² უცნაურია, მაგრამ მომდევნო გვერდზე ავტორი გამოკვეთს ქართული სეპარატისტული რეგიონების მოთხოვნათა არალეგიტიმურობას და 2008 წელს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განლაგებულ, რუსულ „მშვიდობისმყოფელთა კონტიგენტს“ – რუსეთის ნეოიმპერიულ იარაღს უწოდებს.³ როგორც ჩანს, რიჩარდ საკვა თავად ვერ არის ჩამოყალიბებული იმ საკითხის გარშემო, რომელსაც ის იხილავს.

კრებულის მეხუთე სტატიაში: „რუსეთ-საქართველოს ომი: იდენტურობა, ინტერვენცია და ნორმათა ადაპტაცია“ ბიტ კერნენისა და მეთიუ სასექსის ავტორობით,⁴ საუბარია საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებათა მიერ 2008 წელს ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთზე შეტევის სამარ-

¹ Richard Sakwa. Great Powers and Small Wars in the Caucasus. In: Conflict in the Former USSR. Edited by Matthew Sussex. Cambridge University Press. New York, 2012, გვ. 64.

¹ Richard Sakwa. Great Powers and Small Wars in the Caucasus, გვ. 79.

² Richard Sakwa. Great Powers and Small Wars in the Caucasus, გვ. 79.

³ Richard Sakwa. Great Powers and Small Wars in the Caucasus, გვ. 80.

⁴ Beat Kernén, Matthew Sussex. The Russo-Georgian War: Identity, Intervention and norm adaptation. In: Conflict in the Former USSR. Edited by Matthew Sussex. Cambridge University Press. New York, 2012, გვ. 91.

თლებრივი ბაზის შემზადებაზე, რაზეც ავტორები ამბობენ: „საქართველომ, თავის მხრივ, რუსეთის სამხედრო ქმედებას უწოდა საქართველოს პირდაპირი დაპყრობა, მაშინ, როდესაც რუსეთმაც, თავის მხრივ, მოუხმო სუვერენულობასა და საერთაშორისო სამართალს“.¹ საინტერესოა, რომ ამგვარი განცხადების შემდეგ, ავტორები არ აკეთებენ კომენტარს იმის შესახებ თუ რომელ მხარეს – საქართველოს თუ რუსეთის – იყო ლეგიტიმურობა 2008 წლის აგვისტოში, რაც ფრიად გასაკვირია და ალბათ ავტორთა მიერ არასაკმარისი მასალის წვდომაზე ან მათ ჩამოუყალიბებლობაზე მიუთითებს.

ამასთან ერთად, კერნენი და სასექსი საუბრობენ კოსოვოს დამოუკიდებლობის პრეცედენტზე და ხაზს უსვამენ აღნიშნული პრეცედენტის მნიშვნელობას რუსეთის საგარეო პოლიტიკისათვის 2008 წელს. ავტორთა აზრით, რასაც ჩვენ სრულიად ვიზიარებთ, რუსეთმა საქართველოში ომით ფაქტობრივად ბრალი დასდო დასავლეთს ორმაგი სტანდარტებით მოქმედებაში¹ და აღნიშნული სტანდარტების საპირწონედ განახორციელა ინტერვენცია საქართველოში.

დასასრულს, კერნენი და სასექსი მიდიან დასკვნამდე, რომ საქართველომ ფუნდამენტური გეოსტრატეგიული რეალობის იგნორირება მოახდინა 2008 წლის აგვისტოში, ხოლო რუსეთმა კი შეახსენა ეს რეალობა, როგორც საქართველოს, ასევე დასავლეთს.² როგორც ვხედავთ, ავტორები ერთი სიტყვითაც კი არ ახსენებენ იმ გამოუვალ მდგომარეობას, რომელშიც საქართველო აღმოჩნდა 2008 წლის აგვისტოში. არ ახსენებენ იმას, რომ რუსეთმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საქართველოს სხვა გამოსავალი არ დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ომში ჩაბმულიყო და დაეცვა საკუთარი მოსახლეობა. ეს ყველაფერი, უკეთეს შემთხვევაში, უნდა მიანიშნებდეს ავტორთა მიერ საკმარისი მასალის ვერ ფლობაზე, ხოლო უარეს შემთხვევაში კი ავტორთა ცალსახა, სუბიექტურ დამოკი-

¹ Beat Kernen, Matthew Sussex. The Russo-Georgian War, გვ. 103.

¹ Beat Kernen, Matthew Sussex. The Russo-Georgian War, გვ. 114.

² Beat Kernen, Matthew Sussex. The Russo-Georgian War, გვ. 117.

დებულებზე 2008 წლის აგვისტოს ომის მიმართ.

კრებულის ბოლო, მეცხრე სტატიაში: „დასკვნა: კონფლიქტის მომავალი ყოფილ სსრკ-ში“¹ – მეთიუ სასექსი გამოთქვამს საკუთარ ვარაუდს რუსეთის პოლიტიკის მომავლის შესახებ პოსტსაბჭოთა სივრცეში. ავტორი ამბობს, რომ არსებობს ოთხი მიზეზი, რის გამოც ნაკლებად სავარაუდოა რუსეთმა მიმართოს ძალისმიერ სცენარს მომავალში იმპერიის აღსადგენად: პირველი მიზეზი არის ის, რომ „ახლო საზღვარგარეთის“ ძალისმიერი გზით დაპყრობისა და შემოერთების შემთხვევაში, რუსეთმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მან უკვე გაუშვა ამის შანსი ხელიდან. მეორე მიზეზის მიხედვით, უკანასკნელმა ორმა ათწლეულმა აჩვენა მსოფლიოს, რომ რუსულ არმიას არათუ შეტევაზე გადასვლა, არამედ საკუთარი საზღვრების ნორმალურად დაცვაც კი არ შეუძლია. მესამე მიზეზად ავტორი ასახელებს რუსეთის იზოლაციაში მოქცევას მსოფლიოს თანამეგობრობის მიერ იმ შემთხვევაში, თუკი რუსეთი გააგრძელებს საკუთარ აგრესიულ პოლიტიკას სამეზობლოში. სასექსის აზრით, ეს ფაქტორი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს რუსეთის მიერ იმპერიულ ამბიციებზე ხელის აღებაში. მეოთხე მიზეზის მიხედვით, რუსეთს არ სჭირდება უფრო ფართო იმპერია მაშინ, როდესაც იგი ისედაც ჰეგემონს წარმოადგენს პოსტსაბჭოთა სივრცეში.¹

ამ შემთხვევაში ძნელია დავეთანხმოთ ავტორს, რადგან 2013 წლიდან დღემდე ძალიან ნათლად გამოჩნდა მეთიუ სასექსის ზემოაღნიშნულ დებულებათა მცდარობა. უკრაინაში 2013 წლიდან გაჩაღებულმა კონფლიქტმა ხაზი გადაუსვა სასექსის მიერ ზემოთ მოყვანილ ყველა დებულებას და კიდევ ერთხელ აჩვენა მთელს მსოფლიოს, რომ რუსეთის სახით საქმე გვაქვს ნამდვილად არაპროგნოზირებად იმპერიასთან, რომელსაც იმპერიული მადა დღემდე არ განელებია. სწორედ ამ-

¹ Matthew Sussex. Conclusions: The Future of conflict in the former USSR. In: Conflict in the Former USSR. Edited by Matthew Sussex. Cambridge University Press. New York, 2012, გვ. 195.

¹ Matthew Sussex. Conclusions, გვ. 196-197.

იტომ, თავისთავად იმსხვრევა ავტორის მიერ წამოყენებული პირველი დებულება იმის შესახებ, რომ რუსეთმა გაუშვა ხელიდან შანსი იმისა, რომ მეზობელი ქვეყნების საქმეებში ჩარეულიყო, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ავტორი არ აკონკრეტებს, თუ რას გულისხმობს, როდესაც რუსეთის მიერ „შანსის ხელიდან გაშვებაზე“ საუბრობს. რაც შეეხება მეორე დებულებას, რუსეთის არმიის სისუსტის შესახებ, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ავტორი არ ითვალისწინებს რუსეთის არმიის შესაძლებლობებს პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს სასექსი რუსეთის არმიას ადარებს ნატოს რომელიმე წევრი ქვეყნის არმიის შესაძლებლობებს, რის ფონზეც რუსული არმია, ბუნებრივია, სუსტად წარმოჩინდება, თუმცა ეს არაფრით არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთს მძიმე დარტყმის მიყენება არ შეუძლია რომელიმე პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის. ფაქტია, რომ ეს ცხადად გამოჩნდა როგორც 2008 წელს საქართველოში, ასევე 2014 წლიდან უკრაინაში. სასექსის მესამე არგუმენტი იმის შესახებ, თითქოს რუსეთისთვის თუნდაც რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს საერთაშორისო თანამეგობრობის პოზიციას, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს, ისევე როგორც ავტორის მეოთხე არგუმენტი, რის მიხედვითაც რუსეთს არ სჭირდება იმპერიის შექმნა საკუთარი გავლენის სივრცეში. კომენტარის სახით უნდა ვთქვათ, რომ „ვერაზიულ კავშირს“ რუსეთი საკუთარი გავლენის სფეროდ მიიჩნევს და ნებისმიერი სახის გაერთიანება, იქნება იგი სავაჭრო თუ სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის, მიმართული არის და იქნება რუსეთის იმპერიული ზრახვების განხორციელებისკენ. ამ გზაზე კი, რუსეთი, ცხადია, არც დღემდე ითვალისწინებდა და ნაკლებსავარაუდოა, რომ მომავალშიც გაითვალისწინოს საერთაშორისო თანამეგობრობის აზრი და დამოკიდებულება საკუთარი იმპერიული პოლიტიკის შესახებ, მით უფრო მაშინ, როდესაც დასავლეთი საკმაოდ ინერტულია რუსეთის ქმედებებისადმი დღეისათვის უკრაინაში. ჩვენი აზრით, ეს უკვე თავად იმ ფაქტში გამოიხატება, რომ რუსეთმა მოახერხა უკრაინის ორად გაყოფა და მის ამ ქმედე-

ბას დასავლეთი წინ ვერ აღუდგა.

ამგვარად, მეთიუ სასექსის რედაქციით გამოცემული სტატიათა კრებული წარმოადგენს საკმაოდ სუბიექტურ ნაშრომს, არცთუ ლოგიკური დასკვნებით, რაც საბოლოო ჯამში, საკითხის კვლევას ახალს და საინტერესოს არაფერს სძენს.

2012 წელს გამოვიდა რუსეთისა და პოსტ-საბჭოთა სივრცის პოლიტიკური მკვლევარის მარი მენდრას წიგნი: „რუსული პოლიტიკა. სუსტი სახელმწიფოს პარადოქსი“.¹ წიგნის მეცხრე თავის პირველ ქვეთავში – „ომი საქართველოში. შემობრუნების წერტილი“² – ჩვენთვის საინტერესო თემას ავტორი მხოლოდ და მხოლოდ მოკლედ მიმოიხილავს, თუმცა, მისი მსჯელობიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ იგი რუსული პოლიტიკის მაკრიტიკებლად გვევლინება.

მარი მენდრა ამბობს: „შეიარაღებული კონფლიქტი 2008 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის შემთხვევით არ დაწყებულა. დენტის კასრი უკვე სავსე იყო, საჭირო იყო მხოლოდ ნაპერწკალი“.³ ამ პასაჟის შემდეგ ავტორი მიმოიხილავს იმ მოვლენებს, რაც წინ უძღოდა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომს.⁴ ისევე, როგორც სხვა ინგლისურენოვან ავტორებთან, მარი მენდრასთანაც ვხვდებით მოვლენის ქართული პერსპექტივიდან განხილვის უკმარისობას, რაც გასაგებია, რადგან ავტორის წიგნი კონკრეტულად რუსეთ-საქართველოს უკანასკნელი ომის კვლევას არ ისახავს მიზნად. იგი ამ ომს მოკლედ მიმოიხილავს და თანამედროვე რუსული პოლიტიკის კვლევის ჩრილში გვაჩვენებს.

საბოლოოდ მენდრას წიგნის შესახებ უნდა ითქვას, რომ ნაშრომი საკმაოდ საინტერესოა თანამედროვე რუსული პოლიტიკის შესწავლით დაინტერესებული პირებისთვის.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმოხილვასა და

¹ Marie Mendras. Russian Politics: The Paradox of a weak State. New York: Columbia University Press, 2012.

² Marie Mendras. Russian Politics, გვ. 258.

³ Marie Mendras. Russian Politics, გვ. 258.

⁴ Marie Mendras. Russian Politics, გვ. 258-262.

ანალიზს ეძღვნება კონრად ადენაუერის ფონდის მიერ 2013 წელს გამოცემული სტატიათა კრებული – „საქართველოს საგარეო პოლიტიკა. მტკიცე უსაფრთხოების ძიებაში“¹ – კორნელი კაკაჩიასა და მაიკლ სესირის რედაქტორობით. წიგნს თან ახლავს საქართველოს მაშინდელი თავდაცვის მინისტრის – ირაკლი ალასანიას წინასიტყვაობა. მართალია, კრებულში არცერთი სტატია არ ეხება კონკრეტულად 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სტივენ ჯონსის, მაიკლ სესირის, კორნელი კაკაჩიას, ნილ მაკფარლანისა თუ მამუკა წერეთლის სტატიებში ჩვენ შევხვდებით საქართველოს საგარეოპოლიტიკური ვექტორების მიმოხილვას – აშშ-თან, სომხეთთან, თურქეთთან, აზერბაიჯანთან პარალელებს საქართველოსა და უკრაინას შორის და ა.შ. ნაშრომში თავმოყრილია საკმაოდ საინტერესო მასალა საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ვექტორის შესახებ, რაც მკითხველს უდავოდ სასარგებლო ინფორმაციით ამარაგებს.

ჩვენი მიმოხილვის დასასრულს, შევეხებით ჯოზეფ ლოურენს ბლეკის, 2015 წელს გამოცემულ ნაშრომს: „დიმიტრი მედვედევის პრეზიდენტობა, 2008-12. მომდევნო ნაბიჯი წინ თუ უბრალოდ შესვენება?“,¹ რომლის ერთ-ერთი ქვეთავი ეხება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომს. ავტორი ცდილობს, მოკლედ შეეხოს 2008 წელს განვითარებულ მოვლენებს და უნდა ითქვას, რომ მკვეთრად პრორუსულ პოზიციებს აფიქსირებს, როდესაც 7 აგვისტოს განვითარებული მოვლენების მიმოხილვისას ერთი სიტყვითაც კი არსად ახსენებს რუსული სამხედრო ნაწილების როკის გვირაბში (რომლის როგორც სათავე, ასევე დასასრული საქართველოს ტერიტორიაზე მდებარეობს) განთავსებისა და ცხინვალის რეგიონში 7 აგვისტომდე მინიმუმ ორი კვირით ადრე ადრე დგომისა და შეკრების უკანონობას, სამაგიეროდ ხაზგასმით დასძენს, რომ რუსულმა

¹ Georgian Foreign Policy. The Quest for Sustainable Security. Edited by Korneli Kakachia & Michael Cecire. Konrad-Adenauer-Stiftung, 2013.

¹ J. L. Black. The Russian Presidency of Dmitry Medvedev, 2008-12. The Next Step Forward or Merely a Time Out? Routledge, 2015.

სამხედრო ნაწილებმა როკის გვირაბიდან გამოსვლა და სამხედრო მოქმედებებში ჩაბმა, ქართველების მიერ ცხინვალზე შეტევიდან 12 საათის შემდეგ დაიწყეს,¹ რაც, თავის მხრივ, ნამდვილად „რუსულ“ ინფორმაციას წარმოადგენს, რადგან, როგორც გვახსოვს რუსული 58-ე არმია ჯერ კიდევ 15 ივლისიდან მოყოლებული გადიოდა სამხედრო წვრთნებს, ხოლო ივლისის ბოლოს რუსული არმიის ეს ნაწილი უკვე სრულ მზადყოფნაში იყო საქართველოში ინტერვენციისათვის.

საბოლოო ჯამში, ავტორი ომის დაწყებას აბრალებს სააკაშვილის „კვებნა-ტრაბახს“, რომ იგი საქართველოს ნებისმიერ ფასად გააერთიანებდა.¹ დანარჩენ მიზეზებზე კი, როგორც იყო რუსეთის მიერ აღნიშნული ომისათვის სპეციალური სამზადისი და მსოფლიო პოლიტიკაში, იმ პერიოდში მიმდინარე სხვა მნიშვნელოვანი პროცესები, რომელსაც ჩვენ ზემოთ არაერთგზის შევხებით, ავტორისათვის რატომღაც ყურადღების მიღმა რჩება. ბლუკის ნაშრომის ის მონაკვეთი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხს ეხება, იმდენად პრორუსული ტენდენციურობით არის გააღლენთილი, რომ სტატიის დეტალების უფრო ვრცლად მიმოხილვა აზრს კარგავს, რადგან ისედაც ყველაფერი ცხადია.

2015 წელს გამოიცა კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის ესმირა ჯაფაროვას წიგნი: „კონფლიქტის მოგვარება სამხრეთ კავკასიაში. საერთაშორისო ძალისხმევის გამოწვევები“.² წიგნის მეორე თავის („სამხრეთ კავკასიის კონფლიქტთა საფუძვლები“³) ერთ-ერთ ქვეთავში – „კონფლიქტები საქართველოში: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი“⁴ – ავტორს მიმოხილული აქვს საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში არსებული ვითარება ისტორიულ და ეთნოპოლიტიკურ ქრილში.

¹ J. L. Black. The Russian Presidency of Dmitry Medvedev, 2008-12, გვ. 135.

¹ J. L. Black. The Russian Presidency of Dmitry Medvedev, 2008-12, გვ. 133.

² Esmira Jafarova. Conflict Resolution in South Caucasus. Challenges to international Efforts. New York, London: Lexington Books. 2015.

³ Esmira Jafarova. Conflict Resolution in South Caucasus, გვ. 19.

⁴ Esmira Jafarova. Conflict Resolution in South Caucasus, გვ. 25.

2008 წლის ომზე საუბრისას ავტორი არ გამოირჩევა საკითხის შესახებ განსაკუთრებით საინტერესო ან გარკვეულწილად ნოვატორული ინფორმაციის ფლობით, იგი საუბრობს იმ მოვლენებზე, რაც წინ უძღოდა რუსეთ-საქართველოს უკანასკნელ ომს და თავად ამ ომის მნიშვნელობაზე მსოფლიო პოლიტიკაში. ავტორი საკმაოდ პესიმისტურად არის განწყობილი საქართველოს მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონზე მომოვალში კონტროლის დამყარების საკითხის მიმართ და მიიჩნევს, რომ 2008 წლის „აგვისტოს ომმა“ მკვეთრად გააუარესა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები.¹

დასკვნის სახით, წიგნის შესახებ უნდა ითქვას, რომ ნაშრომი ატარებს მიმოხილვით ხასიათს, არ გამოირჩევა ტენდენციურობით, რაც ნაშრომის უდავოდ ძლიერ მხარეს წარმოადგენს. აღსანიშნავია ისიც, რომ წიგნი არ შეეხება კონკრეტულად რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომს, ავტორი ამ ომს აქცევს სამხრეთ კავკასიის ეთნო-პოლიტიკური მიმოხილვის ჯაჭვში, რაც საბოლოო ჯამში მეტად საინტერესოს ხდის ნაშრომს.

ასე გამოიყურება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შესახებ, 7 წლის შემდეგ, ჩვენს ხელთ არსებული, ინგლისურენოვანი ლიტერატურის ნუსხა, რომელიც უნდა ითქვას, რომ საკმაოდ ვრცელი და ინფორმაციულია. ჩვენი ნაშრომის მოცემული ორი თავი საკმაოდ მნიშვნელოვან და ღირებულ მასალას გვაძლევს ჩვენთვის საინტერესო მოვლენის შესახებ. აღნიშნული ინგლისურენოვანი მასალით ფაქტობრივად განხორციელდა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის მიმოხილვა დასავლური თვალსაწიერიდან, რამაც ბევრ ნაცნობ აზრსა და შეხედულებასთან ერთად, ასევე არაერთი ახალი და საინტერესო შეხედულება წარმოგვიდგინა.

დასკვნის სახით, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ლიტერატურის შეჯერების შესახებ უნდა ითქვას, რომ თუკი საკითხის შესახებ

¹ Esmira Jafarova. Conflict Resolution in South Caucasus, გვ. 33.

არსებული ქართულენოვანი ლიტერატურა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს შეძლებისდაგვარად განიხილავს ქვეყნის შიდა და საგარეო პოლიტიკურ ქრილში, ინგლისურენოვანი ლიტერატურა საკითხს ერთგვარად უფრო გარედან აფასებს და რუსეთ-საქართველოს ომსა და ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას უფრო ფართო მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე წარმოაჩენს. ამით ხდება ერთგვარი შეჯერება ქართულ და ინგლისურენოვან ავტორთა ნააზრევისა, რაც შეხედულებათა ფართო მრავალფეროვნებას გვაძლევს, რის შესახებაც ჩვენ უკვე ზემოთ ვისაუბრეთ.

საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი წარმოადგენს საკმაოდ აქტუალურ თემას თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში. ეს ფაქტი კარგად ჩანს თუნდაც იქედან, რომ მოვლენიდან 7 წლის შემდეგ საკითხის შესახებ, ქართულ და ინგლისურ ენაზე დაახლოებით 30-მდე წიგნის მოძიებაა შესაძლებელი. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი ერთგვარი ილუსტრირებაა რუსეთის XXI საუკუნის საგარეო პოლიტიკა, რომელიც ხშირ შემთხვევაში საკუთარი უტოპიური დიდების შენარჩუნებასა და ამაღლებას ეფუძნება. ეს კი კრემლის მიერ ხშირ შემთხვევაში აბსოლუტურად არაადეკვატური მოქმედებებით ხდება, რაც 2008 წელს კარგად გამოჩნდა საქართველოს მაგალითზე, ხოლო 2013 წლიდან კარგად ჩანს უკრაინაშიც, სადაც მოსკოვი ათასგვარი ბინძური მეთოდით ცდილობს ფეხის მოკიდებას და უკრაინისათვის ფაქტობრივად სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის წართმევას.

ამგვარად, ზემოაღნიშნული მრავალრიცხოვანი ქართული და ინგლისურენოვანი ლიტერატურის მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად გავეცნოთ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომსა და მის გარშემო არსებულ ფაქტებსა და ანალიზს, რაც საბოლოო ჯამში საკუთარი ანალიტიკური დასკვნების გაკეთებაში დაგვეხმარება.

თავი მესამე

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი მსოფლიო გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ ქრილში

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომზე საუბრისას ყურადღებას ამა ომის მნიშვნელობა გლობალურ ქრილში, რასაც რუსეთისა და საქართველოს დაპირისპირებიდან მსოფლიო პოლიტიკის ზედაპირამდე მივყავართ. ამიტომ 2008 წლის „აგვისტოს ომი“ უნდა განვიხილოთ სწორედ გლობალური პოლიტიკის მასშტაბებში, რასაც ჩვენი ნაშრომის მესამე თავი ისახავს მიზნად.

2008 წელს რუსეთსა და საქართველოში შორის მომხდარი ხუთდღიანი ომის მნიშვნელობა რომ რეგიონულ მასშტაბებს სცილდება და მსოფლიო მნიშვნელობა აქვს, ამაში აღნიშნული ნაშრომის წინა ორმა თავმა დაგვარწმუნა. როგორც ქართველი, ასევე „დასავლელი“ ავტორები მეტად მკვეთრად უსვამენ ხაზს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მნიშვნელობას მსოფლიო პოლიტიკაში.

თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაზე საუბრის დაწყებამდე, საჭიროდ მივიჩნევთ შეძლებისდაგვარად ვრცლად მიმოვიხილოთ ის გლობალური მსოფლიო პოლიტიკა, რომელმაც კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი ომის დასრულების შემდეგ, მსოფლიო პოლიტიკაში სრულიად ახალი ტერმინი „ცივი ომი“ დაამკვიდრა. სწორედ ცივი ომის შემდგომ ხანას ეკუთვნის ჩვენ მიერ განსახილველი საკითხი, თუმცა სანამ ცივი ომზე ვიტყვოდეთ ორიოდ სიტყვას, მანამდე უპრიანი იქნებოდა ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც პოლიტიკური ძალის, როლის ხაზგასმა მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე.

როგორც ვიცით, აშშ იზოლაციონიზმიდან მსოფლიო პოლიტიკური მოვლენების ქარ-ცეცხლში აქტიურ ჩარევას იწყებს

პირველი მსოფლიო ომის დროს. „*ვუდრო უილსონის ცნობილი თოთხმეტი პუნქტი წარმოადგენდა ევროპის გეოპოლიტიკაში ამერიკული იდეალიზმის შეჭრის ღონისძიებას*“.¹ ეს ფაქტი კი, თავის მხრივ, განაპირობებს ახალი მსოფლიო პოლიტიკური რეალობის დაბადებას, სადაც ევროპა უკვე აშშ-სთან კოორდინირებულად ცდილობს მსოფლიო პოლიტიკის წარმართვას, თუმცა სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აშშ, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ცდილობს, რაც შეიძლება მეტი გავლენა მოიპოვოს მსოფლიო პოლიტიკაზე, განურჩევლად იმისა, თუ რამდენად იმსახურებს ამას. ჯერ კიდევ 1919 წელს, ინგლისელი გეოგრაფი, გეოსტრატეგიისა და გეოპოლიტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი ჰალფორდ ჯონ მაკინდერი ცნობილ ნაშრომში: „*დემოკრატიული იდეალები და რეალობა. კვლევა რეკონსტრუქციის პოლიტიკაში*“, – გვაძლევს მსოფლიოს გეოგრაფიული დაყოფის თავისებურ სურათს. ის აღმოსავლეთ ევროპას, მთელი თანამედროვე რუსეთის ტერიტორიას, ასევე თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის ნაწილსა და კავკასიის რეგიონს ჰარტლენდს² (ქართ. „*გული მიწა*“ – კ.ყ.), ხოლო ევროპის, აზიისა და აფრიკის კონტინენტებს ერთიანად – მსოფლიო კუნძულს (World Island) უწოდებს³ და ამბობს:

„ვინც მართავს აღმოსავლეთ ევროპას, მბრძანებლობს ჰარტლენდზე:

ვინც მართავს ჰარტლენდს, მბრძანებლობს მსოფლიო კუნძულზე:

ვინც მართავს მსოფლიო კუნძულს, მბრძანებლობს მსოფლიოზე“.⁴

¹ Zbignev Brzezinski. *The Grand Chessboard. American Primacy and Its Geostrategic Imperatives*. Basic Books, 1997, გვ. 4.

² H. J. Mackinder. *Democratic Ideals and Reality. A Study In the Politics of Reconstruction*. New York: Henry Holt and Company, 1919, გვ. 95.

³ H. J. Mackinder. *Democratic Ideals and Reality*, გვ. 79.

⁴ *“Who rules East Europe commands the Heartland; Who rules the Heartland commands the World Island; Who rules the World Island commands the World.”* – H. J. Mackinder. *Democratic Ideals and Reality*, გვ. 186.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, მაკინდერი გვაძლევს გეოპოლიტიკისა და გეოსტრატეგიის ერთ-ერთ უზოგადეს სურათს, რაც ჩვენ შემდგომი ინტერპრეტაციისა და იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ ავტორის მიერ დასახელებული ჰარტლენდი, ძირითადად წარმოადგენს რუსეთის მთელ ტერიტორიას და ახლო აღმოსავლეთის რეგიონს, საიდანაც დღეს-დღეობით მსოფლიო, ნავთობის უდიდეს მარაგს მოიპოვებს. ნათელია, რომ მაკინდერის თეორია დღემდე არ კარგავს აქტუალობას და, რაც მთავარია, საკმაოდ კარგად ერგება თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკას. როგორც ვხედავთ, სწორედ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ყოფილი საბჭოთა და ვარშავის პაქტის ბანაკი წარმოადგენს რუსეთისათვის „მტკიც-ნეულ წერტილს“, რადგან საბჭოთა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის დაშლის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა, რუსეთის სამხედრო ძალების დემონსტრირების შიშით, დასავლურ სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციებში განწევრიანების გადაწყვეტილება მიიღეს. მოხდა ისე, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის დასავლური ორგანიზაციები ერთგვარად თავისუფლებასთან ასოცირებადი გახდა, იმ თავისუფლებასთან, რომელსაც მათ საბჭოთა კავშირი „გულმოდგინედ“ ართმევდა.

რაც შეეხება თავად ჰარტლენდს, აღსანიშნავია, რომ დედამიწის ტერიტორიის ამ ნაწილზე დასავლეთის ქვეყნებთან ერთად საკმაოდ დიდი და თავისებურად „არგუმენტირებული“ პრეტენზია გააჩნია რუსეთსაც, რაც დღეისათვის რუსულ წრეებში ცნობილია „ევრაზიული კავშირის“ იდეით, რომელიც რუსულ რეალიზმში სულაც არ წარმოადგენს ნოვატორულ იდეას და სათავეს იღებს ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, ისეთი მეცნიერების შრომებში, როგორებიც იყვნენ: ნიკოლაი ტრუბეცკოი, პეტრე სავიციკი, გიორგი ვერნადსკი და სხვები. რუსეთის ხსნას ევრაზიული კავშირის შექმნაში ხედავდა ასევე ცნობილი რუსი მეცნიერი, ეთნოლოგი, არქეოლოგი და ისტორიკოსი ლევ გუმილიოვი. დღეისათვის საერთაშორისო ევრაზიული მოძრაობის ლიდერად რუსეთში ითვლე-

ბა ალექსანდრ დუგინი.

ნიკოლაი ტრუბეცკოის აზრით, იმ სახელმწიფოს ეროვნული სუბსტრატი, რომელიც ჯერ რუსეთის იმპერიად, ხოლო შემდეგ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად იწოდებოდა, შეიძლება იყოს მხოლოდ იმ ეროვნებათა კრებითი რაოდენობა, რომელიც აღნიშნულ სახელმწიფოებში შედიოდა: „ამ სახელმწიფოს ჩვენ ვუნოდებთ – ევრაზიულს, ხოლო მის ტერიტორიას – ევრაზიას, მის ეროვნებას – ევრაზიულობას“.¹ ლევ გუმილიოვის მიხედვით, „ევრაზიად, ისტორიულ-კულტურულ ჭრილში, ჩვენ მივიჩნევთ კონტინენტის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც მდებარეობს ჩინეთს, ტიბეტის მთების ჯაჭვსა და დასავლეთის ნახევარკუნძულს – ევროპას შორის“.²

იყენებს რა „ეთნოსთა პასიონარულობის თეორიას“, რის მიხედვითაც ყველა ეთნოსის ცხოვრებაში დგება დრო თავდაპირველი ბიძგისა, რომელსაც მოჰყვება ეთნოსთა განვითარების ზენიტის ხანა და შემდგომ კი ლოგიკურად – ეთნოსთა სიკვდილი,³ ლევ გუმილიოვი რუსეთის შესახებ ამბობს, რომ რუსულმა ეთნოსმა პასიონარული ბიძგი განიცადა შორეულ XIII საუკუნეში, შესაბამისად რუსეთის თანამედროვე „ასაკს“ წარმოადგენს 800 წელი. ეთნოგენეზის საერთო მოდელი კი მონიშნავს, რომ ამ ასაკზე მოდის ყველაზე რთული პერიოდი ეთნოსთა არსებობის ისტორიაში. მეცნიერის აზრით, რუსულმა ეთნოსმა საკუთარი ეთნოგენეზის გზაზე პირველი ტეხილი განიცადა 1812 წელს, ხოლო რადგანაც, ზოგადი თეორიის მიხედვით, ტეხილის ფაზების ხანგრძლივობა დაახლოებით 200 წელს შეადგენს, გასაგები ხდება, რომ რუსეთისათვის საბჭოთა პერიოდი წარმოადგენდა: „ტეხილის უაღრესად რთულ ფაზას...“.⁴ ავტორი განავრცობს მსჯელობას და ამბობს, რომ რუსეთი ევროპაზე 500 წლით „უმცროსია“ და სწორედ ამიტ-

¹ Н. С. Трубецкой. О государственном строе и форме правления. – *«Евразийская хроника»*, вып. VII. Париж, 1927, гв. 3.

² Лев Гумилев. Ритмы Евразии. Москва: Экопрос, 1993, гв. 68.

³ Лев Гумилев. Ритмы Евразии, гв. 78.

⁴ Лев Гумилев. Ритмы Евразии, гв. 184.

ომ, როგორც უნდა ეცადოს რუსეთი ევროპის მიბაძვას, არაფერი გამოუვა, რადგან რუსეთის, როგორც ეთნოსის პასიონალურობის დონე და ქვეყნის იმპერატივები სხვაგვარ მოთხოვნას აყენებენ რუსეთის სახელმწიფოს წინაშე.¹ 1992 წელს, ერთ-ერთი რუსული გამომცემლობისთვის მიცემულ ინტერვიუში, ლევ გუმილიოვი ამბობს: „საიდუმლოდ გეტყვით, რომ რუსეთს გადარჩენა უწერია მხოლოდ როგორც მხოლოდ ევრაზიულ სახელმწიფოს“.²

ამგვარად, დიდი რუსი მეცნიერის აზრით, რუსეთის არსებობა იმ სახით, როგორც ის დღეისათვის არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ევრაზიის ფარგლებში შეუძლია. როგორც ვხედავთ, იმპერიულ ამბიციებზე დაფუძნებული ქვეყნისათვის, არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ მეცნიერულადაც, არსებობა განსაზღვრულია ისევ და ისევ მხოლოდ იმპერიულ საზღვრებსა და სივრცეში, რადგან თავად ისტორია გვასწავლის, რომ ვერცერთი იმპერია ვერ გარდაიქმნება დემოკრატიულ სახელმწიფოდ. იმპერიები იმპერიებად იზადებიან და ასევე ასრულებენ საკუთარ არსებობას. იმავე შემთხვევასთან გვაქვს ადგილი რუსეთის იმპერიის შემთხვევაშიც. საკუთარი არსებობის მანძილზე, რუსეთის მეფეები და იმპერატორები ცდილობდნენ, რაც შეიძლება დიდ სივრცეზე გადაეჭიმათ საკუთარი გავლენის სფერო. შედეგად მივიღეთ ის, რომ რუსეთის სახელმწიფოს, მსოფლიოში ნებისმიერ სხვა სახელმწიფოსთან შედარებით, ყველაზე დიდი სივრცე უჭირავს. ყოველი დილა ამ ქვეყანაში სხვაგვარად უთენდება რუსეთის აღმოსავლეთ, დასავლეთ თუ სამხრეთ ნაწილში მცხოვრებ მოსახლეობას. სხვადასხვაგვარია მათი ცხოვრების წესი და საქმიანობა. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაშლის შემდეგაც რუსეთი რჩება მსოფლიოში ყველაზე დიდი ტერიტორიის მქონე ქვეყნად.

დღეისათვის კარგად არის ცნობილი, რომ რუსეთს ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში ტერიტორიის ათვისების

¹ Лев Гумилев. Ритмы Евразии, გვ. 184.

² Лев Гумилев. Ритмы Евразии, გვ. 19.

სერიოზული პრობლემები აქვს და ამ რეგიონებში ჩინური გავლენის გავრცელების სერიოზული საფრთხე არსებობს. ამ ფონზე თანამედროვე კრემლის მესვეურებს საკუთარი ტერიტორიების კიდევ უფრო გაფართოებაზე უჭირავთ თვალი. ისინი გამუდმებით ფიქრობენ და „ზრუნავენ“ იმაზე, რომ საკუთარ ევროპულ სამეზობლოში კიდევ უფრო მეტი არეულობა დათესონ, ხოლო შემდეგ ეს მცდელობები ახსნან თავდაცვის მიზეზით, თითქოს ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაცია და, მასთან ერთად, მთელი დასავლეთი, დღეინიადაღ ფიქრობს იმაზე, როგორ ავნოს რუსეთს და დაასრულოს მისი არსებობა; თითქოს რუსეთს ბრალი არაფერში მიუძღვის და მას მოსვენებას არ აძლევენ „ბოროტი კაპიტალისტები“. განა სწორედ საბჭოთა რუსეთი არ იყო ის ქვეყანა, რომელმაც 1979 წელს ავღანეთის მმართველი ჰაფიზულა ამინი მისსავე რეზიდენციაში გამოასალმა სიცოცხლეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელმა საბჭოთა კურსი არ აირჩია საკუთარი მმართველობის ორიენტირად? ეს ფაქტი საკმარისი აღმოჩნდა საბჭოთა ხელისუფლებისათვის სხვა ქვეყნის საქმეში ჩასარევად და ამ ქვეყნის მმართველის გასანადგურებლად. განა რუსეთის ფედერაცია და ვლადიმირ პუტინი არ იყვნენ უკრაინასა და საქართველოში დაწყებული ომების მიზეზები? თითქოს სწორედ პუტინის დავალებით არ აეფეთქებინოთ მოსკოვსა და ვოლგოდონსკში, თავად რუსი მოსახლეობით დასახლებული მაღალსართულიანი საცხოვრებელი სახლები და შემდეგ ეს აფეთქება ჩეჩენი ტერიტორიებისათვის არ დაებრალებინოთ და სწორედ ეს ფაქტი არ გამხდარიყო მეორე ჩეჩნური ომის დაწყების საბაბი.¹

ყველა ეს და კიდევ მრავალი სხვა მიზეზი ცხადყოფს იმას, რომ თანამედროვე რუსეთის მმართველი წრეები შეპყრობილი ჰყავს პარანოიულ შიშს იმის შესახებ, რომ მსგავსი მოქმედებების შეწყვეტის შემთხვევაში, სხვა სუვერენულ სახელმწიფოთა საქმეებში ჩაურევლობის შემთხვევაში, დასავ-

¹ ამის შესახებ დანვრილებით იხ.: Александр Литвиненко, Юрий Фельштинский. ФСБ взрывает Россию. New York: Liberty Publishing House, 2004.

ლეთი იმავე წუთს მოუღებს ბოლოს რუსეთის ფედერაციის არსებობას. მათი ეს რწმენა განპირობებულია სწორედ ევრაზიული თეორიის განხორციელების აუცილებლობით, რადგან მეზობელი სუვერენული სახელმწიფოების საქმეებში ჩარევის გარეშე, რუსეთს არაფრით გამოუვა ევრაზიული სივრცის შექმნა, იმ სივრცისა, რომელიც ფაქტობრივად პირდაპირ ემთხვევა თავის დროზე ჰალფორდ მაკინდერის მიერ ჰარტლენდად წოდებული ტერიტორიის საზღვრებს.

აღსანიშნავია ასევე, რომ „ევრაზიელები“ გამოდიოდნენ ტრადიციული და დროში ფაქტობრივად უცვლელი იმპერიული პრინციპის: „გათიშე და იბატონეს“ დამცველად. მათი ამგვარი მიდგომის საილუსტრაციოდ გამოდგება ნიკოლაი ტრუბეცკოის დამოკიდებულება აფხაზთა ეთნოსის მიმართ: „აფხაზეთში ოფიციალურ ენად აუცილებელია აფხაზური ენის აღიარება, აფხაზური ინტელიგენციის განვითარება და მათთვის ქართველიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის ჩანერგვა“.¹ იმავე შეხედულებას განამტკიცებს ლევ გუმილიოვის აზრი იმის შესახებ, რომ საქართველო საკუთარი სურვილით შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.² ამ შემთხვევაში, ავტორი, რა თქმა უნდა, შეგნებულად ივიწყებს რუსეთის მიერ საქართველოს წინაშე დოკუმენტურად აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობას, ქართველთა არაერთ, სისხლში ჩახშობილ, ანტირუსულ აჯანყებას, არცერთ სიტყვას არ ძრავს რუსეთის მიერ საქართველოს პირდაპირ დაპყრობაზე, რაც, თავის მხრივ, გასაკვირია ისეთი ფართო ერუდიციის მქონე მეცნიერისგან, როგორც ლევ გუმილიოვი იყო, თუმცა მისი ეს აზრი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს რუსეთის არაიმპერიულ ფორმაციაში არსებობის შეუძლებლობას.

ევრაზიულ კავშირს პოსტმოდერნული იმპერიის ნიმუშად განიხილავს ალექსანდრ დუგინი. მისი აზრით, ამგვარი იმპერია უნდა ეფუძნებოდეს ლიბერალური ღირებულებების აბსო-

¹ Н. С. Трубецкой. О народах Кавказа. *იხ.*: <http://topwar.ru/28710-nstrubeckoy-o-narodah-kavkaza.html>.

² Лев Гумилев. Ритмы Евразии, გვ. 171.

ლუტიზაციის პრინციპს.¹ იხსენიებს რა მიხაილ გორბაჩოვს ანტიავტორიტეტად, დუგინი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის სახით დაიშალა დიდი სახელმწიფოებრიობა,² რომელსაც ჰქონდა რეალური პოტენციალი ებრძოლა ამერიკული იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ხოლო იმისათვის, რომ თანამედროვე რუსეთი გახდეს ის ძალა, რომელიც ებრძოლებს ამგვარი დასავლური იმპერიალიზმის წინააღმდეგ, საჭიროა რუსეთი იქცეს „უფრო მეტად, ვიდრე ის არის, ზერუსეთად, რუსეთ-ევრაზიად, დემოკრატიული ევრაზიული იმპერიის ბირთვად“.³ თანამედროვე რუსეთს დუგინი უწოდებს გარდამავალ სახელმწიფოს, რომელსაც თანამედროვე საზღვრებსა და პოლიტიკურ სისტემაში არ გააჩნია არანაირი ისტორიული მომავალი. ის მეტად პატარა და ამავე დროს მეტად დიდია საიმისოდ, რომ შედგეს, როგორც სახელმწიფო.⁴ ყველა ამ პრობლემის გადაჭრის საშუალებად დუგინი, რა თქმა უნდა, მიიჩნევს ევრაზიული იმპერიის შექმნას, რომელიც გლობალური მნიშვნელობით ნიშნავს ანტიგლობალიზმს, იმ სისტემის უარყოფას, რომელსაც ატლანტიზმი „თავს ახვევს“ მთელს ცივილიზებულ მსოფლიოს. „ევრაზიულობა ფართო გაგებით არის „არაატლანტიზმი“.⁵ აქედან გამომდინარე, დუგინი კიდევ უფრო შორს მიდის და ამბობს, რომ ევრაზიული კავშირის ზემოაღნიშნული იდეის განხორციელება შესაძლებელია არა მარტო იმ ქვეყნებისათვის, რომელნიც გეოგრაფიულად ევრაზიის კონტინენტს ეკუთვნიან, არამედ თუნდაც აფრიკის ან ლათინური ამერიკის ქვეყნებსაც. მთავარია ეს კავშირი იყოს იდეურად ერთიანი და საერთო მიზნისკენ კონსოლიდირებული.⁶

დუგინის შეხედულებებისა და თეორიის მიმოხილვის შემდეგ, ცხადი ხდება, რომ ევრაზიული კავშირი, უბრალოდ

¹ Александр Дугин. Геополитика Постмодерна. Москва, 2007, გვ. 19.

² Александр Дугин. Геополитика Постмодерна, გვ. 50.

³ Александр Дугин. Геополитика Постмодерна, გვ. 48.

⁴ Александр Дугин. Геополитика Постмодерна, გვ. 78.

⁵ Александр Дугин. Геополитика Постмодерна, გვ. 72.

⁶ Александр Дугин. Геополитика Постмодерна, გვ. 72.

წარმოუდგენელია რუსეთის მიერ პოსტსაბჭოთა სივრცის ათვისების გარეშე. უკრაინაზე საუბრისას, ზბიგნევ ბჟეზინსკი ამბობს, რომ რუსეთის ევრაზიული არსებობა უკრაინის გარეშე წარმოუდგენელია, რადგან უკრაინა წარმოადგენს როგორც რუსეთისათვის ევროპის შუა გულთან მყოფ სახელმწიფოს, ასევე გასასვლელს შავ ზღვაზე, ყირიმის ნახევარკუნძულის სახით, რაც, თავის მხრივ, რუსეთისათვის მეტად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მატარებელია.¹

უკრაინაზე საუბრისას, თავის პოპულარულ წიგნში – „ცივილიზაციათა შეჯახება და მსოფლიო წესრიგის გარდაქმნა“ – ჰარვარდის პროფესორი, სამუელ ჰანტინგტონიც უსვამდა ხაზს ამ ქვეყნის გეოსტრატეგიულ მნიშვნელობას რუსეთისათვის და უკრაინის შესახებ გამოთქმულ რამდენიმე მოსაზრებათა შორის ერთ-ერთში გამოთქვამდა ჰიპოთეზას მომავალში უკრაინის ორად გაყოფის შესახებ, რის შემდეგაც აღმოსავლეთ უკრაინა შევა რუსეთის შემადგენლობაში.²

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ბჟეზინსკიცა და ჰანტინგტონიც საკმაოდ საღად აფასებდნენ რუსეთის მომავალ პოლიტიკას დსთ-ს სივრცის ქვეყნების მიმართ და თავიანთი ამ კომენტარებით მიანიშნებდნენ იმას, რომ რუსეთის თანამედროვე პოლიტიკა არ წარმოადგენს სიურპრიზს მსოფლიო პოლიტიკაში. ეს იმთავითვე იყო მოსალოდნელი, რადგან, როგორც თავად ევრაზიის თეორიის მომხრე რუსი მეცნიერების შრომები გვეუბნებიან, რუსეთს არ ძალუძს არ იყოს ძლიერი მოთამაშე მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე, თუნდაც ამისათვის დასჭირდეს ისეთი პოლიტიკური წარმონაქმნის შექმნა, როგორც თავის დროზე მარქსისტულ საფუძველზე მდგარი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირი იყო, ხოლო

¹ "Without Ukraine, Russia Ceases to be a Eurasian empire." – Zbignev Brzezinski. *The Grand Chessboard*, გვ. 46.

² "A Second and somewhat more likely possibility is that Ukraine could split along its fault line into two separate entities, the eastern of which would merge with Russia." – Samuel P. Huntington. *The Clash of Civilizations and the Remaking of World Order*. New York: Simon & Schuster, 1996, გვ. 167.

დღეისათვის კი ევრაზიული იმპერიაა ჩაფიქრებული.

რა თქმა უნდა, ამგვარი კავშირის შექმნა, გადაუჭარბებლად რომ ვთქვათ, „შეინირავს“ როგორც საქართველოს, ასევე მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის სახელმწიფო ინტერესებს. ევრაზიული კავშირის განხორციელების შემთხვევაში კიდევ ერთი დიდი საფრთხე დაემუქრება როგორც საქართველოს, ასევე პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნების დამოუკიდებლობას. სწორედ ამიტომ, თუკი რუსების მიერ ჩაფიქრებულ ევრაზიულ კავშირს შევადარებთ დასავლურ ცივილიზაციას, მარტივად დავინახავთ განსხვავებას და ეს განსხვავება, პირველ რიგში, გადის იმპერიალიზმის პრინციპზე, რომელსაც დასავლეთის ქვეყნები რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში ახორციელებდნენ, თუმცა XX საუკუნეში სხვადასხვა კოლონიურ ქვეყნებში მომხდარი აჯანყებების შემდეგ, რომელსაც თავისუფლების მოთხოვნა ედო საფუძვლად, დასავლეთის ქვეყნები „გონს მოვიდნენ“ და უარი თქვეს კოლონიალიზმზე.¹

ამის საპასუხოდ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც მხარს უჭერს ევრაზიული კავშირის შექმნას ან უბრალოდ ის ადამიანები, რომელთაც დასავლური გლობალიზაციის იდეა არ ხიბლავს, სვამენ კითხვას თუ რა განსხვავებაა დასავლურ და რუსულ იმპერიალიზმს შორის? ხომ ორივენი გვართმევენ თავისუფლებასო? ამ კითხვაზე შესაძლებელია ვუპასუხოთ კითხვითვე: თუ შესაძლებელია თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში ერთი მაგალითის დასახელება, როდესაც დასავლეთის ქვეყნებმა, რუსული იმპერიალისტური მოდელის გამოყენებით, დაარღვიეს რომელიმე ქვეყნის სუვერენიტეტი, მოახდინეს ამა თუ იმ ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაცია და ამ ტერიტორიებზე განათავსეს საკუთარი სამხედრო ნაწილები, სამშვიდობო მოლაპარაკების გაფორმების შემდეგ, გააგრძელეს ადამიანების გატაცება და საზღვრის გადანევ-გადმოწევა ოკუპირებულ ტერიტორიებზე საკუთარი ნებისა და სურვილის მიხედვით, კონფლიქტის დასრულების შემდეგ გააგრძე-

¹ Samuel P. Huntington. The Clash of Civilizations., გვ. 33.

ლეს სამხედრო მოქმედებები და ენეოდნენ მაროდორობას, იტაცებდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის საკუთრებაში მყოფ საქონელსა და ნივთებს (მათ შორის, ჩანგლებსა და უნიტაზებს) ამ ნივთების დაცვის არგუმენტი?!

გასაგებია, რომ აშშ ზესახელმწიფოა და, რა თქმა უნდა, შესაბამისი ამბიციები გააჩნია მსოფლიო პოლიტიკაში, რაც ხშირად არასამართლიანი ნაბიჯებისკენაც შეიძლება უბიძგებდეს ამ ქვეყანას, მაგრამ რუსეთის იმპერიალისტურ მოდელთან შედარებისას, კითხვა თუ „რა განსხვავებაა?“ მათ მოქმედებებს შორის არ უნდა დაისვას მხოლოდ იმიტომ, რომ აშშ-სა თუ ნებისმიერ სხვა დასავლეთ ევროპულ ქვეყანას XX საუკუნის მეორე ნახევარსა და XXI საუკუნის დასაწყისში რუსეთის მსგავსი ვანდალური აქტები არ განუხორციელებია დედამიწის არცერთ კუთხეში. შესაძლოა, იყო გარკვეული პროვოკაციები ცივი ომის პერიოდში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ამ დიდ დაპირისპირებაში არც აშშ იყო უდანაშაულო, მაგრამ ზოგადად დასავლურმა სამყარომ და მათმა ლიბერალურმა სისტემამ გაიმარჯვა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკათა კავშირის ჩაკეტილ და ტოტალიტარულ სისტემაზე, რომელმაც დასავლურ ყაიდაზე ვერ მოახერხა განვითარება. ეს ჩანს XXI საუკუნეშიც, როდესაც გერმანია, აშშ, იაპონია თუ სხვა ლიბერალური ბაზრისა და კონკურენციის მქონე ქვეყნები პროდუქტით ამარაგებენ მთელ მსოფლიოს მაშინ, როდესაც რუსეთი, ნაცვლად იმისა, რომ თავადაც ჩაერთოს საბაზრო ეკონომიკურ კონკურენციაში და თავადაც შექმნას რაიმე გაუმჯობესებული და წმინდა კონკურენციის ხარჯზე წავიდეს წინ თუნდაც ტექნოლოგიურად, დაკავებულია მხოლოდ იმით, რომ პროდუქტი, რომელსაც დაამზადებს, უბრალოდ განსხვავდებოდეს ამერიკულისგან ან ზოგადად დასავლურისგან. ამაზე მეტყველებს თუნდაც რუსული ავტონარმოება. რუსეთის ყველაზე დიდ აპოლოგეტსაც კი გაუჭირდება მოძებნოს მსოფლიო მრეწველობის პროდუქტი, რომელიც დამზადდა რუსეთში და მსოფლიო წარმოებისათვის წარმოადგენს ნოვაციას, წინ გადადგმულ ნაბიჯსა და პროგრესს.

ამგვარად, თანამედროვე მსოფლიოსათვის, ჩვენი აზრით, ტრაგედიას და რეგრესს წარმოადგენს რუსეთის ამგვარი პოზიცია – ანტიამერიკანიზმისა და ანტიგლობალიზმის დროშას ამოფარებით, ყველა ღონისძიების მოკრება იმისათვის, რომ არ ჰგავდნენ დასავლეთს, მაშინ როდესაც „ინდივიდუალიზმი, კანონის უზენაესობა, რამაც დასავლეთს შეაძლებინა შეექმნა მოდერნიზმი... პიროვნული თავისუფლების, პოლიტიკური დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების და კულტურული თავისუფლებების იდეები წარმოადგენს ევროპულ იდეებს, და არა აზიურ, არა აფრიკულ, არა ახლო აღმოსავლურ იდეებს. ისინი განაპირობებენ დასავლური ცივილიზაციის უნიკალურობას და დასავლური ცივილიზაცია ფასობს არა იმით, რომ იგი უნივერსალურია, არამედ იმით, რომ იგი უნიკალურია“.¹

ზემოთქმულთან ერთად, ჩვენი აზრის უფრო მეტად დაკონკრეტების მიზნით, უნდა ითქვას, რომ ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, არც ბრმა პროდასავლური და არც ასევე ბრმა რუსული გეზი არის მსხნელი. ჩვენს შემთხვევაში ოქროს ბალანსის პოლიტიკა იქნებოდა იდეალური, თუმცა ზემოთაც არაერთხელ აღვნიშნეთ და კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ XXI საუკუნის მსოფლიო პოლიტიკა და განსაკუთრებით რუსეთის საგარეო პოლიტიკა, არ აძლევს საშუალებას საქართველოს, რომ მან იარსებოს სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოს სახით და აირჩიოს საკუთარი განვითარების გეზი ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციისაკენ. ფაქტობრივად, შეგვიძლია დავეთანხმოთ საქართველოს დღევანდელ თავდაცვის მინისტრს ქალბატონ თინა ხიდაშელს, როდესაც იგი ამბობს, რომ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის არსებობა უკვე პრობლემაა რუსეთისათვის.¹

ამგვარ ვითარებაში ერთადერთ გამოსავლად საქართვე-

¹ Samuel P. Huntington. The Clash of Civilizations..., გვ. 311.

¹ თინა ხიდაშელი – რომ ვარსებობთ, ეს უკვე პრობლემაა რუსეთისთვის. იხ.: <http://www.interpressnews.ge/ge/politika/332552-thina-khida-sheli-rom-varsebobth-es-ukve-problemaa-rusethisthvis.html?ar=A>.

ლოსთვის რჩება ნატო-ში განევრიანება, რადგან ჩვენი ქვეყნისათვის აუცილებელი ბალანსის საშუალებას რუსეთი არ მოგვცემს და ამის ფონზე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შემცვლელად მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის მიერ ინიცირებული ევრაზიული კავშირი გვესახება, რაც, ჩვენი აზრით, აბსოლუტურად მიუღებელი მიმართულება იქნება საქართველოსთვის. ნატოში გასანევრიანებლად კი აუცილებელია დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკური ნება და სიმშვიდე ჩვენს ქვეყანაში, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სიმშვიდეს სამხრეთ კავკასიის რეგიონში და საქართველოს ხელისუფლებას მისცემს ქვეყნის იმგვარი რეფორმირების საშუალებას, რომ საქართველომ საბოლოოდ დააკმაყოფილოს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სტანდარტები და დასავლეთსაც აღარ დარჩეს სხვა გზა, გარდა საქართველოს მიღებისა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ოჯახში. თუმცა როგორც აღვნიშნეთ, სიმშვიდეზე საუბარი ზედმეტია, როდესაც ჩრდილოეთით რუსეთის იმპერია გემეზობლება.

ევრაზიული კავშირის შექმნა თანამედროვე მსოფლიოში ფაქტობრივად ახალი ცივი ომის ოფიციალურ დაწყებას ნიშნავს, რაც თავად ევრაზიული კავშირის არსის დუგინისეული ინტერპრეტაციიდან გამომდინარეობს. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ანტიგლობალიზაციაზე და ზოგადად არა-ატლანტიზმზე, შესაძლოა, საერთოდაც არ ვფიქრობდეთ ცივ ომზე, მაგრამ თავად ამ ორი ტერმინის გამოყენება უკვე გვიხატავს ორი ურთიერთდაპირისპირებული ბანაკის სურათს, ხოლო ცივი ომი კი, თავის მხრივ, სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა მსოფლიოს ორ დაპირისპირებულ ბანაკს შორის დაპირისპირებას. სწორედ ახალ ცივ ომზე საუბრობს ბრიტანელი ჟურნალისტი ედვარდ ლუკასი თავის წიგნში: „ახალი ცივი ომი. პუტინის რუსეთი და საფრთხე დასავლეთისთვის.“ ავტორი ამბობს, რომ თუკი ევროპა არ შეეცდება ახალ ცივ ომში გამარჯვებას, რუსეთის თანდათანობითი ეკონომიკური გაძლიერება საკუთარი გაზის რესურსის ხარჯზე და ევროპის უფრო და უფრო მეტად დამოკიდებულება აღნიშნულ რუსულ რესურსზე,

გამოიწვევს ზოგადად რუსული გავლენის ზრდას დასავლეთში. ეს ყველაფერი კი ნეგატიურად და მტკივნეულად იმოქმედებს ყოფილ პოსტსაბჭოთა ქვეყნებზე, რომლებსაც, ავტორის თქმით, რუსეთი საკუთარ სატელიტებად განიხილავს.¹ კონკრეტულად საქართველოს შესახებ ედვარდ ლუკასი ამბობს: „საქართველო არის ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმის მიღების მიჯნაზე, რაც გამოიწვევს ქვეყნის ნატო-ში შესვლას მაშინათვე, როგორც კი სამხედრო და სხვა სახის რეფორმები ქვეყანაში წარმატებით დასრულდება. ერთადერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც შეიძლება ევროპამ გააკეთოს ახლა საკუთარი თავისა და მოკავშირეების დასაცავად, არის ის, რომ საქართველოს მართლაც გადასცეს ეს შეთავაზება“.²

როგორც ვხედავთ, ავტორისთვის 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე საქართველოსათვის MAP-ის მინიჭება ევროპის უსაფრთხოების გაძლიერებისაკენ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად აღიქმებოდა, რაც, როგორც დრომ აჩვენა, სავსებით სწორი შეხედულება გამოდგა. მაშინ ევროპა წინ არ აღუდგა რუსეთის მოქმედებებს საქართველოში იმ ეკონომიკური ინტერესების გამო, რითაც ევროპა და აშშ რუსეთს უკავშირდებოდა. ამან კი, საბოლოო ჯამში, გამოიწვია ის, რომ რუსეთმა საკუთარი „საქმე“, რომელსაც პირობითად სააკაშვილის „ბლიც-კრიგის“ პრევენცია³ უწოდა, ბოლომდე მიიყვანა – გამოაცხადა და ცალმხრივად აღიარა როგორც ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“, ისე აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ამის შემდეგ კი 2014 წელს უკრაინის ჯერი დადგა. მოხდა ისე, რომ მრავალრიცხოვანი გაფრთხილებები (რაზეც წინა თავებში გვექონდა საუბარი) და პროგნოზები რუსების მიერ უკრაინაში მოსალოდნელ ინტერვენციის გეგმებზე, რეალობად იქცა. დღეს მსოფლიო პოლი-

¹ Edward Lucas. The New Cold War. Putin's Russia and The Threat to the West. PalgraveMacmillan, 2008, გვ. 206.

² Edward Lucas. The New Cold War, გვ. 212.

³ Михаил Барабанов, Антон Лавров, Вячеслав Целуйко. Танки Августа. Сборник статей. Центр анализа стратегии и технологии. Москва, 2009, გვ. 5.

ტიკაში გვაქვს რეალობა, როდესაც რუსეთი საკუთარ ენერგორესურსებს იდეალურად იყენებს საკუთარი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად.

დასკვნის სახით უნდა ვთქვათ, რომ 2008 წლის ომი წარმოადგენდა ჩვენ მიერ ზემოთ მიმოხილული, თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული ბრძოლის ნაწილს. ეს ბრძოლა დასავლეთსა და რუსეთს შორის მიმდინარეობს – ჰარტლენდისათვის – საქართველო და კავკასიის რეგიონი კი მაკინდერისეული ჰარტლენდის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. 2008 წლის ომის შედეგების შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ ევროპამ და აშშ-მ საქართველოსთან ერთად წააგეს ომი რუსეთთან. რუსეთის გამარჯვება და საკუთარი მიზნების ბოლომდე განხორციელება ევროპის უსაფრთხოების სისტემისათვის მიყენებულ საკმაოდ ძლიერ დარტყმას წარმოადგენდა და ეს დღეისათვის უთუოდ კარგად აქვთ გააზრებული ევროპაშიც – უკრაინის კრიზისის მაგალითზე. სწორედ ამიტომ ევროპას აუცილებლად მართებდა რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული პოლიტიკის გამო კრემლის მიმართ ქმედითი ნაბიჯების გადადგმა, განურჩევლად იმისა, ეს იქნებოდა კაჩინსკისეული ბერლინ-პლუსის გეგმის განხორციელება თუ სხვა რამ.

მთავარი იმ დროს იყო ის, რომ რუსეთს არ გასჩენოდა დასავლეთისაგან მისი მოქმედებების შესაბამისი პასუხის გარეშე დატოვების შესაძლებლობის შეგრძნება. სამწუხაროდ, 2008 წელს რუსეთს ამგვარი შეგრძნება გაუჩნდა, რის შედეგსაც ჩვენ დღეს ვხედავთ უკრაინის კრიზისისა და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში საზღვრის საკუთარი სურვილის მიხედვით გადაადგილების მაგალითზე. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რუსეთის მხარდაჭერით, ცხინვალის სეპარატისტული რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებამ არაერთხელ მოახდინა ოკუპირებული ტერიტორიის საზღვრის ჩვენი ქვეყნის სიღრმის მიმართულებით გადაადგილება. 2015 წლის ივლისის თვეში ამგვარი ფაქტი კიდევ ერთხელ განმეორდა გორის მუნიცი-

პალიტიკის სოფელ ხურვალეთში, სადაც ოკუპანტებმა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით ათი ჰექტარი მიითვისეს.¹ ამ ფაქტს მოჰყვა შეშფოთება როგორც ჩვენი ქვეყნის საგარეო სამინისტროს, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდანაც, რომელმაც არაერთხელ ცალსახად დაგმო რუსეთის ამგვარი საქციელი, თუმცა დღეისათვის პატარა ბავშვისთვისაც კი ცხადია, რომ ამგვარი გაფრთხილებები რუსეთზე არანაირად არ მოქმედებს და ხელს არ უშლის კრემლის მესვეურებს საკუთარი გეგმებისა და მოქმედებების სეპარატისტების ხელით განხორციელებაში.

ამგვარი ვითარებიდან გამოსავლად მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთის მტკიცე პოზიცია და საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში უპირობო მიღება გვესახება, რაც, სამწუხაროდ, 2014 წლის უელსის სამიტზეც ვერაფრით განხორციელდა. აღნიშნულ საკითხზე მეტად საინტერესო სტატიის ავტორია ბრიტანელი ექსპერტი ლუკ კოფი, რომელიც ეხმაურება 2015 წლის 17 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის შეხვედრას ამერიკელ კოლეგასთან – ემტონ კარტერთან და საქართველოს დახმარებას ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციისაკენ მიმავალ გზაზე სვლაში ხედავს აშშ-ს პრეზიდენტისა ბარაკ ობამას, სახელმწიფო მდივნის ჯონ კერისა და თავდაცვის მინისტრის ემტონ კარტერის ერთობლივ განცხადებაში იმის შესახებ, რომ საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად არ სჭირდება მაპი. ავტორის თქმით, აღნიშნული განცხადების გაკეთება უპრიანი იქნებოდა ნატოს 2016 წლის ივლისის პოლონეთის სამიტამდე.¹ ჯერჯერობით ამგვარი განცხადება არ გაკეთებულა. ვნახოთ, რა იქნება მომავალში.

¹ რუსმა ოკუპანტებმა, ხურვალეთში, საზღვარი კიდევ რამდენიმე ჰექტრით გადმონიეს. იხ.: <http://news.ge/ge/news/story/143912-rusma-okupantebma-khurvaletshi-sazghvari-kidev-ramdenime-heqtrit-gadmotsies>.

¹ Luke Coffey. The Perfect Opportunity to Advance the U.S.–Georgian Defense Relationship. იხ.: <http://www.heritage.org/research/reports/2015/08/the-perfect-opportunity-to-advance-the-usgeorgian-defense-relationship>.

თავი მეოთხე

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი

§1. რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებული „საპასპორტო პოლიტიკის“ ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი

XXI საუკუნის დასაწყისთან ერთად, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტურ რეგიონებში ახალი პოლიტიკური გეგმის გატარების ერთგვარ ღერძად გვევლინება ვლადიმერ პუტინის მიერ გამოცემული კანონი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2002 წლის 1 ივლისს. აღნიშნული პოლიტიკით რუსეთმა საქართველოს ფაქტობრივად „ნაართვა“ მოქალაქეები. ყველაფერმა ამან კი საბოლოოდ რუსეთის მმართველი წრეებისთვის 2008 წელს საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედებების გამამართლებელი „იურიდიული არგუმენტის“ როლი შეასრულა. ოფიციალურმა კრემლმა არაერთხელ განაცხადა, რომ 2008 წლის აგვისტოში ისინი იცავდნენ რუსულ მოსახლეობას აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ტერიტორიაზე, თუმცა, ამასთან ერთად, რა თქმა უნდა, კრემლის არცერთ მოხელეს არ უღიარებია, რომ პასპორტიზაციის პოლიტიკა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რუსეთის მიერ ყველანაირი, როგორც საერთაშორისო, ასევე ქართული და თავად რუსული სამართლებრივი ნორმების დარღვევით იქნა გატარებული.

აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებში რუსული „პასპორტიზაციის პოლიტიკის“ გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურა დღეისათვის საკმაოდ მწირია, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურენოვან სამეცნიერო სივრცეში. კონკრეტულად, აღნიშნული პრობლემის კვლევა გვხვდება მხო-

ლოდ ერთ ამერიკელ ავტორთან, იმ დროისათვის ბოსტონის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტთან – კრისტოფერ ნატოლისთან: „ეროვნების იარაღად გამოყენება: საქართველოში რუსეთის საპასპორტო პოლიტიკის ანალიზი“.¹ გარდა ამისა, ჩვენთვის საინტერესო საკითხს დიდი ყურადღება ეთმობა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შესახებ, ჰაიდი ტალიავინის მეთაურობით, დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების დამდგენი მისიის დასკვნაში,² ასევე ორეგონის უნივერსიტეტის სტუდენტის ვინსენტ მ. არტმანის სამაგისტრო ნაშრომში: „საპასპორტო პოლიტიკა“: პასპორტიზაცია და ტერიტორიულობა საქართველოს დე ფაქტო ერთეულებში“.³ ამასთან ერთად, რუსული „პასპორტიზაციის პოლიტიკის“ შესახებ მნიშვნელოვან წყაროებად უნდა მივიჩნიოთ თავად რუსული და ქართული კანონმდებლობა – ამ ორი ქვეყნის კანონები მოქალაქეობის შესახებ.

ქვეთავის მიზანია რუსული საპასპორტო პოლიტიკის არალეგიტიმურობის ჩვენება, როგორც საერთაშორისო, ასევე ქართულ და რუსულ კანონმდებლობასთან მიმართებით.

სანამ უშუალოდ რუსეთის მიერ განხორციელებულ „პასპორტიზაციის პოლიტიკაზე“ დავინყებდეთ საუბარს, მანამდე ორი სიტყვით შევებოთ თავად – მოქალაქეობის – როგორც იურიდიული მოვლენის მნიშვნელობას. მოქალაქეობა სახელმწიფო მოვლენაა და გულისხმობს სახელმწიფოსთან ფიზიკური პირის სამართლებრივ კავშირს, რომელიც: ა) წესდება მოცემული სახელმწიფოს მიერ; ბ) ხასიათდება მხარეთა

¹ Kristopher Natoli. *Weaponizing Nationality: An Analysis of Russia's Passport Policy in Georgia*. // Boston University School of Law. *International Law Journal*, Volume 28, Summer 2010, Issue 2, გვ. 389-417.

² *Independent International Fact-Finding Mission on the conflict in Georgia*. In 3 volumes. September 2009, Volume II, გვ. 147-183.

³ Vincent M. Artman. *“Passport Politics”*: Passportization and Territoriality in the De Facto States of Georgia. Presented to the Department of Geography and the Graduate School of the University of Oregon in partial fulfillment of the requirements for the degree of Master of Arts. June 2011.

ურთიერთობის სიმტკიცით და გ) შეიცავს სახელმწიფოსა და პირის უფლებებსა და მოვალეობებს.¹ როგორც ცნობილია, მოქალაქეობის შეძენის რამდენიმე წესი არსებობს: 1) საერთო წესი; 2) დაბადება; 3) ნატურალიზაცია.² რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებული საპასპორტო პოლიტიკა მიეკუთვნება მოქალაქეობის შეძენის ზემოაღნიშნულ, მესამე წესს – ნატურალიზაციას, რის მიხედვითაც, ფიზიკური პირისათვის მოქალაქეობის მინიჭება ხდება სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ ამ პირის პირადი თხოვნის ან თანხმობის საფუძველზე.³

რაც შეეხება ნატურალიზაციის განხორციელების წესებსა და ნორმებს, უნდა ითქვას, რომ მათ განსაზღვრავს თავად მოქალაქეობის ნატურალიზაციის გზით მიმნიჭებელი სახელმწიფო.⁴

2002 წელს მიღებულ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ კანონის მეთოთხმეტე მუხლში მოცემულია ის პირობები, რომელთა შესრულებისა და დაკმაყოფილების შემთხვევაშიც ხდება რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭება. ამავე მუხლის მე-6 პუნქტი გვეუბნება, რომ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭება შესაძლებელია იმ პირებისთვის, რომლებიც „ფლობდნენ სსრკ მოქალაქეობას, მოსახლეობენ და მოსახლეობდნენ სსრკ-ს შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების ტერიტორიაზე, არ მიუღიათ აღნიშნულ სახელმწიფოთა მოქალაქეობა და შედეგად დარჩნენ მოქალაქეობის გარეშე“.¹

¹ ლევან ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი. 2010, გვ. 201.

² თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, გვ. 201.

³ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, გვ. 201.

⁴ თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, გვ. 202.

¹ «б) имели гражданство СССР, проживали и проживают в государствах, входивших в состав СССР, не получили гражданства этих государств и остаются в результате этого лицами без гражданства.»
Федеральный закон «О Гражданстве РФ.» От 31.05.2002. № 62-ФЗ. იხ.:
http://www.consultant.ru/popular/civic/34_2.html#p193.

2002 წელს მიღებული რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ კანონის სწორედ ეს მუხლი და ამ მუხლის აღნიშნული მე-6 პუნქტი იქცა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კრემლის მიერ რუსული მოქალაქეობის „დარიგების“ წინაპირობად.

რუსეთის პასპორტიზაციის პოლიტიკის საერთაშორისო სამართლებრივი კუთხით განსახილველად მეტად მნიშვნელოვანია ბოსტონის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საერთაშორისო სამართლის ყურნალში 2010 წელს გამოქვეყნებული სტატია კრისტოფერ ნატოლის ავტორობით. პასპორტიზაციის საერთაშორისო სამართლებრივ ქრილში საკმაოდ ვრცელი და საინტერესო მიმოხილვის შემდეგ, ნატოლი საუბრობს რუსეთის საპასპორტო პოლიტიკის შესახებ საქართველოში და აქცენტს აკეთებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შექმნილ მდგომარეობაზე, როდესაც იმპერიის დაშლის შემდეგ 15 დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოიშვა. ავტორის თქმით, ერთი სახელმწიფოს არსებობის შეწყვეტის შემდეგ მისი იურიდიული მემკვიდრეობა გადადის სამართალმემკვიდრე სახელმწიფოზე. თუკი წინამორბედი სახელმწიფოს სამართლებრივ აპარატში არ მოიძებნებოდა არანაირი კანონი ეთნიკური უმცირესობისათვის ამ სახელმწიფოს მოქალაქეობის მინიჭებისა, მაშინ შესაბამისად, სამართალმემკვიდრე სახელმწიფოც ვერ მიანიჭებს ეთნიკურ უმცირესობებს საკუთარ მოქალაქეობას წინამორბედი სახელმწიფოს სამართლებრივ ბაზაზე დაყრდნობით. ასეთ დროს, გარდამავალ პერიოდში უნდა შეირჩეს დროის გარკვეული მცირე მონაკვეთი, შესაბამისი სამართლებრივი ინსტრუმენტების შესამუშავებლად და ამა თუ იმ ეთნიკური უმცირესობისთვის მოქალაქეობის მისანიჭებლად.

ნატოლი ხაზს უსვამს დროის მცირე მონაკვეთის ფაქტორს, რომელიც თან ახლავს ერთი სახელმწიფოს არსებობის დასრულებასა და მისი სამართალმემკვიდრე სახელმწიფოს გამოსვლას მსოფლიო ასპარეზზე და ამბობს, რომ სწორედ დროის ამ მცირე მონაკვეთში უნდა მოხდეს ამა თუ იმ ეთნიკური ჯგუფის მიერ საკუთარი მოქალაქეობის მიკუთვნებულო-

ბა მისთვის სასურველი სახელმწიფოსათვის.¹ ცხინვალის რეგიონის მოსახლეობამ კი, როგორც დავინახეთ, რუსული მოქალაქეობის მიღება, საბჭოთა იმპერიის დაშლიდან ათ წელზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ დაიწყო, რაც, თავის მხრივ, მოქალაქეობის შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებიდან მნიშვნელოვან გადახვევას წარმოადგენს. სწორედ ეს სამართლებრივი ასპექტი წარმოადგენს რუსეთის მიერ განხორციელებული საპასპორტო პოლიტიკის კრიტიკის ძირითად ხაზს კრისტოფერ ნატოლის ნაშრომში. სხვა მხრივ, ავტორი საკმაოდ ვრცლად განიხილავს მოქალაქეობის მინიჭებისა თუ ჩამორთმევის მაგალითებს საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკაში, მაგრამ ნაკლებ ყურადღებას ამახვილებს რუსეთის მიერ განხორციელებული „პასპორტიზაციის პოლიტიკის“ მიმართებაზე თავად რუსულ და ქართულ კანონმდებლობასთან, რასაც ჩვენ ქვემოთ შევხვებით.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ პასპორტიზაციის პოლიტიკას ეხება, წარმოადგენს დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების დამდგენი მისია საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შესახებ ჰაიდი ტალიავინის მეთაურობით. პასპორტიზაციის პოლიტიკის სამართლებრივი ასპექტების მიმოხილვა მოცემულია მისიის დასკვნის მეორე ტომის მესამე თავის მესამე ქვეთავში.¹ მისიის წარმომადგენლები ხაზს უსვამენ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს ტერიტორიის აღიარებას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ფარგლებში, რაც საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციაშიც სათანადოდ არის ხაზგასმული, რომლის მეორე მუხლის მიხედვით, *„საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობა დადასტურებული*

¹ Kristopher Natoli. *Weaponizing Nationality*, გვ. 409.

¹ Independent International Fact-Finding Mission., vol.II, გვ. 147-183.

ლია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ“.¹

აქედან გამომდინარე, როგორც აფხაზეთი, ისევე ცხინვალის რეგიონი საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების დამდგენი მისია ადასტურებს ამ რეგიონების მოსახლეობის ქართულ მოქალაქეობას, რაც, მისიის სრულიად სამართლიანი შეხედულებით, გამომდინარეობს საქართველოს მიერ მიღებული მოქალაქეობის კანონიდან, რის მიხედვითაც, იკრძალება ორმაგი მოქალაქეობა და საქართველოს მოქალაქე იმავდროულად ვერ გახდება სხვა ქვეყნის მოქალაქე.² მისიის დასკვნისათვის უფრო მეტი სიცხადის შესაძენად მოვიყვანთ 1993 წლის 25 მარტს საქართველოს რესპუბლიკის მიერ მიღებულ კანონს „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“. აღნიშნული კანონის მესამე მუხლის ა პუნქტის მიხედვით, საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება: „ა) პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში არანაკლებ ხუთი წლისა და ცხოვრობს ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების დღისთვის, თუ სამი თვის ვადაში წერილობით არ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე და 4 თვის ვადაში მიიღებს საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტს“.¹ იმავე 1993 წლის 24 ივნისს საქართველოს რესპუბლიკამ მიიღო კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რის მიხედვითაც ზემოაღნიშნული სამთვიანი ვადა, საქართველოს მოქალაქეობის სურვილის არქონის შემთხვევაში მსურველთა წერილობითი განაცხადის

¹ საქართველოს კონსტიტუცია.

² საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ. იხ.: http://rrc.ge/law/Saqkan_1993_25_03_Q.htm?lawid=1985&lng_3=ge.

¹ საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ.

გაკეთების შესახებ, გაგრძელდა ექვს თვემდე.¹ თუ ამ ყველაფერს დავუმატებთ იმ ფაქტს, რომ არც აფხაზებს და არც ოსებს 1993 წლის 24 დეკემბრამდე წერილობით არ განუცხადებიათ საქართველოს მოქალაქეობის გაუქმების შესახებ, ცხადი გახდება, რომ 2002 წლის შემდეგ მათ მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღება საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის დარღვევით მოხდა. ამგვარად, დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების დამდგენი მისია, აფხაზებისა და ოსების მოქალაქეობრივი სტატუსის შესახებ ასკვნის შემდეგ: „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლები, რომელთაც წერილობითი ფორმით უარი არ განუცხადებიათ საქართველოს მოქალაქეობაზე 1993 წლის 24 დეკემბრამდე, იქცევიან საქართველოს მოქალაქეებად საქართველოსა და საერთაშორისო სამართლის მიხედვით“.²

რუსეთის „პასპორტიზაციის“ პოლიტიკის მიერ ქართული საკანონმდებლო ნორმების დარღვევის მიმოხილვის შემდეგ, დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების დამდგენი კომისია მიმოიხილავს თავად რუსულ კანონმდებლობას რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ და ასკვნის, რომ რუსეთის ფედერაციის საპასპორტო პოლიტიკა თავად რუსული კანონმდებლობასთანაც კი ვერ მოდის შესაბამისობაში. კომისია „რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ კანონის“ მეთვრამეტე მუხლის 1 პუნქტის მიხედვით ასკვნის, რომ: „ხალხთა ერთადერთ ჯგუფს, რომელნიც არ ცხოვრობენ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე და რომელთაც რეგისტრაციის გავლით შეუძლიათ მიიღონ რუსული მოქალაქეობა, წარმოადგენენ მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელნიც მოსახლეობენ ყოფილი სსრკ-ს შემადგენელ სახელმწიფოთა ტერიტორიაზე“.¹

¹ საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. იხ.: http://rrc.ge/law/SaqKan_1993_24_06_Q.htm?lawid=1984&lng_3=ge.

² Independent International Fact-Finding Mission., vol. II, გვ. 154.

¹ Independent International Fact-Finding Mission., vol. II, გვ. 164.

მისიის დასკვნით, ამ ადამიანებს რუსეთის მოქალაქეობის მოსაპოვებლად 1993 წლის 6 თებერვლამდე უნდა გაეგლოთ რეგისტრაცია. ამ შემთხვევაშიც, როგორც ვხედავთ, იკვეთება ორი ფაქტორი: 1) აფხაზებსა და ოსებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ჰქონდათ საქართველოს მოქალაქეობა და არ წარმოადგენდნენ მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელთა რეგისტრაციასაც ითვალისწინებს ზემოაღნიშნული კანონი – რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ; 2) იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ აფხაზები და ოსები მოქალაქეობის არმქონე პირებს წარმოადგენდნენ (რაც არარეალურია), თავად რუსული კანონის მიხედვითაც ვერაფრით გამოვიყვანთ ლეგიტიმურად მათ მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღებას, რადგან არ არსებობს არანაირი ინფორმაცია რის მიხედვითაც დასტურდება, რომ აფხაზებმა და ოსებმა 1993 წლის 6 თებერვლამდე გაიარეს რეგისტრაცია რუსეთის მოქალაქეობის მისაღებად. მსგავსი მასალის არსებობის შემთხვევაში, დიდი ალბათობით რუსული ან სეპარატისტული მხარე საერთაშორისო ფაქტების დამდგენ კომისიას უთუოდ საქმის კურსში ჩააყენებდა ამის შესახებ. თავად კომისიის დასკვნაში აღნიშნულია, რომ „მისია არ ფლობს არავითარ მასალას“, რითაც დადასტურდება აფხაზებისა და ოსების მასობრივი რეგისტრაცია რუსული მოქალაქეობის მისაღებად. დასკვნის ავტორები ვარაუდობენ, რომ ზემოაღნიშნული პროცედურა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის მხოლოდ და მხოლოდ უმცირესმა ნაწილმა გაიარა.¹

გარდა ამისა, დასკვნის მეორე ტომის მეექვსე თავის მეოთხე ქვეთავში, რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებულ ინტერვენციაზე საუბრისას ნათქვამია, რომ რუსეთის

¹ "The mission has no data on the number of residents of Abkhazia and South Ossetia who were registered in the Russian Federation. It can be assumed that the above-mentioned criteria were fulfilled only by a marginal group of residents." – Independent International Fact-Finding Mission., vol. II, გვ. 164-165.

ინტერვენციას საქართველოში „ბლიცის“ სახე არ ჰქონია და მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი მოქალაქეების დაცვაზე და ევაკუაციაზე არ ყოფილა ფოკუსირებული,¹ რადგან, როგორც გვახსოვს, რუსულმა სამხედრო ნაწილებმა დასავლეთ საქართველოდანაც განახორციელეს შეტევა ქართულ სოფლებსა და ტერიტორიებზე, მაშინ, როდესაც მთელი ქართული არმიის ძირითადი ნაწილი ფოკუსირებული იყო ცხინვალის რეგიონში მიმდინარე სამხედრო მოქმედებებზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ მოქმედებებთან ერთად, რუსული არმია საკმაოდ „ნარმატებით“ ახორციელებდა მაროდიორობას დასავლეთ საქართველოს სოფლებში, რისი ამსახველი ფოტო, ვიდეო თუ სხვა სახის მასალა საკმაო რაოდენობით არის შემორჩენილი და ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისათვის.²

საბოლოოდ, მისია ასკვნის, რომ რუსეთის მიერ საქართველოში გატარებული საპასპორტო პოლიტიკა წარმოადგენს კრემლის მიერ ჩვენი ქვეყნის საშინაო საქმეებში პირდაპირ ჩარევას, რითაც რუსეთმა საქართველოს, ფაქტობრივად წაართვა უფლება საკუთარ მოქალაქეებზე იურისდიქციის გავრცელებისა, რადგან ქართული კანონმდებლობა არ უშვებს ორმაგ მოქალაქეობას.¹

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, აფხაზებისა და ოსების მიერ ქართული მოქალაქეობის ფლობასთან დაკავშირებით, განსხვავებულ შეხედულებას აფიქსირებს ვირჯინიის პოლიტიკენიკური უნივერსიტეტის პროფესორი ჯერარდ ტოული სტატიაში: „რუსეთის კოსოვო: სამხრეთ ოსეთში 2008 წლის აგვისტოს ომის კრიტიკული გეოპოლიტიკა“.² ავტორის თქმით, აფხაზები და ოსები სსრკ-ს დაშლის შემდეგ, ოფიციალურად არ-

¹ Independent International Fact-Finding Mission., vol. II, გვ. 288.

² რუსულმა ინტერნეტსერვერმა 2008 წელს საქართველოდან მოპარული უნიტაზი „აღმოაჩინა“. იხ.: <http://droni.ge/?m=3&AID=4257>.

¹ Independent International Fact-Finding Mission., vol. II, გვ. 172-173.

² Gerard Toal. "Russia's Kosovo: A Critical Geopolitics of the August 2008 War over South Ossetia." – Eurasian Geography and Economics. Vol. 49, No.6 (2008), გვ. 670-705.

ასოდეს ფლობდნენ საქართველოს მოქალაქეობას. ამ ფაქტს ტოული უკავშირებს საქართველოში პასპორტების გაცემის სისტემის მოუწესრიგებლობას სააკაშვილის რეფორმებამდე.¹ ამ შემთხვევაში ჩნდება ორი მარტივი შეკითხვა: 1) ხომ არ ფიქრობს ავტორი, რომ საქართველოს მოქალაქეობის არმქონე აფხაზებსა და ოსებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჰქონდათ რუსული მოქალაქეობა? 2) თუკი ტოულს საუბარი აქვს სააკაშვილის რეფორმამდე პასპორტების გაცემის სისტემის მოუწესრიგებლობაზე საქართველოში, მაშინ, მისი ლოგიკით, უნდა მივიდეთ დასკვნამდე, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას ქართული მოქალაქეობის მიღება მხოლოდ სააკაშვილის მოსვლის – 2004 წლის – შემდეგ უნდა დაეწყო. ამ ლოგიკით ხელმძღვანელობის შემთხვევაში კი, შესაძლოა იმ დასკვნამდეც კი მივიდეთ, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობამ ქართულზე ადრე რუსული მოქალაქეობა მიიღო, რაც არარეალურია. ამის საილუსტრაციოდ მიმოვიხილოთ თავად რუსული კანონმდებლობა.

1991 წლის 28 ნოემბრის „რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ კანონი“ და 1993-95 წლების შესწორებების შემდეგ, მისი ზემოაღნიშნული, მეთვრამეტე მუხლი, „ტალიანინის მისიის“ მიერ მოცემული ინტერპრეტაციისაგან განსხვავდება რამდენიმე დეტალით. მეთვრამეტე მუხლის 1 პუნქტში ნათქვამია, რომ რეგისტრაციის წესით, რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მიღება შეუძლიათ: „ყოფილ სსრკ-ს მოქალაქეებს, რომელნიც მოსახლეობენ ყოფილი სსრკ-ს შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების ტერიტორიაზე, ასევე მათ ვინც რუსეთის ფედერაციაში საცხოვრებლად გადმოვა 1992 წლის 6 თებერვლის შემდეგ, თუკი 2000 წლის 31 დეკემბრამდე განაცხადებენ საკუთარი სურვილის შესახებ მოიპოვონ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა“.¹ ამგვარად, როგორც

¹ Gerard Toal. Russia's Kosovo., გვ. 694.

¹ «Граждане бывшего СССР, проживающие на территориях государств, входящих в состав бывшего СССР, а также прибывшие для

ვხედავთ, რუსულ დოკუმენტში საუბარია არა 1993 წლის 6 თებერვლამდე რეგისტრაციის გავლაზე, არამედ 1992 წლის 6 თებერვლის შემდეგ, რუსეთის ტერიტორიაზე საცხოვრებლად გადმოსული ადამიანების მიერ 2000 წლის 31 დეკემბრამდე რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის სურვილის გამოხატვა-სა და შემდგომ რეგისტრაციაზე, რაც, თავის მხრივ, მაინც არ განხორციელებულა აფხაზური და ოსი მოსახლეობის მიერ, რადგან როგორც ვიცით, 2002 წელს რუსული საპასპორტო პოლიტიკის დაწყებამდე, ამ რეგიონებში მაცხოვრებელი მოსახლეობის ნაწილი შესაძლოა რუსული მოქალაქეობის მიღების სურვილს გამოხატავდა, მაგრამ მათ მიერ რუსული მოქალაქეობის მასიურად მიღება, ამ პერიოდში არ მომხდარა.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ლოგიკურად მოაზროვნე ადამიანისთვის მეტად რთულია გაიზიაროს „რუსული არგუმენტი“ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში მოსახლეობისათვის რუსული მოქალაქეობის დარიგების ლეგიტიმურობის შესახებ. ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები ვინსენტ არტმანი, საკუთარ ნაშრომში ხაზს უსვამს სსრკ-ს დაშლის შემდეგ საქართველოში შექმნილ რთულ ვითარებას, რაც მხოლოდ უშლიდა ხელს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას, ქვეყნის მოქალაქეობის შესახებ კანონის საფუძველზე, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მაცხოვრებლები უზრუნველყო საქართველოს მოქალაქის დოკუმენტით. ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ საქართველოს მოქალაქეობის სურვილიც არ ჰქონდათ აფხაზებსა და ოსებს, მაგრამ ამის მიუხედავად, არტმანის თქმით: „1993 წელს დე ფაქტო სახელმწიფოთა წარმომადგენლები ნამდვილად იქცნენ საქართველოს მოქალაქეებად“.¹ როგორც დავრ-

проживания на территорию Российской Федерации после 6 Февраля 1992 года, если они до 31 Декабря 2000 года заявят о своем желании приобрести гражданство Российской Федерации;» – Закон РФ от 28 ноября 1991 г. N1948-1 «О гражданстве Российской Федерации» (с изменениями от 17 июня 1993 г., 6 февраля 1995 г.). იხ.: http://www.democracy.ru/library/laws/federal/1948-1_fz/page2.html.

¹ Vincent M. Artman. “Passport Politics”, გვ. 119.

ნმუნდით, ლეგიტიმური თვალსაზრისით, ამ ფაქტს გვერდს ვერ ავუვლით.

ზემოთ მოცემული მიმოხილვის მიუხედავად, დაკვირვებული მკითხველის თვალში მარტივად შეამჩნევს ერთ მნიშვნელოვან მომენტს. კერძოდ კი იმას, რომ ქრონოლოგიურად საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონზე (1993 წელი) ადრე მიღებულ იქნა კანონი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ (1991 წელი). აქედან გამომდინარე, შესაძლოა გაჩნდეს შეკითხვა: არსებობდა კი კონკრეტული კანონი საქართველოში, რის მიხედვითაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობაზე ვრცელდებოდა საქართველოს მოქალაქეობა 1991 წელს, როდესაც სსრკ დაიშალა? ამაზე პასუხი ცალსახაა: დიახ, არსებობდა! ეს იყო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 28 ივნისს მიღებული დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.¹ აღნიშნული დოკუმენტი ჯეროვან ყურადღებას იმსახურებს, რადგან როგორც მკვლევარი ალექსი გუგუშვილი აღნიშნავს, იგი წარმოადგენდა დადგენილებას, რომელიც მიღებულ იქნა საქართველოში მოქმედი, პოსტსაბჭოთა, ლეგიტიმური ორგანოს – უზენაესი საბჭოს – მიერ.² აღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლის მიხედვით, საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ ითვლებოდა პირი, „რომელიც მუდმივად არის ჩანერილი საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების დღისათვის“.³ მე-8 მუხლის მიხედვით, საქართველოს მოქალაქედ მიიღებოდა პი-

¹ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე. – საქართველოს პარლამენტის არქივი, ფონდი №1165, არქივი №2946, აღწერა №8.

² Alexi Gugushvili. Country Report: Georgia. EUDO Citizenship Observatory. European University Institute. September 2012, გვ. 3.

³ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.

რი, რომელიც: „ა) მუდმივად ცხოვრობდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში; ბ) იცის ქართული ენა, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა; ...დ) აქვს საქართველოს რესპუბლიკაში მუდმივი სამუშაო ადგილი ან მუდმივი შემოსავლის ლეგალური წყარო ან აქვს რაიმე უძრავი ქონება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე“.¹

ამგვარად, როგორც ვხედავთ, საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან რამდენიმე თვეში უკვე მიუღია დადგენილება, რომელიც განსაზღვრავდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მოქალაქეობის წესებს. ეს ფაქტი კი თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ იმ დროს საქართველოს რესპუბლიკა ოფიციალური იურიდიული დადგენილების საფუძველზე ავრცელებდა საკუთარ მოქალაქეობას საკუთარსავე ტერიტორიაზე, რომელშიც თავისთავად შედიოდა როგორც აფხაზეთის, ასევე ცხინვალის რეგიონი.

რუსეთის მიერ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში საპასპორტო პოლიტიკის წარმატების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება კრემლის მიერ ამ რეგიონებში განხორციელებული „სახალხო პოლიტიკა“, რაზეც საკმაოდ საინტერესოდ საუბრობს „ლია საზოგადოება ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტის“ (Open Society European Policy Institute) პოლიტიკის ანალიტიკოსი ისკრა კიროვა. რუსეთის პასპორტიზაციის პოლიტიკის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად ავტორი მიიჩნევს „პენსიების პოლიტიკას“, რის მიხედვითაც: „2008 წლის მონაცემების მიხედვით, რუსული პასპორტის მფლობელებს აფხაზეთში, ეძლეოდათ პენსია 1600 რუბლის რაოდენობით მაშინ, როდესაც თავად დე ფაქტო რესპუბლიკის მიერ გაცემული პენსიის რაოდენობა 100 რუბლს შეადგენდა. პროპორციული შეფარდება იგივეა სამხრეთ ოსეთშიც“.¹ როგორც

¹ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.

¹ Iskra Kirova. Public Diplomacy and Conflict Resolution, გვ. 17.

ვხედავთ, პასპორტიზაციის პოლიტიკას რუსეთი, აფხაზებისა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ოსებისათვის საკმაოდ „მიმზიდველ“ სარჩულს ეკონომიკურ მხარეს უძებნიდა. გარდა ამისა, აფხაზ და ოს ახალგაზრდებს საშუალება ეძლეოდათ (და დღესაც ეძლევათ) განათლება მიეღოთ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, რაც ასევე საკმაოდ „მნიშვნელოვან ასპექტს“ წარმოადგენს საქართველოს სეპარატისტული რეგიონების მოსახლეობის ცხოვრებაში.¹ ყველაფერ ამას, რუსეთი ასევე უმატებს თავისთვის სასარგებლო, იმ სოციალურ და პოლიტიკურ მომენტს, რასაც ჰქვია რუსული ენის დამკვიდრება საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში. ეს კი, რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას აქცევს რუსულად მოსაუბრედ – რუსულენოვნად, რაც, თავის მხრივ, კიდევ ერთ სერიოზულ ბერკეტს წარმოადგენს რუსეთისათვის საკუთარი ინტერესების გასაძლიერებლად აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებში: „მართლაც, ზოგიერთი ანგარიშის მიხედვით, აფხაზთა დაახლოებით ერთი მესამედი სანყის დონეზეც კი ვერ საუბრობს აფხაზურად, უფრო მცირე რაოდენობა ახერხებს წერასა და კითხვას აფხაზურ ენაზე. აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის საპრეზიდენტო კანდიდატები გადაიან სპეციალურ ტესტირებას აფხაზურ ენაში, იმისათვის, რომ შეძლონ მმართველობა. 2011 წლის ნოემბერში სამხრეთ ოსეთში ჩატარდა რეფერენდუმი, რომელშიც მოსახლეობის დაახლოებით 84-მა პროცენტმა თანხმობა განაცხადა სეპარატისტულ ერთეულში, ოსურთან ერთად, რუსული ენისათვის ოფიციალური სტატუსის მინიჭების შესახებ“.¹ ეს ყველაფერი ნათლად გამოკვეთს რუსული „პასპორტიზაციის პოლიტიკის“ მიზანს საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში, რასაც საბოლოო ჯამში შეგვიძლია ვუწოდოთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის რუსეთის მიერ – ასიმილაცია...

ამგვარად, როგორც ვხედავთ, რუსეთი მიერ 2002 წლიდან მოყოლებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში გან-

¹ Iskra Kirova. Public Diplomacy and Conflict Resolution, გვ. 19.

¹ Iskra Kirova. Public Diplomacy and Conflict Resolution, გვ. 21.

ხორციელებული საპასპორტო პოლიტიკა არანაირად არ წარმოადგენდა კრემლის მიერ – ექსპრომტად – მოფიქრებულ და განხორციელებულ პოლიტიკას. პირიქით, მოსკოვში საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე იგეგმებოდა აღნიშნული პოლიტიკის გატარება საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში. კრემლი მწყობრად ახორციელებდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საქართველოსაგან ჩამოცილების გეგმას არაერთი წლის განმავლობაში. მოსკოვის მთავარ მიზანს წარმოადგენდა და დღემდე წარმოადგენს, ზემოაღნიშნული ორი რეგიონის საქართველოსაგან ჩამოცილება გაუცხოების გზით, რასაც რუსეთი ზემოთ უკვე მიმოხილული მეთოდებით ახორციელებს. გარდა ამისა, აღსანიშნავია რომ, როგორც აფხაზეთში, ასევე ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ 2000-იანი წლებიდან მოყოლებული არსებობს კანონი მოქალაქეობის შესახებ. 2006 წელს მიღებული „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ კონსტიტუციური კანონი“, რომლის მეექვსე მუხლი განსაზღვრავს „ორმაგი მოქალაქეობის“ პირობებს და მკვეთრად გამოკვეთს სეპარატისტული რეგიონის დამოკიდებულებას რუსეთთან: „1. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოქალაქეს, სამხრეთ ოსეთის მოქალაქეობის დათმობის გარეშე აქვს უფლება მიიღოს რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობა. 2. სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მფლობელი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მოქალაქე, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მიერ განიხილება როგორც მხოლოდ სამხრეთ ოსეთის მოქალაქე“¹.

თითქმის იმავე მდგომარეობას ვხვდებით „აფხაზეთის რესპუბლიკის კანონში აფხაზეთის რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“, რომელიც 2005 წელს იქნა მიღებული. საინტერესოა, რომ ორმაგი მოქალაქეობის მიღების პირობებს ამ შემთხვევაშიც, ისევე, როგორც „სამხრეთ ოსეთის კანონის“ შემთხვევაში, მეექვსე მუხლში ვხვდებით. ამ მუხლის მიხედვით, აფხაზეთის მოქალაქეობის დათმობის გარეშე, აფხაზე-

¹ Конституционный закон Республики Южная Осетия «О гражданстве Республики Южная Осетия». იხ.: <http://cominf.org/node/1156855873>.

თის მოქალაქეს უფლება აქვს ჰქონდეს მხოლოდ რუსული მოქალაქეობა, ხოლო რაც შეეხება აფხაზეთის იმ მოქალაქეებს, რომელნიც სხვა ქვეყნის მოქალაქეობას ფლობენ, ისინი „აფხაზეთის რესპუბლიკის“ მიერ განიხილებიან მხოლოდ და მხოლოდ „აფხაზეთის რესპუბლიკის“ მოქალაქეებად.¹ ამასთან ერთად, იმავე კანონის მეხუთე მუხლის მიხედვით, „აფხაზეთის რესპუბლიკის“ მოქალაქეებად ითვლებიან აფხაზური წარმომავლობის პირები, განურჩევლად მათი განსახლების ადგილისა და ასევე სხვა ქვეყნის მოქალაქეობისა, გარდა იმ პირებისა, რომელნიც „ანტიკონსტიტუციური“ მეთოდებით გამოდიან აფხაზეთის რესპუბლიკის სუვერენული სტატუსის შეცვლის მომხრეებად.¹

როგორც ვხედავთ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში დე ფაქტო მთავრობების მიერ 2005 და 2006 წლებში მიღებული „კანონები მოქალაქეობის შესახებ“ მთლიანად იქნა მორგებული კრემლის ინტერესებზე.

დღეისათვის, როგორც ცნობილია, აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობასა და მოსკოვს შორის მიმდინარეობს თანამშრომლობა 2018 წლისათვის გაერთიანებული სამხედრო ნაწილების შექმნის შესახებ. ამის მიზეზად, დე ფაქტო ხელისუფლების თავდაცვის მინისტრი მერაბ ქიშმარია ასახელებს თავად აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის ძალის უკმარისობას საკუთარი თავის დასაცავად.² ეს ნაბიჯი აფხაზეთისათვის კიდევ ერთხელ უნდა მოასწავებდეს რუსეთის მიერ ამ მხარის ასიმილირების მცდელობას, თუმცა, მეორე მხრივ, საუბარი იმაზე, რომ აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობას დღეისათვის სხვა რამ ალტერნატიული გზა გააჩნია, ზედმეტია, რადგან

¹ Закон Республики Абхазия о гражданстве Республики Абхазия. იხ.: http://www.emb-abkhazia.ru/konsulskie_voprosy/zakon_j/.

¹ Закон Республики Абхазия О гражданстве Республики Абхазия.

² Объединённая группировка войск РФ и Абхазии будет сформирована в 2018 году – Мераб Кишмария. იხ.: <http://apsnypress.info/news/obedinennaya-gruppirovka-voysk-rf-i-abkhazii-budet-sformirovana-v-2018-godu-mirab-kishmariya/>.

ყველასათვის ცხადია, რომ მოსკოვის გარეშე თანამედროვე აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება ვერ იარსებებდა.

საინტერესოა, რომ საპასპორტო პოლიტიკამ დღეისათვის აფხაზეთში, დე ფაქტო ხელისუფლებისაგან კიდევ ერთი, ახალი გამოვლინება ჰპოვა. საუბარია 2013 წლიდან მოყოლებული, აფხაზეთის ტერიტორიაზე – ძირითადად გალის რაიონში – მცხოვრები ქართველი მოსახლეობისათვის იმ დოკუმენტების ჩამორთმევის შესახებ, რითაც ეს ხალხი ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილდებოდა. ამ დოკუმენტს ე.წ. „აფხაზური პასპორტი“ ეწოდება. როგორც ცნობილია, მანამდე გალის რაიონის მოსახლეობა ქართულ პასპორტებს მალავდა, რომ არ გამოეჭირათ ტყუილში აფხაზური პასპორტის მიღების დროს – როცა თითქოს უარს ამბობდნენ საქართველოს მოქალაქეობაზე. ისინი, ვინც აფხაზურ მოქალაქეობას არ იღებდნენ, მაინც მალავდნენ საქართველოს მოქალაქეობას და ენგურის გამშვებ პუნქტზე ძველი, საბჭოთა პასპორტებითა და ადგილობრივი ნებართვებით გადადიოდნენ.¹ 2013 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც დაადგინა, რომ გალის რაიონში ქართული მოსახლეობის პასპორტიზაცია დიდი დარღვევებით ჩატარდა და რომ ქართველების უმრავლესობას უარი არ უთქვამს საქართველოს მოქალაქეობაზე, რაც წარმოადგენს აფხაზეთის „კონსტიტუციის“ დარღვევას, რომლითაც „ორმაგი მოქალაქეობის ქონა მხოლოდ რუსეთთან არის შესაძლებელი“.² ამას მოჰყვა სეპარატისტული ხელისუფლების მიერ რეგიონის ეთნიკურად ქართველი მაცხოვრებლებისათვის „აფხაზური პასპორტების“ გაცემის შეჩერება იმის „შიშით“, რომ აღნიშნული დოკუმენტების დარიგებას შესაძლოა აფხაზეთის „ქართველიზაცია“ მოჰყოლოდა: „ჩვენ აფხაზეთის სრული ქართველიზაციის პროცესის წინაშე

¹ დემის პოლანდოვი. „ოფიციალური“ ქართველები აფხაზეთში. იხ.: <http://netgazeti.ge/news/39486/>.

² თეიმურაზ პაპასქირი. სახელმწიფოებანას თამაში აფხაზეთში. – ჟურნ. „ტაბულა“, №139, ივლისი, 2014. იხ.: <http://www.tabula.ge/ge/story/85297-saxelmtsifobanas-tamashi-afxazetshi>.

ვდგავართ“ განაცხადა აფხაზეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა სტანისლავ ლაკობამ.¹ შედეგად გალის რაიონში მცხოვრებ ქართველებს ჩამოერთვათ ზემოაღნიშნული დოკუმენტები, იმ ვადით, სანამ ისინი უარს იტყვიან საქართველოს მოქალაქეობაზე.² როგორც ვხედავთ, აღნიშნული ღონისძიება პირდაპირ არის მიმართული აფხაზეთიდან ქართველთა ფეხის საბოლოოდ ამოსაკვეთად, რადგან აფხაზეთის „ქართველიზაციის“ საფრთხეზე საუბრისას საინტერესოა, რომ სეპარატისტები აღნიშნული საფრთხის მატარებლად მიიჩნევენ ძირითადად გალის რაიონში მცხოვრებ 26 000-ზე მეტ ქართველს.¹

თუკი ზემოაღნიშნულ ფაქტს დავამატებთ იმასაც, რომ რუსული საოკუპაციო და აფხაზური სეპარატისტული რეჟიმების გადანყვეტილებით, 2015 წლის 1 სექტემბრიდან, გალის რაიონის თერთმეტ საშუალო სკოლაში, რომლებიც დღემდე განათლებას ქართულ ენაზე იძლეოდნენ, სწავლების რუსულ ენაზე დაწყება და ქართულენოვანი სახელმძღვანელოების განადგურება გადანყდა² – დავასკვნით, რომ ყველა ზემოაღნიშნული პროცესი აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხორციელდებოდა და ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ კრემლის ხელით. მოსკოვს მიზნად აქვს დასახული, როგორც ცხინვალის რეგიონის, ასევე აფხაზეთის ასიმილირება, ხოლო რაც შეეხება თავად საქართველოს კონფლიქტური რეგიონების დამოკიდებულებას რუსეთის ამ პოლიტიკის მიმართ, უნდა ითქვას, რომ დე ფაქტო რეჟიმების მთავრობებს სხვა გამოსავალი (და არც სურვილი) ფაქტობრივად არა აქვთ, გარდა იმისა, რომ მიყვნენ კრემლის პოლიტიკურ კურსს, რომელიც მათ სამხედრო, პოლიტიკურ და ეკონ-

¹ სოხუმმა ეთნიკური ქართველებისთვის აფხაზური პასპორტების გაცემა შეაჩერა. იხ.: <http://www.civil.ge/geo/article.php?id=26879>.

² ანტიქართული საპასპორტო რეიდი აფხაზეთში. იხ.: <http://1tv.ge/ge/news/view/55930.html>.

¹ თეიმურაზ პაპასქირი. სახელმწიფოებანას თამაში აფხაზეთში.

² რუსიფიკაციის ახალი ტალღა ოკუპირებულ გალში. იხ.: <http://m.amerikishma.com/a/gali-georgian-books/2900478.html>.

ომიკურ დახმარებას უწევს და „აგრესორი“ ქართული მხარისაგან იცავს. ქართული მხარისაგან, რომელიც 90-იანი წლებიდან მოყოლებული არაერთხელ გამოსულა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ინიციატივით, თუმცა, რა თქმა უნდა, ნებისმიერი ქართული სამშვიდობო გეგმა, კრემლის მხარდაჭერით ზურგმომადგრებელი, სეპარატისტული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობების უარს აწყდებოდა.

დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ რუსეთის მიერ 2002 წელს დაწყებული საპოსპორტო პოლიტიკა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, საკუთარი არსით, წინააღმდეგობაში მოდის როგორც საერთაშორისო, ასევე ქართულ და თავად რუსულ კანონმდებლობასთან. ვლადიმირ პუტინის მიერ 2002 წელს დაწყებულმა ამ პოლიტიკამ საკმაოდ კარგი საფუძველი შეუქმნა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის, საქართველოსაგან კიდევ უფრო ჩამოშორებას. გარდა ამისა, რუსულმა „პასპორტიზაციამ“ „რუსული გამართლება“ მოუპოვა კრემლის მიერ 2008 წელს საქართველოში ინტერვენციას და ე.წ. „ხუთდღიან ომს“, რადგან, როგორც რუსულმა მხარემ არაერთხელ აღნიშნა, 2008 წელს მათ დახმარება გაუწიეს ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ მოსახლეობას, რომელთაც ქართველთაგან ემუქრებოდათ „საფრთხე“ და ამ ნაბიჯით დაცვა, მფარველობა და „გვერდში დგომა“ გამოხატეს „რუსეთის მოქალაქე“ ცხინვალის რეგიონის მაცხოვრებლების მიმართ, პარალელურად კი, „პასპორტიზაციის პოლიტიკის“ ფარად გამოყენებით, რუსულმა სამხედრო ნაწილებმა დასავლეთ საქართველოს სოფლებში განახორციელეს მოსახლეობის დაშინება, მათი პირადი საკუთრების ხელყოფა, რაც, თავის მხრივ, რუსული არმიის მიერ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების კიდევ უფრო უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, კრემლის საპასპორტო პოლიტიკამ, აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის ხელით, ახალი აღმავლობა ჰპოვა 2013 წლიდან მოყოლებული. ამჯერადაც, როგორც დავინახეთ, კრემლის მიზანია ქართუ-

ლი მოქალაქეობის მქონე მოსახლეობისათვის, აფხაზეთიდან ფეხის საბოლოოდ ამოკვეთა. ეს ყველაფერი აფხაზეთში შექმნილ, ისედაც დაძაბულ ვითარებას, კიდევ უფრო მძიმეს ხდის ქართული მხარისთვის.

კრემლის მიერ განხორციელებულ საპასპორტო პოლიტიკას პირდაპირი პარალელი ეძებნება XX საუკუნის 30-იან წლებში ნაცისტური გერმანიის საგარეო პოლიტიკასთან, როდესაც ადოლფ ჰიტლერმა „სუდეტელ გერმანელთა პარტიის“ მიერ განხორციელებული პროვოკაციითა და პროპაგანდით მოახერხა და იმდროინდელი ჩეხოსლოვაკია, ერთ-ერთი ოლქის – სუდეტის გარეშე დატოვა. იმ დროს ჰიტლერის ძირითად არგუმენტს წარმოადგენდა ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლების მიერ სუდეტის ოლქში მცხოვრები გერმანელების უფლებების დარღვევა. სუდეტის ოლქის გერმანიასთან მიერთებით, ჰიტლერმა, კრემლის ლიდერების მსგავსად, ერთგვარად „დაიცვა“ სუდეტელი გერმანელები ჩეხებისგან. ამ შემთხვევაში, რუსეთის მიერ XXI საუკუნეში განხორციელებული პოლიტიკა პარალელს პოულობს კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სისხლიმსმელი ტოტალიტარული რეჟიმის პოლიტიკასთან.

რუსული პასპორტიზაციის პოლიტიკის სახით, თანამედროვე მსოფლიოში საქმე გვაქვს სამოქალაქო პრინციპებზე დაფუძნებულ იმპერიალიზმის ახალ ფორმასთან. ბრაზილიის კამპინას უნივერსიტეტის პროფესორის ფლორიან მიულფრიდის თქმით, დღეისათვის რუსეთში საბჭოთა სოციალისტური ინტერნაციონალური სოლიდარობა, როგორც ინტერვენციის ფორმა, ჩანაცვლებულია „თანამემამულეთათვის“ დახმარების განწევის ფორმით.¹ ამგვარი – ბანალური – იმპერიალისტური პოლიტიკით, რუსეთი თანამედროვე მსოფლიოსათვის კვლავ „თავის ტკივილად“ რჩება.

¹ Florian Mülfried. Citizenship at War. Passports and nationality in the 2008 Russian-Georgian conflict. – Antropology Today, Vol 26, No 2, April 2010, გვ. 13.

§2. დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების დამდგენი მისიის დასკვნა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შესახებ

აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების პოლიტიკურ-სამართლებრივ ასპექტებზე საუბრისას, გვერდს ვერ ავუვლით ისეთ მნიშვნელოვან დოკუმენტს, როგორც არის დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების დამდგენი მისიის დასკვნა საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შესახებ. როგორც ვიცით, აღნიშნულ მისიას თავმჯდომარეობდა შვეიცარიელი დიპლომატი ჰაიდი ტალიავინი. სწორედ ამიტომ აღნიშნულ დოკუმენტს ხშირად „ტალიავინის კომისიის დასკვნადაც“ მოიხსენიებენ. დოკუმენტი საკმაოდ ვრცელია და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის სამართლებრივ ასპექტებს მრავალი კუთხით მიმოიხილავს. დასკვნა შედგება სამი ტომისაგან. პირველ ტომში, რომელიც დაახლოებით 40 გვერდისაგან შედგება, პუნქტებად, მოკლედ, არის მოცემული მისიის მიერ გაკეთებული დასკვნები, რომელსაც მომდევნო ორი ტომი ეთმობა. მეორე ტომი 8-ნაწილიანია და საკმაოდ ვრცლად მიმოიხილავს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს როგორც არის ზოგადად რუსულ-ქართული და ქართულ-დასავლური ურთიერთობები ისტორიულ-პოლიტიკურ ქრილში, ჩვენთვის საინტერესო კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები, აღნიშნული კონფლიქტის სამართლებრივი ასპექტები.

პირველი ტომის შესავალ ნაწილში მოცემულია წინასიტყვაობა, რომელიც ხაზს უსვამს აღნიშნული მისიის ისტორიულ მნიშვნელობას, რადგან, როგორც ვიგებთ, ევროკავშირის ისტორიაში მსგავსი ტიპის ფაქტების დამდგენი კომისია პირველად სწორედ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გარშემო, იმავე წლის დეკემბერში ჩამოყალიბდა: *„ეს არის პირველი შემთხვევა ისტორიაში, როდესაც ევროკავშირმა გადაწყვიტა აქტიურად ჩარეულიყო სერიოზულ შეიარაღებულ კონ-*

ფლიქტი“.¹ ფაქტების დამდგენი მისიის კომპეტენურობას ხაზს უსვამს ის ფაქტი, რომ აღნიშნული მისიის დასკვნაზე იმუშავა სამხედრო, სამართლებრივი, ჰუმანიტარული თუ ისტორიული საკითხების მიმართულების 20 ექსპერტმა, რომელთაც მასალებზე წვდომა ჰქონდათ უშუალოდ მოსკოვიდან, თბილისიდან, ცხინვალიდან და სოხუმიდან.² კომისია შეიქმნა 2008 წლის 2 დეკემბერს ევროპის კავშირის საბჭოს მიერ, ხოლო დასკვნა საბოლოო სახით მომზადდა 2009 წლის სექტემბერში.

ფაქტების დამდგენი კომისიის მეორე ტომის პირველი თავი მიმოიხილავს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ისტორიულ ფესვებსა და იმ საერთაშორისო მდგომარეობას, რაც კონფლიქტის პერიოდში იყო შექმნილი მსოფლიოში. რუსულ-ქართული ისტორიული ურთიერთობების მოკლედ და შეძლებისდაგვარად ობიექტურად მიმოხილვის შემდეგ, მისია ეხება 2008 წლისათვის მსოფლიოში შექმნილ საერთაშორისო ვითარებას, დასავლეთის დამოკიდებულებას რუსეთის მიმართ და პირიქით. კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებაზე საუბრისას, რასაც, როგორც გვახსოვს, ადგილი ჰქონდა 2008 წლის 17 თებერვალს, მისიის დასკვნაში ნათქვამია, რომ საკითხის შესახებ არ არსებობდა ერთიანი შეხედულება თავად ევროკავშირის ქვეყნებს შორისაც კი – ერთნი საჭიროდ მიიჩნევდნენ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას, მეორენი კი შიშით უყურებდნენ აღნიშნულ ფაქტს, რადგან ერიდებოდნენ მსგავსი პრეცედენტის გამეორებას მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.¹ მისია ხაზს უსვამს რუსეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების საქართველოს წინააღმდეგ მოქმედების არგუმენტად გამოყენების ფაქტს და აქვე მოჰყავს აფხაზეთის იმდროინდელი დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი შამბას სიტყვები, რომელიც ამ უკანასკნელს წარმოუთქვამს მას შემდეგ, რაც 2008 წლის 16 აპრილს ვლა-

¹ Independent International Fact-Finding Mission., vol. I, გვ. 2.

² Independent International Fact-Finding Mission., vol. I, გვ. 6-7.

¹ Independent International Fact-Finding Mission., vol. II, გვ. 26.

დემირ პუტინმა ხელი მოაწერა სოხუმისა და ცხინვალის დე ფაქტო მთავრობებთან განსაკუთრებული ურთიერთობების დამყარებას. შამბას თქმით: „ჩვენ ვხედავთ ჩვენი დამოუკიდებლობის გზის ფინიშის ხაზზე გავლებულ ლენტს, რომელსაც მალე გავჭრით. ჩვენ არ გვეშინია არანაირი საპასუხო რეაქციისა საქართველოსგან და მზად ვართ იმ ფაქტის მისაღებად, რომ მდგომარეობა კონფლიქტურ ზონაში გაცხელდება; შესაძლოა საქართველომ ხელი შეუწყოს ამას“.¹

ამგვარად, როგორც ვხედავთ მისია ხაზს უსვამს იმ დაძაბულობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა აფხაზეთის კონფლიქტურ რეგიონში 2008 წლის გაზაფხულზე, თუმცა იმავე საკითხებზე საუბრისას ასევე ხაზს უსვამს საქართველოსა და ევროკავშირის დამოკიდებულებას საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი ვითარების მიმართ. მისიის თქმით, მთავარ განსხვავებას საქართველოსა და ევროკავშირის პოზიციებში წარმოადგენდა კონფლიქტურ რეგიონებში ვითარების დარეგულირების სიჩქარე: „ევროკავშირი არ იყო წინააღმდეგი კონფლიქტურ რეგიონებში აქტიური მოქმედებისა, მაგრამ ის ხაზს უსვამდა სიფრთხილისა და გრძელვადიანი პერსპექტივების მქონე გეგმების შემუშავების საჭიროებას კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკის კუთხით. საქართველო, უპირველეს ყოვლისა, დაინტერესებული იყო იმით, რომ საკუთარი სეცესიონისტური კონფლიქტები ევროპული დღის წესრიგის პრიორიტეტად ექცია, ეს იყო ლტოლვა, რომელიც არ წარმოადგენდა ფრთხილი და გრძელვადიანი მოქმედების მიდგომის ნაწილს“.¹

¹ Independent International Fact-Finding Mission., vol. II, გვ. 28.

¹ "The EU did not disagree with the idea of a proactive policy concerning conflict resolution, but it stressed the need to be cautious and to take a long term perspective when designing conflict resolution policies. Georgia was primarily interested in turning the secessionist conflicts it was confronting into a priority on the European agenda, an objective that was not necessarily best served by a cautious, long term approach" – Independent International Fact-Finding Mission., vol. II, გვ. 56.

რთულია, ბოლომდე დავეთანხმოთ მისიის დასკვნის ამ მონაკვეთს. რა თქმა უნდა, შორს ვართ იმ აზრისგან, რომ კონფლიქტის მოგვარების გრძელვადიანი პერსპექტივა და სიფრთხილე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მსგავსი კონფლიქტების მოგვარების პროცესში მთავარ ფაქტორებს არ წარმოადგენს, მაგრამ ამ საკითხზე საუბრისას უნდა გავფრთხილდეთ, რომ არ აღმოვჩნდეთ მეორე უკიდურესობაში და შევძლოთ გათავისება იმისა, თუ რა სახის მოქმედებებს აწარმოებდა რუსეთი საქართველოში 2008 წელს მთელი წლის მანძილზე და თუ როგორ იყო ეს მოქმედებები მიმართული იქითკენ, რომ საქართველოში აუცილებლად მომხდარიყო ომი, რომელიც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონს უფრო მეტად მოწყვეტდა საქართველოს და დაუკავშირებდა რუსეთს. ზემოთ უკვე არაერთხელ შევხვით იმ ღონისძიებებს, რაც კრემლის გეგმების მიხედვით განხორციელდა საქართველოში 2008 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული აგვისტოს თვემდე და დასკვნის სახით უნდა ვთქვათ, რომ ვერაფრით გავიზიარებთ აღნიშნული მისიის, ზემოაღნიშნულ ამონარიდს იმის შესახებ, რომ საქართველოს მცდელობა, ჩვენი ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი ვითარება ექციათ ევროპის ქვეყნების დღის წესრიგის პრიორიტეტულ საკითხად, არ წარმოადგენდა კონფლიქტის მოგვარების ფრთხილი და გრძელვადიანი გეგმის ნაწილს, რადგან, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, 2008 წელს საქართველოში წყდებოდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ სრულიად ევროპის უსაფრთხოების საკითხი. ეს იყო რუსეთის მიერ ერთგვარი ნიადაგის მოსინჯვა თუ „რისი გამკეთებლები“ შეიძლება ყოფილიყვნენ ევროპისა და აშშ-თვის იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი ხელს არ აიღებდა საკუთარ გეგმებზე საქართველოში. სწორედ ამიტომ, ჩვენი აზრით, საქართველოს რეგიონულ კონფლიქტებში შექმნილი ვითარების სტაბილიზაცია უთუოდ უნდა გამხდარიყო დასავლეთის დღის წესრიგის პრიორიტეტული საკითხი იმისათვის, რომ საქართველოს, როგორც დასავლეთის მიერ მეგობრად წოდებულ ქვეყანას ჰქონოდა საკმარისი ძალა რუ-

სეთის აგრესიის წინ აღსადგომად. სწორედ ეს ფაქტორი უნდა აღქმულიყო 2008 წელს ევროპული საზოგადოების მიერ სიფრთხილედ რუსეთთან ურთიერთობაში, რადგან იმ დროს გამოჩენილი „დასავლური სიფრთხილე“ დღეისათვის რუსეთის მიერ ფაქტობრივად ორად გაყოფილი უკრაინისთვის, როგორც ვხედავთ, საკმაოდ დიდ გაუფრთხილებლობად იქცა.

მისიის დასკვნის მეორე ტომის მესამე ნაწილში, სადაც საუბარია საკითხთან დაკავშირებულ სამართლებრივ ასპექტებზე, ექსპერტთა ჯგუფი ღიად თანხმდება იმაზე, რომ აფხაზეთისა თუ ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის ე.წ. „თვითგამორკვევის“ მოთხოვნა, რასაც ადგილი ჰქონდა 2008 წელს არ ემყარება საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, რადგან – თვითგამორკვევა – უნდა ხორციელდებოდა არა სეცესიონისტური ხერხებით, არამედ შიდასახელმწიფოებრივ ფარგლებში.¹ რაც შეეხება აფხაზ და ოს ხალხებს, ზემოთ უკვე მიმოვიხილეთ საქართველოში მათი განსახლების ეთნიკურ-ისტორიული კონტექსტი და სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ არც აფხაზების და არც ოსების უფლებები, შიდასახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, საქართველოში არასოდეს, არცერთი კონსტიტუციითა თუ სხვა რამ საკანონმდებლო ნორმით არ დარღვეულა. შესაბამისად, ოსებისა და აფხაზების სეცესიონისტური მოთხოვნა წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს სახელმწიფოებრიობასთან. ამას უნდა დავამატოთ ის ფაქტორიც, რომ როგორც აფხაზი, ისევე ოსი ხალხი, კრემლისგან არის მართული, როგორც ორი მარწუხი, რითაც მოსკოვი არაფრით დაუშვებს საქართველოს „გაშვებას“ საკუთარი პოლიტიკური ინტერესების ზონიდან და ჩვენი ქვეყნის დასავლური სამყაროს ნაწილად ქცევას, რაც რეალურად საქართველოსა და ქართველი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ნებას წარმოადგენს. რუსეთის მიერ განხორციელებულ ამ პოლიტიკას არაერთხელ ესმევა ხაზი ფაქტების დამდგენი კომისიის დასკვნაში. მეორე ტომის მეხუთე თავში, ექსპერტთა

¹ Independent International Fact-Finding Mission..., vol. II, გვ. 141.

ჯგუფი საუბრობს სამხედრო მოქმედებებზე 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომამდე, ომის დროსა და ომის შემდეგ. მისიის ყურადღების მიღმა არ რჩება ისეთი მნიშვნელოვანი მომენტები, როგორც არის 2008 წლის მაისის ბოლოს რუსეთის მიერ აფხაზეთში სამხედრო რკინიგზის აღდგენა, რომლის გამოყენებითაც კრემლმა მოგვიანებით საკუთარი სამხედრო ნაწილები და ტექნიკა შეიყვანა რეგიონში.¹

უნდა აღინიშნოს, რომ მისია რუსეთთან, აფხაზეთთან და ცხინვალის რეგიონთან ერთად, 2008 წლის საომარი მოქმედებების დაწყებაში პირდაპირ ადანაშაულებს საქართველოსაც, რასაც, რა თქმა უნდა, საკუთარი სამართლებრივი არგუმენტებით ამყარებს. ფაქტების დამდგენი მისიის დასკვნის მეორე ტომის მეექვსე თავში ექსპერტთა ჯგუფი ახდენს ძალის გამოყენების სამართლებრივ კვალიფიცირებას, რის მიხედვითაც, ქართული მხარის მიერ 7 აგვისტოს ღამით შეტევაზე გადასვლა წინააღმდეგობაში მოდიოდა ჩვენს მიერ ზემოთ მიმოხილულ 1992 წლის 27 ივნისის შეთანხმებასთან, რომელიც დაიდო საქართველოსა და რუსეთის მხარეებს შორის. მისიის დასკვნით, აღნიშნული შეთანხმების პრეამბულამივე ხაზგასმულია მისი დაქვემდებარება გაეროს ქარტიასა და ჰელსინკის ფინალური აქტის პრინციპებთან, რის მიხედვითაც, საქართველოსა და რუსეთს უნდა აეღოთ პასუხისმგებლობა რეგიონში შექმნილი ვითარების მშვიდობიანად დასარეგულირებლად და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაეხსნათ ცეცხლი.¹

რთულია, უკომენტაროდ დავეთანხმოთ ექსპერტთა დასკვნას, რადგან 1992 წლის 27 ივნისის დაგომისის შეთანხმების მესამე მუხლის მიხედვით, შერეული საკონტროლო კომისია კონფლიქტის ზონაში იქმნებოდა მშვიდობის შენარჩუნებისა და უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით.²

მოცემული მუხლი, ისევე როგორც მისიის მიერ ზემოაღ-

¹ Independent International Fact-Finding Mission., vol. II, გვ. 201.

¹ Independent International Fact-Finding Mission., vol. II, გვ. 240.

² Соглашение о принципах урегулирования грузино-осетинского конфликта. об.: <http://www.noar.ru/files/content/82.pdf>.

ნიშნული ძალის გამოუყენებლობის პრინციპი, საქართველოს მიერ 7 აგვისტოს ღამით დაწყებულ მოქმედებებამდე გაცილებით ადრე დაარღვია სეპარატისტულმა მხარემ რუსეთის ნაქეზებით. ამაზე მეტყველებს გაზეთ „კვირის პალიტრაში“ ჯერ კიდევ 2008 წელს გამოქვეყნებული ინტერვიუ სამხედრო ექსპერტ კახა კაციტაძესთან, სადაც იგი ვითომდა „მხოლოდ ოსი“ სეპარატისტების მიერ 2 აგვისტოს ღამით ქართული სოფლების დაბომბვის შესახებ საუბრობდა: „2 აგვისტოს, ღამით ცხინვალის რეგიონში მორიგი შეიარაღებული დაპირისპირება მოხდა. მთელი ღამის განმავლობაში იბომბებოდა ქართული სოფლები. ოსური მხრიდან დაიღუპა 7 კაცი, დაჭრილთა რაოდენობა დაუდგენელია. ქართველთა შორის არავინ დაღუპულა, დაჭრილია 9 კაცი. ოსმა სეპარატისტებმა ცეცხლი გახსნეს ქართული სოფლების: ქვემო და ზემო ნიქოზის, ავნევის, ერედვის და ერგნეთის მიმართულებით. სროლა ხორციელდებოდა როგორც ავტომატური იარაღიდან, ასევე – ყუმბარმტყორცნებიდან და მსხვილკალიბრიანი ნაღმმტყორცნებიდან.

მომხდართან დაკავშირებით რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი თემურ იაკობაშვილი აცხადებს: „აშკარაა, რომ ოსური მხარე ცდილობს, კონფრონტაციაში ჩაგვითრიოს. ამის ნიშნები უკვე რამდენიმე დღეა არსებობს, ახლა კი უკვე ქართული სოფლების დაბომბვა დაიწყო.

კონფლიქტის რეგიონში მორიგი სამხედრო დაპირისპირების შეფასება სამხედრო ექსპერტ კახა კაციტაძეს ვთხოვეთ:

– 500 ჭურვის ერთ ღამეში გასროლა წარმოუდგენელია. თუ ავიღებთ იმას, რომ თვითმავალი ქვემეხის ჭურვის მარაგი 40 ერთეულია, გამოდის, რომ 10 თვითმავალი ქვემეხი ბომბავდა და ეს ძალზე ბევრია ერთი ღამისთვის. კოკოითის ხელისუფლებას ასეთი რესურსი რომ ჰქონდეს, ჩემთვის წარმოუდგენელია“.¹

¹ რუბრიკა „ომი თუ მშვიდობა“. მაია მარგველანი. „ჩვენ ეს შეტევა საკუთარი ნერვების ფასად მოვიგერიეთ...“. – გაზ. კვირის პალიტრა, №31 (701), 2008წ. 4-10 აგვისტო, გვ. 8.

როგორც ვხედავთ, აღნიშნული ინფორმაციის მოძიება ფაქტების დამდგენი მისიისთვის რატომღაც სირთულედ იქცა. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიერ იმის თქმა, რომ როკის გვირაბთან მდგარ რუსეთის სამხედრო ნაწილებს არანაირი სამხედრო მოქმედებები არ დაუწყიათ საქართველოს წინააღმდეგ 2008 წლის 7 აგვისტოს 23:35-მდე, როდესაც ქართული ნაწილები გადავიდნენ მოქმედებაზე,¹ არალოგიკურია, რადგან ამ შემთხვევაში, როდესაც 2 აგვისტოს ღამით ცხინვალის ქართულ სოფლებს 500 ჭურვი დაეცა, რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება განხორციელდა ოსების ხელით. ნებისმიერ შემთხვევაში, საქმე გვექონდა რუსეთის მიერ ნაქეზებულ, საქართველოს წინააღმდეგ დაწყებულ სამხედრო მოქმედებასთან, ხოლო ფაქტს იმის შესახებ, რომ ქართული სამხედრო ნაწილები მხოლოდ და მხოლოდ ცდილობდნენ მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად მოეხდინათ კონფლიქტურ რეგიონში შექმნილი სამხედრო დაძაბულობის განმუხტვა, ადასტურებს თავად ფაქტების დამდგენი კომისიის მესამე ტომის ბოლოს მოყვანილი ორი ოფიციალური დოკუმენტის ასლი. ორივე დოკუმენტი მეოთხე ქვეითი ბრიგადის მეთაურის, გენერალ-მაიორ გიორგი კალანდაძის მიერ არის ხელმოწერილი. პირველი დოკუმენტის მიხედვით, „IV – ქვეითი ბრიგადის დაქვემდებარებული ქვედანაყოფები მოვიდნენ საბრძოლო მზადყოფნაში დისლოკაციის ადგილზე არაუგვიანეს 2008 წლის 7 აგვისტოს 08:00 საათამდე“.¹

საკითხავია, რა არის მიუღებელი ან კანონსაწინააღმდეგო აღნიშნულ ბრძანებაში იმის ფონზე, რომ საქართველოს სამხედრო ნაწილები ატარებენ ვალდებულებას „ღვთისა და ერის წინაშე“, დაიცვან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ერთიანობა და სუვერენიტეტი. 2008 წლის 7 აგვის-

¹ “However, the Georgian view that Russian soldiers had entered Georgian territory through the Roki tunnel already before the Georgian air and ground offensive started on 7 August 2008 at 11.35 p.m. could not be verified by the mission.” – Independent International Fact-Finding Mission., vol. II, გვ. 254.

¹ Independent International Fact-Finding Mission., vol. III, გვ. 598.

ტოსთვის კი ოსური სეპარატისტული მხარე, გარეშე ძალის – რუსეთის – ხელშეწყობით ცდილობს ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის შელახვას ყველანაირი სამართლებრივი აქტის დარღვევით. იმის საილუსტრაციოდ, რომ რუსეთი, როგორც წესი შეთანხმებათა დამრღვევის როლში გამოდის, აუცილებლად მიგვაჩნია ერთი დოკუმენტის მოყვანა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კრემლისთვის არასოდეს აქვს მნიშვნელობა იურიდიულ დოკუმენტს, როდესაც საქმე მის საგარეოპოლიტიკურ ინტერესებს ეხება.

ამჯერად შევეხებით საქართველოსა და რუსეთს შორის 2006 წლის 31 მარტს სოჭში გაფორმებულ შეთანხმებას „რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ჯარებისა და სამხედრო ბაზების დროებითი ფუნქციონირების ვადების, წესისა და მათი გაყვანის შესახებ“. აღნიშნული შეთანხმების მესამე მუხლის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზებისა და რუსეთის სამხედრო ობიექტების გაყვანა უნდა დასრულებულიყო 2008 წლის განმავლობაში.¹ იმავე შეთანხმების მეთერთმეტე მუხლის მიხედვით, რუსეთის მხარეს უნდა აეღო ვალდებულება, არ განეხორციელებინა რუსეთის სამხედრო ბაზებსა და რუსეთის სამხედრო ობიექტებზე შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და საბრძოლო მასალის ჩანაცვლება ან შევსება.² შეთანხმების 22-ე მუხლის მიხედვით, აღნიშნული დოკუმენტი რუსეთსა და საქართველოს შორის ძალაში უნდა ყოფილიყო 2008 წლის 31 დეკემბრამდე.³ აღნიშნული შეთანხმების მიმოხილვის შემდეგ, ისმის კითხვა: 2008 წელს, ნაცვლად ზემოთ მოყვანილი შეთანხმების პირობების დაცვისა და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიიდან საკუთარი სამხედრო ბაზების ეტაპობრივად გაყვანისა, რუსეთის ფედერაცია პირიქით არ მოიქცა და არ გაზარდა საკუ-

¹ ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო (XIX-XXI საუკუნეები). თბილისი, 2012, გვ. 131.

² ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო, გვ. 135.

³ ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო, გვ. 138.

თარი სამხედრო კონტიგენტი აფხაზეთში? განა ზემოაღნიშნული 2 აგვისტოს ტრაგიკული ღამით, სწორედ რუსეთის ფედერაცია არ დაეხმარა ცხინვალის რეგიონის ოს სეპარატისტებს ქართული სოფლების 500 ჭურვით დაბომბვაში? და ეს ყველაფერი ნაცვლად იმისა, რომ 2008 წლის ბოლომდე საკუთარი სამხედრო ბაზების დემონტაჟი და საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანა მოეხდინათ?

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, კიდევ უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის, დავუშვათ ის აბსურდული ფაქტი, რომ ქართულმა მხარემ მოახდინა რუსეთის 2008 წლის მოქმედებების პროვოცირება და აიძულა კრემლი სამხედრო მოქმედებებზე გადასულიყო. ამ შემთხვევაში ჩვენ ნავანყდებით რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს, რომელთაც საქართველოს ხელისუფლების მიერ ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების გეგმა ჰქვია და რომელიც ვერაფრით მოგვცემს საშუალებას დავუშვათ, რომ 2008 წლის საომარი მოქმედებების პროვოცირებას საქართველომ ჩაუყარა საფუძველი, რადგან 2005 წლის მარტში ქართულმა მხარემ წამოიყენა ცხინვალის რეგიონში სამშვიდობო შეთანხმების პროექტი. იმავე წელს ლიუბლიანაში გამართულ ეუთოს მინისტრიალზე წარმოდგენილ გეგმას მხარი დაუჭირა ეუთოს წევრმა ყველა სახელმწიფომ, მათ შორის, რუსეთის ფედერაციამაც.¹ გეგმა ცხინვალის რეგიონისათვის ითვალისწინებდა საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ფართო ავტონომიას; განათლების ოსურ ენაზე მიღების შესაძლებლობას; საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების შტოებში „სამხრეთ ოსეთის“ წარმომადგენლობის საკონსტიტუციო გარანტიას და ა.შ.²

როგორც ვხედავთ, აღნიშნული გეგმა მეტად ფართო უფლებებსა და თავისუფლებებს სთავაზობდა ცხინვალის რე-

¹ რეგიონული კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2011), გვ. 1391.

² რეგიონული კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2011), გვ. 1391.

გიონის ოსურ მოსახლეობას, თუმცა მისი განხორციელება, რა თქმა უნდა, ვერ მოხერხდა და ამის მიზეზი კი ცხადია, რომ არა ქართული, არამედ სეპარატისტული მხარე იყო, რომელსაც ზურგს რუსეთი უმაგრებდა. ცხინვალის რეგიონთან მიმართებაში, საქართველოს ხელისუფლებამ 2007 წლის მარტში შეიმუშავა მემორანდუმის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციას და მოლაპარაკებათა პროცესის დაჩქარებას, თუმცა ეს გეგმაც რუსეთის ნაქეზებით იქნა უარყოფილი.¹

გარდა ცხინვალის სეპარატისტული რეგიონისადმი შეთავაზებული ზემოაღნიშნული გეგმებისა, საქართველოს ხელისუფლებამ აფხაზეთში შექმნილი კონფლიქტის მშვიდობიანად დასარეგულირებლად 2006 წლის ივნისში შეიმუშავა „საგზაო რუკა“, რომელიც ასევე ფართო ავტონომიისა და მთელი რიგი უფლებებისა და თავისუფლებების გარანტი უნდა ყოფილიყო აფხაზი ხალხისათვის. აღნიშნული გეგმა უარყოფილ იქნა.²

2008 წლის აპრილში, საქართველოს პრეზიდენტმა ნა-მოაყენა აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გეგმა, რის მიხედვითაც საქართველოს პრეზიდენტმა აფხაზურ მხარეს შესთავაზა პოლიტიკური უფლებების ინსტიტუციონალიზაცია: საქართველოს ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის დაკავების უფლება, რომელიც უნდა შექმნილიყო სპეციალურად აფხაზეთის წარმომადგენლობისთვის; პარლამენტში, სამინისტროებში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებში თანამდებობის დაკავების უფლება. გარდა ამისა, ინიციატივა ითვალისწინებდა აფხაზეთის კულტურის, ენისა და ეთნიკურობის დაცვის საკითხს. ზედმეტია საუბარი იმაზე, რომ ეს გეგმაც უპასუხოდ დარჩა.³

¹ რეგიონული კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2011), გვ. 1392.

² რეგიონული კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2011), გვ. 1391.

³ რეგიონული კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2011), გვ. 1392-1393.

2008 წლის აპრილის შემდეგ, იმავე წლის ივნისის თვეში, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგოლ ვაშაძის ინიციატივით შემუშავდა აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების ახალი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ოჩამჩირისა და გალის რაიონებში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის ინიციატივას, ასევე რუსი სამშვიდობოების დისლოკაციის ადგილის გადატანას მდინარე კოდორის გასწვრივ, დიალოგის გამართვას პოლიტიკური სტატუსის შესახებ. ეს გეგმა, ისევე, როგორც ყველა ზემოაღნიშნული გეგმები და ასევე 2008 წლის ივლისში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ფრანკ ვალტერ შტაინმაიერის მიერ შემოთავაზებული აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების კიდევ ერთი გეგმა, რომელიც, თავის მხრივ, სხვადასხვა პუნქტებთან ერთად, ითვალისწინებდა ძალის გამოყენებაზე უარის თქმას, ნდობის აღდგენისაკენ მიმართულ პრაქტიკულ პროექტებს, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების თაობაზე შეთანხმებას, სრული წარუმატებლობით დასრულდა ისევ და ისევ რუსეთის მიერ სეპარატისტული რეგიონების წაქეზების გამო.¹

საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი ვითარების მშვიდობიანად დარეგულირების მცდელობებზე საუბრისას, უნდა გავიხსენოთ კიდევ ორი ინიციატივა, რომელიც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებას ითვალისწინებდა – ეს იყო საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა გაეროს გენერალური ასამბლეის წინაშე 2006 წლის 22 სექტემბერს, რის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დემილიტარიზაცია, ორივე კონფლიქტურ რეგიონში უნდა ჩამდგარიყო საერთაშორისო სამშვიდობო საპოლიციო ნაწილი, კონფლიქტური რეგიონების ეკონომიკის რეაბილიტაცია უნდა განხორციელებულიყო საქართველოს ხელისუფლების აქტიუ-

¹ რეგიონული კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2011), გვ. 1393-1394.

რი მონაწილეობით, უნდა გატარებულიყო ღონისძიებები მხარეებს შორის ნდობის აღდგენისათვის.¹ 2008 წლის ივლისის ბოლოს ეუთოს მოქმედმა თავმჯდომარემ ალექსანდერ სტუმბმა მხარეებს შესთავაზა სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმოება ჰელსინკიში აგვისტოს დასაწყისში, თუმცა ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ეუთოს ამ ინიციატივაზე, ისევე როგორც საქართველოს პრეზიდენტის გეგმაზე, დე ფაქტო რეჟიმის წარმომადგენლებმა კვლავ უარი განაცხადეს.¹

კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ამდენი გეგმის ფონზე, რუსული მხარე 2008 წლის აპრილში აცხადებდა, რომ აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ მოსახლეობას რუსეთის დახმარება ესაჭიროებოდა, რადგან ამ ხალხის მდგომარეობა თურმე უარესდებოდა ქართული მხარის მოქმედების გამო, რომელიც მოსკოვის მტკიცებით, ყველანაირად ხელს უშლიდა კონფლიქტურ რეგიონებში ნორმალური ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების განვითარებას.² ზემოთ ნახსენები სამშვიდობო ინიციატივების გათვალისწინებით, მეტად რთულია რაიმე სახის კომენტარის გაკეთება რუსული მხარის ამ განცხადების შესახებ.

ამგვარად, ფაქტების დამდგენი კომისია ასკვნის, რომ 2008 წლის 7 აგვისტოს 23:35 წუთამდე რუსეთის მხრიდან საქართველოზე პირდაპირი სამხედრო შეტევა თუ თავდასხმა არ განხორციელებულა. ერთის მხრივ, კომისიის ამგვარი დასკვნა გასაგებია, რადგან თავად მისიის დასკვნის ტექსტის გაცნობისას კარგად ჩანს ექსპერტთა დამოკიდებულება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს მიმართ. ისინი ამ ომში დამნაშავედ არა ერთ ან ორ მხარეს, არამედ ყველა მონაწილე მხარეს (რუსე-

¹ რეგიონული კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2011), გვ. 1392.

¹ რეგიონული კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2011), გვ. 1394.

² Шаг к признанию: Путин поручил помочь населению Абхазии и Южной Осетии, не выделяя граждан РФ. иб.: http://www.newsru.com/russia/16apr2008/helpthem_print.html.

თი, აფხაზეთი, ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ და საქართველო) მიიჩნევენ. მათი თქმით, ოთხივე მხარე ემზადებოდა კონფლიქტისათვის 2008 წლის ზაფხულში, ხოლო ომი დაიწყო მაშინ როდესაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა გასცა ბრძანება 7 აგვისტოს 23:35 ნო-ზე ქართული არმიის მოქმედებებზე გადასვლის შესახებ.¹ 2008 წლის ომამდე მომხდარი მოვლენების მიმოხილვისას ფაქტების დამდგენი კომისია თითქოს „რკინისებურ“ ზომიერებას იჩენს და კონფლიქტის მონაწილე არცერთი მხარეს არ რაცხავს ცალსახად დამნაშავედ, თუმცა, ამგვარი შუალედური დასკვნის ძიებაში, ექსპერტთა ჯგუფს ერთგვარად თვალსაწიერს მიღმა რჩება ჩვენს მიერ მოცემულ ქვეთავში მოყვანილი არგუმენტები, რომლებიც ხაზს უსვამენ რუსეთის როლს 2008 წლის ომსა და ომამდე განვითარებულ მოვლენებში, რომელთაც მნიშვნელოვანწილად გამოიწვიეს აღნიშნული ომი.

აღსანიშნავია, რომ დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების დამდგენი კომისიის დასკვნა საქართველოში მომხდარი ომის საკითხზე წარმოადგენს პრაგმატული, ევროპული პოლიტიკის ერთგვარ ნიმუშს, რომელიც დიდწილად ტენდენციურია მთელი რიგი საკითხების განხილვისას, პირველ რიგში, კი რუსეთის როლთან მიმართებაში საქართველოში 2008 წელს ინსპირირებულ და განხორციელებულ ომთან დაკავშირებით. უნდა ითქვას, რომ უდიდესი ზომიერების შემთხვევაშიც კი რთულია უგულებელვყოთ კრემლის, როგორც დირიჟორის როლი საქართველოს სეპარატისტული რეგიონების პოლიტიკაში. ასე რომ, რუსეთის, როგორც კონფლიქტის დამგვამავისა და განმახორციელებელის როლის ობიექტური წარმოჩენა არის ის ფაქტი, რაც ნაკლებად იგრძნობა ფაქტების დამდგენი კომისიის დასკვნაში, დასკვნაში, რომელიც ფაქტობრივად იმეორებს დასავლეთის არაერთი ქვეყნის პოლიტიკურ პოზიციას რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომთან დაკავშირებით.

დასასრულს, ხაზი უნდა გაუუსვათ იმ ფაქტსაც, რომ დამოუკიდებელი საერთაშორისო ფაქტების დამდგენი კომი-

¹ Independent International Fact-Finding Mission..., volume II, გვ. 231.

სია შეიქმნა და დაფინანსდა ევროკავშირის მიერ. შესაბამისად ე.წ. „ტალიანის დასკვნაში“ გაჟღერებული პოზიცია, ფაქტობრივად თავად ევროკავშირის პოზიციას წარმოადგენს, თუმცა, ამასთან ერთად, ხაზგასასმელია ის ღონისძიებებიც, რომელიც ევროკავშირმა, როგორც ორგანიზაციამ საქართველოში კონფლიქტის დასარეგულირებლად განახორციელა და რომელთაგან უნდა აღინიშნოს ევროპის საბჭოს 2008 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოში დამოუკიდებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისიის დაარსების შესახებ. იმავე წლის 1 ოქტომბრისთვის ევროკავშირმა 200-ზე მეტი დამკვირვებელი გამოგზავნა საქართველოში.¹ აღნიშნული მისია საქართველოში დღემდე მოქმედებს.

¹ ბორის კვარაცხელია. რუსულ-ქართული კონფლიქტი აფხაზეთში და საერთაშორისო თანამეგობრობა. თბილისი, 2012, გვ. 216.

თავი მეხუთე

საერთაშორისო გამოხმაურება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომზე

§1. ოფიციალურ სახელმწიფოთა გამოხმაურება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომზე

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს დიდი გამოხმაურება მოჰყვა მსოფლიო მასშტაბით. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებმა სხვადასხვაგვარი რეაგირება მოხდინეს მასზე. ეს რეაგირება კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დიდწილად განპირობებული იყო ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტირითა და ასევე ფუნქციით მსოფლიო პოლიტიკაში.

მსოფლიო სხვადასხვა სახელმწიფოთა შეხედულებები პირობითად ოთხ ნაწილად დავყავით: 1. რუსეთ-საქართველოს ომისადმი ნეიტრალური პოზიციის დამფიქსირებელ და ომში ორივე მხარის ბრალის მადიებელ სახელმწიფოთა გამოხმაურება, რომელნიც პირველ რიგში არა ომის წამომწყები მხარის გარკვევის, არამედ საომარი მოქმედებების შეწყვეტის ინიციატივით გამოდიოდნენ; 2. იმ ქვეყნების შეფასება, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ომს არაერთგვაროვნად გამოეხმაურნენ და, ასე ვთქვათ, საკითხის გარშემო „ვერ ჩამოყალიბდნენ“; 3. რუსეთის პოზიციისა და ინტერესების დაცვის გამომხატველი ქვეყნების გამოხმაურება; და 4. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა დაცვისა და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ინტერვენციის დამგმობი ქვეყნების გამოხმაურება.

რუსეთ-საქართველოს „აგვისტოს ომის“ შესახებ ნეიტრალური პოზიციის გამომკვეთ და დამაფიქსირებელ ქვეყნებს შორის, რომელთაც ნომერ პირველ პრიორიტეტად არა დამნაშავისა და უდანაშაულოს გამოკვეთა, არამედ საომარი მოქმედებების შეწყვეტა მიაჩნდათ, შეგვიძლია დავასახელოთ სომ-

ხეთი, ბანგლადეში, ბრაზილია, ბულგარეთი, ჩილე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, საფრანგეთი, საბერძნეთი, ისლანდია, ირანი, იაპონია, ნიდერლანდები, ახალი ზელანდია, სლოვაკეთი, ესპანეთი, თურქეთი, გაერთიანებული სამეფო, ვატიკანი, სერბეთი და ვიეტნამი. აღნიშნულ სახელმწიფოთა მმართველმა ორგანოებმა 2008 წელს რუსეთსა და საქართველოს შორის მომხდარი ომის შესახებ საუბრისას და საკუთარი აზრების დაფიქსირებისას, გამოხატეს ცეცხლის შეწყვეტისა და საომარი მოქმედებების დასრულების აუცილებლობის ინიციატივა. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ბანგლადეშის სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობათა მრჩეველის – იფთეხარ აჰმედ ჩოუდარის მიერ რუსეთ-საქართველოს შორის საომარი მოქმედებების უცილობლად შეწყვეტის საჭიროების შესახებ წარმოთქმული სიტყვები: „ჩვენ კარგად უნდა გვახსოვდეს დიდი მწერლის ლევ ტოლსტოის მიერ მოცემული გაკვეთილი, რომელშიც იგი ამბობს, რომ არ არსებობს ისეთი რამ, რასაც კარგი ომი ან ცუდი მშვიდობა ერქმევა“.¹ იმავე პოზიციაზე იდგა ჩილეს საგარეო საქმეთა მინისტრი ალესანდრო ფოქსლი, რომელიც ასევე ხაზს უსვამდა ცეცხლის შეწყვეტის აუცილებლობას და დასძენდა, რომ შექმნილ კონფლიქტურ ვითარებაში, რომელიც სადაო ტერიტორიებში ვითარების დაძაბვას ახლავს თან, ყველაზე მძიმე და ტრაგიკულ მოვლენას წარმოადგენს უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი.² ცეცხლის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და მოლაპარაკებებისაკენ მოუწოდა 2008 წლის ომის მონაწილე მხარეებს ოფიციალურმა ვატიკანმა. რომის პაპმა გამოთქვა იმედი, რომ დაპირისპირებული მხარეები დაუყოვნებლივ შეწყვეტენ სამხედრო მოქმედებებს

¹ "We need to bear in mind the lesson of the great writer Leo Tolstoy who said there is no such thing as a good war or a bad peace". Bangladesh calls for early cessation of hostilities between Russia and Georgia. იხ.: http://news.xinhuanet.com/english/2008-08/10/content_9131521.htm.

² Gobierno llama a que se respete el cese al fuego en Osetia del Sur. იხ.: <http://www.emol.com/noticias/nacional/detalle/detallenoticias.asp?idnoticia=317030>.

საერთო ქრისტიანული რელიგიის სახელით და არ დაუშვებენ ძალადობის განახლებას.¹ მსგავსი პაციფისტური პოზიციები დააფიქსირეს კონფლიქტური მხარეებისაგან ისეთმა შორეულმა ქვეყნებმა, როგორებიც არიან ბრაზილია,² ისლანდია,³ იაპონია,⁴ ახალი ზელანდია, რომლის პრემიერ მინისტრმა ჰელენ კლარკმა ყველა მხარეს მოუწოდა ცეცხლისა და საომარი მოქმედებების შეწყვეტისაკენ და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირების განმახორციელებელ მთავარ მექანიზმად გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დაასახელა.⁵ შეიარაღებული მოქმედებების შეწყვეტისა და კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისაკენ მეომარ მხარეებს მოუწოდა ვიეტნამმაც.⁶

რაც შეეხება უფრო მახლობელ ევროპულ ქვეყნებს, საინტერესოა ესპანეთის პოზიცია, რომლის საგარეო საქმეთა მინისტრმა კონფლიქტის ოლიმპიური თამაშების პერიოდში დაწყების გამო დიდი მწუხარება გამოთქვა და ევროკავშირს მოუწოდა მიემართა ორივე დაპირისპირებული მხარისათვის, რათა ამ უკანასკნელთ შეეწყვიტათ სამხედრო მოქმედებები და დიპლომატიური ხერხებით გადაწყვიტათ უთანხმოება.¹ გაერ-

¹ Pope calls for halt to fighting over South Ossetia. იხ.: <http://www.reuters.com/article/2008/08/10/us-pope-georgia-idUSLA48146720080810>.

² Conflito na Ossétia do Sul. იხ.: http://web.archive.org/web/20080828024708/http://www.mre.gov.br/portugues/imprensa/nota_detalhe3.asp?ID_RELEASE=5733.

³ Yfirlýsing vegna ástandsins í Suðúr-Ossetíu. იხ.: <http://web.archive.org/web/20080818093309/http://www.utanrikisraduneyti.is/frettaefni/frettati lkynningar/nr/4397>.

⁴ 南オセチア情勢の激化について. იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო. იხ.: http://www.mofa.go.jp/mofaj/press/danwa/20/dga_0808.html.

⁵ Hostilities and loss of life in South Ossetia. იხ.: <http://www.beehive.govt.nz/release/hostilities-and-loss-life-south-ossetia>.

⁶ Vietnam Supports Peaceful Settlement in South Ossetia, Abkhazia. იხ.: <http://english.cri.cn/2947/2008/08/28/1821s399870.htm>.

¹ Moratinos considera «lamentable» que georgianos y rusos incumplan la tregua olímpica. იხ.: <http://www.abc.es/20080809/internacional-europa/moratinos-considera-lamentable-georgianos-200808091918.html>.

თიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მდივანმა დევიდ მილი-ბენდმა შეიარაღებულ კონფლიქტზე პასუხისმგებლობა რუსეთისა და საქართველოს მხარეებს დააკისრა და ხაზი გაუსვა აუცილებლობას საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ.¹ საინტერესოა საფრანგეთის პოზიცია. სანამ საფრანგეთის პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი თბილისსა და მოსკოვს შორის „ომის დამასრულებელი“ ექვსპუნქტიანი გეგმის შედგენისათვის იღვწოდა, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარდ კუშნერი აღნიშნავდა: „*ნუ გვკითხავთ ვინ არის კარგი და ვინ ცუდი ამ კონფლიქტში, ჩვენ არ უნდა შევუდგეთ არავის განსჯას. ომის შეჩერება! სწორედ ამით ვართ ჩვენ დაინტერესებულნი*“.²

ე.წ. „სამხრეთ ოსეთში“ მიმდინარე კონფლიქტზე ევროპული ქვეყნების პოზიციების დაცვის მზადყოფნა გამოთქვა ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ივაილო კალფინმა.³ აღნიშნული კონფლიქტის მიმართ ევროკავშირისა და NATO-ს პოზიციებისადმი სრული სოლიდარობა, ცეცხლის შეწყვეტისა და კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების აუცილებლობა დადასტურა საბერძნეთმაც, რომელმაც უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული ჰუმანიტარული დახმარებაც გაუწია რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის იძულებით გადაადგილებულ პირებს, მათ შორის 100 000 ევროს ფულადი დახმარების სახით.¹

კონფლიქტში დამნაშავე მხარეებს შორის ერთი დამნაშავის ძიებას არ ემხრობოდა სლოვაკეთის პრემიერ მინისტრი რობერტ ფიკო, რომელმაც საკმაოდ მკვეთრად დააფიქსირა

¹ Foreign Secretary deplors continued fighting in Georgia (09/08/2008). იხ.: <http://web.archive.org/web/20080828024606/http://www.fco.gov.uk/resources/en/press-release/2008/august/georgia-statement-080809>.

² Ian Trainor. Six days that broke one country and reshaped the world order. იხ.: <http://www.theguardian.com/world/2008/aug/16/georgia.russia1>.

³ Калфин: България е за силна европейска позиция за Южна Осетия. იხ.: http://news.ibox.bg/news/id_980367452.

¹ FM Bakoyannis on Caucasus crisis. იხ.: <http://web.archive.org/web/20080818124148/http://www.ana-mpa.gr/anaweb/user/showplain?maindoc=6724583&maindocimg=5510375&service=6>.

თავისი აზრი და კონფლიქტის ერთ-ერთ წამომწყებ მხარედ საქართველო დაასახელა. ფიკოს აზრით, სწორედ საქართველოს ქმედებებს მოჰყვა რუსეთის მხრიდან სრულმასშტაბიანი სამხედრო აგრესია, რომელსაც ასევე დაუშვებლად მიიჩნევს და რომლის აღსაკვეთადაც პრემიერ მინისტრი კონფლიქტის ორივე მონაწილე მხარეს, მოლაპარაკებათა მაგიდასთან დასხდომისკენ მოუწოდებს.¹

საინტერესოა სერბეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ვუკ იერემიჩის განცხადება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომთან დაკავშირებით. იერემიჩი ხაზს უსვამს კოსოვოს პრეცედენტის მნიშვნელობას აღნიშნულ კონფლიქტში და აქვე დასძენს იმ საფრთხის შესახებ, რაც გამოიწვია სამხედრო ძალით კონფლიქტის მოგვარების მცდელობამ.²

საკუთარ რეგიონულ-პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურებოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სომხეთისა და თურქეთის მიერ დაფიქსირებული ნეიტრალური პოზიციები. თურქეთის შემთხვევაში, როგორც ქვეყნის პრემიერ მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა განაცხადა, რუსეთ-საქართველოს ომი საფრთხის შემცველია, რადგან თურქეთი უშუალოდ ემეზობლება საქართველოს. სწორედ ამიტომ ერდოღანი მოუწოდებდა როგორც რუსეთის, ასევე საქართველოს ლიდერებს, რათა შეწყვეტილიყო საომარი მოქმედებები საქართველოში.¹ საინტერესოა, რომ ამავე პერიოდში შედგა სატელეფონო საუბარი თურქეთის პრეზიდენტს აბდულა გიულისა და რუსეთის იმ დროინდელ პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს შორის, რომელშიც ქვეყნის პირველმა პირებმა ისაუბრეს იმ ზომების მიღების აუცილებლობის შესახებ, რაც რეგიონში

¹ Slovak Prime Minister Knows Who Provoked this War in the Caucasus. იხ.: <http://hn.hnonline.sk/news-212/slovak-prime-minister-knows-who-provoked-this-war-in-the-caucasus-295103>.

² Rat u Gruziji inspirisan Kosovom. იხ.: <http://www.blic.rs/vesti/svet/rat-u-gruziji-inspirisan-kosovom/bllb70p>.

¹ Turkey urges cease-fire in South Ossetia. იხ.: <http://www.jpost.com/International/Turkey-urges-cesses-fire-in-South-Ossetia>.

სიმშვიდისა და უსაფრთხოების გარანტი იქნება.¹

სომხეთის შეშფოთება საქართველოში 2008 წლის აგვისტოში დაწყებული ომით, დიდწილად გამოიწვია ქვეყნის სტრატეგიულ-პარტნიორულმა ინტერესმა რუსეთის მიმართ, რისთვისაც ჩვენი სამხრეთელი მეზობლებისთვის საქართველოს სტაბილურად და უსაფრთხოდ ყოფნა ძვირად უღირთ. სწორედ ამ ინტერესებით იყო გამოწვეული სომხეთის საგარეო საქმეთა უწყების განცხადება, რომელშიც გამოხატული საომარი მოქმედებების შეწყვეტისა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარების იმედი.²

სომხეთისა და თურქეთისაგან განსხვავებით, რომელთაც რუსეთ-საქართველოს ომი, ტერიტორიული სიახლოვიდან გამომდინარე, პირდაპირ ეხებოდა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის ამ ომს ერთგვარი ირიბი მნიშვნელობა ჰქონდა საკუთარ სეპარატისტულ რეგიონთან მიმართებაში. საუბარია ტიბეტის რეგიონზე. ჩინეთის მიერ რუსეთის ღიად მხარდაჭერა, ერთგვარად იმის მანიშნებელიც იქნებოდა, რომ ჩინეთი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დამოუკიდებლობასაც უჭერს მხარს, რაც, რა თქმა უნდა, ყურადღების მიღმა არ დარჩებოდა ტიბეტის მოსახლეობას, რომელიც თავის მხრივ იღვწის ჩინეთისაგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ნათელი ხდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიერ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისადმი გამოხატული სამხედრო მოქმედებების შეწყვეტისა და კონფლიქტის მშვიდობიანი მეთოდებით მოგვარების ინიციატივა.¹

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისადმი არაერთგვა-

¹ Dmitry Medvedev had a telephone conversation with President of Turkey Abdullah Gul. იხ.: <http://archive.kremlin.ru/eng/text/news/2008/08/205277.shtml>.

² Armenia Concerned about South Ossetia Fighting. იხ.: <http://www.armenialiberty.org/content/article/1596713.html>.

¹ Foreign Ministry Spokesperson Qin Gang's Remarks on the Conflicts in South Ossetia. იხ.: <http://www.china-un.org/eng/fyrth/t464558.htm>.

როვანი სამთავრობო პოზიციის დამფიქსირებელ ქვეყანათა რიცხვს მიეკუთვნება ჩეხეთის რესპუბლიკა. მათ ამ დამოკიდებულებას რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის მიმართ ნათელს ჰფენს ჯერ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაჟღერებული ნოტა, რომელშიც გამოკვეთილი იყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მნიშვნელობა, რუსეთს კი ბრალი ედებოდა მათ შელახვაში, მაშინ როდესაც ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერი მილოსლავ ვლჩეკი, პირიქით, საქართველოს პრეზიდენტსა და ქართულ მხარეს სდებდა ბრალს საომარი მოქმედებების დაწყებაში. რაც შეეხება ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ვაცლავ კლაუსს, იგი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს მსხვერპლად, ხოლო რუსეთის აგრესორად ცალსახა შერაცხვას. მსგავსი მიდგომა კლაუსს მოვლენებისადმი ზედმეტი უბრალოებით მიდგომად მიაჩნდა. პრეზიდენტი ხაზს უსვამდა, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომს, მაგრამ ამავე დროს არ იზიარებდა პოლონეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების პოზიციას იმის შესახებ, რომ საქართველო დაუყოვნებლივ უნდა ყოფილიყო მიღებული ნატოში. კლაუსის აზრით, ეს მხოლოდ დაძაბავდა ისედაც დაძაბულ მდგომარეობას. ჩეხეთის პრეზიდენტი ასევე ეწინააღმდეგებოდა რუსეთ-საქართველოს ომის პარალელების გავლებას 1968 წლის პრალის მოვლენებთან და ამბობდა, რომ მაშინ ჩეხოსლოვაკიას არ შეუტევია რუთენიის მხარისთვის და ალექსანდრე დუბჩეკიც არ ჰგავდა მიხეილ სააკაშვილს არც სიტყვით და არც საქმით.¹ კლაუსის ამგვარი პოზიციის მიზეზი ცხადი გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ თავად ჩეხეთში არსებობს გარკვეული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პრეზიდენტს აქტიურ კავშირები ჰქონდა რუსულ ფინანსებთან. არსებობს ვერსია, რომ კლაუსი გარკვეული, ჯაშუშური საქმიან-

¹ Czech political scene split over Georgia. იხ.: <http://www.radio.cz/en/section/curraffrs/czech-political-scene-split-over-georgia>.

ობისათვის ფინანსდებოდა „ლუკოილისგან“.¹ აქედან გამომდინარე არავითარ გაკვირვებას არ იწვევს მის მიერ გამოთქმული აზრი და დაფიქსირებული პოზიცია რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომთან მიმართებაში.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომზე გაკეთებული განცხადებებისა და გამოხმაურებების ავტორ ქვეყანათა შორის შევხვდებით იმ ქვეყნებსაც, რომელთაც, საკუთარი პოლიტიკური ინტერესების გამო, აღნიშნულ კონფლიქტში ღიად დააფიქსირეს რუსეთისადმი მხარდაჭერა. ასეთი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნებიან იტალია, ბელარუსი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, კუბა, ნიკარაგუა, სირია, ირანი და ვენესუელა. ცალკე აღნიშვნის ღირსია გერმანიის ყოფილი კანცლერის გერჰარდ შრიოდერის ღიად გამოხატული პრორუსული პოზიცია, რომელსაც ჩვენ ქვემოთ მიმოვიხილავთ.

პირველ რიგში, აღსანიშნავია ბელარუსის პრეზიდენტის ალექსანდრ ლუკაშენკოს პოზიცია, რომელიც მან რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული აგრესიის შესახებ დააფიქსირა 2008 წელს. „*რუსეთი მოიქცა მშვიდად, ბრძნულად და ლამაზად*“, – განაცხადა ლუკაშენკომ დიმიტრი მედვედევთან შეხვედრისას სოჭში 2008 წელს. ბელორუსიის პირველი პირი კმაყოფილებას გამოთქვამდა ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ რეგიონში რუსეთის მიერ „მშვიდობის დამყარებით“.² ლუკაშენკოს ზემოაღნიშნული გამოხმაურება წინააღმდეგობაში მოდის მის მიერ 2015 წლის 23-24 აპრილს თბილისში ვიზიტისას გაკეთებულ განცხადებასთან: „*მე, ჩემდა სამარცხვინოდ, არ ვარ ნამყოფი თბილისში და ფაქტობრივად, არც საქართველოში, გარდა სოხუმისა*“,¹ რითაც ბელარუსის ლიდერმა ფაქტობრი-

¹ Lidové noviny reveals the scale of Moscow's influence and intelligence gathering in the Czech Republic. იხ.: <http://www.praguepost.com/the-big-story/39055-russian-spies-target-czech-republic>.

² Belarus leader applauds Russian response to South Ossetia crisis. იხ.: <http://sputniknews.com/world/20080819/116132622.html>.

¹ „მე, ჩემდა სამარცხვინოდ, არ ვარ ნამყოფი თბილისში და ფაქტობრივად, არც საქართველოში, გარდა სოხუმისა“. იხ.: <http://news.ge/ge/>

ვად საქართველო უწოდა სოხუმს, ეს კი შესაძლებელია მივიჩნიოთ მის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის ჟესტად. გარდა ამისა, ლუკაშენკომ თბილისში ვიზიტისას, გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი ვაკის პარკში¹ და საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი, გმირთა მოედანზე.² აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ გმირთა მემორიალზე ამოტვიფრულია არა ერთი და ორი ქართველი ჯარისკაცის სახელი, რომლებიც რუსული არმიის მიერ იქნენ მოკლული, იმ რუსული არმიის მიერ, რომელიც კრემლის დავალებით მოქმედებდა 2008 წელს საქართველოს წინააღმდეგ. ამ დავალებას კი, თავის დროზე, ლუკაშენკომ, როგორც ვხედავთ, „მშვიდი, ბრძნული და ლამაზი“ უწოდა. ამგვარად, ბელორუსიის პრეზიდენტი მეტად საინტერესო ფენომენს წარმოადგენს საკუთარი საგარეოპოლიტიკური თვალსაწიერით, რომელიც გამომდინარე მის მიერ 2015 წლის აპრილში საქართველოში გაკეთებული განცხადებებიდან, როგორც ჩანს, ცვლილებას განიცდის. მართალია, 2008 წელს ლუკაშენკო სიტყვებით მკვეთრად იცავდა რუსულ პოზიციებს, თუმცა საქმით, როგორც გამოჩნდა, ამ პოზიციების გამზიარებელი არ ყოფილა.

აღნიშნული ომის მიმართ მეტად საინტერესო და ზემოაღნიშნული ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა იტალიამ. კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების აუცილებლობის ხაზგასმასთან ერთად, 2008 წელს იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკო ფრატინიმ გა-

news/story/132063-me-chemda-samartskhvinod-ar-var-namyofi-tbilisshi-dafaqtobrivad-arts-saqartveloshi-garda-sokhumisa.

¹ აღექსანდრე ლუკაშენკომ, შვილთან ერთად, ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინით შეამკო. იხ.: <http://news.ge/ge/news/story/132053-aleqsandre-lukashenkom-shviltan-ertad-vakis-parkshi-utsnobi-jariskatsis-saflavi-gvirgvinit-sheamko>.

² აღექსანდრე ლუკაშენკომ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო. იხ.: <http://news.ge/ge/news/story/132083-aleqsandre-lukashenkom-gmirta-memoriali-gvirgvinit-sheamko>.

ნაცხადა: „იტალიას სჯერა, რომ შეუძლებელია რუსეთის წინააღმდეგ შეიქმნას ევროპული კოალიცია და ამ საკითხში ჩვენ ახლოს ვართ პუტინის პოზიციასთან“.¹ იმავე პერიოდში, იტალიის პრემიერ მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ, ქართული სამხედრო ნაწილების მიერ ცხინვალზე დაწყებულ სამხედრო მოქმედებებს უწოდა „პროვოკაცია“, რამაც რუსეთის შემდგომი მოქმედებები გამოიწვია.² იტალიის აღნიშნული ოფიციალური პოზიცია მეტწილად განპირობებულია ჯერ კიდევ სსრკ-ს დაშლის შემდეგ რუსეთისა და იტალიის მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობებით, იტალიის დამოკიდებულებით რუსულ გაზსა და ნავთობზე. ამას ემატება თავად ბერლუსკონისა და პუტინის ახლო პიროვნული დამოკიდებულება, რასაც, საბოლოო ჯამში, მივყავართ იტალიის ზემოაღნიშნულ პოზიციამდე რუსეთ-საქართველოს ომთან მიმართებაში. როგორც ვხედავთ, იტალიამ დაგმო სამხედრო მოქმედებები, თუმცა მკვეთრად გაუსვა ხაზი იმას, რომ რუსეთის წინააღმდეგ ევროპული ქვეყნების გამოსვლა ყოველად დაუშვებელია. იტალიის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესაფერისია გლაზგოს უნივერსიტეტის პროფესორის მაურიციო კარბონეს სტატიის სათაური: იტალია – რუსეთის ტროას ცხენი ევროპაში?³

პრორუსული ორიენტაციით გამოირჩეოდა ოფიციალური ჰავანა ქვეყნის პირველი პირის რაულ კასტროს მეთაურობით. განცხადებაში ნათქვამია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ ანექსირებულ იქნა საქართველოს მიერ, ერისა, რომელიც ოსებთან არც საერთო ისტორიას იყოფდა და არც კულტურას და რომელიც საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სახით შედიოდა. 2008 წლის 8 აგვისტოს კი, აშშ-ს მთავრობის ხელშეწყობით, საქართველომ „სამხრეთ ოსეთზე“ შეტევა განახორციელა. „სიცრუეა იმის მტკიცება, რომ საქართველო იცავს საკუთარ ეროვნულ სუვე-

¹ Maurizio Carbone. Russia's Trojan Horse in Europe? Italy and the War in Georgia. Italian Politics. Vol.24. Governing Fear (2008), გვ. 141.

² Maurizio Carbone. Russia's Trojan Horse in Europe? გვ. 143.

³ Maurizio Carbone. Russia's Trojan Horse in Europe? გვ. 135-151.

რენიტეტს“.¹ როგორც ვხედავთ, ოფიციალური კუბა ტრადიციულ ანტიამერიკულ რიტორიკას იცავს და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც არ ღალატობს საკუთარ პრორუსულ ორიენტაციას. შედეგად, აკეთებს რა მცირე „ისტორიულ წინაღვლას“ საქართველოს 90-იანი წლების ისტორიაში, საქართველოს წარმოაჩენს აგრესორად. გამომდინარე კუბის პოლიტიკური ორიენტაციიდან, აღნიშნული განცხადება ვრცელ კომენტარს არ საჭიროებს, ისევე როგორც არც ოფიციალური ვენესუელას პოზიცია, იმ დროისათვის, ჯერ კიდევ უგო ჩავესით სათავეში, რომელმაც რუსეთის მოქმედებას, საქართველოს წინააღმდეგ საერთაშორისო წესრიგის დაცვით მოქმედება უწოდა, რის მიზანსაც „სამხრეთ ოსეთისა“ და რუსეთის მოქალაქეების დაცვა წარმოადგენდა. ჩავესის თქმით, ვენესუელაც მსგავსად მოიქცეოდა, ვინმეს რომ გაეხედა და თავს დასხმოდა მას.² ამგვარად, როგორც ვხედავთ, ვენესუელა და მისი მაშინდელი პირველი პირი ცხინვალის რეგიონს რუსეთის ნაწილად აღიქვამდნენ, რაც ნათლად აჩვენებს იმას, რომ მათ ბოლომდე სჯეროდათ რუსეთის მიერ საქართველოში შეთხზული „პოლიტიკური ზღაპრისა“.

პირველი ქვეყანა, რომელმაც 2008 წლის 26 აგვისტოს, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დამოუკიდებლობა აღიარა, იყო ნიკარაგუა და მისი პირველი პირი – პრეზიდენტი დანიელ ორტეგა. 2008 წლის 5 სექტემბერს ნიკარაგუის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ რეგიონები მოხსენიებულია ნიკარაგუის – და – სახელმწიფოებად, გამოთქმულია მტკიცე მხარდაჭერა რუსეთის ფედერაციისადმი, რომელმაც თავისუფლება „მიანიჭა“ საქართველოს ორ ტერიტორიულ

¹ Official Statement from the Government of Cuba. იხ.: <http://web.archive.org/web/20080915213525/http://www.radioangulo.cu/english/diarioingles/2008/8-august/110808/official.htm>.

² Gobierno celebra pasos a favor de la paz en conflicto en Georgia. იხ.: <http://web.archive.org/web/20080820115315/http://www.unionradio.com.ve/Noticias/Noticia.aspx?noticiaid=250964>.

ერთეულს.¹

ზემოაღნიშნულ ქვეყნებთან ერთად, რუსეთის პოლიტიკას საქართველოში 2008 წელს მხარი დაუჭირა ახლო აღმოსავლეთის ორმა სახელმწიფომ – ირანმა და სირიამ.

რუსეთს კავკასიაში მშვიდობის გარანტიად მიიჩნევადა სირიის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი, რომელმაც 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით განაცხადა: „იმ სიტუაციაში, როდესაც საქართველომ დაიწყო ომი, რუსეთის პოზიცია, რომელიც ისტორიულად კავკასიაში მშვიდობის გარანტს წარმოადგენდა, სავსებით სწორი იყო“.² ასადის განცხადებაზე საუბრისას უნდა გავითვალისწინოთ მისი პოლიტიკური ინტერესები მოსკოვის მიმართ, რომელიც, ისევე როგორც დამასკო, აშშ-ს ნაწილების გაყვანას მოითხოვდა და მოითხოვს ახლო აღმოსავლეთის რეგიონიდან.

სირიის მსგავსად, ზოგადად ანტიდასავლურ პოლიტიკურ ქრილში განიხილავს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომს ირანიც, რომლის საგარეო საქმეთა სამინისტროც „აგვისტოს ომის“ შესახებ საუბრისას დასძენს, რომ დაძაბულ ურთიერთობას რუსეთსა და აშშ-ს შორის 2008 წელს გადაეჯაჭვა საქართველოს მიერ განხორციელებული სამხედრო აგრესია, რასაც რუსეთის საპასუხო რეაქცია მოჰყვა – განაცხადა ირანის პირველმა დიპლომატმა მანუჩეჰრ მოტაკიმ, რომელმაც ასევე დასძინა, რომ ოფიციალური თეირანი, რა თქმა უნდა კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარების მომხრეა.¹

2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ აგრესიაში სამართლებრივად სწორ ნაბიჯს,

¹ Nicaragua recognizes South Ossetia, Abkhazia. იხ.: <http://web.archive.org/web/20080921002700/http://ap.google.com/article/ALEqM5hkkDAW4UIUk6TLyFB0oyZPtGynBgD930NH580>.

² President Assad/ Russian Media Interviews (August 20-21, 2008). იხ.: http://www.presidentassad.net/index.php?option=com_content&view=article&id=141:president-assad-russian-media-interviews-august-20-21-2008&catid=100&Itemid=468.

¹ Iran warns US over Caucasus crisis. იხ.: <http://edition.presstv.ir/detail/67562.html>.

ზემოაღნიშნული ქვეყნების ლიდერებთან ერთად, ხედავდა გერმანიის ყოფილი კანცლერი – გერჰარდ შრიოდერი. ყოველკვირეული გამოცემის „შპიგელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში იგი ამბობდა, რომ რუსეთ-საქართველოს ომი დაიწყო საქართველოს ცხინვალზე შეტევით. გარდა ამისა, შრიოდერი რუსეთის პოლიტიკაში ვერ ხედავდა ანექსიის ვერანაირ ნიშნებს და ვერც საფრთხეს დასავლეთისთვის: „დასავლეთში არსებობს ცრუ წარმოდგენა რუსეთის შესახებ, რომელსაც არაფერი აქვს საერთო რეალობასთან“.¹ ამასთან ერთად, შეკითხვაზე, აისახებოდა თუ არა უარყოფითად რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი გერმანულ-რუსულ ურთიერთობებზე, შრიოდერი პასუხობდა, რომ იგი საამისო მიზეზს ვერ ხედავდა: „ვისურვებდი მეხილა უფრო მეტი და არა ნაკლები რუსული ინვესტიციები გერმანულ ეკონომიკაში“.² შრიოდერი პირდაპირ ამბობდა, რომ საქართველოს გამო რუსულ-გერმანული პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები არ უნდა გაფუჭებულიყო და ასევე დასძინდა, რომ სრულიად ეთანხმებოდა ბუქარესტის სამიტის გადანყვეტილებას, რის მიხედვითაც საქართველო MAP-ის გარეშე დარჩა: „წარმოდგინეთ, ჩვენ რომ მოგვნოდა სამხედრო ჩარევა საქართველოს მხარეს ...საქართველომ და უკრაინამ ჯერ საკუთარი შიდა პრობლემები უნდა მოაგვარონ, რისგანაც ჯერაც ისევ შორს არიან“.¹

ამგვარად, როგორც ვხედავთ, შრიოდერი ამოდის წმინდა პრაგმატული Realpolitik-იდან, როდესაც საუბრობს იმაზე, რომ გერმანია-რუსეთის ურთიერთობა დამყარებულია ეკონომიკურ და პოლიტიკურ სარგებელზე და ამ სარგებლის გაცვლა კონფრონტაციაში, საქართველოს გამო, გერმანიას ნამდვილად არ უღირს. ერთის მხრივ, ეს გადანყვეტილება თავად გერმანიისათვის საკმაოდ პრაგმატულია, თუმცა აქვე უნდა აღვნიშ-

¹ SPIEGEL Interview with Gerhard Schröder: 'Serious Mistakes by the West'. იხ.: <http://www.spiegel.de/international/world/spiegel-interview-with-gerhard-schroeder-serious-mistakes-by-the-west-a-572686.html>.

² SPIEGEL Interview with Gerhard Schröder: 'Serious Mistakes by the West'...

¹ SPIEGEL Interview with Gerhard Schröder: 'Serious Mistakes by the West'...

ნოთ ისიც, რომ მოსკოვს სწორედ ზემოაღნიშნული ქვეყნების ამგვარ პოლიტიკაზე აქვს გათვლა, როდესაც ამა თუ იმ საგარეოპოლიტიკურ ქმედებას მიმართავს და თუკი არცერთმა ქვეყანამ არ შეცვალა რუსეთთან ორმხრივ პოლიტიკურ-სამხედრო თუ ეკონომიკურ მოგებაზე დამყარებული პოლიტიკა, თუნდაც საქართველოს მსგავსი ერთი ქვეყნის სუვერენიტეტის გამო, რუსულ პოლიტიკას ვერაფერი შეაჩერებს და ის ევრაზიული პოლიტიკაც, რომელსაც ასე ესწრაფვის კრემლი, სრულიად განხორციელებადი აღმოჩნდება. როგორც შრიოდერმა აღნიშნა 2008 წელს, იგი ვერანაირ საფრთხეს ვერ ხედავდა დასავლეთისთვის რუსეთის სახით. ის, რომ შრიოდერი (და არა მარტო ის) არასწორად აფასებდა რუსეთის პოლიტიკას, ნათელი ხდება 2013 წლიდან რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული ჩარევით, რაც დასავლეთისათვის ნამდვილად საფრთხეს წარმოადგენს. საფუძველი კი ამ მოვლენებს, ღრმად გვწამს, რომ სწორედ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა ჩაუყარა.

ამგვარად, შეჯერების სახით უნდა ითქვას, რომ ზემოაღნიშნული, რუსეთის პოზიციების გამზიარებელი ქვეყნები თავის შეხედულებებს სწორედ რუსეთთან დაკავშირებული პოლიტიკური, სამხედრო თუ ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე აყალიბებენ. ეს ინტერესები კი მათი ისტორიული და თანამედროვე ურთიერთობების ზედაპირზე დევს. აღნიშნული ინტერესების ერთიან და ზოგად კონტექსტში მოსაქცევად, უნდა ითქვას, რომ აქ ადგილი აქვს ორ დიდ ბანაკს – დასავლეთის ინტერესების გამტარებელ ქვეყნებსა და რუსული ინტერესების გამტარებელ ქვეყნებს შორის დაპისპირებას, რომელსაც ადგილი აქვს ფაქტობრივად ყველა იმ გარესახელმწიფოებრივ მოვლენაში, რომელიც რუსეთსა და აშშ-ს და მათ მოკავშირებს შორის ხდება და მათ ეხება. ასევე იყო 2008 წელსაც. საქართველო ამ დროისათვის აღიქმებოდა დასავლეთის პარტნიორად, ეს კი უკვე საკმარისი იყო საიმისოდ, რომ რუსეთის და მისი ინტერესების გამტარებელი ქვეყნები საქართველოს, როგორც დასავლური ინტერესების გამტარებელი სახელმწიფოს, წინააღმდეგ ამხედრებულიყვნენ.

2008 წელს, რუსული აგრესიის დაგმობისა და საქართველოს ტერიტორიული სუვერენიტეტის დაცვის გამომხატველი ქვეყნების ჩამონათვალი ასეთია: უკრაინა, აზერბაიჯანი, ავსტრალია, ავსტრია, კანადა, დანია, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, უნგრეთი, ირლანდია, ისრაელი, კოსოვო, ნორვეგია, პოლონეთი, რუმინეთი, შვედეთი და აშშ.

უკრაინაში 2008 წელს პრეზიდენტის პოსტი ეკავა ვიქტორ იუშჩენკოს, ხოლო ქვეყნის პრემიერ მინისტრის თანამდებობაზე კი იულია ტიმოშენკო იმყოფებოდა. ამასთან ერთად, ქვეყანაში გავლენიან ძალას წარმოადგენდა რეგიონების პარტია, რომლის ლიდერიც შემდგომში უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი იყო. ქვეყნის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო 2008 წლის 12 აგვისტოს ეწვია თბილისს და თავისუფლების მოედანზე შეკრებილ ქართველ ხალხს მიმართა სიტყვით, რომელშიც გამოხატული იყო საქართველოს სუვერენიტეტისადმი სრული მხარდაჭერა.¹ თავის მხრივ, უკრაინის პრემიერ მინისტრმა იულია ტიმოშენკომ განაცხადა, რომ მოქმედება სიტყვებზე უკეთ მეტყველებს და 2008 წლის აგვისტოში საქართველოში გამოგზავნა სპეციალური წარმომადგენელი გრიგორი ნემირია. ტიმოშენკოს თქმით, მნიშვნელოვანი იყო „ადგილზე ყოფნა“ და საქართველოს სუვერენიტეტის მხარდასაჭერად, ჩვენი ქვეყნისათვის „დახმარების ხელის განწვევა“.¹

იუშჩენკოსა და ტიმოშენკოსაგან მკვეთრად განსხვავებული პოზიცია შეიმჩნეოდა ვიქტორ იანუკოვიჩის შეხედულებებში, რომელიც იმთავითვე ქვეყანაში პრორუსული ინტერესების გამტარებლად გვევლინებოდა და 2008 წლის 26 აგვისტოს, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ აცხადებდა: „ეს

¹ Виступ Президента України Віктора Ющенка на центральному майдані Тбілісі на підтримку грузинського суверенітету. იხ.: <http://web.archive.org/web/20080817120123/http://www.president.gov.ua/news/10927.html>.

¹ Tymoshenko: Ukraine stands in solidarity with Georgia. იხ.: http://web.archive.org/web/20080818120338/http://www.ibyut.com/index_files/517.html.

არის პროცესის ლოგიკური გაგრძელება, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა დასავლეთის ქვეყნების მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისას... საჭიროა მოქმედება ორმაგი სტანდარტების გარეშე, საჭიროა მოქმედება ისე, როგორც მოიქცა დასავლეთი კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების პრეცედენტთან დაკავშირებით¹. აღნიშნული აზრთა ურთიერთსაპირისპირო სხვადასხვაობის მიზეზი უნდა ვეძებოთ იმ დროისათვის უკრაინაში არსებული პოლიტიკური ვითარებით. უკრაინის რადაში ამ დროისათვის ორი დაპირისპირებული პოზიცია არსებობდა, რომელთაგან პირველი პროდასავლურ მიმართულებას ქადაგებდა, ხოლო მეორე – პრორუსულს. აღნიშნული პრობლემა ამ პერიოდში საკმაოდ მწვავედ იდგა, რამაც მოგვიანებით უკრაინულ პოლიტიკაში მთელი რიგი სირთულეები გამოიწვია, რომელმაც თანამედროვე მსოფლიო რუსეთის მიერ უკრაინის ფაქტობრივად ორად გაყოფამდე მიიყვანა. ამგვარად, 2008 წელს უკრაინაში შექმნილი შიდაპოლიტიკური ვითარების გამო, ქვეყნის პოლიტიკურ ელიტაში არ არსებობდა ერთიანი აზრი საქართველოსა და რუსეთს შორის მომხდარი კონფლიქტის გარშემო.

საგულისხმოა, რომ სამხრეთ კავკასიის ერთადერთი ქვეყანა, რომელმაც ღიად დაგმო რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ და საქართველოს სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას გაუსვა ხაზი, იყო აზერბაიჯანი. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზარ იბრაჰიმოვი განაცხადა: „საქართველოს მოქმედებები თანხმობაში მოდიოდა საერთაშორისო კანონმდებლობასთან“¹. აღნიშნული პოზიცია, რა თქმა უნდა, დიდწილად გამომდინარეობს აზერბაიჯანის დამოკიდებულებიდან რუსეთთან, რომელიც, თავის მხრივ, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში სომხეთს უჭერს მხარს.

¹ Янукович: Украина должна поддерживать независимость кавказских республик. *იხ.*: http://www.gazeta.ru/news/lenta/2008/08/26/n_1262897.shtml.

¹ Azerbaijani Foreign Ministry: "Georgia's actions comply with international law". *იხ.*: <http://today.az/news/politics/46850.html>.

რუსეთის აგრესიას გამოხდა ასევე ოფიციალური ვენა. ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი ურსულა პლასნიკის თქმით, რუსეთის შეტევის გაგრძელების შემთხვევაში ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობა შეიცვლებოდა.¹

უალრესად საინტერესოდ მიგვაჩნია კოსოვოს პრეზიდენტის ფატმირ სეიდუს განცხადება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან მიმართებაში, სადაც იგი ამბობს, რომ კოსოვოს მაგალითი რუსეთს არ გამოადგება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად, რადგან „კოსოვოს გააჩნია საკუთარი სპეციალური მახასიათებლები. ის არ შეიძლება გამოყენებულ იქნას პრეცედენტად სხვა კონფლიქტური ზონებისა თუ რეგიონებისთვის“. სეიდიუ დასძენდა, რომ კოსოვოს უნიკალურობას დიდწილად ის ფაქტორიც განაპირობებდა, რომ მის მხარეს იყვნენ მსოფლიოს დიდი ძალები.² ამგვარად, შესაძლოა, კოსოვოს პრეზიდენტი პირდაპირ არ უთითებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვასა და სუვერენიტეტის ხელშეუხებლობაზე, მაგრამ მის მიერ საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე თქმული ფაქტი, რომ კოსოვოს მაგალითით ხელმძღვანელობა არ შეიძლება, რადგან კოსოვოში სხვა პოლიტიკური ვითარება იყო შექმნილი, პირდაპირ თუ არა, ირიბად მაინც მიუთითებს რუსეთის არალეგიტიმურ საქციელზე საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში. სხვა საკითხია, თუ როგორ მოხდა თავად კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება, რაც თავის მხრივ, განხილვის ცალკე თემას წარმოადგენს და რაზეც რუმინეთის პრეზიდენტმა ტრაიან ბესესკუმ, 2008 წელს რუსეთ-საქართველოს ომზე საუბრისას, საკმაოდ სამართლიანად შენიშნა, რომ კოსოვოში უმცირესობათა უფლებების დაცვისას ხელყოფილ იქნა სახელმწიფოს მთლიანობა. ბესესკუს თქმით, იგივე მდგომარეობა იყო 2008

¹ Plassnik demands Russian ceasefire. იხ.: http://www.wienerzeitung.at/nachrichten/english_news/77291_Plassnik-demands-Russian-ceasefire.html.

² “Kosovo nije Osetija i Abhazija”. იხ.: http://www.b92.net/info/vesti/index.php?yyyy=2008&mm=08&dd=27&nav_id=315576.

ნლის ზაფხულში კავკასიაშიც: „მე არ მჯერა კოსოვოს გადან-
ყვეტილების უნიკალურობისა. ყველა ისინი, ვინც კოსოვოს
დამოუკიდებლობა აღიარეს იქ მოსახლე უმცირესობის გამო,
რომელიც თავად კოსოვოში უმრავლესობას წარმოადგენდა,
ვერაფრით დააჯერებენ ვერავის, რომ ეს გადანყვეტილება
მიღებულ იქნა საერთაშორისო სამართალზე დაფუძნებით“.
საკუთარ განცხადებაში ბესესკუ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ
არცერთ სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობაზე ღირე-
ბული და წმინდა არაფერი გააჩნია არაფერი.¹

ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობას ხუმრობა
უნოდა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტ-
მა 2008 წლის ომის შეფასებისას: „ჩვენ ვსაუბრობთ კონტრა-
ბანდისტული სამოთხის 60 000 მცხოვრებზე, რომლებიც რუ-
სეთიდან ფინანსდებიან. ვერავინ აღიქვამს მას როგორც და-
მოუკიდებელ სახელმწიფოს“. ამასთან ერთად, ბილდტი ასევე
ხაზს უსვამდა რუსეთის როლს 2008 წელს რუსეთ-საქართვე-
ლოს ომის დაწყებაში და ამბობდა, რომ ქართულმა ნაწილებმა
7 აგვისტოს ღამით სამხედრო მანევრის გაკეთებაც ვერ მოას-
წრეს იმდენად მასიური და ძლიერი იყო რუსული 58-ე არმიის
შეტევა საქართველოს ტერიტორიაზე.¹

საქართველოს ტერიტორიულ სუვერენიტეტს ხაზი გა-
უსვა და კონფლიქტის დიპლომატიური მეთოდებით მოგვარე-
ბისაკენ ომის მონაწილე მხარეებს მოუწოდა დანიის იმდროინ-
დელმა პრემიერ მინისტრმა ანდერს ფოგ რასმუსენმა,² რო-
მელმაც მოგვიანებით ნატოს მე-12 გენერალური მდივნის
პოსტი დაიკავა 2009-2014 წლებში. საგულისხმოა, რომ სწო-

¹ Duty of a state is to preserve its territorial integrity, says Traian Basescu. იხ.: <http://web.archive.org/web/20080819210843/http://coe.mae.ro/index.php?lang=en&id=31&s=70829>.

¹ Kremlin warned decision could backfire. By John Thornhill and David Ibi-
son. August 28, 2008. იხ.: <http://www.ft.com/intl/cms/s/7a311a18-7497-11dd-bc91-0000779fd18c>.

² Fogh støtter Georgien. იხ.: <http://www.dr.dk/nyheder/politik/fogh-stoetter-georgien>.

რედ რასმუსენის გენერალური მდივნის თანამდებობაზე ყოფნის დროს იხილა ევროპამ და ნატომ რუსეთის მიერ 2008 წელს საქართველოში დაწყებული პოლიტიკის გაგრძელება, ამჯერად უკრაინაში.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, დიდი იყო იმ ქვეყანათა რაოდენობა, რომელიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს უჭერდა მხარს 2008 წელს, მაგრამ მიუხედავად ამ ქვეყნების მიერ გამოთქმული მხარდაჭერისა, საერთოევროპული პოზიციისა და პოლიტიკის შეცვლა რუსეთის მიმართ ვერ მოხერხდა სწორედ ჩვენს მიერ ზემოთ მიმოხილული პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესების გამო, რომელიც გადამწყვეტი გამოდგა, როგორც 2008 წელს საქართველოსთვის, ისევე 2013 წლიდან დღემდე უკრაინისთვის.

§2. საერთაშორისო ორგანიზაციათა გამომხაურება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომზე

რუსეთ-საქართველოს ომს ფართო გამომხაურება მოჰყვა საერთაშორისო ორგანიზაციათა მასშტაბით, რომელთაგან ნაწილს ჩვენ აღნიშნული ნაშრომში უკვე შევეხეთ. ამ ქვეთავში ვისაუბრებთ ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიციებზე რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომთან დაკავშირებით, როგორც არის ამნისტიის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია (Amnesty International), კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაცია, შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია, საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია კარიტასი (Caritas Internationalis), წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო). დასასრულ ასევე ორი სიტყვით შევეხებით იმ მდგომარეობას, რომელშიც აღმოჩნდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომთან მიმართებაში.

დასაწყისისათვის, აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ

ორგანიზაციათა პოზიცია შესაძლებელია პირობითად სამ ნაწილად დავყოთ: 1. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საქართველოს მიერ გაჩაღების შეხედულების გამზიარებელი ორგანიზაციები; 2. ჰუმანიტარულ დახმარებაზე ორიენტირებული და შესაბამისად კონფლიქტისადმი ნეიტრალური დამოკიდებულების მქონე საერთაშორისო ორგანიზაციები და 3. ორგანიზაციები, რომელნიც მკვეთრად გამოხატა რუსულ აგრესიას საქართველოში და შესაბამისად ანტირუსულ საფუძვლებზე დგანან.

საკუთარ, 69-გვერდიან დასკვნაში, ამნისტიის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც 1961 წელს დაარსდა ლონდონში და რომლის მოღვაწეობის ფოკუსს წარმოადგენს ადამიანის უფლებები,¹ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დამნაშავედ მიიჩნევს, როგორც რუსულ, ასევე ქართულ და ე.წ. „სამხრეთ ოსურ“ მხარეს. ორგანიზაცია საკუთარ დასკვნაში აღნიშნავს, რომ ომის მონაწილე სამივე მხარემ დაარღვია ადამიანის უფლებები და აქედან გამომდინარე საომარ მოქმედებებზე პასუხისმგებლობა, ორგანიზაციის დასკვნის მიხედვით ეკისრება ომის მონაწილე სამივე მხარეს.¹

იმავე ანტიქართულ პოზიციებზე დგას კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაცია, რომელიც 1992 წლის 15 მაისს შეიქმნა და რომლის შემადგენლობაშიც 1999 წლამდე იმყოფებოდა საქართველოც. აღნიშნული ორგანიზაციის წევრები არიან: სომხეთი, ბელორუსია, ყაზახეთი, ყირგიზეთი, რუსეთი, ტაჯიკეთი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ორგანიზაცია პოლიტიკურ-სამხედრო ხასიათს ატარებს და ფაქტობრივად შეიქმნა ისევ და ისევ კრემლის ევრაზიული ინტერესების განსამტკიცებლად.² 2008 წლის 4 სექტემბერს, ორგანიზაციის წევრების შეკრების შემდეგ, რუსეთის საგარეო

¹ Amnesty International. იხ.: <https://www.amnesty.org/en/who-we-are>.

¹ Georgia/Russia: Civilians in the Line of Fire: The Georgia-Russia Conflict. By AI International Secretariat, 18 November 2008, გვ. 61.

² კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია. იხ.: <http://www.odkb-csto.org>.

საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ კოლექტიური უსაფრთხოების შეთანხმების ორგანიზაციის წევრებმა მკვეთრი მხარდაჭერა გამოხატეს რუსეთის მიმართ კავკასიაში მომხდარი მოვლენების გამო.¹ აღნიშნულს, რა თქმა უნდა, კომენტირება არ სჭირდება, რადგან ზემოაღნიშნული ორგანიზაციის მოწყობის მიზნებიდან და პრინციპებიდან გამომდინარე, ნათელი ეფინება ამ ორგანიზაციის პოზიციასაც რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომში.

პრურუსული ორიენტაციის მქონე ორგანიზაციების შეხედულებათა მიმოხილვის შემდეგ, საინტერესოა, შევხვით შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის პოზიციას რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შესახებ, რამაც იმავე 2008 წელს კრემლი საკმაოდ გაანბილა. აღნიშნული ორგანიზაცია წარმოადგენს რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც ჩინეთის, რუსეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთისა და უზბეკეთის ქვეყნების ლიდერების მიერ დაარსდა 2001 წლის 15 ივნისს.¹ ზოგადად ამ ორგანიზაციის დამოკიდებულების შესახებ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომისადმი უნდა ითქვას, რომ ნევრმა სახელმწიფოებმა, ჩინეთის გამოკლებით, პოზიტიურად შეაფასეს რუსეთის მიერ „მშვიდობისმყოფელის“ როლი საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში 2008 წელს,² ხოლო, რაც შეეხება ჩინეთის პოზიციას, ჩვენ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი და კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ ჩინეთის პოზიცია რუსეთ-საქართველოს 2008 წლის დეტალებზე საუბრისგან თავის შეკავებისა,³

¹ Russia & security partners agree on South Ossetia. იხ.: <http://web.archive.org/web/20080905161046/http://www.russiatoday.com/news/news/29930>.

² შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია. იხ.: <http://www.sectso.org/EN123/brief.asp>.

³ SCO leaders say no int'l problems can be solved by merely using force. იხ.: http://news.xinhuanet.com/english/2008-08/28/content_9730813.htm.

³ Foreign Ministry Spokesperson Qin Gang's Remarks on the Conflicts in South Ossetia. იხ.: <http://www.china-un.org/eng/fyrth/t464558.htm>.

საკუთარ სეპარატისტულ რეგიონებში ვითარების დაძაბვის შიშით იყო განპირობებული.

ნეიტრალური და სრულიად აპოლიტიკური იყო ისეთი ჰუმანიტარული მისიის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიციები, როგორც არის საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია კარიტასი, რომელიც ჯერ კიდევ 1897 წელს დაარსდა და დღემდე მოქმედებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით.¹ აღნიშნულმა ორგანიზაციამ ომის მონაწილე მხარეებს მშვიდობისაკენ მოუწოდა და მთელი რიგი ჰუმანიტარული დახმარება გაუწია კონფლიქტში დაზარალებულ ადამიანებს საკვებითა თუ სამედიცინო მედიკამენტებით.² მსგავსი პოზიცია დააფიქსირა წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა, რომელიც, თავისი არსით, ჰუმანიტარულ ორგანიზაციას წარმოადგენს და დაარსებულია შორეულ 1863 წელს.¹ ორგანიზაციამ 15 ტონის ოდენობის სამედიცინო მედიკამენტების დახმარება გაუწია კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონში მაცხოვრებელ მოსახლეობას. ამასთან ერთად კი, რა თქმა უნდა, მოუწოდა კონფლიქტის მონაწილე მხარეებს სამხედრო მოქმედებების შეწყვეტისა და მშვიდობის დამყარებისაკენ.²

რაც შეეხება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გამოხმაურებას რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომზე, იგი ასე უღერდა: *„ნატოს გენერალური მდივანი იაპ დე ჰოოპ სხეფერი სერიოზულად არის შეშფოთებული იმ მოვლენებით, რომელთაც ადგილი აქვს სამხრეთ ოსეთის ქართულ რეგიონში. მან განაცხადა, რომ ალიანსი ფეხდაფეხ მიჰყვება შექმნილ ვითარებას. გენერალური მდივანი მოუწოდებს ყველა მხარეს სამ-*

¹ კარიტასი. იხ.: <http://www.caritas.org/who-we-are/history/>.

² Caritas responds to conflict in Georgia. იხ.: <http://news.trust.org/item/20080818130000-2h4tv/?source=search>.

¹ International Committee of the Red Cross. იხ.: <https://www.icrc.org/en/who-we-are/history>.

² Georgia: ICRC to send humanitarian assistance to conflict area. იხ.: <https://www.icrc.org/eng/resources/documents/news-release/2009-and-earlier/georgia-news-110808.htm>.

ხედრო დაპირისპირების შეწყვეტისა და პირდაპირი დიალოგების დაწყებისაკენ“.¹ ამგვარი იყო NATO-ს ოფიციალური გამომხატველობა რუსეთ-საქართველოს ომისადმი. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გენერალური მდივნის მიერ აღნიშნული განცხადების გაკეთების დროისათვის საქართველოში ომი უკვე დაწყებული იყო და ალიანსს უკვე მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა აღარ შეეძლო მიმდინარე პროცესში. მიგვაჩნია, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსისათვის სამოქმედოდ ყველაზე ხელსაყრელ მომენტს წარმოადგენდა 2008 წლის გაზაფხულსა და ზაფხულის პირველ თვეებში, ბერლინ-პლიუსის შეთანხმების საფუძველზე, კოორდინირებული მოქმედება ევროკავშირთან ერთად, რაც, როგორც ვიცით, საშუალებას მისცემდა ევროკავშირს საკუთარი სამშვიდობო ოპერაცია ეწარმოებინა ნატოს სამხედრო ბერკეტების გამოყენებით.¹ სწორედ ამაში მდგომარეობდა თავის დროზე პოლონეთის პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის იდეაც, რომელიც, საბოლოო ჯამში, განუხორციელებელი დარჩა, რადგან ჩრდილოატლანტიკური ალიანსისგან არ იყო შესაბამისი მზაობა და სურვილი აღნიშნული მოქმედებისათვის.

დასასრულს, მოკლედ შევეხოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დამოკიდებულებას რუსეთ-საქართველოს 2008 წლის კონფლიქტისადმი. ამასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას, რომ გაერო, ერთგვარად, თავისივე პრინციპების ალყაში მოექცა, რამაც საბოლოოდ ორგანიზაციისათვის შემბოჭველი ფაქტორის როლი შეასრულა. ჩვენი აზრით, ამგვარ ფაქტორთაგან უმთავრესს წარმოადგენს ორმაგი სტანდარტები, რომელთაც აღნიშნული ორგანიზაციის მასშტაბით ადგილი ჰქონდა კოსოვოსთან მიმართებაში. ერთა თვითგამორკვევის უფლებების მოშველიებით ქვეყნის სუვერენიტეტის შელახვის პრეცედენტის დაშვება, – სწორედ ეს წარმოადგენდა ნატოს შეც-

¹ Statement by the NATO Secretary General on events in South Ossetia. იხ.: <http://www.nato.int/docu/pr/2008/p08-100e.html>.

¹ ბერლინ-პლიუსის შეთანხმება. იხ.: http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2004_2009/documents/dv/berlinplus_/berlinplus_en.pdf.

დომას 2008 წლის 17 თებერვალს, როდესაც კოსოვოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. ამ მოვლენიდან ერთი წელიც არ გასულა, როდესაც რუსეთის ფედერაციამ გაერო საკუთარი ორმაგი სტანდარტების პოლიტიკის გამო „დასაჯა“ საქართველოში ომით. საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიაც ჩამოვიდა, კონფლიქტის შემდგომ, მშვიდობის დამყარების პროცესზე დასაკვირვებლად,¹ ამ მოქმედებებს არანაირი შემაკავებელი ფაქტორის როლი არ შეუსრულებია კრემლისათვის, რადგან კრემლმა საკუთარი ნამონყებული ომიც მოიგო და საკუთარი ჩაფიქრებული დიპლომატიური სვლაც ბოლომდე შეასრულა 2008 წლის 26 აგვისტოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების დამოუკიდებლობის გამოცხადებით.

2016 წლის დასაწყისში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ, რომელიც, თავის მხრივ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემადგენელ სტრუქტურულ ნაწილს წარმოადგენს, გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უახლოეს მომავალში იგეგმება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის დროს ჩადენილი სამხედრო დანაშაულებების გამოძიება. დღევანდელ რეალობაში, საერთაშორისო სასამართლოს აღნიშნული გადანწყვეტილება საქართველოსთვის მხოლოდ და მხოლოდ სასარგებლო ნაბიჯად უნდა ჩავთვალოთ და ვიქონიოთ იმედი იმისა, რომ აღნიშნული გამოძიების დასკვნა უფრო ობიექტური იქნება, ვიდრე ე.წ. „ტალიავინის კომისიის“ შუალედური დასკვნა, რადგან დღეისათვის მსოფლიო პოლიტიკაში განსხვავებული რეალობაა, რაც დიდწილად უკრაინის მოვლენებით არის განპირობებული. უკრაინის პრეცედენტი კი, თავის მხრივ, მრავალი ქვეყნისთვის იმის დასტურია, რომ 2008 წელს ყველა შესაძლო ბერკეტის გამოყენებით უნდა მომხდარიყო საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილი

¹ United Nations Security Council. Resolution 1866 (2009). Adopted by the Security Council at its 6082nd meeting, on 13 February 2009. იხ.: <http://www.securitycouncilreport.org/atf/cf/%7B65BFFF9B-6D27-4E9F-8FD3-FF6E4FF96FF9%7D/Georgia%20SRES1866.pdf>.

რუსული არმიის შეჩერება.

საინტერესოა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ, ვებგვერდზე განთავსებული პრეს-კომუნიკეს თანახმად, ზემოაღნიშნული სამხედრო დანაშაული გამოძიებულ იქნება არა 7-12 აგვისტოს პერიოდის, არამედ 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე დროის მონაკვეთის ჩათვლით.¹ გარდა ამისა, პრეს-კომუნიკეში ხაზგასმულია ის ზარალი, რაც ომის შედეგად მიაღდა ცხინვალის რეგიონის ქართულ სოფლებს და ქართველ მოსახლეობას და რაც საერთაშორისო სასამართლოს გამოძიების ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს.¹ ქართული მხარისათვის მიყენებული ზარალის გამოძიების ფოკუსში მოქცევა კრემლს ყურადღების მიღმა არ დარჩენია. 2016 წლის 2 თებერვალს, რუსეთის საგამომძიებლო კომიტეტის თავმჯდომარემ ალექსანდრ ბასტრიკინმა, საერთაშორისო სასამართლოს პრეს-კომუნიკე „გაკრიტიკა“ და განაცხადა, რომ ჰააგის სასამართლო ცდილობს 2008 წლის მოვლენები „თავდაყირა დააყენოს“.² ამას მოჰყვა კრემლის ოფიციალური განცხადება იმის შესახებ, რომ რუსეთი არ აპირებს თანამშრომლობას საერთაშორისო სასამართლოსთან რუსეთ-საქართველოს 2008 წლის სამხედრო დანაშაულებების გამოძიების საქმეში, რადგანაც რუსეთის ფედერაციას არ მოუხდენია რომის სტატუტის რატიფიცირება.³ კრემლის აღნიშნული პოზიციიდან შესაძლებელია მხოლოდ

¹ ICC Pre-Trial Chamber I authorises the Prosecutor to open an investigation into the situation in Georgia. Press Release: 27/01/2016. იხ.: https://www.icc-cpi.int/en_menus/icc/press%20and%20media/press%20releases/Pages/pr1183.aspx.

¹ International Criminal Court authorises Russia-Georgia war crimes investigation. იხ.: <http://agenda.ge/news/51356/eng>.

² Бастрыкин: МУС перевернул события в Цхинвале в 2008 году с ног на голову. იხ.: <http://www.vesti.ru/doc.html?id=2715592&cid=7>.

³ Россия не будет сотрудничать с Международным Уголовным Судом в расследовании войны 2008 года. იხ.: <http://www.golos-ameriki.ru/content/russia-georgia-war/3173599.html>.

ერთი დასკვნის გაკეთება – მოსკოვი ერიდება საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობას იმის გამო, რომ თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა საქართველოს მოსახლეობის მიმართ რუსული არმიის მიერ ჩადენილ საერთაშორისო სისხლის სამართლის დანაშაულზე. ზემოაღნიშნული განცხადებით მოსკოვი მხოლოდ და მხოლოდ ადასტურებს საკუთარ დანაშაულს, რომელიც 2008 წლის ომში მიუძღვის.

ასეთია ოფიციალური ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შესახებ გაკეთებული ოფიციალური განცხადებებისა და გამოხმაურებების მიმოხილვა. დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ ჩვენი აზრით, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომისადმი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციათა დამოკიდებულება განსაზღვრა მათმა პოლიტიკურმა ორიენტირმა. ფაქტორმა, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ – „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“, რაც ძალიან კარგად გამოჩნდა ჩვენს ზემოაღნიშნულ მიმოხილვაში.

„აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“ ფაქტორის რაობას უკეთ ჩავწვდებით, თუ გავითვალისწინებთ ჩვენს მიერ ზემოთ უკვე ნახსენებ შეხედულებას თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის შესახებ, რომელშიც ჩვენ ვხედავთ ორ უზარმაზარ ბანაკს: ერთ მხარეს აშშ-სა და ევროპისა ქვეყნების, ხოლო მეორე მხარეს – რუსეთისა და მისი ევრაზიული ინტერესების გამზიარებელი ქვეყნების განლაგებით, რომლებიც არათუ საქართველოში მომხდარი ომის მსგავს შემთხვევებში, არამედ ნებისმიერ მცირე თუ დიდი მნიშვნელობის მქონე პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სამხედრო ასპექტებს იყენებენ ერთმანეთთან დასაპირისპირებლად. ამ პროცესს ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ ედვარდ ლუკასისეული „ახალი ცივი ომი“, რადგან ცივი ომის სხვა არაფერია, თუ არა სწორედ ის, რაზეც ჩვენ ზემოთ ვსაუბრობდით.

ამგვარად „ახალი ცივი ომის“ პირობებში, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შესახებ, მსოფლიოს სხვადასხვა

ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეაქცია, გარდა ჩვენ მიერ დასახელებული მცირე (ნეიტრალური) გამო-
ნაკლისებისა, ძირითადად ორ ბანაკად იყოფა: პროდასავლურ
– შესაბამისად აღნიშნულ კონფლიქტში საქართველოს ტერი-
ტორიული სუვერენიტეტის მხარდამჭერ და პრორუსულ – რუ-
სეთის აგრესიული პოლიტიკის მხარდამჭერ შეხედულებებად.
ასეთია „ახალი ცივი ომის“ პრინციპები, რომელსაც ვერსად
გავექცევით.

დასკვნა

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი დღეისათვის, როგორც საქართველოს ასევე მსოფლიო პოლიტიკის ცხელ, მტკივნეულ და აქტუალურ თემას წარმოადგენს. საქართველოს პოლიტიკური რეგიონების შიდაპოლიტიკური სტატუსის ცალმხრივად შეცვლასთან ერთად, ამ ომმა დაანახა მთელს მსოფლიოს, თუ რა შეიძლება მოიტანოს XIX საუკუნის იმპერიული სტანდარტების XXI საუკუნეში გამოყენებამ და აღნიშნულ პრეცედენტზე სათანადო საერთაშორისო რეაქციის არქონამ.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის „ხუთდღიანი ომის“ შესახებ ქართული და ინგლისურენოვანი ლიტერატურის მიმოხილვამ გამოკვეთა თანამედროვე საქართველოსა და მსოფლიოში არსებული აზრები და შეხედულებები რუსეთ-საქართველოს ომის შესახებ. ეს შეხედულებები განსხვავებულია როგორც ერთმანეთისგან, ისევე ხშირად კრემლის შეხედულებებისგანაც. რაც შეეხება თავად რუსულენოვან ლიტერატურას, რა თქმა უნდა, ამ ენაზე არსებული ლიტერატურის გამოუყენებლობა აღნიშნულ საკითხზე მუშაობისას ფაქტობრივად წარმოუდგენელია და ჩვენც, შესაბამისად რუსეთ-საქართველოს ომისა და ზოგადად საქართველოს კონფლიქტური რეგიონების შესახებ „კრემლის ავტორების“ ნაშრომებიც მიმოვიხილეთ, თუმცა განსხვავებით ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ლიტერატურისაგან, არ მოგვიხდენია მათი მიმოხილვის ცალკე თავად ან ქვეთავად გამოყოფა, დავკმაყოფილდით მხოლოდ ამა თუ იმ ავტორის შეხედულებების განხილვით სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე. მსგავსი მიდგომა განაპირობა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომსა და ზოგადად რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე რუსულ ენაზე უზარმაზარი რაოდენობის ლიტერატურის არსებობამ, რომლის დამუშავებასაც ჩვენი აზრით, ცალკე ნაშრომი სჭირდება.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის ქართულ და ინგ-

ლისურენოვან ლიტერატურაში შესწავლის კონკრეტული ტენდენციების გამოსაკვეთად და დასკვნების გასაკეთებლად უპირიანი იქნება აღნიშნული მასალის მოქცევა კვლევით ჯგუფებში.

12 ქართულენოვანი წიგნი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შესახებ შეგვიძლია დავყოთ შემდეგ ოთხ კვლევით ჯგუფად: **პირველ ჯგუფში** თავი მოვუყარეთ ნაშრომებს, რომელთაც აქვთ მცდელობა საკითხის მეტნაკლებად ობიექტური, ანალიტიკური მიმოხილვისა (მერი გაბედავას „რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. 2008 წელი“; ნარგიზა გამისონიასა და დოდო პერტაიას „რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები“; დაზმირ ჯოჯუას „რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები“; „ომი სამართალი მშვიდობა“ ნინო ციხისთავის რედაქტორებით; გელა გელაშვილის „2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება“; შოთა მალაშხიას „კონფლიქტების ანატომია“; დოდო პერტაიას „აგვისტოს ომის შემდეგ: კრიზისული დიპლომატია და „საქართველოს საკითხი“ გლობალურ პოლიტიკაში“; დიმიტრი შველიძის „გზა დასავლეთისაკენ (პუბლიკაციების კრებული)“; ელგუჯა მამუკელაშვილის „ცივი აგვისტო. წიგნი პირველი – აფხაზეთი (1992-1993)“ და „ცივი აგვისტო. (ასი უპასუხო კითხვა). წიგნი მეორე – ცხინვალი (2008წ.)“); **მეორე ჯგუფში** გავაერთიანეთ ძლიერი სუბიექტურ-პოლიტიკური მუხტის მქონე ნაშრომები (პეტრე მამრაძეს „ავანტიურა 08.08.08“; ალექსანდრე დაუშვილის „ფიცი მწამს – ბოლო მაკვირვებს!.. რონალდ დ. ასმუსის წიგნის: „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა“ (თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010,) გამოცემის გამო.); **მესამე ჯგუფს** მივაკუთვნეთ ნაშრომი, რომელიც კონკრეტულ მიზნად ისახავს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის სამხედრო ასპექტების მიმოხილვას (გიორგი ყარყარაშვილის „ეს ჩვენი სამშობლო იწვის“).

პირველი კვლევითი ჯგუფის ნაშრომები რუსეთ-საქარ-

თველოს 2008 წლის ომის შესახებ, წარმოადგენს იმ ძირითად ხაზს, რის მიხედვითაც თანამედროვე ქართულ მეცნიერებაში ხდება ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესწავლა. ბუნებრივია, ნებისმიერი ავტორი გარკვეული სუბიექტური გავლენის ქვეშ ექცევა ისეთ მნიშვნელოვან და პრობლემატურ საკითხზე მუშაობისას, როგორც არის რუსეთ-საქართველოს ბოლო ომი, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ პირველ კვლევით ჯგუფში მოქცეულ ნაშრომთა ძლიერ მხარეს წარმოადგენს ის ანალიტიკური მუხტი, რომლის დახმარებითაც ეს ავტორები პრობლემატიკის ობიექტური გაშუქების მისიას მეტნაკლები წარმატებით ართმევენ თავს. დასკვნის სახით, ამ ჯგუფის წიგნების შესახებ უნდა ითქვას, რომ საკითხით დაინტერესებული მკითხველისთვის ისინი მეტად სასარგებლო ინფორმაციულ წყაროს წარმოადგენენ.

საკითხის კვლევის სიახლიდან, სიმწვავიდან და პოლიტიკური მუხტიდან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ შეუძლებელია რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომზე შეიქმნას სრულიად ობიექტური ნაშრომი, წიგნი, რომელშიც ავტორი იოტისოდენადაც არ წარმოაჩენს სიმპათიას საქართველოს რომელიმე მთავრობის მიმართ. ეს მომენტი თავს იჩენს მით უფრო მაშინ, როდესაც საუბარია ქართველ ავტორებზე. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, პეტრე მამრადისა და ალექსანდრე დაუშვილის ნაშრომები წარმოადგენენ პოლიტიკური სუბიექტურობის აპოთეოზს. ორივე ავტორთან ვხვდებით სააკაშვილის მთავრობის არათუ კრიტიკას, არამედ უფრო მეტად ზიზღს, რომელიც მათი ნაშრომების ყოველ გვერდზე აშკარად ჩანს. სწორედ ამ ფაქტორის გამო ძნელია აღნიშნულ ავტორთა ნაშრომების მეცნიერული შეფასება.

მესამე კვლევით ჯგუფში ვაქცევთ ნაშრომს, რომელიც დღეისათვის ქართულ სივრცეში წიგნის სახით გამოცემულ ნაშრომთაგან წარმოადგენს ერთადერთს, რომელშიც მიმოხილულია რუსეთ-საქართველოს ომის კონკრეტული სამხედრო ასპექტები. წიგნი ყურადღებას იქცევს თავად ავტორის კომპეტენტურობით. გენერალ-მაიორი გიორგი ყარყარაშვილი სა-

კუთარ წიგნში დეტალურად მიმოიხილავს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის სამხედრო მოქმედებებს და ძირითადად აკრიტიკებს სააკაშვილის ხელისუფლებას ამ ომში განხორციელებული სამხედრო მოქმედებების გამო. ნაშრომი ღირებულია და ჯეროვან ყურადღებას იმსახურებს, რადგან განსხვავებით ზემო აღნიშნული არაერთი წიგნისგან, გაცილებით მეტი ობიექტური, პროფესიონალური არგუმენტირებულობით გამოირჩევა. წიგნი საინტერესო წყაროს წარმოადგენს რუსეთ-საქართველოს საომარი მოქმედებების ანალიზით დაინტერესებული მკითხველისთვის.

რაც შეეხება ინგლისურენოვან ლიტერატურას რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შესახებ, უნდა ითქვას, რომ წიგნად გამოცემული 18 ინგლისურენოვანი ნაშრომის შესაჯერებლად, აღნიშნული მასალა შეგვიძლია დავყოთ სამ კვლევით ჯგუფად: **პირველ ჯგუფში** არიან ნეიტრალური პოლიტიკური პოზიციის მქონე ავტორები, რომელთა ნაშრომებსაც ძირითადად მიმოიხილვითი ხასიათი აქვს („2008 წლის აგვისტოს ქვემეხები. რუსეთის ომი საქართველოში“. სვანტე ე. კორნელისა და ფრედერიკ სტარის რედაქტორობით; ჰოომან პეიმანის „კონფლიქტი და უსაფრთხოება ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში“; მარსელ დე ჰაასის „რუსეთის 21-ე საუკუნის საგარეო პოლიტიკა. პუტინი მედვედევი და მათ მიღმა“; თომას დე ვალის „კავკასია. შესავალი“; „საქართველო და კავკასიის რეგიონი“ ფრან ჰაროს რედაქტორობით; „კონფლიქტი კავკასიაში. გავლენა საერთაშორისო სამართლებრივ წესრიგზე“ ჯეიმს გრინისა და კრისტოფერ უოტერსის რედაქტორობით; „დიდ ძალათა არასწორი მმართველობა. რუსეთ-საქართველოს ომი და მისი მნიშვნელობა გლობალური პოლიტიკური წესრიგისათვის“ ალექსანდრ ასტროვის რედაქტორობით; „რუსული სამხედრო საქმე და ომი საქართველოში. გაკვეთილები და მნიშვნელობა“ არიელ კოენისა და რობერტ ე. ჰამილტონის რედაქტორობით; ისკრა კიროვას „სახალხო დიპლომატია და კონფლიქტის გადაწყვეტა: რუსეთი, საქართველო და ევროკავშირი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში“; მარი

მენდრასის „რუსული პოლიტიკა. სუსტი სახელმწიფოს პარადოქსი“; „კონფლიქტი ყოფილ სსრკ-ში“ მეთიუ სასექსის რედაქტორობით; „საქართველოს საგარეო პოლიტიკა. მტკიცე უსაფრთხოების ძიებაში“ კორნელი კაკაჩიასა და მაიკლ სესინის რედაქტორობით; ესმირა ჯაფაროვას „კონფლიქტი სამხრეთ კავკასიაში. საერთაშორისო ძალისხმევის გამოწვევები“); **მეორე ჯგუფში** გავაერთიანეთ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შესახებ მკვეთრად დასავლური და მეტნაკლებად ქართული პოზიციებიდან შესრულებული ნაშრომები (რონალდ ასმუსის „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა. საქართველო, რუსეთი და დასავლეთის მომავალი“; კონდოლიზა რაისის „უდიდესი პატივი. ვაშინგტონში გატარებული წლების მემუარები“; სტივენ ჯონსის „საქართველო. პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ“); **მესამე ჯგუფში** კი თავი მოვუყარეთ რუსული პოზიციების დამცველი და გამტარებელი ავტორების ნაშრომებს (დმიტრი ტრენინის „პოსტიმპერიუმ. ევრაზიული ამბავი“; ჯოზეფ ლოურენს ბლეკის „დემიტრი მედვედევის რუსული პრეზიდენტობა 2008-2012. ნაბიჯი წინ თუ უბრალოდ შესვენება?“).

პირველ ჯგუფში გაერთიანებული ნაშრომების ძირითად მახასიათებელ შტრიხად გვევლინება მათი პოლიტიკურად მეტნაკლებად ნეიტრალური პოზიცია და მიმოხილვითი ხასიათი. ზემოაღნიშნული ჩამონათვალის მიხედვით, ნათლად ჩანს თუ რამდენად აქტუალურია რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში და რამდენად დიდი ადგილი უჭირავს აღნიშნული ომის ნეიტრალურ მიმოხილვას მსოფლიოს მეცნიერთა შრომებში. ჩამოთვლილ ნაშრომთა ძლიერ მხარედ უდავოდ უნდა დასახელდეს ავტორთა მიერ ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევის მეთოდი, რის მიხედვითაც საქმე გვაქვს რუსეთ-საქართველოს ომის მრავალმხრივი, მეტნაკლებად ობიექტური შესწავლის მცდელობასთან. რაც შეეხება ჩამოთვლილ ნაშრომთა სუსტ მხარეებს, აქ თავს იჩენს ქართულ მასალაზე არასაკმარისი წვდომის მომენტი, რაც, თავის მხრივ, ზემოაღნიშნულ ნაშრომთა მეცნიერულ ნაკლს

წარმოადგენს. საბოლოო ჯამში, უნდა ითქვას, რომ ჩვენს მიერ პირველ კატეგორიაში მოქცეული წიგნები საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის საკმაოდ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს და ჯეროვანი ყურადღების ღირსია.

მეორე ჯგუფის წიგნები წარმოადგენენ ნათელ ილუსტრაციას იმისა, თუ რამდენად ძლიერია ინგლისურენოვან ავტორებში რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის მკვეთრი დასავლური პოზიციებიდან განხილვის მუხტი. აღნიშნული დამოკიდებულება მეტად საყურადღებოა საკითხით დაინტერესებული მკითხველთა ფართო წრისათვის და გამოიხატება რუსულ-ქართულ კონფლიქტში, საქართველოს, როგორც აგრესიის მსხვერპლი მხარის ბოლომდე არ (თუ ვერ) წარმოჩენაში. ამასთან ერთად, უნდა ვიყოთ ობიექტურები და ვალიართ, რომ სტივენ ჯონსის წიგნი, ჩვენს მიერ მეორე ჯგუფში გაერთიანებულ წიგნებს შორის, წარმოადგენს ერთადერთ ნაშრომს, რომელშიც ვერ ვხვდებით იმ ნაკლს, რაც ფაქტობრივად თითქმის ყველა ინგლისურენოვან ავტორთან გვხვდება, კერძოდ, ქართულ მასალაზე არასაკმარის წვდომას. უნდა ითქვას, რომ სტივენ ჯონსი საკმაოდ კარგად ფლობს ქართულენოვან მასალას, რაც მის მიერ ქართული ენის ფლობითა და ქართული პოლიტიკური სივრცის კარგად შესწავლით არის განპირობებული.

მესამე ჯგუფის წიგნებზე (ისევე როგორც პირველი და მეორე ჯგუფის წიგნებზე) საკმაოდ ვრცელი კომენტარები გვაქვს მოცემული წინამდებარე ნაშრომის მეორე თავში. დასკვნის სახით, უნდა ითქვას, რომ რუსული პოზიციების დამცველ ინგლისურენოვან ავტორთა შრომები წარმოადგენენ თავად რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის მნიშვნელობის ხაზგასმას მსოფლიო პოლიტიკისათვის. აღნიშნული ნაშრომები, კიდევ ერთხელ, ცხადად უსვამენ ხაზს ორ ბანაკად გაყოფილ თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს კონფლიქტური რეგიონების მნიშვნელობას. ამ ჯგუფის წიგნებიდან ვიცავთ, რომ ინგლისურენოვან ავტორებშიც მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც თანამედროვე კრემლის იდეების აპოლო-

გეტებად გვევლინებიან. ვიგებთ ასევე იმას, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი არის საკითხი, რომლის შესახებაც თანამედროვე მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ვერასოდეს იარსებებს მხოლოდ ერთი პოზიცია, რადგან რაც უფრო აქტუალურია საკითხი მსოფლიო პოლიტიკური თვალსაზრისით, მით უფრო მეტი აზრი და პოზიცია არსებობს მის გარშემო.

ამგვარად, საკითხის შესახებ არსებული და ხელმისაწვდომი ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ლიტერატურის მიმოხილვამ, მრავალი შეხედულებისა და დასკვნის შეჯერების წყალობით მიგვიყვანა იმ აზრამდე, რომ:

1. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი დღეისათვის საკმაოდ მწვავე პოლიტიკურ საკითხს წარმოადგენს, როგორც საქართველოსთვის, ისევე მსოფლიოსთვის. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ქართულენოვან თუ ინგლისურენოვან ნაშრომში მოცემულ ავტორთა შეხედულებები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისაგან სწორედ ავტორთა პოლიტიკური შეხედულებების გამო განსხვავდება. თანამედროვე ქარულ სივრცეში რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომზე მსჯელობა ხშირად სწორედ პოლიტიკური პარტიისადმი მიკუთვნებულობითა და მსგავსი პოლიტიკური ინტერესების მიხედვით იცვლება, რაც, თავის მხრივ, ცუდიც არის და ამავე დროს გასაგებიც. ცუდი, რადგან ქვეყნის საგარეო პოლიტიკას მეცნიერული სიზუსტითა და დიპლომატიით ესაჭიროება მართვა და არა იმ პრინციპით, ერთი პარტია მოგვწონს თუ მეორე. შესაძლოა, ვიზიარებდეთ რომელიმე კონკრეტული პოლიტიკური ძალის ინტერესებს, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეგვიშალოს ფაქტების ობიექტურად აღქმაში. მეორეს მხრივ, საკითხისადმი ამგვარი სუბიექტური და ტენდენციური დამოკიდებულება განპირობებულია თავად საკითხის სიახლით – რუსეთ-საქართველოს უკანასკნელი ომი ხომ სულ რაღაც შვიდი წლის წინ მოხდა და ადამიანთა მეხსიერებაში ცოცხალია ომის საშინელებანი, მრავალმა ოჯახმა შვილი დაკარგა ომში, დაიღუპა მშვიდობიანი მოსახლეობა, გაჩნდნენ იძულებით გადაადგილებული პირები, რომელთა რაოდენობაც, საქართველოს

იუსტიციის სამინისტროს მონაცემებით, 2008 წელს 125 819 ადამიანს შეადგენდა.¹ ამ და კიდევ სხვა უამრავ საშინელ მოვლენათა ერთობლიობა საბოლოო ჯამში მეტად დიდი დაღს ასვამს ადამიანის გონებას, მსოფლმხედველობას, რითაც ის გარკვეულ ემოციურ საბურველში ეხვევა და სუბიექტური ხდება. ეს ბუნებრივი პროცესია და მას ვერსად წავევალთ.

2. ზემოთქმულიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შესახებ არსებული ლიტერატურა, მოითხოვს ობიექტურ მეცნიერულ კვლევას, რის დეფიციტსაც, სწორედ ჩვენ მიერ პირველ პუნქტში მოყვანილი ფაქტები და მოვლენები განაპირობებს. რა თქმა უნდა, წინამდებარე ნაშრომი შორს დგას იმ ამბიციისგან თითქოს იგი საკითხის ამგვარ – ობიექტურ – კვლევას წარმოადგენდეს, თუმცა, უნდა ითქვას, რომ გარკვეული მოკრძალებული წვლილი, საკითხის მეცნიერული კუთხით ინტერპრეტირების მცდელობაში აღნიშნულ ნაშრომს აქვს.

3. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შესახებ არსებული ქართული და ინგლისურენოვანი ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ, უნდა ითქვას, ასევე რომ ამ ორ ენაზე არსებული ლიტერატურა საკითხის შესახებ, ერთგვარ ბალანს სძენს გამოთქმულ მოსაზრებებსა და შეხედულებებს, რადგან, როგორც წესი, ქართველი ავტორები რუსეთ-საქართველოს ომზე საუბრისას, უმეტესწილად „შიგნიდან-გარეთ“ – პრინციპით ხელმძღვანელობენ, რაშიც ვგულისხმობთ საკითხის განხილვის დაწყებას შიდაპოლიტიკური ასპექტებიდან და შემდგომ მათ განზოგადებას და მსოფლიო პოლიტიკის ქრილში განხილვას. ეს ფაქტორი, ჩვენი აზრით სულაც არ წარმოადგენს აღნიშნული ლიტერატურის ნაკლს, პირიქით გვგონია, რომ ამ ფაქტს განაპირობებს ქართველ ავტორთა წვდომა თავად ქართულ მასალაზე, მაშინ როდესაც ინგლისურენოვან

¹ აგვისტოს ნანგრევებში. არასამთავრობო ორგანიზაციათა ანგარიში 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა დარღვევის შესახებ. თბილისი, 2009, გვ. xiii.

ავტორებს, ენობრივი ბარიერის გამო, ქართულ მასალაზე პირდაპირი წვდომა ხშირ შემთხვევაში არ აქვთ. აღნიშნული ავტორები ხშირად სწორედ იმ მასალის ნაკლებობას განიცდიან, რასაც საქართველოს მოსახლეობის ემოციური ფონი და საკითხისადმი დამოკიდებულება ეწოდება, რაც უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს ქვეყნისა და მისი მოსახლეობის პოზიციის შესაფასებლად. ჩვენი აზრით, სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებენ ინგლისურენოვანი ავტორების ნაშრომების – „გარედან – შიგნით“ მიმოხილვის პრინციპს, რის მიხედვითაც საკითხის მიმოხილვა იწყება მსოფლიო პოლიტიკაში მოვლენის როლის ხაზგასმოდან და შეძლებისდაგვარად ჩადის მოვლენის ქართულ მასშტაბებამდე. ჩვენი აზრით, სწორედ აღნიშნული ბალანსი სძენს ინტერესს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შესწავლას სწორედ ქართული და ინგლისურენოვანი ავტორების შრომების მიხედვით.

4. აუცილებლად ცალკე აღნიშვნისა და ხაზგასმის ღირსად მივიჩნევთ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის ჯერ ქართულ სივრცეში შესწავლას და ამ კვლევათა უცხოურ ენებზე თარგმნას, რადგან ვასკვნით, რომ ამ გზით კიდევ ერთხელ გავუმეორებთ ცივილიზებულ მსოფლიოს, რომ ჩვენ ვართ ერი, რომელშიც თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკურ მოვლენებზე საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს სამეცნიერო მუშაობა. გვგონია, რომ არასწორია მიდგომა – თითქოს 7 წლის წინ მომხდარ ომზე წერა არ შეიძლება ან „რა უნდა დაწერო?“ – ყველასთვის ცხადია, რომ მთელ რიგ დოკუმენტებზე წვდომას დრო სჭირდება, მაგრამ XXI საუკუნეში, რომელსაც ინფორმაციულ საუკუნედ მოიხსენიებენ, მონდომების შემთხვევაში, საკმარისი მასალის შეგროვება შეიძლება ამა თუ იმ საკითხის შესახებ, რომელიც თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საჭიროა სხვადასხვა უცხო ენის ცოდნა და ანალიტიკური ანალიზის უნარი, რაც საკითხისადმი ინდივიდუალურ დამოკიდებულებას გამოგვიმუშავებს და ინტერპრეტაციის ჩვენეულ კონცეფციას აგვაგებინებს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ

საკითხის მეცნიერული შესწავლაა საჭირო და ეს მით-უფრო იმის ფონზე, რომ საუბარია საქართველოსათვის ამგვარ მნიშვნელოვან და მტიკვენულ პრობლემაზე. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის საკითხებზე მეცნიერული მუშაობა არაფრით არის ადრე, პირიქით, აუცილებელია და ყველაფერ ზემოაღნიშნულთან ერთად კიდევ იმიტომ არის აუცილებელი, რომ მეცნიერული კვლევით ხელი უნდა შევუწყოთ საკითხის დეპოლიტიზირებას. მართალია ეს თითქმის წარმოუდგენლობამდე მისულ სირთულესთან არის დაკავშირებული, მაგრამ უნდა ვეცადოთ, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი გავიაზროთ არა როგორც „საკაპშვილის ომი“ ან „პუტინის ომი“ არამედ ამ პოლიტიკური კლიშეების ჩამოშორებით, მოვლენა უნდა განვიხილოთ ფართო გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ ქრილში, რითაც საკითხით დაინტერესებული საზოგადოების ფართო წრეს თავად საკითხზე შევახედებთ არა რომელიმე ვინრო – პოლიტიკური კუთხიდან, არამედ გაცილებით ფართო, გლობალური პოლიტიკის კუთხიდან, რომლის ნაწილსაც შეადგენს რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომზე არსებული ქართულ და ინგლისურენოვანი ლიტერატურის მიმოხილვის შესახებ გაკეთებული დასკვნის შემდეგ, შევაჯეროთ საკუთარი აზრი და პოზიცია თავად „ხუთდღიანი“ ომის მიმართ.

ომის გამომწვევ მიზეზებზე საუბრისას, ყველაზე მნიშვნელოვან და გადამწყვეტ ფაქტორად მივიჩნევთ არა პიროვნულ დონეზე არსებულ დაძაბულობებს, რომელსაც წლების მანძილზე ჰქონდა ადგილი ვლადიმირ პუტინსა და მიხეილ სააკაშვილს შორის, არამედ ზოგადად იმ ვითარებას, რომელიც შეიქმნა 1999 წელს ვლადიმირ პუტინის რუსეთის პრეზიდენტად გახდომისა და მისი თანამდევი რუსული პოლიტიკის ცვლილების შემდეგ. მეტად საყურადღებოა, რომ პუტინის მოსვლასთან ერთად რუსეთის ფედერაციის სახელმწიფოებრივ სისტემაში წინ წამოინია რუსეთის ევრაზიულობის იდეამ, რომელსაც თავისებური ინტერპრეტაცია მისცეს კრემლის

თანამედროვე მესვეურებმა, რის შედეგადაც ევრაზიულობის იდეა გახდა სხვა არაფერი, თუ არა ყველაფერი, რაც „ანტი-ჩრდილოატლანტიკური“, ანტიევროპული, ანტიამერიკულია – ამან საბოლოოდ გამოიწვია დასავლური სახელმწიფოებისა და რუსეთის და მისი ინტერესებისა და გავლენის სფეროში მყოფი ქვეყნების დაპირისპირება, რომელსაც ედვარდ ლუკასის მსგავსად შეგვიძლია ვუწოდოთ „ახალი ცივი ომი“. აღნიშნულ დაპირისპირებაში, დასავლეთისა და რუსეთის ინტერესების კვეთის წერტილად გვევლინება ევროპის აღმოსავლეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთის ქვეყნები, რომელნიც ტერიტორიულად დასავლეთ ევროპისა და რუსეთის მომიჯნავე ქვეყნების როლს ასრულებენ და ამასთან ერთად სწორედ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან და კერძოდ უკრაინიდან გაედინება რუსული ენერგორესურსი – გაზის სახით – დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. შესაბამისად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, რუსეთისათვის სტრატეგიულ-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. ამგვარ ინტერესებს კი კრემლი რა თქმა უნდა ვერ დათმობს.

რაც შეეხება საქართველოს, ჩვენი ქვეყანა სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ სახელმწიფოს წარმოადგენს, რომელიც შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარეობის გარდა, მნიშვნელოვანი სტრატეგიული სივრცეა ევროპა-აზიის ტერიტორიის გასაყარზე. სწორედ ეს ფაქტორი უნარჩუნებდა საქართველოს დიდ მნიშვნელობას ისტორიის მანძილზე მრავალი იმპერიისათვის. ამავე ფაქტორის გამო ატარებდა საქართველოში განსაკუთრებულად დახვეწილ დიპლომატიას ჯერ რუსეთის ცარისტული იმპერია და შემდეგ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, სწორედ ამიტომ იყო პრივილეგირებული ეთნიკურად ქართველი ადამიანი რუსეთის სამხედრო თუ სხვა სამსახურში, როგორც ცარისტული, ასევე საბჭოთა რუსული იმპერიის ხანაში. სსრკ-ს დაშლის შემდეგაც რუსეთის ფედერაციამ, საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე არ ისურვა საქართველოს გაშვება საკუთარი გავლენიდან, რასაც ადვილად მიაღწია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში არსებული ეთნიკური კონფლიქტე-

ბის აფეთქებით.

სწორედ ამიტომ, საქართველოს მეორე პრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს XX საუკუნის 90-იანი წლების მიწურულამდე რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთულესი ლავირება უწევდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც 90-იანი წლების ბოლოს საქართველოს ხელისუფლებამ უკვე ღიად გამოთქვა სურვილი ნატოში გაწევრიანებისა, რუსეთის პოლიტიკა შევარდნაძის მიმართ საკმაოდ აგრესიული გახდა. ამგვარად, რუსეთის ფედერაციასა და საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობა ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის მმართველობის დასასრულიდან იღებს სათავეს. 2003 წელს საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა. ქვეყნის მართვა ჩაიბარა ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ – მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით. შევარდნაძის მიერ საფუძველჩაყრილი დასავლური კურსი უფრო მეტად გაღრმავდა მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების რეჟიმში, თუმცა აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ პირველი ვიზიტი პრეზიდენტის რანგში სააკაშვილმა, როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, შეასრულა მოსკოვში, რაც, თავის მხრივ, მიუთითებს იმაზე, რომ ახალმოსულ ხელისუფლებას რუსეთთან ურთიერთობის გართულება არ სურდა, მაგრამ ერთი იყო საქართველოს ხელისუფლების სურვილი და მეორე მოქმედება, რომელიც პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდიოდა რუსულ პოლიტიკურ ინტერესებთან. საქართველოში რუსეთის ინტერესებს უწოდებდა რა „გულივერის კომპლექს“, მიხეილ სააკაშვილი ამბობდა, რომ ამ კომპლექსის გამო რუსეთი თავს გრძნობდა გოლიათად, რომელიც ხან ერთ მხარეს აწვდის იარაღს, ხან მეორეს: „მხარეები ყოველთვის ადვილად ეგებოდნენ პროვოკაციაზე და რუსული არმიაც სიამოვნებით ადევნებდა თვალს, თუ როგორ ძიგნიდნენ ისინი ერთმანეთს და შემდეგ ისეთ წესრიგს ამყარებდა, როგორც თვითონ მოეხასიათებოდა“.¹ როდესაც ამ სიტყვებს ამბობდა, შორეულ 1994 წელს, მიხეილ სააკაშვილი ვერაფ-

¹ მიხეილ სააკაშვილი. გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის. სტატიები, პუბლიკაციები, გამოსვლები. თბილისი, 2001, გვ. 191.

რით წარმოიდგენდა, რომ 14 წლის შემდეგ, უკვე მისი პრეზიდენტობის პერიოდში, საქართველო კიდევ ერთხელ აღმოჩნდებოდა რუსეთის აგრესიის მსხვერპლი, მსოფლიო ლიდერთა დიდი ნაწილის თვალში კი ის წარმოჩნდებოდა, როგორც პროვოკაციაზე წამოგებული სახელმწიფოს მეთაური.

მთავარი გამაღიზიანებელი ფაქტორი, რამაც კრემლის მესვეურებს გადააწყვეტინა საქართველოში საომარი მოქმედების დაგეგმვა, ჩვენი აზრით, იყო საქართველოს ახალი ხელისუფლების მტკიცე დასავლური გეზი, რომელიც არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ ზოგადად სამხრეთ კავკასიის გადაქცევას ცდილობდა დასავლური პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტერესების სივრცედ. გავიხსენოთ „ნაბუქოს“ პროექტი, რის მიხედვითაც შუა აზიიდან ბუნებრივი აირი, სწორედ საქართველოს გავლით უნდა გასულიყო ევროპაში, რაც რუსეთს საკუთარი მთავარი რესურსის გასაღების ბაზარზე პოზიციებს მკვეთრად შეურყევდა. სწორედ ეს იყო ძირითადი მიზეზი, რამაც რუსეთის ფედერაციას გადააწყვეტინა საქართველოს კონფლიქტური რეგიონების ჩამოშორება ჩვენი ქვეყნისაგან, რაც თავისთავად ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას ხელყოფდა და საქართველოსათვის ფაქტობრივად შეუძლებელს გახდიდა ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციაში განევრიანებას. სააკაშვილისა და მისი მმართველი გუნდის სწორედ ამ მიზნის გამო უწოდა დიმიტრი მედვედევმა 2008 წლის ომის შემდგომ, თავად ამ ომზე საუბრისას სააკაშვილს „ხელის ჩამორთმევისათვის შეუფერებელი პიროვნება“ (Нерукопожатное Лицо).¹

რუსეთს ზემოაღნიშნული მიზნის განხორციელება, ჩვენი აზრით, გაუადვილა 2008 წლის 17 თებერვალს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებამ. ეს იყო სერიოზული ბერკეტი, რომელიც რუსეთის ხელში აღმოჩნდა 2008 წელს და რომელიც კრემლის მესვეურებმა თავიანთი ინტერესებისათვის დიდი წარმატებით გამოიყენეს. ჩვენი აზრით, ამით ოფიცია-

¹ Медведев назвал Саакашвили «абсолютно нерукопожатным лицом». იხ.: <http://www.rbcdaily.ru/politics/562949988350492>.

ლურმა მოსკოვმა დასავლეთისგან მიიღო მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის ლეგიტიმაცია საერთაშორისო დონეზე. მართალია, კოსოვოსა და აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების მაგალითი მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობებში დიდი განათლება არ არის საჭირო იმის მისახვედრად, თუ როგორ „მოხერხებულად“ შეეძლო რუსეთს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების სათავისოდ გამოყენება.

კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებიდან მეექვსე თვეს რუსეთმა საქართველოში ინტერვენცია განახორციელა, რაც მოსკოვის მიერ მაშინათვე მოინათლა პასუხად სააკაშვილის მიერ დაგეგმილ „ბლიცკრიგზე“.¹ 2008 წლის აგვისტოს ომი, რომელიც ჩვენი, და არა მხოლოდ ჩვენი აზრით, წარმოადგენდა ომს როგორც რუსეთსა და საქართველოს, ასევე რუსეთისა და დასავლეთის პოლიტიკური ინტერესების გამტარებელი ქვეყნების ბანაკებს შორის. ეს ომი, ჩვენი აზრით, რუსეთის სამხედრო გამარჯვებით, თუმცა პოლიტიკური მარცხით დასრულდა, რადგან აფხაზეთისა და ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ცალმხრივად აღიარება არანაირი ლოგიკით არ შეიძლება აღქმულ იქნეს პოლიტიკურ გამარჯვებად. „პიროსის გამარჯვება“, – ასე შერაცხა აშშ-ს თავდაცვის მდივანმა (2006-2011) რობერტ გეიტსმა რუსეთის გამარჯვება 2008 წლის ომში.² თუმცა ამ შემთხვევაში ხაზი უნდა გაესვას ასევე ერთ მნიშვნელოვან მომენტს — რუსული პოლიტიკა საბოლოო მარცხს განიცდიდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ვერ გაბედავდა უკრაინაში შეჭრას. ეს კი საბოლოოდ, მიუხედავად 2008 წლის „გაკვეთილისა“ მსოფლიოს ლიდერებმა მაინც დაუშვეს, რაც მხოლოდ და მხოლოდ ნეგატიურ შედეგებს იძლევა თანამედ-

¹ Михаил Барабанов, Антон Лавров, Вячеслав Целуйко. Танки Августа. Сборник статей. Москва 2009, გვ. 5.

² Robert Gates – Russia Had ‘Pyrrhic Victory’ in Georgia. 20.09.2008. იხ.: <http://www.interpressnews.ge/en/world/1706-robot-gtes--russ-hd-pyhcvctoy-in-geog.html?ar=A>.

როვე მსოფლიო პოლიტიკაში.

დასავლური დიპლომატიის მარცხად მიგვაჩნია ექვსპუნქტიანი გეგმაც. ე.წ. „სარკოზის დოკუმენტი“, ზემოთ უკვე არაერთხელ მიმოხილული მეხუთე პუნქტით, რის მიხედვითაც „რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზზე. საერთაშორისო მექანიზმის შექმნამდე, რუსეთის სამშვიდობო ძალები განახორციელებენ უსაფრთხოების დამატებით ზომებს“,¹ – ფაქტობრივად წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის შემდგომი აგრესიული და ანექსიური პოლიტიკის გაგრძელების დაკანონებას. ექვსპუნქტიანი გეგმა წარმოადგენს როგორც რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომში საომარი მოქმედებების შეწყვეტის, ასევე დასავლეთის მიერ რუსეთ-საქართველოს ომში რუსეთის მიერ განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე მეტად ზერელე რეაგირების დამადასტურებელ იურიდიულ დოკუმენტს.

რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შედეგებს, აღნიშნული ომი ჩვენი ქვეყნისთვის დიდი ზიანის მომტანი გამოდგა. აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტური რეგიონები რუსეთის ფედერაციამ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად გამოაცხადა. გარდა ამისა, ომმა უფრო მეტად დაძაბა ისედაც დაძაბული მდგომარეობა აღნიშნული ორი რეგიონული კონფლიქტის მოგვარების კუთხით. აღსანიშნავია ასევე, რომ ჩვენი ქვეყანა ფაქტობრივად მოუმზადებელი შეხვდა ომს. ამის შესახებ თავად იმდროინდელი მაღალჩინოსნები აცხადებდნენ რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნაში.

საქართველოს ხელისუფლების შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს 2008 წლის აგვისტოს დასაწყისში ცხინვალის რეგიონიდან ქართული მოსახლეობის ევაკუაციის არ ან ვერ გან-

¹ ექვსპუნქტიანი გეგმა. იხ.: <http://www.civil.ge/geo/article.php?id=19157>.

ხორციელება, რის არგუმენტადაც დასახელდა ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლება რუსეთისაგან მსგავსი ტიპის ფართომასშტაბიან მოქმედებას არ ელოდა. (რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნა 2008); მიგვაჩნია რომ შეუფერებელია ნებისმიერი ქვეყნის, ნებისმიერი ხელისუფლებისათვის, ქვეყანაში მომხდარ ამგვარ მნიშვნელოვან მომენტში თქმა იმისა, რომ ხელისუფლება მტრისგან ასეთ მოქმედებას არ ელოდა, რადგან ხელისუფლება იმისაა, რომ ელოდოს და გაუთვლელიც გათვალოს საკუთარი ქვეყნის მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

რაც შეეხება თავად საქართველოს ხელისუფლების გადანყვეტილებას 2008 წლის 7 აგვისტოს შუა ღამით მოქმედებაზე გადასვლის შესახებ, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ქმედება აბსოლუტურად სამართლიანი და ნებისმიერ საერთაშორისო სამართლებრივ ფორმასთან თანხვედრაში მყოფი იყო, რადგან ყველასათვის ცხადია, რომ სუვერენულ ქვეყანას არმია ჰყავს იმისთვის, რომ დაიცვას ამ ქვეყნის მოსახლეობის უსაფრთხოება მაშინ, როდესაც ხდება აღნიშნული ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრები ამავე ქვეყნის მოქალაქეობისა და ეროვნულობის მატარებელი ადამიანების დახოცვა და უფლებების შელახვა. სხვა საკითხია ის, რომ ამ ქმედებით ჩვენი იმ დროინდელი ხელისუფლება ავტომატურად წამოეგო კრემლის ჩანაფიქრს და საკუთარი ქმედებით მოსკოვს თავისი გეგმის შესრულების საშუალება მისცა, მაგრამ გვგონია, რომ რუსეთი საკუთარ გეგმას მაინც შეასრულებდა, რადგან საგულდაგულოდ ემზადებოდა ამისთვის.

შეიძლება თუ არა რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ხუთდღიანი ომის თავიდან აცილება? აღნიშნული ომის წინამორბედი პოლიტიკური მოვლენების მიმოხილვის შემდეგ, ვფიქრობთ, რომ რუსეთ-საქართველოს ბოლო ომი შეიძლება არ მომხდარიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საქართველო

ველოს ხელისუფლება უარს იტყოდა საკუთარ ღონისძიებებზე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისათვის და, ამასთან ერთად, დასავლურ ორიენტაციაზე და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობის მისწრაფებაზე. ამ შემთხვევაში ვიზიარებთ ექსპერტ იუჯინ კოგანის ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ აზრს იმის შესახებ, რომ რუსეთთან საქართველო ვერასოდეს აწარმოებს წარმატებულ ბალანსის საგარეო პოლიტიკას. წარმატებულში, რა თქმა უნდა, ვგულისხმობთ ისეთ პოლიტიკას, რომლის გატარებაც ჩვენი ქვეყნის კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი პრობლემის მშვიდობიანად მოგვარების პერსპექტივას დასახავს.

მეორე მხრივ, მიგვაჩნია, რომ უკვე 2008 წელს მოახლოებული რუსეთ-საქართველოს ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციების მტკიცე პოზიციის გამოჩენითა და ქმედითი ნაბიჯების გადადგმით რუსეთის აგრესიის პოლიტიკის წინააღმდეგ. ასეთ ნაბიჯად მიგვაჩნია ევროკავშირის მიერ ბერლინ პლიუსის შეთანხმების მიხედვით, საკუთარ სამშვიდობო ოპერაციაში ნატოს სამხედრო ელემენტების გამოყენების შესაძლებლობა, რისკენაც ევროკავშირს აქტიურად მოუწოდებდა ლეხ კაჩინსკი.

აღნიშნული ორი სცენარის გარდა, სხვა გზას საქართველოს მიერ 2008 წელს რუსეთის აგრესიის თავიდან აცილებისა ვერ ვხედავთ, რადგან თქმა იმისა, რომ ბალანსის პოლიტიკით კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი დაძაბული ვითარების დასტაბილურება იყო შესაძლებელი, ზედმეტად მიგვაჩნია. საქართველოს ერთადერთ ხსნას რუსეთის იმპერიული პოლიტიკისაგან წარმოადგენს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება, რაც ამ ეტაპზე საქართველოსათვის მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენს.

დასასრულს, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შედეგებზე საუბრისას უნდა აღინიშნოს ის მთავარი ცვლილება, რაც მოხდა აფხაზეთისა და ცხინვალის კონფლიქტური რეგიონების სტატუსში. როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ,

რუსეთმა ცალმხრივად 2008 წლის 26 აგვისტოს აფხაზეთი და ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა, რითაც ამ ორ სეპარატისტულ რეგიონს დიდი ხნის ოცნება აუსრულა. ე.წ. „სამხრეთ ოსეთი“ ჯერ კიდევ 2001 წელს მიღებული „კონსტიტუციით“ მიიჩნეოდა თავს სუვერენულ დემოკრატიულ სახელმწიფოდ.¹ 2008 წლის 23 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც რუსეთმა ორივე კონფლიქტური რეგიონი ცალმხრივად დამოუკიდებლად გამოაცხადა, საქართველოს ხელისუფლებამაც თავის მხრივ, მიიღო კანონი, რომელიც განსაზღვრავს ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივ საკითხებს.² აღნიშნული კანონის მეორე მუხლი ოკუპირებულ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებსა და ცხინვალის რეგიონის, ანუ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიებს განსაზღვრავს ოკუპირებულ ტერიტორიებად. იმავე კანონის, მეშვიდე მუხლის, პირველი პუნქტი, აღნიშნულ ოკუპირებულ ტერიტორიებს აღიარებს საქართველოს ტერიტორიის განუყოფელ ნაწილად, რომელზეც ვრცელდება საქართველოს კანონმდებლობა. იმავე კანონის მესამე მუხლის მიხედვით, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვრცელდება საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი, აგრეთვე განსაკუთრებული სამართლებრივი რეჟიმი, რაც გულისხმობს შეზღუდვებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე თავისუფლად გადაადგილების, ამ კანონით გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების, უძრავ ქონებასთან დაკავშირებით გარიგების დადებისა და ამ კანონით განსაზღვრულ სხვა საკითხებთან დაკავშირებით.³

სხვა მხრივ, 2008 წლის ომიდან მეშვიდე წელს შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის ურთი-

¹ რეგიონული კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2000), გვ. 327-329.

² საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. იხ.: <http://www.smr.gov.ge/docs/doc215.pdf>.

³ საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. იხ.: <http://www.smr.gov.ge/docs/doc215.pdf>.

ერთობები მკვეთრი უკეთესობისა ან უარესობისკენ არ შეცვლილა. აფხაზეთისა და შიდა ქართლის კონფლიქტური რეგიონები კვლავ ჩვენი ქვეყნის მტკივნეულ წერტილს წარმოადგენენ. დრო გადის და ვითარება ამ რეგიონებში იმავე ნიშნულზე რჩება, რომელზეც 2008 წლის ომის შემდეგ აღმოჩნდა. ათასობით იძულებით გადაადგილებული პირი კვლავ უიმედოდ ელოდება საკუთარ სახლში დაბრუნებას და ეს მაშინ, როდესაც ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო მთავრობა, რუსეთის წაქეზებით, ოკუპირებული ტერიტორიის საზღვარს სხვადასხვა მიმართულებით, საკუთარი ნებისა და სურვილის მიხედვით გადაადგილებს. კონფლიქტური რეგიონის მოსაზღვრე ქართული სოფლებიდან გრძელდება ხალხის გატაცება. რუსეთის მიერ წაქეზებული სეპარატისტული რეგიონების დე ფაქტო მთავრობებისათვის არც საქართველოს ხელისუფლებისა და არც საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებების დაგმობას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, კრემლის „სილავიკები“ საკუთარ მოქმედებებს საკუთარი სურვილისამებრ განაგრძობენ.

Kakhaber Kalichava

**The Russo-Georgian War of 2008
in Georgian and English-Language literature**

Summary

The Russo-Georgian War of 2008 is represented as one of the most important issues in modern world politics. A lot of things has been said and written about this conflict. Many articles and books, directly or indirectly connected to the issue are available in the libraries and over the Internet. Readers interested in the topic can have an easy access to the sources in various languages about the Russo-Georgian war of 2008 both in regard of Russo-Georgian relationship as well as in the angle of international politics, geopolitics and geostrategy.

The main goal of this book is to study the interpretations of the Russo-Georgian war of 2008 in the Georgian and English-language works created on this topic and to make our own conclusions regarding the coverage of this topic among the Georgian and English-language researchers. We have dedicated two chapters of our book to this topic. In the first chapter of our work we have the survey of the Georgian language literature about the topic, which consists of 12 books. In the second chapter we give the survey of the English language literature about the Russo-Georgian conflict and relations between the two states. The number of English language literature examined in this chapter consists of 18 books.

While talking about the Georgian-language books, we should mention the already significant number of works published on this subject. Just after seven years from the war we have 12 books directly connected to the topic. This is caused by the fact that the scale of the Russo-Georgian conflict exceeds the bounds of relationship between the two countries and represents itself as one of the most

important issues of the world policy. Considering the ongoing “Ukrainian crisis” we should mention that, as the time goes by, the Georgian problem stops being just another regional conflict and becomes increasingly important and vulnerable issue for many European and not only European countries. The Georgian society is in need of more or less objective analysis of Russo-Georgian relationship and its place on the world political “Chessboard.” According to above-mentioned, although some of the Georgian authors are biased to certain extent, which is largely defined by their personal political views, we should say that every work has its importance in studying the Russo-Georgian war of 2008.

Besides the elevation of the level of awareness of Georgian Society, the works of Georgian authors must play an important role for foreign readers and authors who are interested in the problems of Russo-Georgian relations. While making the survey of English-language literature about the topic, we found out that most of the authors had limited or no access at all to the Georgian data. That is why we consider it extremely important to translate Georgian works in foreign languages and thus to increase the availability of Georgian material about the conflicts in Georgia, namely in Abkhazia and Tskhinvali Region, and generally about the Georgian-Russian relations outside our country.

Survey of the Georgian and English-language works shows that the Georgian authors have a deep insight in the internal issues of the past and present of the Russo-Georgian conflict, whereas English authors pay more attention to the external analysis of the conflict that implies the observation of Russian-Georgian relationship from the point of view of international relations. From the works of Georgian authors who have a balance of the internal and external analysis, we can mention following books: “The Road to the West. (The Collected Articles)” by **Dimitri Shvelidze**; “Russian Military Intervention in Georgia. The August War of 2008 and Its Consequences” by **Dazmir Jojua**; “Anatomy of Conflicts” by **Shota Malashkhia**; “Our Motherland Is Burning” by **Giorgi Karkarashvili**. Each of the named works, despite the different character of their content

and structure, represents a significant source of information and analysis for the reader.

From the English-language works we singled out some of the books that distinguish themselves with more or less unbiased analysis of the about Russo-Georgian war of 2008, namely: *The Guns of August 2008*” ed. by **Svante E. Cornell, and Frederic Starr; Lucas, E.** “A Little War that Shook the World. Georgia, Russia and the Future of the West” by **Ronald D. Asmus**; “Georgia. A Political History Since Independence” by **Stephen Jones**. We should also mention the memoirs of **Condoleezza Rice**, the former US Secretary of State “No Higher Honor. A Memoir of My Years in Washington,” in which author dedicates the separate chapter to the crisis of August 2008, and gives an attempt to highlight the role of USA and the “West” in Russian appeasement.

Based upon the survey of Georgian and English-language works on the Russo-Georgian war of 2008, we can conclude that the topic is widely covered among the Georgian and English researchers.

In the third chapter of our book the Russo-Georgian war of 2008 is viewed in the context of geopolitics and geostrategy. The observation of the works of Halford John Mackinder, Zbigniew Brzezinski, Samuel Huntington, Edward Lucas, Peter Savitski, George Vernadski, Lev Gumilyov, Alexander Dugin leads us to the conclusion that the “Cold War” did not end with the collapse of the USSR, but paved a way to the new world order where the “Eurasian Union camp” and “the camp of Western countries” are fighting for the “Heartland” of H. Mackinder, which spreads over the Russian, Middle Eastern and Eastern European territories. This is the process which Edward Lucas has called The “New Cold War.” The words of Alexander Dugin, the Russian advocate of Eurasian theory, that “Eurasianism is nothing but the battle against everything that is western”, can serve as an evidence of this fact.

The fifth chapter of our book is dedicated to the revision and analysis of legal documents regarding the conflicts in Abkhazia and Tskhinvali region. It consists of two paragraphs. In the first

paragraph we have examined the “Passportization Policy” held by Kremlin authorities in the breakaway regions of our country, which breached not only Georgian and international laws, but also the “Law of citizenship of Russian Federation” that was adopted and edited several times after the collapse of USSR. The second paragraph analyses the document, prepared by the Independent International Fact-Finding Mission on the conflict in Georgia (the so-called “Tagliavini Commission”).

The echo of the “2008 August war” throughout the world is observed the fifth and the last chapter of our work. Chapter is divided into two paragraphs in which the official reactions of the states and international organizations to the Russian aggression against Georgia are examined. The analysis of all those statements helps us to sharpen the red lines existing between the two camps of the “New Cold War”.

The results of the research are summarized in the **Epilogue**.

Кахабер Каличава

Русско-грузинская война 2008-го года в грузинской и англоязычной литературе

Резюме

Русско-грузинская война 2008-го года представляет актуальную и животрепещущую тему современной мировой политики, о которой на сегодняшний день много было сказано и написано. Спустя семь лет после войны, в библиотеках и интернет-пространстве широко доступны статьи, книги и разные труды, которые прямо или косвенно касаются последней войны между Россией и Грузией. Заинтересованный читатель на сегодняшний день имеет возможность познакомиться с многочисленной литературой о конфликте 2008-го года, как с точки зрения русско-грузинских отношений, так и с позиции международных отношений, геополитики и геостратегии.

Главной целью нашего труда является анализ осмысления русско-грузинской войны 2008-го года в работах грузинских и англоязычных авторов (этому посвящены первые две главы). В первой главе нашей монографии мы делаем обзор современной грузинской литературы на материалах 12 книг, а во второй главе мы анализируем англоязычную литературу (18 единиц).

В первую очередь нужно отметить тот факт, что, несмотря на сравнительно небольшое время, которое прошло после войны, уже имеется большое количество трудов на грузинском языке. Это объясняется тем, что война 2008-го года намного превосходит масштабы двусторонних русско-грузинских отношений и играет большую роль в мировой политике. В связи с Украинским кризисом вышеупомянутая тема становится особенно актуальной. Грузинские научные круги и наше общество нуждается в объективном анализе российско-грузинских отношений и пони-

мании их места на мировой политической «шахматной доске». Именно поэтому очень важно создать труд, основанный на научном подходе. Исходя из вышесказанного, необходимо отметить, что, несмотря на ряд субъективных суждений грузинских авторов, что обусловлено их политическими взглядами, каждый труд вносит определенную лепту в изучение последней русско-грузинской войны.

Кроме повышения уровня информированности, необходимо сделать доступными труды грузинских авторов о русско-грузинской войне для заинтересованных зарубежных читателей. Поэтому очень важное значение имеют не только исследования российско-грузинских отношений на современном этапе, но и перевод этих работ, позволяющий зарубежному читателю узнать больше о конфликтах в Абхазии и Цхинвальском регионе.

Обзор трудов грузинских и западных авторов о войне 2008 года показал, что грузинские авторы более глубоко исследуют предмет «изнутри», тогда как англоязычные авторы больше уделяют внимание внешним факторам и рисуют картину внешней политики США и стран Евросоюза из самых глубин политических лабиринтов этих стран, что позволяет увидеть Российско-грузинский конфликт с позиции Запада. Таким образом, изучение грузинских и западных источников и трудов позволяет сравнить подходы и создать более объемную картину для понимания российско-грузинских отношений. Среди грузинских книг можно выделить следующие труды: «Путь на запад? (Сборник публикаций)» Димитрия Швелидзе; «Русская военная интервенция в Грузии. Августовская война 2008-го года и её итоги» Дазмира Джоджуа; «Анатомия конфликтов» Шоты Малашхия; «Это наша родина горит» Гиоргия Каркарашвили.

Что касается англоязычной литературы, из тех трудов, которые отличаются более или менее объективным анализом внутренних и внешних факторов Российско-грузинского конфликта, можно выделить следующие книги: «Пушки августа 2008» под ред. Сванте Э. Корнелла и Фредерик Старра; «Маленькая война которая потрясла мир. Грузия, Россия и будущее запада» Ро-

нальда Асмуса; «Грузия. Политическая история после независимости» Стивена Джонса. Особо нужно отметить мемуары Государственного секретаря США Кондолизы Райс, в которых она посвятила отдельную главу августовскому кризису 2008-го года и высказывает свою позицию насчёт роли Запада и США в урегулировании Русско-грузинского конфликта.

Таким образом, можно прийти к выводу, что данный предмет хорошо изучен и проанализирован как на грузинском, так и на английском языках. Данная монография отличается именно тем, что базируется на анализ и оценку уровня изучения Русско-Грузинской войны 2008-го года на базе обширной грузинской и англоязычной литературы.

После обзора грузинской и англоязычной литературы о Российско-грузинской войне 2008 года, в нашей монографии мы касаемся таких важных вопросов, как некоторые политико-правовые аспекты Российско-грузинского конфликта, а так же официальные заявления стран, международных организаций и государственных единиц, имеющих ограниченное признание. В третьей главе монографии мы рассматриваем Русско-грузинскую войну и отношения этих двух стран через призму мировой политики, геополитики и геостратегии, анализируя таких русских и зарубежных авторов, как Хэлфорд Маккиндер, Збигнев Бжезинский, Сэмюэл Хантингтон, Эдвард Лукас, Петр Савицкий, Георгий Вернадский, Лев Гумилев, Александр Дугин. Обзор данной литературы позволил прийти к выводу, что Холодная война не закончилась вместе с распадом СССР, а наоборот, перешла на новую стадию и сейчас идёт борьба за Маккиндеровский «Хартленд», в который входит вся территория России, Средней Азии и Восточной Европы. Именно за распространение своего влияния на Хартленд, на сегодняшний день идёт борьба между странами Запада и альянса Евразийского союза, которую Эдвард Лукас называет новой Холодной Войной. Об этом говорит апологет «Евразийской теории» Александр Дугин, который считает, что Евразийство – это не что иное, как борьба против всего западного.

Обзору документов и юридических норм относительно

Абхазского и Осетинского конфликта с 1917-года по сегодняшний день посвящается четвёртая глава нашей монографии, которая, в свою очередь, состоит из двух параграфов. В первом параграфе рассматривается процесс выдачи паспортов со стороны России, который осуществлялся на оккупированных русскими войсками территориях нашей страны – Абхазии и Цхинвальского региона. Данный процесс противоречил не только международным и грузинским законодательным нормам, но и «Закону о гражданстве Российской Федерации», принятому и неоднократно отредактированному после распада СССР. Второй параграф посвящён детальному разбору документа, подготовленному Независимой миссией по установлению фактов по конфликту в Грузии (т.н. «Комиссия Тальявини»).

В пятой, последней главе нашей монографии анализируется реакция международного сообщества на события 2008 года. Глава разделена на два параграфа, в которых мы отдельно анализируем официальные позиции стран и международных организаций. Это позволяет нам выделить противоречия и «красные линии», существующие между двумя сторонами новой «Холодной войны».

В Заключении подведены итоги проведенной работы.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

დოკუმენტური მასალები:

1. აგვისტოს ნანგრევებში. არასამთავრობო ორგანიზაციათა ანგარიში 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის ნორმათა დარღვევის შესახებ. თბილისი, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, 2009, 234 გვ.
2. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შენადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ სამართლებრივი აქტების კრებული. რედაქტორი თამაზ დიასამიძე. რეგიონალიზმის კვლევის ცენტრი. თბილისი, 2004.
3. ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტის ანგარიში. არ შეუძლია? თუ არ უნდა? არასრულფასოვანი გამოძიება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს და მის შემდეგ ჩადენილ დანაშაულებებზე. ანგარიში მოამზადეს ოგე ბორჩგრევიცკა და სიმონ პაპუაშვილმა. თბილისი, 2010, 31 გვ.
4. რეგიონული კონფლიქტები საქართველოში. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2000). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. რეგიონალიზმის კვლევის ცენტრი. თბილისი, 2002.
5. რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და სხვა ქმედებების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისია. დასკვნა. საქართველო 2008. რეგიონული კონფლიქტები საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, აფხაზეთის ასსრ (1989-2011). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. შევსებული გამოცემა. რედაქტორი თამაზ დიასამიძე. რეგიონალიზმის კვლევის ცენტრი. თბილისი, 2002-2011.
6. საქართველოს პარლამენტის არქივი. ფონდი №1165. არქივი №2946. აღწერა №8. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე“.
7. საქართველოს პარლამენტის უწყებანი; საკანონმდებლო დამატება, 1996, №29-30/5
8. საქართველოს მთავრობის ანგარიში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სრულმასშტაბიან აგრესიასთან დაკავშირებით. თბილისი, 2010, 402 გვ.
9. **Independent International Fact-Finding Mission on the conflict in Georgia.** In 3 Volumes. September 2009.
10. **Georgia/Russia: Civilians in the Line of Fire: The Georgia-Russia Conflict.** By AI International Secretariat, 18 November 2008, 69 გვ.

სამეცნიერო ლიტერატურა:

11. **ალექსიძე, ლ.** თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. თბილისი, 2010, 512 გვ.
12. **ასმუსი, რონალდ დ.** მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შექრა. საქართველო, რუსეთი და დასავლეთის მომავალი. მთარგმნ. გია ჭუმბურიძე. სამეცნ. რედ. დავით დარჩიაშვილი. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010, 276 გვ.
13. **აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შენადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ სამართლებრივი აქტების კრებული.** რედაქტორი თამაზ დიასამიძე. რეგიონალიზმის კვლევის ცენტრი. თბილისი, 2004, 283 გვ.
14. **გაბედავა, მ.** რუსეთის აგრესია საქართველოს წინააღმდეგ 2008 წელი. თბილისი: „ნეკერი“, 2009, 204 გვ.
15. **გამისონია, ნ., პერტაია დ.** რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები. თბილისი: „უნივერსალი“, 2009, 300 გვ.
16. **გელაშვილი, გ.** 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების პოლიტიკურ-სამართლებრივი შეფასება. გორი, 2011, 100 გვ.
17. **დაუშვილი, ა.** ფიცი მწამს – ბოლო მაკვირვებს!.. რონალდ დ. ასმუსის წიგნის: „მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შექრა“ (თბ., 2010, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა) გამოცემის გამო. თბილისი: „უნივერსალი“, 2013, 92 გვ.
18. **კვარაცხელია, ბ.** რუსულ-ქართული კონფლიქტი აფხაზეთში და საერთაშორისო თანამეგობრობა. თბილისი: „უნივერსალი“, 2012, 303 გვ.
19. **მალაშხია, შ.** კონფლიქტების ანატომია. თბილისი: „ფორმა“, 2011, 857 გვ.
20. **მამრაძე, პ.** ავანტიურა 08.08.08. თბილისი: პალიტრა L, 2012, 284 გვ.
21. **მამუკელაშვილი, ე.** ცივი აგვისტო. 2 წიგნად. თბილისი, 2013.
22. **მუხაშვერია, ლ. ციხისთავი, ნ. ბოლქვაძე, ნ.** ომი სამართალი მშვიდობა. თბილისი, 2010, 416 გვ.
23. **ნადარეიშვილი, თ.** შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ. თბილისი, გამომცემლობა „სამშობლო“, 1998, 488 გვ.
24. **ომის სხვა სახე.** მეგი ბიბილური, მარია (პლიონ) პლიევა, თემურ ცხურბატი. გორი, 2012, 159 გვ.
25. **პაპასქირი, ზ.** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვეთი II. 1917-1993. თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის გამომცემლობა, 2007, 480 გვ.

26. **პაპასქირი, თ.** სახელმწიფოებანას თამაში აფხაზეთში. ჟურნ. „ტაბულა“, №139, ივლისი, 2014, გვ. 20-24.
27. **პერტია, დ.** აგვისტოს ომის შემდეგ: კრიზისული დიპლომატია და „საქართველოს საკითხი“ გლობალურ პოლიტიკაში. თბილისი: „უნივერსალი“, 2011, 208 გვ.
28. **საკაშვილი, მ.** გადამწყვეტი ბრძოლა საქართველოსთვის. სტატიები, პუბლიკაციები, გამოსვლები. რედ. დავით ზურაბიშვილი. თბილისი, 2001, 241 გვ.
29. **ყარყარაშვილი, გ.** ეს ჩვენი სამშობლო იწვის. თბილისი, 2009, 162 გვ.
30. **შევარდნაძე, ე.** ფიქრი წარსულსა და მომავალზე. მემუარები. თბილისი, 2006, 496 გვ.
31. **შველიძე, დ.** გზა დასავლეთისაკენ (პუბლიკაციების კრებული). თბილისი: „უნივერსალი“, 2012, 562 გვ.
32. **ჩიტაია, დ.** აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. აფხაზეთის სახალხო საბჭო 1917-1921 წლებში. თბილისი, 2006, 646 გვ.
33. **ჯოჯუა, დ.** რუსეთის სამხედრო ინტერვენცია საქართველოში. 2008 წლის აგვისტოს ომი და მისი შედეგები. თბილისი: „უნივერსალი“, 2010, 351 გვ.
34. **Aalto, P.** Pragmatic Foreign Policy: Managing Power Differentials in the Wider European Society of States. In: The Great Power (mis) Management. The Russian-Georgian War and its Implications for Global Political Order. Edited by Alexander Astrov. Ashgate, 2011, გვ. 115-135.
35. **Artman, V. M.** "Passport Politics": Passportization and Territoriality in the De-Facto States of Georgia". Presented to the Department of Geography and the Graduate School of the University of Oregon in partial fulfillment of the requirements for the degree of Master of Arts. June 2011, 161 გვ.
36. **Asmus, Ronald D.** A Little War that Shook the World. Georgia, Russia and the Future of the West. PalgraveMacmillan, 2010, 262 გვ.
37. **Astrov, A.** (Editor). The Great Power (mis) Management. The Russian-Georgian War and its Implications for Global Political Order. Ashgate, 2011, 193 გვ.
38. **Astrov, A.** Great Power Management Without Great Powers? The Russian-Georgian War of 2008 and Global Police/Political Order. In: The Great Power (mis) Management. The Russian-Georgian War and its Implications for Global Political Order. Edited by Alexander Astrov. Ashgate, 2011, გვ. 1-25.
39. **Bureau of European and Eurasian Affairs.** The United States and the South Ossetian Conflict. In: Georgia and the Caucasus Region. Ed. by Fran W. Haro. New York, 2010, გვ. 131-135.

40. **Black, J. L.** The Russian Presidency of Dmitry Medvedev, 2008-12. The Next Step Forward or Merely a Time Out? Routledge, 2015, 233 გვ.
41. **Blank, S.** From Neglect to Duress: The West and the Georgian Crisis Before the 2008 War. In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S. Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute. Armonk, NY–London, 2009, გვ. 104-122.
42. **Brzezinski, Z.** The Grand Chessboard. American Primacy and Its Geostategic Imperatives. Basic Books, 1997, 215 გვ.
43. **Carbone, M.** Russia's Trojan Horse in Europe? Italy and the War in Georgia. Italian Politics. Vol. 24. Governing Fear (2008), გვ. 135-151.
44. **Cohen, A. and E. Hamilton, R.** The Russian Military and the Georgia War: Lessons and Implications. Strategic Studies Institute, June 2011, 100 გვ.
45. **Cornell, E. S. and Starr, F. (Editors).** The Guns of August 2008. Central Asia-Caucasus Institute. Armonk, NY–London, England, 2009, 279 გვ.
46. **De Haas, M.** Russia's Foreign Security Policy in the 21st Century. Putin, Medvedev and Beyond. Routledge, 2010, 211 გვ.
47. **De Waal, T.** The Caucasus. An Introduction. New York, Oxford University Press, 2010, 259 გვ.
48. **Felgenhauer, P.** After August 7: The Escalation of the Russia-Georgia War. In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S. Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute. Armonk, NY–London, 2009, გვ. 162-181.
49. **Goble, P. A.** Defining Victory and Defeat: The Information War Between Russia and Georgia. In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S. Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute. Armonk, NY–London, 2009, გვ. 181-196.
50. **Goldman, S. D.** Russian Political, Economic, and Security Issues and U.S. Interests. In: Georgia and the Caucasus Region. Ed. by Fran W. Haro. New York, 2010, გვ. 41-65.
51. **Goltz, T.** The Paradox of Living in Paradise: Georgia's descent into Chaos. – In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S. Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute. Armonk, NY–London, 2009, გვ. 10-28.
52. **Gugushvili, A.** Country Report: Georgia. EUDO Citizenship Observatory. European University Institute. September 2012, გვ. 31.
53. **Haro, W. F.** Editor. Georgia and the Caucasus Region. New York, 2010, 147 გვ.
54. **Huntington, S. P.** The Clash of Civilizations and the Remaking of World Order. New York: Simon & Schuster, 1996, 367 გვ.

55. **Illarionov, A.** The Russian Leadership's Preparation for War, 1999-2008. In: *The Guns of August 2008*. Edited by Svante E. Cornell and S. Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute. Armonk, NY–London, 2009, 83. 49-85.
56. **Jones, S.** Georgia. A Political History Since Independence. London–New York, 2012, 471 83.
57. **Kakachia, K. & Cecire, M.** (Editors). Georgian Foreign Policy. The quest for sustainable security. Konrad-Adenauer-Stiftung, 2013, 219 83.
58. **Kanet, R. E.** The Return of Imperial Russia. In: *Conflict in the Former USSR*. Edited by Matthew Sussex. Cambridge University Press. New York, 2012, 83. 15-35.
59. **Kernen, B. Sussex, M.** The Russo-Georgian War: Identity, Intervention and norm adaptation. In: *Conflict in the Former USSR*. Edited by Matthew Sussex. Cambridge University Press. New York, 2012, 83. 91-118.
60. **Kirova, I.** Public Diplomacy and Conflict Resolution: Russia, Georgia and the EU in Abkhazia and South Ossetia. Los Angeles: Figueroa Press, 2012, 90 83.
61. **Kobzova, J., Popescu, N., Wilson, A.** Russia and EU's Competitive Neighbourhood. In: *The Great Power (mis) Management. The Russian-Georgian War and its Implications for Global Political Order*. Edited by Alexander Astrov. Ashgate, 2011, 83. 79-103.
62. **Kogan, E.** Russian-Georgian Relations and the Reaction from the European Union. Georgian Foundation for Strategic and International Studies, 2013, 15 83.
63. **Lucas, E.** The New Cold War. Putins Russia and The Threat to the West. PalgraveMacmillan, 2008, 260 83.
64. **Mackinder, H. J.** Democratic Ideals and Reality. A Study In the Politics of Reconstruction. New York: Henry Holt and company, 1919, 266 83.
65. **Makarychev, A.** Russia and NATO After the Georgia War: Re-Actualizing the Great Power Management Prospects. In: *The Great Power (mis) Management. The Russian-Georgian War and its Implications for Global Political Order*. Edited by Alexander Astrov. Ashgate, 2011, 83. 59-79.
66. **Mülfried, F.** Citizenship at War. Passports and nationality in the 2008 Russian-Georgian conflict. *Antropology Today*, Vol 26, No 2, April 2010, 83. 8-13.
67. **Natoli, K.** Weaponizing Nationality: An Analysis of Russia's Passport Policy in Georgia. // Boston University School of Law. *International Law Journal*, Volume 28, Summer 2010, Issue 2, 83. 389-417.

68. **Nichol, J.** Russia-Georgia conflict in Ossetia: Context. In: Georgia and the Caucasus Region. Ed. by Fran W. Haro. New York, 2010, 83. 1-17.
69. **Nichol, J.** Armenia, Azerbaijan, and Georgia: Political Developments and Implications for U.S. Interests. In: Georgia and the Caucasus Region. Ed. by Fran W. Haro. New York, 2010, 83. 65-99.
70. **Nichol, J.** Georgia (Republic): Recent Developments and U.S. Interests. In: Georgia and the Caucasus Region. Ed. by Fran W. Haro. New York, 2010, 83. 111-119.
71. **Nichol, J.** Georgia's January 2008 Presidential Election: Outcome and Implications. In: Georgia and the Caucasus Region. Ed. by Fran W. Haro. New York, 2010, 83. 119-125.
72. **Nichol, J.** Georgia (Republic) and NATO Enlargement: Issues and Implications. In: Georgia and the Caucasus Region. Ed. by Fran W. Haro. New York, 2010, 83. 125-131.
73. **Nilsson, N.** Georgia's Rose Revolution: The Break with the Past. In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S. Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute. Armonk, NY–London, 2009, 83. 85-104.
74. **Papkova, I.** Great Power Misalignment: The United States and the Russo-Georgian Conflict. In: The Great Power (mis) Management. The Russian-Georgian War and its Implications for Global Political Order. Edited by Alexander Astrov. Ashgate, 2011, 83. 43-59.
75. **Peimani, H.** Conflict and Security in Central Asia and the Caucasus. ASF-CLIO, LLC, 2009, 373 83.
76. **Popjanevski, J.** From Sukhumi to Tskhinvali: The Path to War in Georgia. In: The Guns of August 2008. Edited by Svante E. Cornell and S. Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute. Armonk, NY–London, 2009, 83. 143-162.
77. **Prozorov, S.** From *Katechon* to *Intrigant*: The Breakdown of the Post-Soviet *Nomos*. In: The Great Power (mis) Management. The Russian-Georgian War and its Implications for Global Political Order. Edited by Alexander Astrov. Ashgate, 2011, 83. 25-43.
78. **Rice, F.** No Higher Honor. A Memoir of My Years in Washington. New York: Crown Publishers, 2011, 460 83.
79. **Rumer, E. B., Simon, J.** Toward a Euro-Atlantic Strategy for the Black Sea Region. In: Georgia and the Caucasus Region. Ed. by Fran W. Haro. New York, 2010, 83. 17-41.
80. **Sakwa, R.** Great Powers and Small Wars in the Caucasus. In: Conflict in the Former USSR. Edited by Matthew Sussex. Cambridge University Press. New York, 2012, 83. 64-91.

81. **Sherr, J.** The Implications of the Russia-Georgia War for European Security. In: *The Guns of August 2008*. Edited by Svante E. Cornell and S. Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute. Armonk, NY–London, 2009, 83. 196-225.
82. **Smith, D. J.** The Saakashvili Administration’s Reaction to Russian Policies Before the 2008 War. In: *The Guns of August 2008*. Edited by Svante E. Cornell and S. Frederick Starr. Central Asia-Caucasus Institute. Armonk, NY–London, 2009, 83. 122-143.
83. **Stefes, C. H., George, J. A.** The Battles after the Battle: International Law and the Russia-Georgia Conflict. In: *Conflict in the Caucasus. Implications for International Legal Order*. Edited by James A. Green and Christopher P. M. Waters. New York: Palgrave Macmillan, 2010, 83. 153-177.
84. **Sussex, M.** (Editor). *Conflict in the Former USSR*. Cambridge University Press. New York. 2012, 245 83.
85. **Sussex, M.** Conclusions: The Future of conflict in the former USSR. In: *Conflict in the Former USSR*. Edited by Matthew Sussex. Cambridge University Press. New York, 2012, 83. 195-210.
86. **Svoboda, K.** Business as Usual? Gazprom’s Pricing Policy Toward the Commonwealth of Independent States. *Problems of Post-Communism*, Vol 58. No.6, November/December 2011, 83. 21-35.
87. **Toal, G.** “Russia’s Kosovo: A Critical Geopolitics of the August 2008 War over South Ossetia.” *Eurasian Geography and Economics*, Vol. 49, No.6 (2008), 83. 670-705.
88. **Trenin, D.** *Post-Imperium. A Eurasian Story*. Carnegie Endowment for International Peace, 2011, 279 83.
89. **United States Department of State.** Background Note: Georgia. In: *Georgia and the Caucasus Region*. Ed. by Fran W. Haro. New York, 2010, 83. 99-111.
90. **Алемань, А.** Аланы в Древних и Средневековых Письменных Источниках. Москва: «Менеджер», 2003, 614 83.
91. **Асмус, Р. Д.** Маленькая война, которая потрясла мир. Грузия, Россия и будущее запада. Тбилиси, Изд. Парнас, 2010, 302 83.
92. **Барабанов, М. Лавров, А. Целуйко, В.** Танки Августа. Сборник статей. Москва: Центр анализа стратегии и технологии 2009, 144 83.
93. **Гамахария, Д.** (Главный Редактор). *Очерки из истории Грузии. Абхазия с древнейших времен до наших дней*. Тбилиси, 2009, 593 83.
94. **Гумилев, Л.** *Ритмы Евразии*. Москва: Экспрос, 1993, 576 83.
95. **Диасамидзе, Т.** (Редактор). *Региональные конфликты в Грузии –*

- Юго-Осетинская Автономная Область, Абхазская АССР (1989-2001). Сборник Политико-правовых Актов. Тбилиси, 2002, 1299 გვ.
96. **Дугин, А.** Геополитика Постмодерна. Москва, 2007, 382 გვ.
97. **Захаров, В. А., Арешев, А. Г., Семерикова, Е. Г.** Абхазия и Южная Осетия после признания: исторический и современный контекст. Москва, 2010, 519 გვ.
98. **Лекишвили, С.** Когда возник термин «Южная Осетия». Осетины в Грузии. Сборник. Тбилиси, 2015, გვ. 206-231.
99. **Лордкипანიძე, М., Гогиашвили, О.** (Редакторы). Осетины в Грузии. Сборник. Тбилиси, 2015, 397 გვ.
100. **Трубецкой, Н. С.** О государственном строе и форме правления. – «Евразийская хроника», вып. VII. Париж, 1927, გვ. 3-9.
101. **Трубецкой, Н. С.** О народах Кавказа. იხ.: <http://topwar.ru/28710-nstrubeckoy-o-narodah-kavkaza.html>

პრესა და ელექტრონული მასალები:

102. „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტი“. იხ.: <http://www.hrp.ge/ka-GE/activity/>.
103. ალექსანდრე ლუკაშენკომ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო. იხ.: <http://news.ge/ge/news/story/132083-aleqsandre-luka-shenkom-gmirta-memoriali-gvirgvinit-sheamko>.
104. ალექსანდრე ლუკაშენკომ, შვილთან ერთად, ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავი გვირგვინით შეამკო. იხ.: <http://news.ge/ge/news/story/132053-aleqsandre-lukashenkom-shviltan-ertad-vakis-parkshi-utsnobi-jariskatsis-saflavi-gvirgvinit-sheamko>.
105. ანტიქართული საპასპორტო რეიდი აფხაზეთში. იხ.: <http://1tv.ge/ge/news/view/55930.html>.
106. ბერლინ-პლიუსის შეთანხმება. იხ.: http://www.europarl.europa.eu/meetdocs/2004_2009/documents/dv/berlinplus_/berlinplus_en.pdf.
107. ექსპუნქტიანი გეგმა. იხ.: <http://www.civil.ge/geo/article.php?id=19157>.
108. თინა ხიდაშელი – რომ ვარსებობთ, ეს უკვე პრობლემაა რუსეთისთვის. იხ.: <http://www.interpressnews.ge/ge/politika/332552-thinakhidasheli-rom-varsebobth-es-ukve-problemaa-rusethisthvis.html?ar=A>.
109. იალღუზიძე-გაბარაევი იოანე (1770-1830). იხ.: <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=15473>.

110. ინფორმაციული ცნობა „ქართულ-ოსური“ კონფლიქტის შესახებ. იხ.: http://www.parliament.ge/files/617_8236_484760_qart_osuri.pdf.
111. კარიტასი. იხ.: <http://www.caritas.org/who-we-are/history/>.
112. **კვირის პალიტრა**. რუბრიკა „რას წერენ ჩვენზე“. თინათინ მარგველაშვილი. „პუტინი ავღანურ კარტს ათამაშებს“. გაზ. №11 (681), 2008წ. 17-23 მარტი, გვ. 16.
113. **კვირის პალიტრა**. რუბრიკა „რას წერენ ჩვენზე“. თინათინ მარგველაშვილი. „იმედის გასამყარებლად“. გაზ. №11 (681), 2008წ. 17-23 მარტი, გვ. 16.
114. **კვირის პალიტრა**. რუბრიკა „ომი თუ მშვიდობა“. მაია მარგველანი. „ჩვენ ეს შეტევა საკუთარი ნერვების ფასად მოვიგერიეთ...“. გაზ. №31(701), 2008წ. 4-10 აგვისტო, გვ. 8.
115. კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია. იხ.: <http://www.odkb-csto.org>.
116. მეგობრობის ხიდი – „ქართლოსი“. იხ.: <http://qartlosi.org/cms/1364027610>.
117. „მე, ჩემდა სამარცხვინოდ, არ ვარ ნამყოფი თბილისში და ფაქტობრივად, არც საქართველოში, გარდა სოხუმისა“. იხ.: <http://news.ge/ge/news/story/132063-me-chemda-samartskhvinod-ar-var-namyofi-tbilisshi-da-faqtobrivad-arts-saqartveloshi-garda-sokhumisa>.
118. „ოფიციალური“ ქართველები აფხაზეთში. იხ.: <http://netgazeti.ge/2015/03/23/42778/>.
119. რუსიფიკაციის ახალი ტალღა ოკუპირებულ გალში. იხ.: <http://m.amerikishkma.com/a/gali-georgian-books/2900478.html>.
120. რუსმა ოკუპანტებმა, ხურვალეთში, საზღვარი კიდევ რამდენიმე ჰექტრით გადმოწიეს. იხ.: <http://news.ge/ge/news/story/143912-rusma-okupantebma-khurvaletshi-sazghvari-kidev-ramdenime-heqtrit-gadmotsies>.
121. რუსულმა ინტერნეტსივრცემ 2008 წელს საქართველოდან მოპარული უნიტაზი „აღმოაჩინა“. იხ.: <http://droni.ge/?m=3&AID=4257>.
122. საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა. იხ.: <http://blog.fdclub.ge/2015/02/19/საქართველოდან-რუსეთის-სა/>.
123. საქართველოს კონსტიტუცია. იხ.: <http://laws.codexserver.com/37.htm>.
124. საქართველოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ. იხ.: <http://www.smr.gov.ge/docs/doc215.pdf>.
125. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №296. 2007 წლის 10 მაისი, ქ. თბილისი. ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციის შექმნის, საქმიანობის წე-

- სისა და ფარგლების შესახებ. იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/100630>.
126. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ. იხ.: http://rrc.ge/law/Saqkan_1993_25_03_Q.htm?lawid=1985&lng_3=ge.
 127. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. იხ.: http://rrc.ge/law/SaqKan_1993_24_06_Q.htm?lawid=1984&lng_3=ge.
 128. სოხუმმა ეთნიკური ქართველებისთვის აფხაზური პასპორტების გაცემა შეაჩერა. იხ.: <http://www.civil.ge/geo/article.php?id=26879>.
 129. შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია. იხ.: <http://www.sectsc.org/EN123/brief.asp>.
 130. Amnesty International. იხ.: <https://www.amnesty.org/en/who-we-are>.
 131. Armenia Concerned about South Ossetia Fighting. იხ.: <http://www.armenialiberty.org/content/article/1596713.html>.
 132. Azerbaijani Foreign Ministry: "Georgia's actions comply with international law". იხ.: <http://today.az/news/politics/46850.html>.
 133. Bangladesh calls for early cessation of hostilities between Russia and Georgia. იხ.: http://news.xinhuanet.com/english/2008-08/10/content_9131521.htm.
 134. Belarus leader applauds Russian response to South Ossetia crisis. იხ.: <http://sputniknews.com/world/20080819/116132622.html>.
 135. Black Sea Watershed. By Ronald D. Asmus and Richard Holbrooke. Washington Post, August 11, 2008. <http://www.washingtonpost.com/wp-dyn/content/article/2008/08/10/AR2008081001870.html>.
 136. Caritas responds to conflict in Georgia. იხ.: <http://news.trust.org//item/20080818130000-2h4tv/?source=search>.
 137. Conflito na Ossétia do Sul. იხ.: http://web.archive.org/web/20080828024708/http://www.mre.gov.br/portugues/imprensa/nota_detalhe3.asp?ID_RELEASE=5733.
 138. Czech political scene split over Georgia. იხ.: <http://www.radio.cz/en/section/curraffrs/czech-political-scene-split-over-georgia>.
 139. Dmitry Medvedev had a telephone conversation with President of Turkey Abdullah Gul. იხ.: <http://archive.kremlin.ru/eng/text/news/2008/08/205277.shtml>.
 140. Duty of a state is to preserve its territorial integrity, says Traian Basescu. იხ.: <http://web.archive.org/web/20080819210843/http://coe.mae.ro/index.php?lang=en&id=31&s=70829>.
 141. FM Bakoyannis on Caucasus crisis. იხ.: <http://web.archive.org/web/>

- 20080818124148/http://www.ana-mpa.gr/anaweb/user/showplain?maindoc=6724583&maindocimg=5510375&service=6.
142. Fogh støtter Georgien. nb.: <http://www.dr.dk/nyheder/politik/fogh-stoetter-georgien>.
 143. Foreign Ministry Spokesperson Qin Gang's Remarks on the Conflicts in South Ossetia. nb.: <http://www.china-un.org/eng/fyrth/t464558.htm>.
 144. Foreign Secretary deplores continued fighting in Georgia (09/08/2008). nb.: <http://web.archive.org/web/20080828024606/http://www.fco.gov.uk/resources/en/press-release/2008/august/georgia-statement-080809>.
 145. Georgia: ICRC to send humanitarian assistance to conflict area. nb.: <https://www.icrc.org/eng/resources/documents/news-release/2009-and-earlier/georgia-news-110808.htm>.
 146. Gobierno celebra pasos a favor de la paz en conflicto en Georgia. nb.: <http://web.archive.org/web/20080820115315/http://www.unionradio.com.ve/Noticias/Noticia.aspx?noticiaid=250964>.
 147. Gobierno llama a que se respete el cese al fuego en Osetia del Sur. nb.: <http://www.emol.com/noticias/nacional/detalle/detallenoticias.asp?idnoticia=317030>.
 148. Hostilities and loss of life in South Ossetia. nb.: <http://www.beehive.govt.nz/release/hostilities-and-loss-life-south-ossetia>.
 149. Ian Trainor. Six days that broke one country and reshaped the world order. nb.: <http://www.theguardian.com/world/2008/aug/16/georgia.russia1>.
 150. ICC Pre-Trial Chamber I authorises the Prosecutor to open an investigation into the situation in Georgia. Press Release: 27/01/2016. nb.: https://www.iccpi.int/en_menus/icc/press%20and%20media/press%20releases/Pages/pr1183.aspx
 151. International Criminal Court authorises Russia-Georgia war crimes investigation. nb.: <http://agenda.ge/news/51356/eng>
 152. International Committee of the Red Cross. nb.: <https://www.icrc.org/en/who-we-are/history>.
 153. Iran warns US over Caucasus crisis. nb.: <http://edition.presstv.ir/detail/67562.html>.
 154. Kremlin warned decision could backfire. By John Thornhill and David Ibison. August 28, 2008. nb.: <http://www.ft.com/intl/cms/s/7a311a18-7497-11dd-bc91-0000779fd18c>.
 155. Lidové noviny reveals the scale of Moscow's influence and intelligence gathering in the Czech Republic. nb.: <http://www.praguepost.com/the-big-story/39055-russian-spies-target-czech-republic>.


156. Michail Saakaschwili: Georgien wirft Russland Zaren-Gebaren vor. *ob.*: <http://www.welt.de/politik/article2145974/Georgien-wirft-Russland-Zaren-Gebaren-vor.html>.
157. Moratinos considera «lamentable» que georgianos y rusos incumplan la tregua olímpica. *ob.*: <http://www.abc.es/20080809/internacional-europa/moratinos-considera-lamentable-georgianos-200808091918.html>.
158. Nicaragua recognizes South Ossetia, Abkhazia. *ob.*: <http://web.archive.org/web/20080921002700/http://ap.google.com/article/ALEqM5hkkDAW4UIUk6TLyFBOyZPtGynBgD930NH580>.
159. Official Statement from the Government of Cuba. *ob.*: <http://web.archive.org/web/20080915213525/http://www.radioangulo.cu/english/diarioingles/2008/8-august/110808/official.htm>.
160. Plassnik demands Russian ceasefire. *ob.*: http://www.wienerzeitung.at/nachrichten/english_news/77291_Plassnik-demands-Russian-ceasefire.html.
161. Pope calls for halt to fighting over South Ossetia. *ob.*: <http://www.reuters.com/article/2008/08/10/us-pope-georgia-idUSLA48146720080810>.
162. President Assad/ Russian Media Interviews (August 20-21, 2008). *ob.*: http://www.presidentassad.net/index.php?option=com_content&view=article&id=141:president-assad-russian-media-interviews-august-20-21-2008&catid=100&Itemid=468.
163. Press release detail. *ob.*: http://www.esteri.it/mae/en/sala_stampa/archivionotizie/comunicati/2008/08/20080808_ossezia.html.
164. Report of the Commission on the Conduct of Referendums. *ob.*: <https://www.ucl.ac.uk/spp/publications/unit-publications/7.pdf>.
165. Robert Gates – Russia Had ‘Pyrrhic Victory’ in Georgia. 20.09.2008. *ob.*: <http://www.interpressnews.ge/en/world/1706-robet-gtes--russ-hd-pyhcvctoy-in-geog.html?ar=A>.
166. Russia & security partners agree on South Ossetia. *ob.*: <http://web.archive.org/web/20080905161046/http://www.russiatoday.com/news/news/29930>.
167. Russia prices gas for Ukraine at \$247, cuts discount. *ob.*: <https://www.rtt.com/business/270475-russian-gas-price-ukraine/>.
168. SCO leaders say no int'l problems can be solved by merely using force. *ob.*: http://news.xinhuanet.com/english/2008-08/28/content_9730813.htm.
169. Slovak Prime Minister Knows Who Provoked this War in the Caucasus. *ob.*: <http://hn.hnonline.sk/news-212/slovak-prime-minister-knows-who-provoked-this-war-in-the-caucasus-295103>.

170. Spiegel Interview with Gerhard Schröder: 'Serious Mistakes by the West'.
об.: <http://www.spiegel.de/international/world/spiegel-interview-with-gerhard-schroeder-serious-mistakes-by-the-west-a-572686.html>.
171. Statement by the NATO Secretary General on events in South Ossetia.
об.: <http://www.nato.int/docu/pr/2008/p08-100e.html>.
172. Text of Putin's speech at NATO Summit (Bucharest, April 2, 2008).
об.: <http://www.unian.info/news/247251-text-of-putins-speech-at-nato-summit-bucharest-april-2-2008.html>.
173. The Nato-EU Strategic Partnership. об.: <http://www.nato.int/docu/comm/2004/06-istanbul/press-kit/006.pdf>.
174. The Perfect Opportunity to Advance the U.S.–Georgian Defense Relationship. By Luke Coffee. об.: <http://www.heritage.org/research/reports/2015/08/the-perfect-opportunity-to-advance-the-usgeorgian-defense-relationship>.
175. Turkey urges cease-fire in South Ossetia. об.: <http://www.jpost.com/International/Turkey-urges-cess-fire-in-South-Ossetia>.
176. Tymoshenko: Ukraine stands in solidarity with Georgia. об.: http://web.archive.org/web/20080818120338/http://www.ibyut.com/index_files/517.html.
177. Understanding the WTO: The Organization. Members and Observers.
https://www.wto.org/english/thewto_e/whatis_e/tif_e/org6_e.htm.
178. United Nations Security Council. Resolution 1866 (2009). Adopted by the Security Council at its 6082nd meeting, on 13 February 2009. об.:
<http://www.securitycouncilreport.org/atf/cf/%7B65BFFF9B-6D27-4E9F-8FD3-FF6E4FF96FF9%7D/Georgia%20SRES1866.pdf>.
179. Vietnam Supports Peaceful Settlement in South Ossetia, Abkhazia.
об.: <http://english.cri.cn/2947/2008/08/28/1821s399870.htm>.
180. WTO Accessions: https://www.wto.org/english/thewto_e/acc_e/acc_e.htm
181. 12 октября 1999 года принят Акт «О государственной независимости Республики Абхазия». об.: <http://abkhazia-pmr.org/holidays.php?id=51&rz=1>.
182. Бастрыкин: МУС перевернул события в Цхинвале в 2008 году с ног на голову. об.: <http://www.vesti.ru/doc.html?id=2715592&cid=7>
183. В Грузии удивляются, зачем российские военные воруют унитазы и табуретки. об.: <http://www.segodnya.ua/world/v-hruzii-udivljajutczazachem-roccijckie-voennye-vorujut-unitazy-i-taburetki.html>.
184. Газ. «Абхазия», №4, 27 ноября 1995г.
185. «Газпром» поднимет цены на газ для стран СНГ и Балтии до \$300-400. об.: http://www.esco-ecosys.narod.ru/2008_5/art020.htm.

186. Глава МВД Грузии рассказал, как русские солдаты вывозили унитазы, кровати, туалетную бумагу, а боеприпасы меняли на водку. об.: http://censor.net.ua/news/40806/glava_mvd_gruzii_rasskazal_kak_russkie_soldaty_vyvozili_unitazy_krovati_tualetnyuyu_bumagu_a_boeprisy.
187. Докладная записка секретаря ЦК Компартии Грузии А. Мгеладзе И. В. Сталину о проблеме Абхазии. об.: <https://matiane.wordpress.com/2013/04/22/report-to-stalin-on-abkhazia/>.
188. Закон Республики Абхазия о гражданстве Республики Абхазия. об.: http://www.emb-abkhazia.ru/konsulskie_voprosy/zakon_j/.
189. Закон РФ от 28 ноября 1991 г. N1948-I «О гражданстве Российской Федерации» (с изменениями от 17 июня 1993 г., 6 февраля 1995 г.). об.: http://www.democracy.ru/library/laws/federal/1948-i_fz/page2.html.
190. Конституционный закон Республики Южная Осетия «О Гражданстве Республики Южная Осетия». об.: <http://cominf.org/node/1156855873>.
191. Медведев назвал Саакашвили «абсолютно нерукопожатным лицом». об.: <http://www.rbcdaily.ru/politics/562949988350492>.
192. Национальность Ленина, маленький скандал с большим содержанием. об.: <http://dokumentika.org/ideologiya/natsionalnost-lenina-malenkiy-skandal-s-bolshim-soderzhaniem>.
193. Независимость в квадрате. Южная Осетия вновь провела референдум о суверенитете республики. об.: <http://www.rg.ru/2006/11/13/nezavisimost.html>.
194. Объединённая группировка войск РФ и Абхазии будет сформирована в 2018 году – Мераб Кишмария. об.: <http://apsnypress.info/news/obedinennaya-gruppirovka-voysk-rf-i-abkhazii-budet-sformirovana-v-2018-godu-mirab-kishmariya/>.
195. Путин об августе 2008 года: план был, и это не секрет. об.: <https://www.youtube.com/watch?v=u3ureBVwmIY>.
196. Россия не будет сотрудничать с Международным Уголовным Судом в расследовании войны 2008 года. об.: <http://www.golos-ameriki.ru/content/russia-georgia-war/3173599.html>
197. Россия снижает цены на газ для Армении на \$24. об.: http://www.arka.am/ru/news/economy/rossiya_snizhaet_tseny_na_gaz_dlya_armenii_na_24/.
198. Соглашение о принципах урегулирования грузино-осетинского конфликта. об.: <http://www.noar.ru/files/content/82.pdf>.

199. Сюзанна Ђ-Фаризова, Александр Ђ-Габуев. Смежники подвели: Дмитрий Медведев не получил поддержки даже в ШОС. об.: <http://www.kommersant.ru/doc/1017558>.
200. Федеральный закон «О Гражданстве РФ.» От 31.05.2002. № 62-ФЗ. об.: http://www.consultant.ru/popular/civic/34_2.html#p193.
201. Шаг к признанию: Путин поручил помочь населению Абхазии и Южной Осетии, не выделяя граждан РФ. об.: http://www.newsru.com/russia/16apr2008/helpthem_print.html.
202. Юрий Дзицойты: Без референдума 1992 года Южная Осетия не была бы независимым государством. об.: <http://cominf.org/node/1166491180>.
203. Янукович: Украина должна поддерживать независимость кавказских республик. об.: http://www.gazeta.ru/news/lenta/2008/08/26/n_1262897.shtml.
204. Виступ Президента України Віктора Ющенка на центральному майдані Тбілісі на підтримку грузинського суверенітету. об.: <http://web.archive.org/web/20080817120123/http://www.president.gov.ua/news/10927.html>.
205. Калфин: България е за силна европейска позиция за Южна Осетия. об.: http://news.ibox.bg/news/id_980367452.
206. “Kosovo nije Osetija i Abhazija”. об.: http://www.b92.net/info/vesti/index.php?yyyy=2008&mm=08&dd=27&nav_id=315576.
207. Rat u Gruziji inspirisan Kosovom. об.: <http://www.blic.rs/vesti/svet/rat-u-gruziji-inspirisan-kosovom/bllb70p>.
208. Yfirlýsing vegna ástandsins í Suður-Ossetíu. об.: <http://web.archive.org/web/20080818093309/http://www.utanrikisraduneyti.is/frettaefni/frettatilkyningar/nr/4397>.
209. 南オセチア情勢の激化について. ԾձՌԵՈՒՍ ՆճԳՐԴԵՄ ՆՎԺԵՏԱ ՆՁՄՈՆԵՑՐՈՒ. об.: http://www.mofa.go.jp/mofaj/press/danwa/20/dga_0808.html.

გამომცემლობა „მერიდიანი“,
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ., №47

 239-15-22

E-mail: meridiani777@gmail.com